

ტრანსგენდერ აღიქმანთა ჯანმრთელობის
მსოფლიო პროფესიული ასოციაცია

**ზრუნვის სტანდარტები
ტრანსგენდერი და
გენდერულად მრავალფეროვანი პირების
ჯანმრთელობისთვის**

პირსია 8

ზრუნვის სტანდარტები ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების ჯანმრთელობისთვის, ვერსია 8

შინაარსობრივი გადახედვა და კონსულტაცია:
მანანა მალაღურაძე (MS) კლინიკური ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი

კონსულტაცია:
ქეთი ბახტაძე, სტრატეგიული ლიტიგაციის იურისტი

თარგმანი:
მაია რაიანი-მგალობლიშვილი
რუსუდან ძიგრაშვილი
ნინო ლაზაშვილი
ეკატერინე ლომთათიძე

რედაქტირება:
მედეა რუსიშვილი

კორექტირება და ტექნიკური ასისტირება
მაია ზაზაძე, ელენე ქაიხოსროშვილი, თორნიკე ლორთქიფანიძე

მასალა თარგმნილია ორგანიზაცია ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) მიერ ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ქალთა გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

გამოცემა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭერით, ინიციატივის „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD) ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაცია (WPATH). გამოცემის შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და ნორვეგიის თვალსაზრისს.



Standards of Care for the Health of Transgender and Gender Diverse People, Version 8

E. Coleman, A. E. Radix, W. P. Bouman, G. R. Brown, A. L. C. de Vries, M. B. Deutsch, R. Ettner, L. Fraser, M. Goodman, J. Green, A. B. Hancock, T. W. Johnson, D. H. Karasic, G. A. Knudson, S. F. Leibowitz, H. F. L. Meyer-Bahlburg, S. J. Monstrey, J. Motmans, L. Nahata, T. O. Nieder, S. L. Reisner, C. Richards, L. S. Schechter, V. Tangpricha, A. C. Tishelman, M. A. A. Van Trotsenburg, S. Winter, K. Ducheny, N. J. Adams, T. M. Adrián, L. R. Allen, D. Azul, H. Bagga, K. Başar, D. S. Bathory, J. J. Belinky, D. R. Berg, J. U. Berli, R. O. Bluebond-Langner, M.-B. Bouman, M. L. Bowers, P. J. Brassard, J. Byrne, L. Capitán, C. J. Cargill, J. M. Carswell, S. C. Chang, G. Chelvakumar, T. Corneil, K. B. Dalke, G. De Cuypere, E. de Vries, M. Den Heijer, A. H. Devor, C. Dhejne, A. D'Marco, E. K. Edmiston, L. Edwards-Leeper, R. Ehrbar, D. Ehrensaft, J. Eisfeld, E. Elaut, L. Erickson-Schroth, J. L. Feldman, A. D. Fisher, M. M. Garcia, L. Gijs, S. E. Green, B. P. Hall, T. L. D. Hardy, M. S. Irwig, L. A. Jacobs, A. C. Janssen, K. Johnson, D. T. Klink, B. P. C. Kreukels, L. E. Kuper, E. J. Kvach, M. A. Malouf, R. Massey, T. Mazur, C. McLachlan, S. D. Morrison, S. W. Mosser, P. M. Neira, U. Nygren, J. M. Oates, J. Obedin-Maliver, G. Pagkalos, J. Patton, N. Phanuphak, K. Rachlin, T. Reed, G. N. Rider, J. Ristori, S. Robbins-Cherry, S. A. Roberts, K. A. Rodriguez-Wallberg, S. M. Rosenthal, K. Sabir, J. D. Safer, A. I. Scheim, L. J. Seal, T. J. Sehoole, K. Spencer, C. St. Amand, T. D. Steensma, J. F. Strang, G. B. Taylor, K. Tilleman, G. G. T'Sjoen, L. N. Vala, N. M. Van Mello, J. F. Veale, J. A. Vencill, B. Vincent, L. M. Wesp, M. A. West & J. Arcelus

To cite this article: E. Coleman, A. E. Radix, W. P. Bouman, G. R. Brown, A. L. C. de Vries, M. B. Deutsch, R. Ettner, L. Fraser, M. Goodman, J. Green, A. B. Hancock, T. W. Johnson, D. H. Karasic, G. A. Knudson, S. F. Leibowitz, H. F. L. Meyer-Bahlburg, S. J. Monstrey, J. Motmans, L. Nahata, T. O. Nieder, S. L. Reisner, C. Richards, L. S. Schechter, V. Tangpricha, A. C. Tishelman, M. A. A. Van Trotsenburg, S. Winter, K. Ducheny, N. J. Adams, T. M. Adrián, L. R. Allen, D. Azul, H. Bagga, K. Başar, D. S. Bathory, J. J. Belinky, D. R. Berg, J. U. Berli, R. O. Bluebond-Langner, M.-B. Bouman, M. L. Bowers, P. J. Brassard, J. Byrne, L. Capitán, C. J. Cargill, J. M. Carswell, S. C. Chang, G. Chelvakumar, T. Corneil, K. B. Dalke, G. De Cuypere, E. de Vries, M. Den Heijer, A. H. Devor, C. Dhejne, A. D'Marco, E. K. Edmiston, L. Edwards-Leeper, R. Ehrbar, D. Ehrensaft, J. Eisfeld, E. Elaut, L. Erickson-Schroth, J. L. Feldman, A. D. Fisher, M. M. Garcia, L. Gijs, S. E. Green, B. P. Hall, T. L. D. Hardy, M. S. Irwig, L. A. Jacobs, A. C. Janssen, K. Johnson, D. T. Klink, B. P. C. Kreukels, L. E. Kuper, E. J. Kvach, M. A. Malouf, R. Massey, T. Mazur, C. McLachlan, S. D. Morrison, S. W. Mosser, P. M. Neira, U. Nygren, J. M. Oates, J. Obedin-Maliver, G. Pagkalos, J. Patton, N. Phanuphak, K. Rachlin, T. Reed, G. N. Rider, J. Ristori, S. Robbins-Cherry, S. A. Roberts, K. A. Rodriguez-Wallberg, S. M. Rosenthal, K. Sabir, J. D. Safer, A. I. Scheim, L. J. Seal, T. J. Sehoole, K. Spencer, C. St. Amand, T. D. Steensma, J. F. Strang, G. B. Taylor, K. Tilleman, G. G. T'Sjoen, L. N. Vala, N. M. Van Mello, J. F. Veale, J. A. Vencill, B. Vincent, L. M. Wesp, M. A. West & J. Arcelus (2022) Standards of Care for the Health of Transgender and Gender Diverse People, Version 8, *International Journal of Transgender Health*, 23:sup1, S1-S259, DOI: [10.1080/26895269.2022.2100644](https://doi.org/10.1080/26895269.2022.2100644)



© 2022 The Author(s). Published with license by Taylor & Francis Group, LLC.



Published online: 15 Sep 2022.



Submit your article to this journal [↗](#)



Article views: 77931



View related articles [↗](#)



View Crossmark data [↗](#)



Citing articles: 2 View citing articles [↗](#)

ზრუნვის სტანდარტები ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების ჯანმრთელობისთვის, ვერსია 8

E. Coleman¹, A. E. Radix^{2,3}, W. P. Bouman^{4,5}, G. R. Brown^{6,7}, A. L. C. de Vries^{8,9}, M. B. Deutsch^{10,11}, R. Ettner^{12,13}, L. Fraser¹⁴, M. Goodman¹⁵, J. Green¹⁶, A. B. Hancock¹⁷, T. W. Johnson¹⁸, D. H. Karasic^{19,20}, G. A. Knudson^{21,22}, S. F. Leibowitz²³, H. F. L. Meyer-Bahlburg^{24,25}, S. J. Monstrey²⁶, J. Motmans^{27,28}, L. Nahata^{29,30}, T. O. Nieder³¹, S. L. Reisner^{32,33}, C. Richards^{34,35}, L. S. Schechter³⁶, V. Tangpricha^{37,38}, A. C. Tishelman³⁹, M. A. A. Van Trotsenburg^{40,41}, S. Winter⁴², K. Ducheny⁴³, N. J. Adams^{44,45}, T. M. Adrián^{46,47}, L. R. Allen⁴⁸, D. Azul⁴⁹, H. Bagga^{50,51}, K. Başar⁵², D. S. Bathory⁵³, J. J. Belinky⁵⁴, D. R. Berg⁵⁵, J. U. Berli⁵⁶, R. O. Bluebond-Langner^{57,58}, M.-B. Bouman^{9,59}, M. L. Bowers^{60,61}, P. J. Brassard^{62,63}, J. Byrne⁶⁴, L. Capitán⁶⁵, C. J. Cargill⁶⁶, J. M. Carswell^{32,67}, S. C. Chang⁶⁸, G. Chelvakumar^{69,70}, T. Corneil⁷¹, K. B. Dalke^{72,73}, G. De Cuyper⁷⁴, E. de Vries^{75,76}, M. Den Heijer^{9,77}, A. H. Devor⁷⁸, C. Dhejne^{79,80}, A. D'Marco^{81,82}, E. K. Edmiston⁸³, L. Edwards-Leeper^{84,85}, R. Ehrbar^{86,87}, D. Ehrensaft¹⁹, J. Einfeld⁸⁸, E. Elaut^{74,89}, L. Erickson-Schroth^{90,91}, J. L. Feldman⁹², A. D. Fisher⁹³, M. M. Garcia^{94,95}, L. Gijs⁹⁶, S. E. Green⁹⁷, B. P. Hall^{98,99}, T. L. D. Hardy^{100,101}, M. S. Irwig^{32,102}, L. A. Jacobs¹⁰³, A. C. Janssen^{23,104}, K. Johnson^{105,106}, D. T. Klink^{107,108}, B. P. C. Kreukels^{9,109}, L. E. Kuper^{110,111}, E. J. Kvach^{112,113}, M. A. Malouf¹¹⁴, R. Massey^{115,116}, T. Mazur^{117,118}, C. McLachlan^{119,120}, S. D. Morrison^{121,122}, S. W. Mosser^{123,124}, P. M. Neira^{125,126}, U. Nygren^{127,128}, J. M. Oates^{129,130}, J. Obedin-Maliver^{131,132}, G. Pagkalos^{133,134}, J. Patton^{135,136}, N. Phanuphak¹³⁷, K. Rachlin¹⁰³, T. Reed^{138†}, G. N. Rider⁵⁵, J. Ristori⁹³, S. Robbins-Cherry⁴, S. A. Roberts^{32,139}, K. A. Rodriguez-Wallberg^{140,141}, S. M. Rosenthal^{142,143}, K. Sabir¹⁴⁴, J. D. Safer^{60,145}, A. I. Scheim^{146,147}, L. J. Seal^{35,148}, T. J. Sehoole¹⁴⁹, K. Spencer⁵⁵, C. St. Amand^{150,151}, T. D. Steensma^{9,109}, J. F. Strang^{152,153}, G. B. Taylor¹⁵⁴, K. Tilleman¹⁵⁵, G. G. T'Sjoen^{74,156}, L. N. Vala¹⁵⁷, N. M. Van Mello^{9,158}, J. F. Veale¹⁵⁹, J. A. Vencill^{160,161}, B. Vincent¹⁶², L. M. Wesp^{163,164}, M. A. West^{165,166} and J. Arcelus^{5,167}

¹Institute for sexual and gender Health, department of family Medicine and Community Health, university of Minnesota Medical school, Minneapolis, Mn, usa; ²Callen-lorde Community Health Center, new York, nY, usa; ³department of Medicine, nYu grossman school of Medicine, new York, nY, usa; ⁴Nottingham Centre for Transgender Health, Nottingham, UK; ⁵school of Medicine, university of nottingham, nottingham, UK; ⁶James H. Quillen College of Medicine, east tennessee state university, Johnson City, tn, usa; ⁷James H. Quillen VaMC, Johnson City, tn, usa; ⁸department of Child and adolescent Psychiatry, amsterdam uMC location Vrije universiteit amsterdam, amsterdam, netherlands; ⁹Center of expertise on gender dysphoria, amsterdam uMC location Vrije universiteit amsterdam, amsterdam, the netherlands; ¹⁰department of family & Community Medicine, university of California—san francisco, san francisco, Ca, usa; ¹¹uCsF gender affirming Health Program, san francisco, Ca, usa; ¹²new Health foundation Worldwide, evanston, IL, usa; ¹³Weiss Memorial Hospital, Chicago, IL, usa; ¹⁴Independent Practice, san francisco, Ca, usa; ¹⁵emory university rollins school of Public Health, atlanta, ga, usa; ¹⁶Independent scholar, Vancouver, Wa, usa; ¹⁷the george Washington university, Washington, dC, usa; ¹⁸department of anthropology, California state university, Chico, Ca, usa; ¹⁹university of California san francisco, san francisco, Ca, usa; ²⁰Independent Practice at dankarasic.com; ²¹university of British Columbia, Vancouver, Canada; ²²Vancouver Coastal Health, Vancouver, Canada; ²³ann & robert H. lurie Children's Hospital of Chicago, Chicago, IL, usa; ²⁴new York state Psychiatric Institute, new York, nY, usa; ²⁵department of Psychiatry, Columbia university, new York, nY, usa; ²⁶ghent university Hospital, gent, Belgium; ²⁷transgender Infopunt, ghent university Hospital, gent, Belgium; ²⁸Centre for research on Culture and gender, ghent university, gent, Belgium; ²⁹department of Pediatrics, the ohio state university College of Medicine, Columbus, oH, usa; ³⁰endocrinology and Center for Biobehavioral Health, the abigail Wexner research Institute at nationwide Children's Hospital, Columbus, oH, usa; ³¹university Medical Center Hamburg-ependorf, Interdisciplinary transgender Health Care Center Hamburg, Institute for sex research, sexual Medicine and forensic Psychiatry, Hamburg, germany; ³²Harvard Medical school, Boston, Ma, usa; ³³Harvard t. H. Chan school of Public Health, Boston, Ma, usa; ³⁴regents university london, uK; ³⁵tavistock and Portman nHs foundation trust, london, uK; ³⁶rush university Medical Center, Chicago, IL, usa; ³⁷division of endocrinology, Metabolism & Lipids, department of Medicine, emory university school of Medicine, atlanta, ga, usa; ³⁸atlanta Va Medical Center, decatur, ga, usa; ³⁹Boston College, department of Psychology and neuroscience, Chestnut Hill, Ma, usa; ⁴⁰Bureau genderPro, Vienna, austria; ⁴¹university Hospital lilienfeld—st. Pölten, st. Pölten, austria; ⁴²school of Population Health, Curtin university, Perth, Wa, australia; ⁴³Howard Brown Health, Chicago, IL, usa; ⁴⁴university of toronto, ontario Institute for studies in education, toronto, Canada; ⁴⁵transgender Professional association for transgender Health (tPatH); ⁴⁶asamblea nacional de Venezuela, Caracas, Venezuela; ⁴⁷diverlex diversidad e Igualdad a través de la ley, Caracas, Venezuela;

CONTACT Dr Eli Coleman, Phd Institute for sexual and gender Health, department of family Medicine and Community Health, University of Minnesota Medical school, Minneapolis, MN, USA
†deceased.

© 2022 the author(s). Published with license by taylor & francis group, llc. this is an open access article distributed under the terms of the Creative Commons attribution-nonCommercial-noderivatives license (<http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/>), which permits non-commercial re-use, distribution, and reproduction in any medium, provided the original work is properly cited, and is not altered, trans- formed, or built upon in any way. this is an open access article distributed under the terms of the Creative Commons attribution-nonCommercial-noderivatives license (<http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/>), which permits non-commercial re-use, distribution, and reproduction in any medium, provided the original work is properly cited, and is not altered, trans- formed, or built upon in any way.

⁴⁸university of nevada, las Vegas, nV, usa; ⁴⁹la robe rural Health school, la robe university, Bendigo, australia; ⁵⁰Monash Health gender Clinic, Melbourne, Victoria, australia; ⁵¹Monash university, Melbourne, Victoria, australia; ⁵²department of Psychiatry, Hacettepe university, ankara, turkey; ⁵³Independent Practice at Bathory International PLLC, Winston-salem, nC, usa; ⁵⁴durand Hospital, guemes Clinic and urological Center, Buenos aires, argentina; ⁵⁵national Center for gender spectrum Health, Institute for sexual and gender Health, department of family Medicine and Community Health, university of Minnesota Medical school, Minneapolis, Mn, usa; ⁵⁶oregon Health & science university, Portland, or, usa; ⁵⁷nYu langone Health, new York, nY, usa; ⁵⁸Hansjörg Wyss department of Plastic surgery, new York, nY, usa; ⁵⁹department of Plastic surgery, amsterdam uMC location Vrije universiteit amsterdam, , amsterdam, netherlands; ⁶⁰Icahn school of Medicine at Mount sinai, new York, nY, usa; ⁶¹Mills-Peninsula Medical Center, Burlingame, Ca, usa; ⁶²grs Montreal, Complexe CMC, Montreal, Quebec, Canada; ⁶³université de Montreal, Quebec, Canada; ⁶⁴university of Waikato/te Whare Wānanga o Waikato, Hamilton/Kirikiriroa, new Zealand/aotearoa; ⁶⁵the facialteam group, Marbella International Hospital, Marbella, spain; ⁶⁶Independent scholar; ⁶⁷Boston's Children's Hospital, Boston, Ma, usa; ⁶⁸Independent Practice, oakland, Ca, usa; ⁶⁹nationwide Children's Hospital, Columbus, oH, usa; ⁷⁰the ohio state university, College of Medicine, Columbus, oH, usa; ⁷¹school of Population & Public Health, university of British Columbia, Vancouver, BC, Canada; ⁷²Penn state Health, Pa, usa; ⁷³Penn state College of Medicine, Hershey, Pa, usa; ⁷⁴Center for sexology and gender, ghent university Hospital, gent, Belgium; ⁷⁵nelson Mandela university, gqeberha, south africa; ⁷⁶university of Cape town, Cape town, south africa; ⁷⁷department of endocrinology, amsterdam uMC location Vrije universiteit amsterdam, , amsterdam, netherlands; ⁷⁸university of Victoria, Victoria, BC, Canada; ⁷⁹anoVa, Karolinska university Hospital, stockholm, sweden; ⁸⁰department of Medicine Huddinge, Karolinska Institutet, stockholm, sweden; ⁸¹uTrans–united Caribbean trans network, nassau, the Bahamas; ⁸²d M a r c o organization, nassau, the Bahamas; ⁸³university of Pittsburgh school of Medicine, Pittsburgh, Pa, usa; ⁸⁴Pacific university, Hillsboro, or, usa; ⁸⁵Independent Practice, Beaverton, or, usa; ⁸⁶Whitman Walker Health, Washington, dC, usa; ⁸⁷Independent Practice, Maryland, usa; ⁸⁸transvisie, utrecht, the netherlands; ⁸⁹department of Clinical experimental and Health Psychology, ghent university, gent, Belgium; ⁹⁰the Jed foundation, new York, nY, usa; ⁹¹Hetrick-Martin Institute, new York, nY, usa; ⁹²Institute for sexual and gender Health, Institute for sexual and gender Health, department of family Medicine and Community Health, university of Minnesota Medical school, Minneapolis, Mn, usa; ⁹³andrology, Women endocrinology and gender Incongruence, Careggi university Hospital, florence, Italy; ⁹⁴department of urology, Cedars-sinai Medical Center, los angeles, Ca, usa; ⁹⁵departments of urology and anatomy, university of California san francisco, san francisco, Ca, usa; ⁹⁶Institute of family and sexuality studies, department of neurosciences, Ku leuven, leuven, Belgium; ⁹⁷Mermaids, london/leeds, uK; ⁹⁸duke university Medical Center, durham, nC, usa; ⁹⁹duke adult gender Medicine Clinic, durham, nC, usa; ¹⁰⁰alberta Health services, edmonton, alberta, Canada; ¹⁰¹Macewan university, edmonton, alberta, Canada; ¹⁰²Beth Israel deaconess Medical Center, Boston, Ma, usa; ¹⁰³Independent Practice, new York, nY, usa; ¹⁰⁴northwestern feinberg school of Medicine, Chicago, IL, usa; ¹⁰⁵rMt university, Melbourne, australia; ¹⁰⁶university of Brighton, Brighton, uK; ¹⁰⁷department of Pediatrics, division of Pediatric endocrinology, ghent university Hospital, gent, Belgium; ¹⁰⁸division of Pediatric endocrinology and diabetes, Zna Queen Paola Children's Hospital, antwerp, Belgium; ¹⁰⁹department of Medical Psychology, amsterdam uMC location Vrije universiteit amsterdam, , amsterdam, netherlands; ¹¹⁰department of Psychiatry, southwestern Medical Center, university of texas, dallas, tX, usa; ¹¹¹department of endocrinology, Children's Health, dallas, tX, usa; ¹¹²denver Health, denver, Co, usa; ¹¹³university of Colorado school of Medicine, aurora, Co, usa; ¹¹⁴Malouf Counseling and Consulting, Baltimore, Md, usa; ¹¹⁵WPatH global education Institute; ¹¹⁶department of Psychiatry & Behavioral sciences, emory university school of Medicine, atlanta, ga, usa; ¹¹⁷Jacobs school of Medicine and Biomedical sciences, university at Buffalo, Buffalo, nY, usa; ¹¹⁸John r. oishei Children's Hospital, Buffalo, nY, usa; ¹¹⁹Professional association for transgender Health, south africa; ¹²⁰gender dynamix, Cape town, south africa; ¹²¹division of Plastic surgery, seattle Children's Hospital, seattle, Wa, usa; ¹²²division of Plastic surgery, department of surgery, university of Washington Medical Center, seattle, Wa, usa; ¹²³gender Confirmation Center, san francisco, Ca, usa; ¹²⁴saint francis Memorial Hospital, san francisco, Ca, usa; ¹²⁵Johns Hopkins Center for transgender Health, Baltimore, Md, usa; ¹²⁶Johns Hopkins Medicine office of diversity, Inclusion and Health equity, Baltimore, Md, usa; ¹²⁷division of speech and language Pathology, department of Clinical science, Intervention and technology, Karolinska Institutet, stockholm, sweden; ¹²⁸speech and language Pathology, Medical unit, Karolinska university Hospital, stockholm, sweden; ¹²⁹la robe university, Melbourne, australia; ¹³⁰Melbourne Voice analysis Centre, east Melbourne, australia; ¹³¹stanford university school of Medicine, department of obstetrics and gynecology, Palo alto, Ca, usa; ¹³²department of epidemiology and Population Health, stanford, Ca, usa; ¹³³Independent Practicethessaloniki, greece; ¹³⁴Military Community Mental Health Center, 424 general Military training Hospital, thessaloniki, greece; ¹³⁵talkspace, new York, nY, usa; ¹³⁶CytiPsychological LLC, san diego, Ca, usa; ¹³⁷Institute of HIV research and Innovation, Bangkok, thailand; ¹³⁸gender Identity research and education society, Leatherhead, uK; ¹³⁹division of endocrinology, Boston's Children's Hospital, Boston, Ma, usa; ¹⁴⁰department of reproductive Medicine, Karolinska university Hospital, stockholm, sweden; ¹⁴¹department of oncology-Pathology, Karolinska Institute, stockholm, sweden; ¹⁴²division of Pediatric endocrinology, uCsf, san francisco, Ca, usa; ¹⁴³uCsf Child and adolescent gender Center; ¹⁴⁴ftM Phoenix group, Krasnodar Krai, russia; ¹⁴⁵Mount sinai Center for transgender Medicine and surgery, new York, nY, usa; ¹⁴⁶epidemiology and Biostatistics, dornsife school of Public Health, drexel university, Philadelphia, Pa, usa; ¹⁴⁷epidemiology and Biostatistics, schulich school of Medicine and dentistry, Western university, ontario, Canada; ¹⁴⁸st george's university Hospitals nHs foundation trust, london, uK; ¹⁴⁹Iranti, Johannesburg, south africa; ¹⁵⁰university of Houston, Houston, tX, usa; ¹⁵¹Mayo Clinic, rochester, Mn, usa; ¹⁵²Children's national Hospital, Washington, dC, usa; ¹⁵³george Washington university school of Medicine, Washington, dC, usa; ¹⁵⁴atrium Health department of obstetrics and gynecology, division of female Pelvic Medicine and reconstructive surgery, Charlotte, nC, usa; ¹⁵⁵department for reproductive Medicine, ghent university Hospital, gent, Belgium; ¹⁵⁶department of endocrinology, ghent university Hospital, gent, Belgium; ¹⁵⁷Independent Practice, Campbell, Ca, usa; ¹⁵⁸department of obstetrics and gynaecology, amsterdam uMC location Vrije universiteit amsterdam, amsterdam, netherlands; ¹⁵⁹school of Psychology, university of Waikato/te Whare Wānanga o Waikato, Hamilton/Kirikiriroa, new Zealand/aotearoa; ¹⁶⁰department of Psychiatry & Psychology, Mayo Clinic, rochester, Mn, usa; ¹⁶¹division of general Internal Medicine, Mayo Clinic, rochester, Mn, usa; ¹⁶²trans learning Partnership at <https://spectra-london.org.uk/trans-learning-partnership>, uK; ¹⁶³College of nursing, university of Wisconsin Milwaukee/Milwaukee, WI, usa; ¹⁶⁴Health Connections Inc., glendale, WI, usa; ¹⁶⁵north Memorial Health Hospital, robbinsdale, Mn, usa; ¹⁶⁶university of Minnesota, Minneapolis, Mn, usa; ¹⁶⁷Bellvitge Biomedical research Institute (IDIBELL), L'Hospitalet de Llobregat, Barcelona, Spain.

აპსტრაქტი

ზოგადი ინფორმაცია: ტრანსგენდერული ჯანდაცვა სწრაფად მზარდი დისციპლინათ- შორისი სფეროა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, უპრეცედენტო მასშტაბით გაი- ზარდა იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების (ტგმ) რაოდენობა და ხილვადობა, რომლებიც მხარდაჭერასა და გენდერის დადასტურების სამედიცინო მკურნალობას მიმართავენ. ამის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ სფე- როსთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოცულობაც. ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაცია (WPATH) არის საერთაშორისო მულტიდისციპლინური და პროფესიული ასოციაცია, რომლის ფუნქციაა ხელი შეუწყოს ტრანსგენდერულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე დაფუძნე- ბულ ზრუნვას, განათლებას, კვლევას, საზოგადოებრივ პოლიტიკასა და პატივისცემას. WPATH-ის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, ზრუნვის სტანდარტების (SOC) მეშვეობით, ტგმ პირებისთვის უმაღლესი ხარისხის სტანდარტების ჯანმრთელობის დაცვის უზ- რუნველყოფა. ზრუნვის სტანდარტები პირველად 1979 წელს შემუშავდა და მისი ბოლო ვერსია (SOC-7) 2012 წელს გამოქვეყნდა. მზარდი მოცულობის სამეცნიერო მტკიცებუ- ლებების გამო WPATH-მა ზრუნვის სტანდარტების ახალი ვერსიის, ზრუნვის სტანდარ- ტები-8, შექმნა გადაწყვიტა.

მიზანი: ზრუნვის სტანდარტების მე-8 ვერსიის მთავარი მიზანია ჯანდაცვის პროფესი- ონალებს (HCPS) გაუწიოს კლინიკური მეგზურობა, რაც ხელს შეუწყობს მათ, რომ ტგმ პირებს დაეხმარონ, რათა მათ უსაფრთხო და ეფექტურ მეთოდებზე ჰქონდეთ წვდომა საკუთარ გენდერულ იდენტობასთან ხანგრძლივი პერსონალური კომფორტის მიღწევის გზაზე, რათა საბოლოოდ უზრუნველყონ მათი ზოგადი ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და საკუთარი თავით კმაყოფილება.

მეთოდები: ზრუნვის სტანდარტები-8 საუკეთესო ხელმისაწვდომ მეცნიერულ მტკიცე- ბულებებსა და ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის პროფესიონალი ექსპერტების კონსენ- სუსს ეფუძნება. ზრუნვის სტანდარტების-8 კომიტეტი დაკომპლექტებული იყო საერ- თაშორისო პროფესიონალებითა და დაინტერესებული მხარეებით. სარეკომენდაციო დებულებები სისტემური ლიტერატურის მიმოხილვით მიღებული მონაცემების საფუძ- ველზე, ხოლო როდესაც ეს შესაძლებელი იყო, ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვასა და ექსპერტების აზრზე დაყრდნობით შემუშავდა. რეკომენდაციების ხარისხობრივი კლასი- ფიკაცია ინტერვენციებს, რისკებისა და ზიანის შესახებ დისკუსიებს, ასევე სხვადასხვა კონტექსტსა და სხვადასხვა ქვეყნისთვის სპეციფიკურ გარემოში მიზანშეწონილობასა და მისაღებობას ეფუძნება.

შედეგები: ზრუნვის სტანდარტები-8 18 თავისგან შედგება. ეს თავები მოიცავენ რეკო- მენდაციებს ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებისთვის, რომლებიც ტგმ-პირებზე ზრუ- ნავენ და მკურნალობენ. თითოეულ რეკომენდაციას მოსდევს განმარტებითი ტექსტი შესაბამისი მითითებებით. ტრანსგენდერთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზო- გადი ინფორმაცია მოცემულია თავებში: „ტერმინოლოგია“, „გლობალური გამოყენება“, „პოპულაციის განსაზღვრა“ და „განათლება“. თავები, სადაც განხილულია ტგმ-პირების მრავალფეროვანი პოპულაცია, მოიცავს „მოზრდილთა შეფასებას“, „ინტერსექსუალ პი- რებს“ და „ინსტიტუციონალიზებულ გარემოში მცხოვრებ პირებს“. სქესის დადასტურე- ბის პროცედურები განხილულია შემდეგ თავებში: „ჰორმონული თერაპია“, „ქირურგია და პოსტოპერაციული მზრუნველობა“, „ხმა და კომუნიკაცია“, „პირველადი მზრუნველო- ბა“, „რეპროდუქციული ჯანმრთელობა“ „სქესობრივი ჯანმრთელობა“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობა“.

დასკვნები: ზრუნვის სტანდარტები-8-ის სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია, იყოს იმდენად მოქნილი, რომ დააკმაყოფილოს ტგმ-პირების მრავალფეროვანი სამედიცინო საჭიროებები მსოფლიოს მასშტაბით. გაიდლაინები მოქნილია და გვთავაზობენ ოპტიმა- ლური სამედიცინო მზრუნველობის სტანდარტებს იმ პირებისთვის, რომლებიც გენდე- რულ შეუთავსებლობას განიცდიან. ისევე როგორც ზრუნვის სტანდარტების წინა ვერსი- ებში, ამ დოკუმენტშიც გენდერის დადასტურების სამედიცინო ჩარევის კრიტერიუმები კლინიკური გაიდლაინებია; ცალკეულმა ჯანდაცვის სპეციალისტებმა, ან პროგრამებმა, შესაძლოა, ტგმ-პირებთან კონსულტაციის საფუძველზე წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით შეცვალონ.

საკანონო სიტყვა

მოზარდები; შეფასება; ბავშ- ვები; კომუნიკაცია; განათ- ლება; ენდოკრინოლოგია; ევნუქი; გენდერულად მრ- ვალფეროვანი; ჯანდაცვის სპეციალისტები; ინსტიტუ- ციონალიზებული გარემო; სქესთაშორისი; ფსიქიკური ჯანმრთელობა; არაბინარუ- ლი; პოპულაცია; პოსტოპე- რაციული მეთვალყურეობა; პირველადი მეთვალყურეობა; რეპროდუქციული ჯანმრთე- ლობა; სექსუალური ჯანმრ- თელობა; ზრუნვის სტან- დარტები-8; მზრუნველობის სტანდარტები; ქირურგია; ტერმინოლოგია; ტრანსგენ- დერი; ხმა.

სარჩევი	გვერდი
შესავალი	5
თავი 1. ტერმინოლოგია	14
თავი 2. გლობალური გამოყენება	19
თავი 3. პოპულაციის განსაზღვრა	30
თავი 4. განათლება	36
თავი 5. მოზრდილთა შეფასება	41
თავი 6. მოზარდები	58
თავი 7. ბავშვები	91
თავი 8. არაბინარული გენდერული იდენტობის მქონე პირები	108
თავი 9. ევნუქები	120
თავი 10. ინტერსექსუალები	127
თავი 11. ინსტიტუციონალიზებული გარემო	143
თავი 12. ჰორმონული თერაპია	152
თავი 13. ქირურგია და პოსტოპერაციული მზრუნველობა	178
თავი 14. ხმა და კომუნიკაცია	190
თავი 15. პირველადი მზრუნველობა	199
თავი 16. რეპროდუქციული ჯანმრთელობა	218
თავი 17. სექსუალური ჯანმრთელობა	228
თავი 18. მენტალური ჯანმრთელობა	239
მადლობა	248
გამოყენებული ლიტერატურა	249
დანართი A: მეთოდოლოგია	312
დანართი B: ლექსიკონი	319
დანართი C: გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობა	321
დანართი D: მოზარდებსა და მოზრდილებში ჰორმონული და ქირურგიული მკურნალობის კრიტერიუმების შეჯამება	324
დანართი E: გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული მკურნალობა	326

შესავალი

ზრუნვის სტანდარტის დანიშნულება და გამოყენება

ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის (WPATH) მიერ შემუშავებული მზრუნველობის სტანდარტის მერვე გამოცემის (SOC-8) მიზანია, კლინიკური მეგზურობა გაუწიოს ჯანდაცვის სპეციალისტებს, რაც დაეხმარება მათ, ხელი შეუწყონ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების (ტგმ) წვდომას უსაფრთხო და ეფექტურ მეთოდებზე საკუთარ გენდერულ იდენტობასთან ხანგრძლივი პერსონალური კომფორტის მიღწევის გზაზე, რათა საბოლოოდ უზრუნველყონ მათი ზოგადი ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და საკუთარი თავითკმაყოფილება. აღნიშნული მეგზურობა შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ჰორმონული და ქირურგიული მკურნალობით, ხმისა და კომუნიკაციის თერაპიით, პირველადი მზრუნველობით, თმის მოცილებით, რეპროდუქციულ, სქესობრივ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზრუნვით. ჯანდაცვის სისტემებმა უნდა უზრუნველყონ გენდერის დადასტურების აუცილებელი სამედიცინო მზრუნველობა ტგმ-პირებისთვის (იხ. თავი 2 – გლობალური გამოყენება, დებულება 2.1.).

WPATH არის საერთაშორისო, მულტიდისციპლინური, პროფესიული ასოციაცია, რომლის მისიაცაა, ხელი შეუწყოს ტრანსგენდერთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ზრუნვას, განათლებას, კვლევას, საჯარო პოლიტიკასა და პატივისცემას. ასოციაცია 1979 წელს დაარსდა და ამჟამად მასში გაწევრიანებულია ჯანდაცვის 3,000 სპეციალისტი, სოციალური მეცნიერი და სამართლის პროფესიონალი, რომელთაგან ყველა ჩართულია კლინიკურ პრაქტიკაში, კვლევაში, განათლებასა და ადვოკატირების საქმიანობაში, რომელსაც გავლენა აქვს ტგმ ადამიანების ცხოვრებაზე. WPATH-ის მიზანია ისეთი მსოფლიო, სადაც ყველა გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის ადამიანებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ჯანდაცვაზე, სოციალურ სერვისებზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზე ექნებათ წვდომა.

WPATH-ის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, მზრუნველობის სტანდარტის (SOC) მეშვეობით ტგმ-პირებისთვის უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის ჯანდაცვა. ზრუნვის სტანდარტები-8 საუკეთესო ხელმისაწვდომ მეცნიერულ მტკიცებულებებსა და ტრანსგენდერთა ჯანდაცვის პროფესიონალი ექსპერტების კონსენსუსს ეფუძნება. ზრუნვის სტანდარტები პირველად 1979 წელს შემუშავდა და მისი ბოლო ვერსია (SOC-7) 2012 წელს გამოქვეყნდა.

ამ სფეროში კვლევისა და გამოცდილებების უდიდესი წილი ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაზე მოდის; შესაბამისად, აუცილებელია ზრუნვის სტანდარტები-8-ს დანარჩენ მსოფლიოზე მორგება. ზრუნვის სტანდარტების წინამდებარე გამოცემა ასევე მოიცავს მოსაზრებებს კულტურული რელატიურობისა და კულტურული კომპეტენციების მიდგომების შესახებ.

WPATH აღიარებს, რომ ჯანმრთელობა მხოლოდ მაღალი ხარისხის კლინიკურ ზრუნვაზე არ არის დამოკიდებული და მოიცავს სოციო-პოლიტიკურ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ტოლერანტობას, თანასწორობასა და სრულუფლებიან მოქალაქეობას. ჯანდაცვის ხელშეწყობა ხდება საჯარო პოლიტიკით და საკანონმდებლო რეფორმებით, რომლებიც ზრდის ტოლერანტობასა და გენდერულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ თანასწორობას და ებრძვის ჩაგვრას, დისკრიმინაციასა და სტიგმას. WPATH ამგვარი პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების დაცვის ერთგულია. შესაბამისად, მოვუწოდებთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ტგმ-პირებს სამედიცინო სერვისებს აწვდიან, უზრუნველყონ წვდომა უსაფრთხო და ლიცენზირებულ გენდერ-აფირმაციულ ზრუნვაზე და პატივი სცენ ინდივიდების ავტონომიას.

ეს დოკუმენტი უპირველესად ჯანდაცვის სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა, პაციენტებს, მათ ოჯახის წევრებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ასევე აქვთ ზრუნვის სტანდარტები-8-ის გამოყენების უფლება, რათა გაეცნონ, თუ როგორ ეხმარება ის მრავალფეროვანი პოპულაციის წევრების ოპტიმალური ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობას.

ზრუნვის სტანდარტები-8-ს აქვს 18 თავი,

რომელიც ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის ტგმ-პირებზე მზრუნველობის რეკომენდაციას მოიცავს. თითოეულ რეკომენდაციას მოსდევს განმარტებითი ტექსტი შესაბამისი მითითებებით. მოზრდილებისა და მოზარდების გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და/ან ქირურგიული მკურნალობის (GAMSTs) რეკომენდაციები წარმოდგენილია შესაბამის თავებში (იხილეთ თავები „შეფასება მოზრდილებისთვის“ და „მოზარდები“) რეკომენდაციების შეჯამებისა და გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და/ან ქირურგიული მკურნალობის კრიტერიუმებისთვის იხილეთ [დანართი D](#).

ზრუნვის სტანდარტები-8-ით გათვალისწინებული პოპულაციები

ამ ტექსტში ჩვენ ვიყენებთ ფრაზას „ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირები (TGD)“, რათა ვიყოთ მაქსიმალურად ყოვლისმომცველი და აღვწეროთ მსოფლიოს მასშტაბით მრავალფეროვანი თემები, ან ადამიანები, რომელთაც დაბადების დროს მინიჭებული სქესისგან განსხვავებული გენდერული იდენტობა და გამოხატვა აქვთ. ეს ასევე მოიცავს ადამიანებს, რომლებსაც აქვთ კულტურისთვის, ან ენისთვის სპეციფიკური გამოცდილებები, იდენტობები და გამოხატვები, რომლებიც შესაძლოა იყოს ან არ იყოს დაფუძნებული გენდერის ან იმ ენის დასავლურ კონცეფციაზე, რომელიც გენდერის აღსაწერად გამოიყენება.

WPATH-ის ზრუნვის სტანდარტები-8 უფრო მეტად აფართოებს ტგმ ქოლგას და იმ კონტექსტს, რომელშიც წინამდებარე დებულებები ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის ხელშეწყობისთვის უნდა იყოს გამოყენებული.

მსოფლიოს მასშტაბით, ტგმ მოიცავს მრავალფეროვანი გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მქონე ინდივიდებს, რომლებსაც სიცოცხლის მანძილზე გენდერის დადასტურების სხვადასხვაგვარი ზრუნვა ესაჭიროებათ, რომლებიც მათ ინდივიდუალურ მიზნებსა და მახასიათებლებზე, ხელმისაწვდომ სამედიცინო რესურსებსა და სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტზე იქნება მორგებული. როდესაც გარკვეული ჯგუფებისთვის მზრუნ-

ველობის სტანდარტი არ არსებობს, შესაძლებელია, ამ ვაკუუმმა მათ შორის ისეთი მიდგომების გამრავლებას შეუწყოს ხელი, რომელიც კონტრპროდუქტიული ან დამაზიანებელია. ზრუნვის სტანდარტები-8 მოიცავს რეკომენდაციებს, რომლის მიზანია იმ გენდერულად მრავალფეროვანი ჯგუფების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა, რომლებიც ხშირად უგულებელყოფილნი ან მარგინალიზებულნი არიან, მათ შორის არიან არაბინარული ადამიანები, ევნუქები და ინტერსექსი ინდივიდები.

ზრუნვის სტანდარტები-8 აგრძელებს ახალგაზრდა ტგმ-პირებზე შესაბამისი მზრუნველობის მონახვის შემუშავებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა სქესობრივი მომნიჭების დათრგუნვას და გენდერის დადასტურების მიზნით ჰორმონების შეყვანას მოითხოვდეს. მსოფლიოს მასშტაბით, ტგმ-პირები ტრანსფობიას, სტიგმატიზაციას, ინფორმაციის ნაკლებობასა და ჯანდაცვის სერვისებზე უარის თქმას განიცდიან, რაც მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ტგმ-პირებს ხშირად უწევთ, მკურნალ ექიმებს მკურნალობის შესახებ თავად მიუთითონ, ამ უკანასკნელთა არასაკმარისი ცოდნიდან და მომზადებიდან გამომდინარე. ტგმ-პირების მიმართ დისკრიმინაციის, სოციალური მარგინალიზაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ინტერსექციური ფორმები უმცირესობის სტრესს განაპირობებს. უმცირესობის სტრესი დაკავშირებულია ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უთანასწორობასთან, რისი მაგალითიცაა სისგენდერ პოპულაციასთან შედარებით დეპრესიის, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებისა და არასუიციდური თვითდაზიანებების გაზრდილი სიხშირე. მრავალი ტგმ-პირის მონყვლადობა ყველა დისციპლინის სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ. WPATH მოუწოდებს ჯანდაცვის მესვეურებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და სამედიცინო საზოგადოებებს, ებრძოლონ ტრანსფობიას ჯანდაცვის სპეციალისტებს შორის და უზრუნველყონ მაქსიმალური ძალისხმევა ტგმ-პირების იმ ექიმებთან გადასამისამართებლად, რომლებსაც აქვთ გენდერის დადასტურების მკურნალობის ჩატარების გამოცდილება და მზადყოფნა.

ზრუნვის სტანდარტების მოქნილობა

ზრუნვის სტანდარტები-მ-ის გაიდლაინების მიზანია, იყოს იმდენად მოქნილი, რომ დააკმაყოფილოს ტგმ-პირების მრავალფეროვანი სამედიცინო საჭიროებები მსოფლიოს მასშტაბით. დებულებები ადაპტირებადია და გვთავაზობს ოპტიმალური სამედიცინო მზრუნველობის სტანდარტებს იმ პირებისთვის, რომლებიც გენდერული იდენტობის შეუთავსებლობას განიცდიან. ისევე როგორც ზრუნვის სტანდარტების წინა ვერსიებში, ამ დოკუმენტშიც გენდერის დადასტურების სამედიცინო ჩარევის კრიტერიუმები კლინიკური სახელმძღვანელოა; ცალკეულმა ჯანდაცვის სპეციალისტებმა, ან პროგრამებმა, შესაძლოა, ტგმ-პირებთან კონსულტაციის საფუძველზე მათი ინდივიდუალური მოდიფიკაცია მოახდინონ. შესაძლოა ზრუნვის სტანდარტებიდან კლინიკური გადახვევა მოხდეს პაციენტის უნიკალური ანატომიური, სოციალური, ან ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე; გამოცდილი ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ სტანდარტული მეთოდის გაუმჯობესების საფუძველზე; მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში რესურსების ნაკლებობის ნიადაგზე; ან ზიანის თავიდან აცილების საჭიროების გამო. ამგვარი გადახვევები პაციენტს უნდა განემარტოს და პაციენტის მზრუნველობის ხარისხისა და კანონიერი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დოკუმენტირებული უნდა იყოს. ეს დასაბუთება ასევე მნიშვნელოვანია ახალი მონაცემების შეგროვებისთვის, რომელიც შესაძლოა რეტროსპექტულად შემოწმდეს და გამოყენებული იყოს ჯანდაცვის სერვისებისა და ზრუნვის სტანდარტების გასავითარებლად.

ზრუნვის სტანდარტები-მ მხარს უჭერს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზიანის შემცირებისკენ მიმართული მიდგომების მნიშვნელობას. გარდა ამისა, ზრუნვის სტანდარტების ეს ვერსია აღიარებს და ადასტურებს გენდერის სხვადასხვა გამოხატულებას, რომელიც შესაძლოა, ფსიქოლოგიურ, ჰორმონულ ან ქირურგიულ მკურნალობას არ საჭიროებდეს. ჯანდაცვის სპეციალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ ზრუნვის სტანდარტები, რათა დაეხმარონ პაციენტებს განიხილონ მათთვის ღია

ჯანდაცვის სერვისების სრული სპექტრი მათი გენდერული გამოხატვის კლინიკური საჭიროებების შესაბამისად.

მრავალფეროვნება თუ ლიაზონი

გენდერული მახასიათებლების გამოხატულება, მათ შორის იდენტობები, რომლებიც სტერეოტიპულად ასოცირებული არ არის დაბადების დროს მინიჭებულ სქესთან, არის ფართოდ გავრცელებული და კულტურულად მრავალფეროვანი ადამიანური ფენომენი, რომელიც უარყოფით მოვლენად, ან პათოლოგიად არ უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, გენდერული არაკონფორმულობა და მრავალფეროვნება მსოფლიოს მასშტაბით მრავალ საზოგადოებაში სტიგმატიზებულია. ამან შესაძლოა, ჩაგვრამდე და დისკრიმინაციამდე მიგვიყვანოს, რაც „უმცირესობის სტრესს“ იწვევს. უმცირესობის სტრესი არის უნიკალური (ზოგადი სტრესორების დამატებითი ფაქტორი, რომელსაც ყველა ადამიანი განიცდის), რომელმაც შესაძლოა, ტგმ ინდივიდები უფრო მონყვლადი გახადოს ისეთი ფსიქიკური ჯანმრთელობის ჩივილების მიმართ, როგორცაა შფოთვა და დეპრესია. საზოგადოების მხრიდან ჩაგვრისა და დისკრიმინაციის გარდა, სტიგმამ შესაძლოა, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ძალადობა და გარიყვა გამოიწვიოს, რასაც ხშირად ფსიქოლოგიურ სტრესამდე მივყავართ. ეს სიმპტომები სოციალურადაა განპირობებული და ტგმ-სთვის დამახასიათებელი არ არის.

მიუხედავად ამისა, გენდერული დისფორია ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ფსიქიკურ აშლილობის დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (DSM-5-TR) ჯერ კიდევ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობად განიხილება. თუმცა გენდერული შეუთავსებლობა მსოფლიო ჯანდაცვის საზოგადოებაში პათოლოგიურ ან ფსიქიკურ აშლილობად აღარ განიხილება. გენდერული შეუთავსებლობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ICD-11-ში აღიარებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მდგომარეობად. ისტორიული და ამჟამინდელი სტიგმის გამო, შესაძლოა, ტგმ-პირებმა განიცადონ დისტრესი ან დისფორია, რომლის

აღმოფხვრაც შესაძლებელია გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის სხვადასხვა ვარიანტით. მიუხედავად იმისა, რომ ნომენკლატურა ექვემდებარება ცვლილებას და შესაძლოა, სხვადასხვა ჯანდაცვის ორგანიზაციებისა თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ახალი ტერმინოლოგია და კლასიფიკაცია იყოს მიღებული, მკურნალობისა და მოვლის სამედიცინო აუცილებლობა აშკარად არის აღიარებული მრავალი ადამიანისთვის, რომლებიც დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ იდენტობას შორის შეუთავსებლობას განიცდიან.

ყველა საზოგადოება, ქვეყანა ან ჯანდაცვის სისტემა მკურნალობისთვის დიაგნოზს არ მოითხოვს. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ამ დიაგნოზებმა შესაძლოა, სამედიცინო და უცილებელ ჯანდაცვის სერვისზე წვდომა გააადვილოს და შემდგომ კვლევებს ეფექტური მკურნალობის განსაზღვრაში ხელი შეუწყოს.

ჯანდაცვის სერვისები

გენდერის დამადასტურებელი ზრუნვის მიზანია ტგმ-პირებთან თანამშრომლობით დააკმაყოფილდეს ტგმ პირების სოციალური, ფსიქიკური და სამედიცინო ჯანმრთელობის საჭიროებები და კეთილდღეობა და დადასტურდეს მათი გენდერული იდენტობა. გენდერის დადასტურებაზე ზრუნვა მხარს უჭერს ტგმ ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში – ბავშობაში გენდერული შეუთავსებლობის პირველივე ნიშნების გამოვლენიდან, შემდგომ ზრდასრულ ასაკსა და ხანდაზმულ ასაკში; ისევე როგორც იმ ადამიანებს, რომლებიც გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით განიცდიან წუხილსა და გაურკვევლობას, როგორც ტრანზიციამდე, ისე მას შემდეგ.

ტრანსგენდერთა ჯანდაცვა მეტია, ვიდრე მისი ცალკეული კომპონენტების ჯამი და ის ენდოკრინოლოგიას, ქირურგიას, ხმას და კომუნიკაციას და მენტალურ ჯანმრთელობას შორის ერთობლივ ინტერ და მულტიდისციპლინურ მზრუნველობას მოიცავს, რომელთა მიზანია გენდერის დადასტურების ინტერვენციების მხარდაჭერა, პრევენციული ზრუნვა და ქრონიკულ დაავადებათა მენეჯმენტი.

გენდერის დამადასტურებელი ინტერვენცია სქესობრივი მომწიფების დათრგუნვას, ჰორმონულ თერაპიასა, გენდერის დადასტურების ქირურგიასა და სხვა პროცედურებს მოიცავს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ არ არსებობს უნივერსალური მიდგომა და ტგმ-პირებს, შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა, არცერთი, ან რამდენიმე ინტერვენციის ჩატარება დასჭირდეთ. ეს გაიდლაინები პაციენტზე ორიენტირებულ გენდერის დამადასტურებელ ჩარევას ანიჭებენ უპირატესობას და ზრუნვის წინაშე არსებული ბარიერების შესამცირებლად მათში ბევრი ადრინდელი პირობა განახლებულია. იდეალურ შემთხვევაში ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის კომუნიკაცია უნდა დამყარდეს, რათა მოხდეს პაციენტის საჭიროებებზე ორიენტირებული გენდერის დადასტურების ინტერვენციის შედეგებისა და დროის ოპტიმიზაცია და ზიანის მინიმუმამდე შემცირება. სათანადო რესურსების პირობებში კონსულტაცია და კოორდინაცია ხშირად რუტინული მზრუნველობის ნაწილია, თუმცა მსოფლიოს მასშტაბით მრავალ რეგიონში ტრანსგენდერებზე ზრუნვისთვის საჭირო დანებსებულებები არ არის. ამ რეგიონებისთვის, თუ ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია, რომ ინდივიდუალურმა პროვაიდერებმა შექმნან ქსელი და უზრუნველყონ ტრანსგენდერთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რომელიც ადგილობრივად ხელმისაწვდომი არ არის.

მსოფლიოს მასშტაბით, ტგმ-პირებს ზოგჯერ ოჯახის წევრები თუ რელიგიური გაერთიანებები კონვერსიული თერაპიის გავლას აიძულებენ. WPATH მკაცრად ეწინააღმდეგება რეპარაციულ და კონვერსიულ თერაპიას (იხილეთ დებულებები 6.5 და 18.10).

ჯანდაცვის დაწესებულებები

ზრუნვის სტანდარტები-მ-ის სხელმძღვანელო პრინციპები დაფუძნებულია ტგმ-პირების ფუნდამენტურ უფლებებზე, რომლებიც ვრცელდება ყველა იმ გარემოზე, სადაც ინდივიდის სოციალური ან სამედიცინო გარემოებების მიუხედავად, ჯანდაცვა უზრუნველყოფილია. ეს მოიცავს რეკომენდაციას ზრუნვის სტანდარ-

ტების გამოყენების შესახებ ტგმ პირებისთვის, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან ან სხვა ინსტიტუციურ გარემოში ცხოვრობენ.

ინფორმირებული პროვაიდერებისა და დროული ხელმისაწვდომობის ნაკლებობის, ხარჯების ბარიერების და/ან ჯანდაცვის ადრინდელი მასტიგმატიზირებელი მდგომარეობის გამო, ბევრი ტგმ-პირი ჰორმონულ თერაპიას თვითნებურად, რეცეპტის გარეშე იღებს. ეს რისკებს უქმნის ჯანმრთელობას, რომლებიც დაკავშირებულია გაუკონტროლებელი თერაპიისას პოტენციურად სუპრათერაპიული დოზების გამოყენებასა და სისხლით გადამდებ დაავადებების პოტენციურ გადადებასთან, როდესაც ნემსები ერთობლივად გამოიყენება. თუმცა, ბევრი ადამიანისთვის ეს არის ერთადერთი საშუალება სქესის დამადასტურებელი მკურნალობის საჭირო სამედიცინო მკურნალობის მისაღებად, რომელიც სხვაგვარად მიუწვდომელია. ჰორმონის ურეცეპტოდ გამოყენებას ზიანის შემცირების კუთხით უნდა მივუდგეთ და უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ადამიანები დაუკავშირდნენ პროვაიდერებს, რომლებსაც შეუძლიათ, უსაფრთხო და გაკონტროლებული ჰორმონოთერაპია დანიშნონ.

ზოგიერთ ქვეყანაში, ტგმ-ს უფლებებს სულ უფრო და უფრო მეტად აღიარებენ და იქმნება გენდერის კლინიკები, რომლებსაც ზრუნვის მაგალითის უზრუნველყოფა შეუძლიათ. თუმცა, სხვა ქვეყნებში ასეთი დაწესებულებები არ არის და ზრუნვა, შესაძლოა, უფრო ფრაგმენტული და ნაკლებრესურსიანი იყოს. მიუხედავად ამისა, იქმნება სხვადასხვა ახალი მოდელი, რომელიც პირველადი მზრუნველობის ცენტრებში გენდერის დადასტურებაზე ზრუნვის დეცენტრალიზაციას და ბარიერების შემცირებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ტელეჯანმრთელობის სერვისების განვითარებას მოიცავს. ზრუნვის მიწოდების მეთოდის მიუხედავად, უნდა მოხდეს ზრუნვის სტანდარტები-მ-ში წარმოდგენილი გენდერის დადასტურებაზე ზრუნვის ადაპტირება, რათა ის შესაბამისობაში იყოს ადგილობრივ სოცოკულტურულ, პოლიტიკურ და სამედიცინო კონტექსტებთან.

მეთოდოლოგია

მზრუნველობის სტანდარტის ეს ვერსია (SOC-მ) უფრო დეტალურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს ეყრდნობა, ვიდრე წინა ვერსიები. ეს მტკიცებულებები დაფუძნებულია არა მხოლოდ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე (პირდაპირი და ზოგადი მტკიცებულებები), არამედ ექსპერტთა კონსენსუსზე დაფუძნებულ მოსაზრებებზე. მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაიდლაინები მოიცავს რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია პაციენტზე ზრუნვის ოპტიმიზაცია და მასში გათვალისწინებულია მტკიცებულებები, სარგებლისა და ზიანის შეფასება, ჯანდაცვის პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებები და პრეფერენციები, ასევე რესურსების გამოყენება და ამ პრინციპების გატარების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევა იძლევა საფუძველს სანდო კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების და რეკომენდაციების შემუშავებისთვის, ის უნდა იყოს დაბალანსებული სხვადასხვა გარემოში ზრუნვის მიწოდების რეალობითა და მიზანშეწონილობის მიხედვით. ზრუნვის სტანდარტები-მ-ის შემუშავების პროცესი მოიცავს რეკომენდაციებს კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინის შემუშავების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია მედიცინის ეროვნული აკადემიებისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და რომელიც გამჭვირვალობას, ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკას, კომიტეტის შემადგენლობას და ჯგუფურ პროცესს ეხება.

ზრუნვის სტანდარტები-მ გაიდლაინების კომიტეტი იყო მულტიდისციპლინური და შედგებოდა დარგის ექსპერტებისგან, ჯანდაცვის სპეციალისტებისგან, მკვლევრებისგან და სხვადასხვა ხედვისა და გეოგრაფიული წარმომავლობის დაინტერესებული მხარეებისგან.

გაიდლაინების მეთოდოლოგია საჯარო კომენტარების პერიოდში, საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის მიერ მონაწილეობის დამატებითი ინფორმაციის დახმარებით, კითხვები და სისტემური მიმოხილვა დაგეგმა და შეიმუშავა. ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციები კომიტეტის ყველა წევრმა შეავსო. ზრუნვის სტანდარტები-მ-ის რეკომენდაციები ეფუძნება

ხელმისაწვდომ მტკიცებულებებს, რომლებიც მხარს უჭერს ინტერვენციებს, რისკებისა და ზიანის განსაზღვრას, ასევე მიზანშეწონილობისა და იმის განხილვას, თუ რამდენად მისაღებია სხვადასხვა კონტექსტისა და ქვეყნის პირობებში. საბოლოო რეკომენდაციებზე კონსენსუსი მიღწეული იქნა დელფის მეთოდის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა გაიდლაინების კომიტეტის ყველა წევრს და მოითხოვდა, რომ სარეკომენდაციო დებულებები დამტკიცებულიყო წევრების მინიმუმ 75%-ის მიერ. ზრუნვის სტანდარტები-მ-ის მეთოდოლოგიის დანვრილებითი აღწერა მოცემულია [დანართ A-ში](#).

ზრუნვის სტანდარტები-მ-ის თავეის შეჯამება

ზრუნვის სტანდარტები-მ წინა ვერსიებთან შედარებით მნიშვნელოვანადაა გაუმჯობესებული. ამ ვერსიაში ცვლილებები ემყარება ფუნდამენტურად განსხვავებულ მეთოდოლოგიას, მნიშვნელოვან კულტურულ ძვრებს, მიღწევებს კლინიკურ ცოდნაში და ჯანმრთელობის დაცვის მრავალი პრობლემის გათვალისწინებას, რომლებიც შესაძლოა, ტგმ-პირებს ჰორმონოთერაპიისა და ქირურგიის მიუხედავად შეექმნათ.

ეს განახლებული გაიდლაინები აგრძელებს ზრუნვის სტანდარტები-7-ის მიერ 2011 წელს დაწყებულ პროცესს, რათა „ტრანსგენდერობის დიაგნოზირებისთვის“ ვინრო ფოკუსი ფსიქოლოგიური მოთხოვნებიდან და გენდერული დისფორიის შემსუბუქების მიზნით სამედიცინო მკურნალობიდან გაფართოვდეს და გადავიდეს პაციენტის, როგორც ერთიანი და მთლიანი ინდივიდის გენდერული დადასტურების მზრუნველობაზე. WPATH აფართოებს ზრუნვის სტანდარტები-მ-ის გაიდლაინებს, იმის მიხედვით თუ ვისზე უნდა გავრცელდეს, რა უნდა და არ უნდა იყოს შეთავაზებული გენდერული დადასტურების ზრუნვასთან ერთად და, ასევე, იმ გარემოებებს, რომლებშიც ეს გაიდლაინები უნდა იყოს გამოყენებული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის მიზნით.

ზრუნვის სტანდარტები-მ-ს აქვს რამდენიმე ახალი თავი, როგორიცაა „ზრდასრულთა შეფასება“, „განათლება“, „ვენუქები“ და „არაბინარული სექსუალური იდენტობის მქო-

ნე პირები“. გარდა ამისა, ზრუნვის სტანდარტები-7-ის ბავშვთა და მოზარდთა თავი დაიყო ორ სხვადასხვა თავად. საერთო ჯამში, ზრუნვის სტანდარტები-მ მნიშვნელოვნად მოცულობითია, ვიდრე წინა ვერსიები და უზრუნველყოფს უფრო სიღრმისეულ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის. ზრუნვის სტანდარტები-მ-ის ყველა თავის შეჯამება შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

თავი 1 – ტერმინოლოგია

ეს ახალი თავი აყალიბებს ზრუნვის სტანდარტები-მ-ში გამოყენებული ენის ჩარჩოს და გვთავაზობს ტერმინოლოგიის გამოყენების შესახებ ნებაყოფლობით შეთანხმებულ რეკომენდაციებს. თავში მოცემულია (1)ტერმინები და განმარტებები და (2)მათი გამოყენების საუკეთესო პრაქტიკები. ამ დოკუმენტს ახლავს ლექსიკონი (იხ. დანართი B) საერთო ტერმინებისა და ენის შესახებ, რაც ზრუნვის სტანდარტები-მ-ის გამოყენებისა და ინტერპრეტაციისთვის გამოსადეგია.

თავი 2 – გლობალური გამოყენება

ეს თავი ეხება ძირითად ლიტერატურას, რომელიც დაკავშირებულია ჯანდაცვის სერვისების განვითარებასა და მიწოდებასთან, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიღმა ტემ-პირებზე ზრუნვის ფართო ადვოკატირებასთან და გთავაზობს რეკომენდაციებს ზრუნვის სტანდარტები-მ-ის სხვადასხვა კონტექსტში ადაპტაციისა და თარგმნისთვის.

თავი 3 – პოპულაციის განსაზღვრა

ამ თავში განახლებულია მონაცემები პოპულაციაში ტემ პირების რაოდენობის შესახებ. ამჟამინდელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით აღნიშნული პოპულაციის რაოდენობა შესაძლოა მერყეობდეს ერთი პროცენტის ნილადიდან რამდენიმე პროცენტამდე დათვლის კრიტერიუმის, ასაკობრივი ჯგუფისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

თავი 4 – განათლება

ეს ახალი თავი გთავაზობს ლიტერატურის ზოგად მიმოხილვას, რომელიც ტემ-ის ჯანდაცვის სფეროში განათლებასთანაა დაკავშირებული. ის გთავაზობს რეკომენდაციებს სამთავრობო, არასამთავრობო, ინსტიტუციურ და პროვაიდერთა დონეზე კომპეტენტური, სოლიდარული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ამის მიზანია, განათლების ამ სფეროში შეიქმნას საძირკველი და პედაგოგებსა და ჯანდაცვის სპეციალისტებს შორის უფრო ფართო და ღრმა დისკუსიები შედგეს.

თავი 5 – მოზრდილთა შეფასება

ეს ახალი თავი გვანვდის მითითებებს მოზრდილი ტემ-პირების შეფასების თაობაზე, რომლებიც გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო და ქირურგიულ მკურნალობას (GAMST-ები) ითხოვენ. იგი აღწერს და აახლებს შეფასების პროცესს, როგორც პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის ნაწილს და იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ჯანდაცვის სპეციალისტებმა უნდა დაიცვან, რათა ტემ ზრდასრულებს გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და/ან ქირურგიული მკურნალობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მისცენ.

თავი 6 – მოზარდები

ეს ახალი თავი მოზარდ ტემ-პირებს ეძღვნება, ის ბავშვთა თავისგან გამოყოფილია და შექმნილია მე-8 გამოცემისთვის (1)მოზარდების მიმართვიანობის მაჩვენებლების საგრძნობი ზრდის; (2)მოზარდების გენდერულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ზრუნვისთვის სპეციფიკური კვლევების ზრდისა; და (3)ამ ასაკობრივი ჯგუფის განვითარებისა და სქესის დამადასტურებელი ზრუნვის უნიკალური საკითხების გათვალისწინებით. ამ თავში მოცემულია რეკომენდაციები მოზარდების შეფასების პროცესთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და/ან ქირურგიულ მკურნალობას, ასევე რეკომენდაციები ტემ ახალგაზრდებთან და მათ ოჯახებთან მუშაობისთვის.

თავი 7 – ბავშვები

ეს ახალი თავი პრეპუბერტატის ასაკის სქესობრივად მრავალფეროვან ბავშვებს ეხება და განვითარებისთვის შესაბამის ფსიქოსოციალურ პრაქტიკასა და თერაპიულ მიდგომებზეა ფოკუსირებული.

თავი 8 – არაბინარული გენდერული იდენტობის მქონე პირები

ზრუნვის სტანდარტები-მ-ის ამ ახალ თავში დეტალურადაა აღწერილი ტერმინი „არაბინარული“ და განხილულია მისი გამოყენების ბიოფსიქოსოციალური, კულტურული და ინტერსექციური პერსპექტივები. ამ თავშივე განხილულია გენდერის დამადასტურებელი ზრუნვის ხელმისაწვდომობა, გენდერის დადასტურებისთვის განკუთვნილი სპეციფიკური სამედიცინო ინტერვენციები, ასევე შესაბამისი დონის მხარდაჭერა.

თავი 9 – ევნუქები

ეს ახალი თავი აღწერს ევნუქების უნიკალურ საჭიროებებს და როგორ შეიძლება ზრუნვის სტანდარტების გამოყენება ამ პოპულაციაზე.

თავი 10 – ინტერსექსუალები

ეს თავი ყურადღებას ინტერსექსუალი პირების ინდივიდების კლინიკურ მზრუნველობაზე ამახვილებს. ის ასეთ პირებთან დაკავშირებული ცვალებადი ტერმინოლოგიის, პოპულაციაში მათი გავრცელებისა, მრავალფეროვნებისა და გამოვლინებების განვითარებას ეხება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული განმარტებებით მათი ფსიქოსოციალური და სამედიცინო დახმარების რეკომენდაციებს იძლევა.

თავი 11 – ინსტიტუციური გარემო

ეს თავი გაფართოვდა, და მოიცავს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო გარემოს და აგებულია ზრუნვის სტანდარტების ბოლო სამ ვერსიაზე. ეს თავი აღწერს, თუ როგორ შეიძლება ზრუნვის სტანდარტები-მ-ის გამოყენება ამ გარემოში მცხოვრებ პირებზე.

თავი 12 – ჰორმონული თერაპია

ეს თავი აღწერს გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებას, რეკომენდებულ მკურნალობის რეჟიმებს, ჯანმრთელობის პრობლემების სკრინინგს ჰორმონოთერაპიამდე და მის დროს, და სპეციფიკურ შეფასებას

ჰორმონოთერაპიასთან დაკავშირებით ოპერაციამდე. ამ თავში მოცემულია გაფართოებული დისკუსია ისეთ თემებზე, როგორცაა ახალგაზრდებში გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის (GnRH) აგონისტების უსაფრთხოება, სხვადასხვა ჰორმონული რეჟიმები, მონიტორინგი, რომელიც მოიცავს თერაპიასთან დაკავშირებული პოტენციური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარებას და მითითებებს, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ ჰორმონის მიმწოდებლებმა ქირურგებთან.

თავი 13 – ქირურგია და პოსტოპერაციული მზრუნველობა

ეს თავი აღწერს გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული პროცედურების სპექტრს ინდივიდთა მრავალფეროვანი და ჰეტეროგენული პოპულაციისთვის, რომელიც თავს ტგმ-დ აიდენტიფიცირებს. მასში მოყვანილია დისკუსია ოპტიმალურ გენდერის დამადასტურებელი ქირურგიულ პროცედურებში ქირურგიული ტრენინგის, ოპერაციის შემდგომი მზრუნველობისა და კონტროლის, ასევე მოზრდილებისა და მოზარდების ქირურგიის ხელმისაწვდომობისა და ოპერაციების ინდივიდუალურად მორგების შესახებ.

თავი 14 – ხმა და კომუნიკაცია

ეს თავი აღწერს ხმისა და კომუნიკაციის მხრივ პროფესიულ მხარდაჭერასა და ინტერვენციებს, რომლებიც მოიცავს და აქცენტირდება მრავალფეროვნების ყველა ასპექტზე და აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ხმის ფემინიზაციითა და მასკულინიზაციით. ახალი რეკომენდაციები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ დაკონკრეტებულია იმ სპეციალისტთა როლები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ჩართულნი არიან ხმის და კომუნიკაციის მხარდაჭერაში.

თავი 15 – პირველადი მზრუნველობა

ეს თავი განიხილავს პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელობას ტგმ პირებისთვის გულ-სისხლძარღვთა და მეტაბოლური ჯანმრთელობის, კიბოს სქრინინგის და პირველადი მეთვალყურეობის სისტემების ჩათვლით.

თავი 16 – რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ეს თავი გვანვძის უახლეს მონაცემებს ნაყოფიერების პერსპექტივებისა და მშობლობის შესახებ გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებსა და მოზრდილებში, ინფორმაციას ნაყოფიერების შენარჩუნების მეთოდებში არსებული მიღწევების შესახებ (ქსოვილის კრიოკონსერვაციის ჩათვლით), მითითებებს ორსულობის, ორსულთა მზრუნველობის პრენატალური კონსულტაციისა და ძუძუთი კვების შესახებ. ასევე განხილულია კონტრაცეფციის მეთოდები და მოსაზრებები ტგმ პირებისთვის.

თავი 17 – სექსუალური ჯანმრთელობა

ამ ახალ თავში აღიარებულია სექსუალური ჯანმრთელობის დიდი გავლენა ტგმ პირების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. ამ თავში აქცენტი კეთდება ტგმ პირებზე ზრუნვაში სექსუალური ფუნქციის, სიამოვნებისა და კმაყოფილების კომპონენტის შეტანის მნიშვნელობაზე.

თავი 18 – ფსიქიკური ჯანმრთელობა

ამ თავში განხილულია მოზრდილი ტგმ პირების ფსიქოლოგიური მდგომარეობის მენეჯმენტის პრინციპები და კავშირი ფსიქოლოგიური მდგომარეობის მენეჯმენტსა და ტრანზიციულ ზრუნვას შორის. ფსიქოთერაპია შესაძლოა, სასარგებლო გამოდგეს, მაგრამ ის გენდერის დადასტურების მკურნალობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი არ უნდა იყოს, ასევე არ არის მიზანშეწონილი კონვერსიული მკურნალობის რეკომენდაცია.

თავი 1. ტერმინოლოგია

ეს თავი აყალიბებს ზრუნვის სტანდარტები-მ-ში გამოყენებული ენის სპეციფიკას და გვთავაზობს ტერმინოლოგიის გამოყენების შესახებ კონსენსუალურად შეთანხმებულ რეკომენდაციებს. თავში მოცემულია (1) ტერმინები და განმარტებები და (2) მათი გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა. ამ დოკუმენტს ახლავს ლექსიკონი საერთო ტერმინებისა და ენის შესახებ, რაც გამოსადეგია ზრუნვის სტანდარტები-მ-ის გამოყენებისა და ინტერპრეტაციისთვის (იხ. [დანართი B](#)).

ტერმინოლოგია

ამ დოკუმენტში ჩვენ ვიყენებთ ფრაზას „ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირები (ტგმ)“, რათა ვიყოთ მაქსიმალურად ყოვლისმომცველი და აღწეროთ მსოფლიოს მასშტაბით სოციალურად მიღებული, ან დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებული გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მქონე ადამიანების სხვადასხვა ჯგუფების წევრები. ეს ასევე მოიცავს ადამიანებს, რომლებსაც აქვთ კულტურასთან, ან ენასთან დაკავშირებული სპეციფიკური გამოხატვები, იდენტობები ან გამოცდილებები, რომლებსაც შესაძლოა არ მოიცავდეს (ან არ იყოს დაფუძნებული) გენდერის დასავლური კონცეფცია და/ან ენა, რომელიც მას აღწერს. ტგმ არის მოსახერხებელი, შემოკლებული სახელწოდება გენდერული მრავალფეროვნებისთვის.

ტერმინის „ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი“ მიღება აქტიურ პროცესი იყო და მას კამათის გარეშე არ ჩაუვლია. დისკუსიები მიედევნა ტერმინ „ტრანსგენდერზე“ ზედმეტი აქცენტის თავიდან აცილებას, არაბინარული გენდერული იდენტობებისა და გამოცდილების ინტეგრირებას, გენდერის გაგების გლობალური ვარიაციების აღიარებას, ტერმინ „გენდერული არაკონფორმულობის“ თავიდან აცილებას და ენის ცვალებადი ბუნების აღიარებას, რადგან იმან, რაც ახლა მნიშვნელოვანია, შეიძლება მომავალ წლებში აქტუალობა დაკარგოს. ამრიგად, ტერმინი ტრანსგენდერი და

გენდერული მრავალფეროვნება შეირჩა იმ მიზნით, რომ იყოს ყველაზე ინკლუზიური და ხაზი გაუსვას ტგმ პირების მრავალფეროვან გენდერულ იდენტობას, გამოხატვას, გამოცდილებას და ჯანდაცვის საჭიროებებს. დელფის პროცესის გამოყენებით, ტერმინებზე კონსენსუსის მისაღებად ზრუნვის სტანდარტები-მ თავის ავტორები რამდენიმე რაუნდის განმავლობაში ანონიმურად და განმეორებით გამოიკითხებოდნენ. ზრუნვის სტანდარტები-მ წარმოგიდგინებთ სტანდარტებს, რომლებიც ტგმ პირებისთვის გლობალურად უნდა იყოს გამოყენებული, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აიდეინტიფიცირებს ან გამოხატავს საკუთარ თავს ადამიანი.

კონსენსუსი

ამ თავში გამოყენებული ენა შესაძლოა არ იყოს (და არც ოდესმე იყოს) ყველა კულტურისა და გეოგრაფიული რეგიონის/ადგილის ყოვლისმომცველი. ხშირად გვხვდება განსხვავებები და დებატები შესაბამისი ტერმინებისა და კონკრეტული ტერმინოლოგიების შესახებ და თითოეული ტერმინის გამოყენებას მოჰყვება კამათი. ამ თავის მიზანია, იყოს მაქსიმალურად ინკლუზიური და წარმოადგინოს საერთო ლექსიკა, რომელიც პატივისცემას გამოხატავს, ტგმ პირების მრავალფეროვან გამოცდილებას ასახავს და ამ დოკუმენტში დასახული მიზნებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ჯანდაცვის პრაქტიკოსებისთვის, პროვაიდერებისთვის და საზოგადოებისთვის.

საბოლოო ჯამში, ტრანზიციასთან დაკავშირებულ ჯანდაცვაზე მისაწვდომობა უნდა ეფუძნებოდეს ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებას და ინდივიდისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას და არა იმას, თუ რა სიტყვებს იყენებენ ან ტგმ პირები ან მათი სერვის-პროვაიდერები მათი იდენტობის აღსაწერად. ისეთი ენისა და ტერმინოლოგიის გამოყენება, რომელიც პატივისცემას გამოხატავს და კულტურულად მგრძობიარეა, არის ძირითადი საფუძველი გენდერის დადასტურებასთან დაკავშირებული მზრუნველობის უზრუნველსაყოფად და სტიგმისა და ზიანის შესამცირებლად, რომელსაც განიცდის ბევრი ტგმ პირი, რომელსაც სამე-

დიცინო სერვისი ესაჭიროება. მომსახურების მიწოდებლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სერვისის მომხმარებლებთან ერთად განიხილონ, თუ როგორი ენაა მათთვის ყველაზე კომფორტული და ეს ენა შეძლებისდაგვარად გამოიყენონ.

ეს თავი განმარტავს, თუ რატომ გამოიყენება ამჟამინდელი ტერმინები სხვებზე უპირატესად. იმის ნაცვლად, რომ გამოვიყენოთ კონკრეტული ტერმინები სამედიცინო, იურიდიული და ადვოკატირების ჯგუფებისთვის, ჩვენი მიზანია, ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების ჯანმრთელობის ოპტიმიზაციის მიზნით, ტგმ-ს ჯანმრთელობისა და მასთან დაკავშირებულ ბევრ სფეროში (მაგ. ეპიდემიოლოგია, სამართალი) საერთო ენისა და გაგების ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი.

სქესი, გენდერი, გენდერული იდენტობა და გენდერული გამოხატვა ინგლისურ ენაში გამოიყენება როგორც აღწერები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს ყველა ადამიანზე – მათზე, ვინც არის ტგმ და მათზეც, ვინც არ არის. არსებობს ჩახლართული მიზეზები, რის გამოც ძალზე სეპციფიკური ენა შეიძლება იყოს ყველაზე თავაზიანი, ყველაზე ინკლუზიური ან ყველაზე მისალევი გლობალური ტგმ თემებისთვის, ამ მიზეზებს შორისაა ამ ცნებების აღსაწერად სიტყვების არსებობა ან არარსებობა სხვა ენებზე, გარდა ინგლისურისა; სქესსა და გენდერს შორის სტრუქტურული ურთიერთობა; იურიდიული ლანდშაფტები ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; და ისტორიული და დღევანდელი სტიგმის შედეგები, რომელთა წინაშეც ტგმ პირები დგანან.

იმის გამო, რომ ამჟამად, ტგმ ჯანმრთელობის სფეროში ძლიერ დომინირებს ინგლისური ენა, ტერმინოლოგიის კონტექსტის ჩამოყალიბებაში არსებობს ორი სპეციფიკური პრობლემა,

რომელიც მუდმივად ჩნდება. პირველი პრობლემა ის არის, რომ ინგლისურში არსებობს სიტყვები, რომლებიც არ არსებობს სხვა ენებში (მაგ., „სქესი“ და „გენდერი“ მხოლოდ ერთი სიტყვით არის წარმოდგენილი ურდუში (Urdu-ინდო-არიანული ენა) და ბევრ სხვა ენაზე). მეორე პრობლემა ის არის, რომ არის სიტყვები, რომლებიც ინგლისური ენის მიღმა არსებობენ და ინგლისურად პირდაპირ არ ითარგმნებიან (მაგ., travesti, fa'afafine, hijra, selrata, muxe, kathoey, transpinoy, waria, machi). პრაქტიკულად, ეს ნიშნავს, რომ ინგლისური ენის ძლიერი გავლენა ამ სფეროში გავლენას ახდენს როგორც ტერმინებზე, რომლებიც ფართოდ გამოიყენება, ასევე იმ პირებზე რომლის იდენტობა ამ ტერმინებით ყველაზე მეტადაა წარმოდგენილი, ან დადასტურებული. გამოყენებული სიტყვები ასევე აყალიბებს ნარატივებს, რომლებიც აისახება რწმენებსა და აღქმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ზრუნვის სტანდარტების წინა ვერსიებში ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაცია (WPATH) იყენებდა მხოლოდ „ტრანსგენდერს“, როგორც ფართოდ განსაზღვრულ ქოლგა ტერმინს, ვერსია 8 აფართოებს ამ ლექსიკონს და მთელ დოკუმენტში ქოლგა ტერმინად ტგმ-ს იყენებს (იხ. თავი 2 გლობალური გამოყენება).

გარდა ამისა, ენის მუდმივად განვითარებად ბუნებაზე გავლენას ახდენს გარე ფაქტორები და სოციალური, სტრუქტურული და პიროვნული ზეწოლა და ძალადობა ტგმ პირებსა და მათ სხეულებზე. ისტორიულად გამოყენებული მრავალი ტერმინი და ფრაზა შეზღუდულია იმის მიხედვით, თუ როგორ, როდის და რატომ გამოიყენეს ისინი ტგმ პირების განხილვისას და, შესაბამისად, ამოვარდნილია ხმარებიდან ან ტგმ პირებზე დისკუსიისას მწვავე კამათის საფუძველია, რადგან ზოგიერთი ინდივიდი ამ-

რეკომენდაციები

- 1.1- ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, სხვადასხვა გლობალურ გარემოში პაციენტებთან ურთიერთობისას კულტურულად შესაბამისი ენა გამოიყენონ (მათ შორის ტერმინები ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების აღსაწერად)
- 1.2- ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისას გამოიყენონ ენა, რომელიც უსაფრთხოების, ღირსებისა და პატივისცემის პრინციპებს იცავს.
- 1.3- ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს განიხილონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან, თუ რა ლექსიკას, ან ტერმინოლოგიას ანიჭებენ ისინი უპირატესობას.

ჯობინებს ტერმინებს, რომლებსაც სხვები შეურაცხმყოფლად მიიჩნევენ. ზოგიერთს სურს, რომ ზრუნვის ამ სტანდარტებმა უზრუნველყონ საყოველთაოდ მიღებული ტერმინების თანმიმდევრული ნაკრები ტგმ პირების, იდენტობებისა და მასთან დაკავშირებული ჯანდაცვის სერვისების აღსაწერად. თუმცა, ასეთი სია არ არსებობს და შეუძლებელია არსებობდეს ზოგიერთი ადამიანის გამორიცხვისა და რასის, ეროვნული წარმომავლობის, აბორიგენული სტატუსის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, რელიგიის, სალაპარაკო ენების, ეთნიკურ კუთვნილების, ან სხვა ნიადაგზე სტრუქტურული ჩაგვრის გაძლიერების გარეშე. მეტად სავარაუდოა, რომ ზრუნვის სტანდარტები-მ-ში გამოყენებული ტერმინოლოგიის ნაწილი მაინც მე-9 ვერსიის შემუშავების დროისთვის მოძველდება. ზოგიერთი ადამიანი იმედგაცრუებული იქნება ამ რეალობით, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს იქნება შესაძლებლობა ინდივიდებისა და თემებისთვის, განავითარონ და დახვეწონ თავიანთი ლექსიკა და ადამიანებმა ტგმ პირების ცხოვრებისა და საჭიროებების, მათ შორის მათი გამძლეობისა და ჩაგვრის მიმართ წინააღმდეგობის შესახებ კიდევ უფრო ნიუანსური ცოდნა მიიღონ.

და ბოლოს, მზრუნველობის ეს სტანდარტები კანონისა და სამართლის სპეციალისტების საქმიანობასაც მოიცავს. აქ მოყვანილია საერთაშორისო სამართალში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტერმინები, რათა იურიდიულ კონტექსტში ამ ტერმინების ფუნქციური განმარტებების შემუშავება გაადვილდეს და მოძველებული და/ან შეურაცხმყოფელი ტერმინები ჩანაცვლდეს. ამჟამად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია „გენდერულად მრავალფეროვანი“. ამ თავში ყველა დებულების რეკომენდაცია შემუშავებულია მტკიცებულებების საფუძვლიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის, პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და პრეფერენციების, რესურსების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ვაღიარებთ, რომ მტკიცებულებები არასაკმარისია და/ან მომსახურება არასასურველი, ან ხელმიუწვდომელია.

დაკლავა 1.1

ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, სხვადასხვა გლობალურ გარემოში პაციენტებთან ურთიერთობისას კულტურულად შესაბამისი ენა გამოიყენონ (მათ შორის ტერმინები, რომლებიც ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს აღწერენ).

სხვადასხვა გლობალურ გარემოში ტგმ პირების აღსაწერად კულტურულად შესაბამისი ენა გამოიყენება. მაგალითად, სქესის, გენდერისა და გენდერული მრავალფეროვნების ცნებები, ისევე როგორც მათი აღწერისთვის გამოყენებული ენა სხვადასხვა კონტექსტში ერთმანეთისგან განსხვავდება. ამრიგად, ტერმინოლოგია, რომელიც ტაილანდში ტგმ პირებზე ზრუნვისას გამოიყენება, არ იქნება იგივე, რაც გამოიყენება ნიგერიაში. ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს (HCPs), მზრუნველობის სტანდარტების გლობალურად მიწოდებისას, გამოიყენონ ადგილობრივი ენა და ტერმინები, რათა განსხვავებულ კულტურულ და/ან გეოგრაფიულ გარემოში მაღალი ხარისხის სერვისი უზრუნველყონ.

გენდერის დადასტურება ტგმ პირების გენდერული იდენტობის აღიარების ან/და დადასტურების პროცესს გულისხმობს – იქნება ეს სოციალურად, სამედიცინო თვალსაზრისით, კანონიერად, ქცევის თვალსაზრისით თუ მათი კომბინაციით (Reisner, Poteat et al., 2016). გენდერული ან ტრანსკომპეტენტური ჯანდაცვა ტგმ პირებზე ზრუნვისას კულტურულად სპეციფიკურ ენას იყენებს. გენდერის დადასტურებაზე ზრუნვა ტრანზიციული მკურნალობის სინონიმი არ არის. მხოლოდ ტრანზიციული მზრუნველობა, როგორცაა გენდერის სამედიცინო დადასტურება ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის საშუალებით, არც გენდერის დადასტურებაზე ზრუნვას და არც განეული მომსახურების ხარისხსა და უსაფრთხოებას არ უზრუნველყოფს.

ტგმ პირებთან კონსულტაციამ და მათთან პარტნიორობამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს იმ ენის შესაბამისობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფას, რომელიც ადგილობრივ ჯანდაცვაში, კონკრეტულ კონტექსტსა და გარემოში გამოიყენება.

დეკლარაცია 1.2

ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისას გამოიყენონ ენა, რომელიც უსაფრთხოების, ღირსებისა და პატივისცემის პრინციპებს იცავს.

უსაფრთხოება, ღირსება და პატივისცემა არის ადამიანის ბაზისური უფლებები (იურისტთა საერთაშორისო კომისია, 2007). ჩვენ ვურჩევთ სამედიცინო სფეროში მომუშავე პროფესიონალებს, ტგმ პირებთან ურთიერთობის დროს გამოიყენონ ისეთი ენა და ტერმინოლოგია, რომელიც ადამიანის ამ უფლებებს არ უგულვებელყოფს. ბევრი ტგმ პირი განიცდის სტიგმას, დისკრიმინაციას და არასათანადო მოპყრობას ჯანდაცვის სფეროში, რაც არაოპტიმალური მეთვალყურეობისა და ჯანმრთელობის მხრივ არასასურველ შედეგებს იწვევს (Reisner, Poteat et al., 2016; Safer et al., 2016; Winter Settle et al., 2016). ეს გამოცდილება მოიცავს გენდერის არასწორ განსაზღვრას, ავადმყოფობის, ან დაზიანების დროს სამედიცინო მზრუნველობისა და სერვისების მიწოდებაზე უარის თქმას და ასეთი პირების სათანადო მკურნალობისთვის ჯანდაცვის სპეციალისტების (HCPs) არასაკმარის კვალიფიკაციას (James et al., 2016). შესაბამისად, ბევრი ტგმ პირი სამედიცინო სერვისების მიღებისას თავს დაცულად ვერ გრძნობს. მათ შესაძლოა სამკურნალო დაწესებულებას არ მიმართონ და ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად სხვა გზებს მიმართონ, როგორცაა სამედიცინო რეცეპტისა და მონიტორინგის გარეშე ჰორმონების მიღება, ან არაკომპეტენტური პირის სამედიცინო რჩევებზე დაყრდნობა. გარდა ამისა, ადრინდელი უარყოფითი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია, ტგმ პირებმა შემდგომ სამედიცინო მზრუნველობას თავი აარიდონ.

ბევრ ტგმ პირს გამოცდილი აქვს ჯანდაცვის სპეციალისტების მხრიდან უსამართლო მოპყრობა, ღირსების შელახვა და უპატივცემულობა, რაც ხშირად მათსა და ჯანდაცვის სისტემას შორის ნდობის ბარიერი ხდება. მსოფლიოს მასშტაბით ტგმ პირების ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და უფლებების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია მათთან ურთიერთობის

დროს უსაფრთხოების, ღირსებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ენის გამოყენება. ენა არის გენდერის დამადასტურებელი ზრუნვის მნიშვნელოვანი კომპონენტი, მაგრამ მხოლოდ ენა არ წყვეტს ან არ ამცირებს ტგმ პირების მიმართ სისტემატიურ ძალადობას და ჩაგვრას მსოფლიოს მასშტაბით. ენა მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ტგმ პირებისთვის პაციენტზე/კლიენტზე ორიენტირებული და სამართლიანი ჯანდაცვის მიწოდებისკენ. სხვა კონკრეტული ქმედებები, რომელთა განხორციელება სამედიცინო პერსონალს შეუძლია, ინფორმირებული თანხმობის მიღებას და პიროვნების საჭიროებების მათი სქესის, ან ტგმ სტატუსის მიხედვით განსაზღვრისგან თავის შეკავებას მოიცავს.

დეკლარაცია 1.3

ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან ერთად განიხილონ, თუ რა ლექსიკას, ან ტერმინოლოგიას ანიჭებენ ისინი უპირატესობას.

ტგმ პირებისთვის ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს განიხილონ პაციენტებთან, თუ რომელი ენის ან ტერმინოლოგიის გამოყენება ურჩევნიან მიმართვისას. ეს დისკუსია მოიცავს ტგმ ადამიანებისთვის კითხვის დასმას, თუ როგორ უნდა მიმართონ მათ სახელით და ნაცვალსახელებით, როგორ ახდენენ საკუთარი გენდერის თვით-იდენტიფიკაციას და შეთანხმებას იმ ტერმინოლოგიის შესახებ, რომელიც მათი სხეულის ნაწილების აღსაწერად უნდა იყოს გამოყენებული. სწორი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენება ტგმ-ის დამადასტურებელი ზრუნვის ძირითადი კომპონენტი (Lightfoot et al., 2021; Vermeir et al., 2018). გარდა ამისა, ამ დისკუსიებმა და კომუნიკაციებმა შესაძლოა ურთიერთობის დამყარება გააადვილოს და შეამციროს უნდობლობა, რომელსაც ბევრი ტგმ ადამიანი ჯანდაცვის სპეციალისტების და ჯანდაცვის სისტემების მიმართ გრძნობს. ენისა და ტერმინოლოგიის შესახებ დისკუსიებმა და მათმა გამოყენებამ ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს ზრუნვაში ისეთ სამედიცინო აქტივო-

ბების ჩართულობას და მათ ხანგრძლივად წარმოებას, რომელიც კონკრეტულად ტგმ-სთან დაკავშირებული არ არის, მაგალითად, რუტინული პრევენციული სკრინინგების ჩატარება და გამოვლენილ ნიშნებზე შემდგომი სამედიცინო დაკვირვება. ჯანმრთელობის ელექტრონულ ჩანაწერებში ორგანოთა/ანატომიური ტერმინები შესაძლებელია, შესაბამისი კლინიკური ზრუნვისთვის სტანდარტულად იქნას გამოყენებული, და არა მხოლოდ დაბადებისას მინიჭებულ სქესის და/ან გენდერული იდენტიტობის სახელდებისას.

ამ საკითხებზე საუბრის ხელშეწყობის მიზნით, ჯანდაცვის სპეციალისტებსა და სამკურნალო დაწესებულებებს შეუძლიათ, დაწერონ სტანდარტიზებული პროცედურები, როგორცაა: პაციენტების მიღების ფორმების გამოყენება, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება არჩეული ნაცვალსახელისა და სახელის ჩანერა, პერსონალისთვის იმის მონოდება, რომ გაცნობის დროს გამოიყენონ ნაცვალსახელები (გენდერის მიუხედავად, მაგ.: სისგენდერი, ტგმ), ეს ნაცვალსახელები სამედიცინო დოკუმენტებ-

შიც ჩანერონ და არ გამოიყენონ სქესის ინდიკატორები (მაგ.: Ms., Mr.). შესაძლოა, სამედიცინო დაწესებულებებისთვის და ჯანდაცვის პირობებისთვის დაინერგოს პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტების სწორი წარმოება და ტგმ პირის პირადი ცხოვრების და კონფიდენციალურობის უფლება, მათ შორის, როდესაც ისინი ამჟღავნებენ, რომ ტგმ პირები არიან. მაგალითად, კლინიკის პოლიტიკა შეიძლება იყოს ინფორმაციის ჩანერა, როგორც პირადი და კონფიდენციალური ინფორმაცია სამედიცინო პერსონალსა და პაციენტებს/კლიენტებს შორის, და ის უნდა იყოს გამჟღავნებული მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, „ცოდნის აუცილებლობის“ საფუძველზე.

შენიშვნა

1. A/73/152, A/73/152, დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტიტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ.

თავი 2. გლობალური გამოყენება

ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სქესის და გენდერის კულტურულ საზღვრებს, მსოფლიოს კულტურებში უძველესი დროიდან არსებობდნენ, რაც ზოგჯერ ასახულია ადგილობრივ ენის ტერმინებში (Feinberg, 1996). გენდერული მრავალფეროვნების დაავადებად მიჩნევისა და პათოლოგიზების ნაცვლად, ზოგიერთი კულტურა ამ მრავალფეროვნებას ტრადიციულად აღიარებს და მიესალმება (მაგ. Nanda, 2014; Peletz, 2009). დღეს ინგლისურენოვანი ქოლგა ტერმინი ტრანსგენდერი და გენდერული მრავალფეროვნება (ტგმ) გენდერული იდენტობებისა და გამოხატვის უზარმაზარ მრავალფეროვნებას და, შესაბამისად, ჯანდაცვის სხვადასხვა გამოცდილებისა და საჭიროებების მქონე მოსახლეობას აღწერს. ერთად, ტგმ ადამიანები ადამიანთა მრავალფეროვნების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენენ, რაც, ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიოს პროფესიული ასოციაციის (WPATH) აზრით, დაფასებული და აღიარებული უნდა იყოს. ტგმ პირები განაგრძობენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას იმ საზოგადოებებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, თუმცა ხშირად ეს აღიარებული არ არის.

შემაფოთებელია, რომ ბევრი ტგმ პირი თანამედროვე მსოფლიოში სტიგმას, წინარწმენას, დისკრიმინაციას, შევიწროებას, ჩაგვრასა და ძალადობას განიცდის, რაც მათ სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ მარგინალიზაციას, სავალალო ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სიკვდილსაც კი იწვევს – ეს პროცესი ხასიათდება როგორც სტიგმა-ავადობის დაღმართი (Winter, Diamond et al., 2016). მსგავსი გამოცდილება (და ასეთი გამოცდილების მოლოდინი ან შიში) იწვევს იმას, რასაც მეიერმა უმცირესობის სტრესი უწოდა (Meyer, 2003. იხილეთ ასევე Bockting et al., 2013. რომელიც კონკრეტულად ტგმ პირების შესახებ წერს) და ეს ჯანმრთელობის არასასურველ ფიზიკურ (მაგ. Rich et al. 2020) და ფსიქოლოგიურ (მაგ., Bränström et al., 2022; Scandurra et al., 2017; Shipherd et al., 2019; Tan et al., 2021) შედეგებთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებული პრობლემაა ტგმ ადამიანების მიმართ ძალადობა. გლობალური პერსპექტივიდან ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული, ბუნებით მრავალფეროვანია (ემოციური, სექსუალური და ფიზიკური, მაგ. იხ. Mujugira et al., 2021) და მოიცავს მოძალადეების მრავალ ტიპს (მათ შორის სახელმწიფო მოხელეებს). მკვლელობა ძალადობის ყველაზე უკიდურესი ფორმაა და მკვლელობათა სტატისტიკა საგანგაშოა: მთელ მსოფლიოში 2008 წლის იანვრიდან 2021 წლის სექტემბრამდე 4000-ზე მეტი დასაბუთებული მკვლელობა დაფიქსირდა; ეს სტატისტიკა არასრულად მიიჩნევა, რადგან ბევრი შემთხვევა აღრიცხული არ არის (TGEU, 2020).

ზრუნვის სტანდარტების მე-7 ვერსიის (SOC-7) გამოქვეყნების შემდეგ, ტგმ პირებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის ხედვებში დრამატული ცვლილებები მოხდა. წამყვანი გლობალური მედიცინა ტგმ-ის იდენტობებს ფსიქიკურ აშლილობად აღარ მიიჩნევს. ამერიკული ფსიქიატრიული ასოციაციის (APA, 2013) დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მე-5 ვერსიაში (DSM-5), გენდერული დისფორიის დიაგნოზი ფოკუსირებულია ნებისმიერ დისტრესსა და დისკომფორტზე, რომელიც თან ახლავს ტგმ-ს, და არა თავად გენდერულ იდენტობაზე. 2022 წელს გამოქვეყნდა ტექსტის რევიზია (DSM-5-TR). დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 ვერსიაში (ICD-11), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დიაგნოსტიკურ სახელმძღვანელოში (WHO, 2019b), გენდერული არაკონფორმულობის დიაგნოზი სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ თავშია შეყვანილი და ფოკუსირებულია პიროვნების მიერ აღქმულ იდენტობაზე და გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის ნებისმიერ საჭიროებაზე, რომელიც ამ იდენტობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. ასეთი განვითარება, რომელიც მოიცავს ტრანსგენდერული იდენტობების დეპათოლოგიზაციას (უფრო ზუსტად დეფსიქოპათოლოგიზაციას), ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მრავალი მიზეზის გამო. ჯანდაცვის სფეროში, მათ შესაძლოა ხელი შეუწყონ მზრუნველობის ისეთი მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც ხაზს უსვამს პაციენტების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას საკუთარი ჯანმრთელობის

შესახებ გადანყვეტილების მიღებაში, რომელიც პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების დახმარებით მიიღება (Baleige et al., 2021). გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ამ მოვლენებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს უფრო სოციალურად ინკლუზიურ პოლიტიკას, როგორცაა საკანონმდებლო რეფორმა გენდერის აღიარებასთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას დიაგნოზის ჰორმონოთერაპიის და/ან ქირურგიის მოთხოვნების დანესების გარეშე. ტგმ პირები, რომლებმაც ძირითად დოკუმენტებზე სქესის მარკერები შეცვალეს, ფსიქიკურად უფრო ჯანმრთელები არიან (მაგ. Bauer et al., 2015; Scheim et al., 2020). ამ სფეროში უფლებებზე დაფუძნებულმა მიდგომამ შესაძლოა, ტგმ პირების საერთო ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაში დიდი როლი ითამაშოს (Arí stegui et al., 2017).

ზრუნვის სტანდარტების წინა გამოცემებმა აჩვენა, რომ ამ სფეროში აღრიცხული კლინიკური გამოცდილებისა და ცოდნის დიდი ნაწილი ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის წყაროებიდან არის მიღებული. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ გენდერის დამტკიცებაზე ორიენტირებულ ჯანდაცვაზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, რომლებიც ჯანდაცვის სისტემების (მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დატრენინგებული პროვაიდერებით, ენდოკრინოლოგებით, ქირურგებით და სხვა სპეციალისტებით) შედარებით უკეთესი რესურსებით სარგებლობენ და სადაც მომსახურება ხშირად საჯაროდ (ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი პაციენტთან), ან კერძო დაზღვევით ფინანსდება.

ტგმ პირების ჯანდაცვის უზრუნველყოფა მრავალ ქვეყანაში მხოლოდ მისწრაფების დონეზეა; რესურსები ამ სფეროში შეზღუდულია ან არ არსებობს, და სერვისები ხშირად მიუწვდომელი, შეუსაბამო და ძნელად მოპოვებადია. შესაძლოა, სახეზე იყოს კვალიფიციური ჯანდაცვის სპეციალისტების (პირველადი ან სპეციალისტი) დეფიციტი. შესაძლოა, გენდერული კუთხით ჯანდაცვის დაფინანსება არ არსებობდეს და პაციენტები თავიანთი მომსახურების სრულ ხარჯებს იღებდნენ. ჯანდაცვის პროვაიდერებს კლინიკური და/ან კულტურული კომპეტენცია ამ სფეროში ხშირად

არ აქვთ. შესაძლოა, ამ პაციენტებთან მუშაობისთვის ტრენინგი შეზღუდული იყოს (მაგ.: Martinsetal., 2020). ყველა ამ მიზეზის გამო და ტგმ პირების მიმართ „დასავლური“ მედიცინის ძირითადი ისტორიული შეხედულების გამო, რომელიც მას როგორც ფსიქიკურ აშლილობად განიხილავდა (მოსაზრება, რომელიც სულ ახლახან შეიცვალა), ტგმ პირები ჯანდაცვის სერვისების მიღების მხრივ უუფლებოები აღმოჩნდნენ.

ჯანდაცვის პროვაიდერების მიერ მოპოვებული ინფორმაცია უმეტესწილად ჩრდილოეთ ამერიკული და დასავლეთ ევროპული წარმოშობისაა, რაც არასაკმარისი რესურსების მქონე ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე პირებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ბოლოდროინდელი ინიციატივები, რომლებიც მოიცავს ტგმ პირების როგორც დაინტერესებულ მხარეებს, ამ სიტუაციას ცვლიან გარკვეულწილად სხვა რეგიონებში საუკეთესო პრაქტიკების შესახებ ცოდნის უზრუნველყოფით, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფთ ეფექტური, კულტურულად კომპეტენტური ტგმ ჯანდაცვა გლობალურ ჩრდილოეთს მიღმა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში.

უკანასკნელ წლებში ამ სფეროში დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი რესურსი შეიქმნა. დალენმა და კოლეგებმა (2021) კლინიკური პრაქტიკის თორმეტი საერთაშორისო გაიდლაინი მიმოიხილეს; მიმოხილული გაიდლაინების უმრავლესობა ჩრდილოეთ ამერიკის (მაგ. Hembree et al., 2017), ან ევროპის (მაგ. T'Sjoen et al., 2020) პროფესიული ორგანიზაციებიდანაა. სამი მათგანი WHO-დან არის (ყველაზე ახალია WHO, 2016). დღესდღეობით, არსებობს მრავალი სხვა რესურსი, რომელიც არ არის დალენისა და სხვების სიაში შეტანილი და რომელიც მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის მიღმა რეგიონების გამოცდილებას ეყრდნობა. მაგალითად, აზიის და წყნარი ოკეანის (APTAN, 2022; Health Policy Project et al., 2015), კარიბის ზღვის ქვეყნების (PAHO, 2014), ტაილანდის, ავსტრალიის (Telfer et al., 2020), ახალი ზელანდიის (Oliphant et al., 2018) და სამხრეთ აფრიკის (Tomson et al.,

2021) (იხ. ასევე TRANSIT (UNDP et al., 2016). ეს რესურსები, როგორც წესი, იქმნება ტგმ თემების ინიციატივით ან პარტნიორობით ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე. ამ პარტნიორულ მიდგომას, რომელიც კულტურულად უსაფრთხო და კომპეტენტური მეთოდებით ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას გულისხმობს, შესაძლოა, უფრო ფართო და საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდეს. ამ პუბლიკაციებიდან ზოგიერთი შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობის იყოს მათთვის, ვინც დაბალი შემოსავლისა და მწირი რესურსების ქვეყანაში სერვისების ორგანიზებაში, დაგეგმვასა და მიწოდებაში მონაწილეობს. ეს შესაძლოა, მოიცავდეს რესურსების გამოქვეყნებას ინგლისურის გარდა სხვა ენაზე, რომელიც ჩვენთვის უცნობია.

გლობალურად ტგმ იდენტობები შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სქესის, გენდერისა და სექსუალობის სხვადასხვა კონცეპტუალურ ჩარჩოებთან და არსებობდეს სხვადასხვა კულტურულ (და ზოგჯერ სულიერ) კონტექსტსა და დროში. სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს შორის, კანონმდებლობასა და გენდერის დამადასტურებელი ჯანდაცვის მოთხოვნისა და დებულებების კომპლექსური ურთიერთობის გათვალისწინებით, ზრუნვის სტანდარტები-მ უნდა იქნას ინტერპრეტირებული თითოეული ჯანდაცვის სპეციალისტის ინდივიდუალური პრაქტიკის პერსპექტივიდან და ამავდროულად შესაბამისი იყოს იმ ძირითადი პრინციპებისა, რომელსაც ზრუნვის სტანდარტები-მ წამოსწევს წინ (APTN and UNDP, 2012; Health Policy Project et al., 2015; PAHO, 2014).

სწორედ ამ კონტექსტში და ტგმ პირებისა და ჯანდაცვის პროვაიდერების ფართო გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ თავში ზრუნვის სტანდარტები-მ-ის გლობალურ გამოყენებას განვიხილავთ. ჩვენ ჩამოვთვალეთ ძირითადი მოსაზრებები ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის და რეკომენდაციების საშუალებით მათთვის ძირითადი პრინციპები და პრაქტიკა შევადგინეთ, რომელიც ფუნდამენტურია თანამედროვე ტგმ ჯანდაცვისთვის მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი, ან რა რესურსებია მათთვის ხელმისაწვდომი.

დეკლარაცია 2.1

ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სისტემებს უზრუნველყონ სამედიცინო კუთხით საჭირო გენდერის დადასტურების მზრუნველობა ტრანს-გენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის.

სამედიცინო აუცილებლობა საერთო ტერმინია ჯანდაცვის სერვისებისა და სადაზღვევო პოლისებისთვის მსოფლიო მასშტაბით. სამედიცინო აუცილებლობის საერთო განმარტება, რომელსაც იყენებენ მზღვეველები ან სადაზღვევო კომპანიები, არის „ჯანდაცვის მომსახურება“, რომელსაც გონივრული კლინიკური მსჯელობის საფუძველზე, პრევენციის, შეფასების, დიაგნოსტიკის ან მკურნალობის მიზნით, ექიმი და/ან ჯანდაცვის პროფესიონალი პაციენტს გაუწევს ავადმყოფობის, დაზიანების, დაავადების ან სიმპტომების შემთხვევაში და რომელიც შემდეგ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს: (a) სამედიცინო პრაქტიკის ზოგადად მიღებულ სტანდარტს შეესაბამება; (b) ტიპის, სიხშირის, მასშტაბისა, ადგილის, ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობაზე ხანგრძლივი გავლენის მიხედვით პაციენტის დაზიანებას, ან დაავადებას შეესაბამება; (c) უმთავრესად მორგებულია არა პაციენტის, ექიმის ან სხვა ჯანდაცვის მიმწოდებლის კომფორტზე და არ არის უფრო ძვირი, ვიდრე ალტერნატიული სერვისი ან სერვისების ჯაჭვი, რომელიც ისეთივე თერაპიულ ან დიაგნოსტიკურ შედეგებს მოიტანს. მკურნალი ჯანდაცვის სპეციალისტი ასაბუთებს და ამტკიცებს, რომ შემოთავაზებული მკურნალობა სამედიცინო თვალსაზრისით პაციენტის მდგომარეობის სამკურნალოდ აუცილებელია (ამერიკის სამედიცინო ასოციაცია, 2016).

ზოგადად, „სამედიცინო პრაქტიკის მიღებული სტანდარტები“ ნიშნავს სტანდარტებს, რომლებიც დაფუძნებულია სარწმუნო სამედიცინო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ კოლეგების მიერ შეფასებულ სამეცნიერო მტკიცებულებებზე, რომელიც ზოგადად აღიარებულია შესაბამისი სამედიცინო საზოგადოების, სამედიცინო სპეციალობის საზოგადოებების და/ან სამედიცინო კოლეჯების ლეგიტიმური რეკომენდაციების და ექიმების და/ან შესაბამის კლინიკურ სფეროებში სამედიცინო პერსონალის მოსაზრებებით.

დაკლავი და რეკომენდაციები

2.1 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სისტემებს, უზრუნველყონ სამედიცინო კუთხით საჭირო გენდერის დამადასტურებელი ზრუნვა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის.

2.2 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს და ზრუნვის სტანდარტების სხვა მომხმარებლებს, გამოიყენონ მე-8 (SOC-8) ვერსიის რეკომენდაციები ისე, რომ ადგილობრივი ტრანსგენდერი და გენდერული მრავალფეროვანი თემების საჭიროებები დააკმაყოფილონ, უზრუნველყონ ზრუნვა კულტურის გათვალისწინებით, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მუშაობენ

2.3 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროვაიდერებს, გააცნობიერონ სოციალური დამოკიდებულებების, კანონების, ეკონომიკური გარემოებების და ჯანდაცვის სისტემების გავლენა ტრანსგენდერი და გენდერული მრავალფეროვანი ადამიანების გამოცდილებაზე მთელ მსოფლიოში.

2.4 გავცემთ რეკომენდაციას, რომ ზრუნვის სტანდარტების თარგმანები ფოკუსირებული იყოს კულტურულ, კონცეპტუალურ და ლიტერატურულ ეკვივალენტობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ზრუნვის სტანდარტები-მ-ის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა.

2.5 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს და პოლიტიკის შემქმნელებს ყოველთვის გაითვალისწინონ ზრუნვის სტანდარტები-მ ძირითადი პრინციპები ტრანსგენდერებთან და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან მუშაობისას, რათა უზრუნველყონ ადამიანის უფლებების პატივისცემა და შესაბამისი და კომპეტენტური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, მათ შორის,

ზოგადი პრინციპები:

- იყავით მხარდამჭერი/გამაძლიერებელი და ინკლუზიური. იმუშავეთ სტიგმის შესამცირებლად და უზრუნველყავით სათანადო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ვინც მას ეძებს;
- პატივი ეცით მრავალფეროვნებას. პატივი ეცით ყველა კლიენტს და ყველა გენდერულ იდენტობას. არ მოახდინოთ გენდერული იდენტობისა და გამოხატვის პათოლოგიზაცია;
- პატივი ეცით ადამიანის საყოველთაო უფლებებს, მათ შორის სხეულებრივი და ფსიქიკური მთლიანობის უფლებას, ავტონომიასა და თვითგამორკვევას; დისკრიმინაციისგან თავისუფლებისა და ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის მიღების უფლებას.

შესაბამისი სერვისებისა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის განვითარებისა და დანერგვის პრინციპები:

- ჩართეთ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები სერვისების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- გაეცანით სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების ჯანმრთელობაზე (და ჯანდაცვის საჭიროებებზე), ისევე როგორც პიროვნების სურვილსა და სერვისების წვდომის შესაძლებლობებზე გავლენა იქონიოს;
- უზრუნველყავით ჯანდაცვა (ან მიმართე მცოდნე კოლეგებს), რომელიც გენდერული იდენტობისა და გამოხატვის დადასტურებას ემსახურება, მათ შორის ზრუნვა, რომელიც გენდერულ დისფორიასთან დაკავშირებულ დისტრესს (თუ ეს არსებობს) ამცირებს;
- უარი თქვით კონვერსიულ მიდგომებზე და თავიდან აიცილეთ ამგვარი მიდგომებისა და სერვისების რაიმე სახის პირდაპირი ან ირიბი რეკლამირება.

კომპეტენტური სერვისების მიწოდების პრინციპები:

- გაეცანით (გაიარეთ ტრენინგი, სადაც ეს შესაძლებელია) ტრანსგენდერი და გენდერულად განსხვავებული ადამიანების ჯანდაცვის საჭიროებებს, მათ შორის გენდერის დამადასტურებელი ზრუნვის სარგებელსა და რისკებს;
- შეუსაბამეთ მკურნალობის მიდგომა კლიენტების სპეციფიკურ საჭიროებებს, განსაკუთრებით მათ მიზნებს გენდერული იდენტობასა და გამოხატვასთან დაკავშირებით;
- ფოკუსირდით ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაზე და არა მხოლოდ გენდერული დისფორიის შემცირებაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს;
- საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ზიანის შემცირების მიდგომებს;
- უზრუნველყავით ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების სრული და მუდმივი ინფორმირებული მონაწილეობა გადაწყვეტილებებში მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ;
- გააუმჯობესეთ ჯანდაცვის სერვისები, მათ შორის ადმინისტრაციულ სისტემებთან და ზრუნვის უწყვეტობასთან დაკავშირებული სერვისები.

ფართო საზოგადოებრივი მიდგომებით ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე მუშაობის პრინციპები:

- დააკავშირეთ ადამიანები თემებთან და თანასწორთა მხარდაჭერის ქსელებთან;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყავით კლიენტების მხარდაჭერა და ადვოკატირება მათ ოჯახებსა და საზოგადოებებში (სკოლები, სამუშაო ადგილები და სხვა გარემო).

მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში სამედიცინო აუცილებლობა გადახდის, სუბსიდირების და/ან ჯანმრთელობის დაცვის ანაზღაურების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მკურნალ ჯანდაცვის სპეციალისტს შეუძლია დაადასტუროს, რომ არსებული მდგომარეობის პროფილაქტიკისთვის ან მკურნალობისთვის მოცემული მკურნალობა სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელია. თუ ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა მკურნალობის სამედიცინო აუცილებლობას ეჭვქვეშ აყენებს, შეგიძლიათ დამოუკიდებელი სამედიცინო განხილვისთვის სამთავრობო ან სხვა უწყებას მიმართოთ.

უნდა ვაღიაროთ, რომ გენდერული მრავალფეროვნება საერთოა ყველა ადამიანისთვის და ის პათოლოგიას არ წარმოადგენს. თუმცა, გენდერის შეუთავსებლობა, რომელიც იწვევს კლინიკურად მნიშვნელოვან დისტრესს და ზიანს, ხშირად კლინიკურ ჩარევებს საჭიროებს. ბევრ ქვეყანაში სამედიცინო სქესის დამადასტურებელი სამედიცინო დახმარება დოკუმენტირებულია მკურნალი ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ, როგორც მკურნალობა გენდერის შეუთავსებლობისთვის HA60 ICD-11-ში; WHO, 2019b) და/ან როგორც მკურნალობა გენდერული დისფორიისთვის (F64.0 DSM-ში. 5-TR; APA, 2022).

არსებობს ძლიერი მტკიცებულება, რომელიც ტგმ პირებში გენდერის დამადასტურებელი სათანადოდ შესრულებული მკურნალობის, მათ შორის ენდოკრინული და ქირურგიული პროცედურების, ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობაზე დადებით გავლენას ადასტურებს, როგორც ეს ასახულია მზრუნველობის სტანდარტებში (ვერსია 8) (მაგ. Ainsworth & Spiegel, 2010; Aires et al., 2020; Aldridge et al., 2020; Almazan & Keuroghlian, 2021; Al-Tamimi et al., 2019; Balakrishnan et al., 2020; Baker et al., 2021; Buncamper et al., 2016; Cardoso da Silva et al., 2016; Eftekhari Ardebili, 2020; Javier et al., 2022; Lindqvist et al., 2017; Mullins et al., 2021; Nobili et al., 2018; Owen-Smith et al., 2018; Özkan et al., 2018; T'Sjoen et al., 2019; van de Griff, Elaut et al., 2018; White Hughto & Reisner, Poteat et al., 2016; Wierckx, van Caenegem et al., 2014; Yang, Zhao et al., 2016). გენდერის

დადასტურების ინტერვენციები ასევე შეიძლება მოიცავდეს თმის მოცილების/გადაწმენვის პროცედურებს, ხმის თერაპიას/ოპერაციას, კონსულტაციას და სხვა სამედიცინო პროცედურებს, რომლებიც საჭიროა ინდივიდის გენდერული იდენტობის ეფექტურად დასადასტურებლად და გენდერული შეუთავსებლობისა და დისფორიის შესამცირებლად. გარდა ამისა, სამართლებრივი სახელი და სქესი ან გენდერის შეცვლა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე ასევე შეიძლება მომგებიანი იყოს და ზოგიერთ იურისდიქციაში დამოკიდებულია სამედიცინო დოკუმენტაციაზე, რომლისთვისაც პაციენტებმა შეიძლება პრაქტიკოს ექიმებს მიმართონ, რათა შესაბამის დანებსებულებებში წარმოადგინონ. გენდერის დამადასტურებელი ინტერვენციები ეფუძნება ათწლეულების კლინიკურ გამოცდილებას და კვლევებს; ამიტომ, ისინი არ განიხილება ექსპერიმენტულად, კოსმეტიკურად ან მხოლოდ პაციენტისთვის მოსახერხებლად. ეს ჩარევები უსაფრთხო და ეფექტურია გენდერული შეუთავსებლობისა და გენდერული დისფორიის შესამცირებლად (e.g., Aires et al., 2020; Aldridge et al., 2020; Al-Tamimi et al., 2019; Balakrishnan et al., 2020; Baker et al., 2021; Bertrand et al., 2017; Buncamper et al., 2016; Claes et al., 2018; Eftekhari Ardebili, 2020; Esmonde et al., 2019; Javier et al., 2022; Lindqvist et al., 2017; Lo Russo et al., 2017; Marinkovic & Newfield, 2017; Mullins et al., 2021; Nobili et al., 2018; Olson-Kennedy, Rosenthal et al., 2018; Özkan et al., 2018; Poudrier et al., 2019; T'Sjoen et al., 2019; van de Griff, Elaut et al., 2018; White Hughto & Reisner, Poteat et al., 2016; Wierckx, van Caenegem et al., 2014; Wolter et al., 2015; Wolter et al., 2018).

შესაბამისად, WPATH მოუწოდებს ჯანდაცვის სისტემებს, უზრუნველყონ საჭირო მკურნალობა და აღმოფხვრან ნებისმიერი გამონაკლისი მათი პოლიტიკის დოკუმენტებიდან და სამედიცინო გაიდლაინებიდან, რომლებიც ტგმ პირების აუცილებელი პროცედურების ან მკურნალობის დაფარვას გამორიცხავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტგმ ადამიანებისთვის ჯანდაცვის სერვისები შეიქმნას, გაფართოვდეს ან გაძლი-

ერდეს (როგორც მიზანშეწონილია), ისევე როგორც ნებისმიერი საყოველთაო ჯანდაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მთავრობის მიერ სუბსიდირებული სისტემების ან მთავრობის მიერ რეგულირებული კერძო სისტემების არსებული ელემენტები. ჯანდაცვის სისტემებმა უნდა უზრუნველყონ როგორც რუტინული, ისე სპეციალიზებული ჯანდაცვის მუდმივი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის თანასწორ საფუძველზე.

ზრუნვის სტანდარტები-8-ში განხილულია სამედიცინოდ აუცილებელი ინტერვენციები გენდერის დადასტურებისთვის. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ჰისტორიულით +/- ორმხრივი სალპინგო-ოოფორექტომით; ორმხრივი მასტექტომიით, გულმკერდის რეკონსტრუქციით ან მაფემინიზებული მამოპლასტიკით, ძუძუს თავის ზომის შეცვლით ან მკერდის პროთეზების განთავსებით; სასქესო ორგანოების რეკონსტრუქციით (მაგალითად, ფალოპლასტიკა და მეტოიდოპლასტიკა, სკროტოპლასტიკა და პენისის და სათესლე ჯირკვლის პროთეზები, პენექტომია, ორქიექტომია, ვაგინოპლასტიკა და ვულვოპლასტიკა); თმის მოცილებით სახის, სხეულისა და სასქესო ორგანოებიდან გენდერის დასადასტურებლად ან წინასაოპერაციო მომზადების პროცესის ფარგლებში; გენდერის დამადასტურებელი სახის ქირურგიით და სხეულის კონტურირებით; ხმის თერაპია და/ან ქირურგიით; ასევე სქესობრივი მომნიშვნის დამბლოკავი მედიკამენტებით და გენდერის დამადასტურებელი ჰორმონებით; კონსულტაციით ან ფსიქოთერაპიული მკურნალობით. ეს დამოკიდებულია პაციენტისთვის შესაფერისი ინდივიდუალური გარემოებებისა და საჭიროებების განხილვაზე.

დასკვნა 2.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს და ზრუნვის სტანდარტების სხვა მომხმარებლებს, გამოიყენონ მე-8 (SOC-8) ვერსიის რეკომენდაციები ისე, რომ ადგილობრივი ტრანსგენდერი და გენდერული მრავალფეროვანი თემის საჭიროებები დააკმაყოფილონ, უზრუნველყონ კულტურულად

სენსიტიური ზრუნვა იმ ქვეყნის რეალობების გათვალისწინებით, რომელშიც ისინი მუშაობენ.

ტგმ ადამიანები მსოფლიოში სხვადასხვანაირად იდენტიფიცირდებიან და ეს იდენტობები კულტურულ კონტექსტებში არსებობენ. ინგლისურენოვან ქვეყნებში ტგმ ადამიანები იდენტიფიცირდებიან როგორც ტრანსსექსუალები, ტრანსები, გენდერულად არაკონფორმულები, გენდერ-ქვიარები ან გენდერულად მრავალფეროვანები, არაბინარული, ან ნამდვილი ტრანსგენდერი და/ან გენდერულად მრავალფეროვანები და ა.შ. ისევე როგორც მდედრობითი და მამრობითი (ბევრისთვის, ვინც თავს ბინარულად აიდენტიფიცირებს (მაგ. James et al., 2016; Strauss et al., 2017; Veale et al., 2019)).

სხვაგან, იდენტობები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: „ტრანსესტი“ (ლათინური ამერიკის დიდ ნაწილში), „ჰიჯრა“ (სამხრეთ აზიის დიდ ნაწილში), „ხვაჯა სირა“ (პაკისტანში), „აჩუტი“ (მიანმარში), „მაკნიაჰი“, „პაკნიაჰი“ (მალაიზიაში), „ვარია“ (ინდონეზია) „კატო“, „ფინგ ხამ ფეტი“, „საო პრაფეტ სონგი“, (ტაილანდი), „ბაკლა“, „ტრანსპინაი“, „ტრანსპინოი“ (ფილიპინები), ფა-აფაფინი (სამოა), „მაჰუ“ (საფრანგეთის პოლინეზია, ჰავაი), „ლეიტი“ (ტონგა), „ფაკაფიფინი“ (ნიუე), „პინაპინინი“ (ტუვალუ და კირიბატი), „ვაკასალევალევა“ (ფიჯი), „პალოპა“ (პაპუა-ახალი გვინეა), „ძმა-ბიჭები“ და „და-ქალები“ (აბორიგენები და ტორესის სრუტის კუნძულები ავსტრალიაში) და „აკავანინი“ (კუკის კუნძულები) (მაგ. APTN და UNDP, 2012; პროექტი ჯანმრთელობის პოლიტიკა და სხვ., 2015; კერი, 2014).

ჩრდილოეთ ამერიკაში ასევე არსებობს ორი სულის მქონე იდენტობების დიდი რაოდენობა (მაგ. „ნადლეჰი“ ნავახოს (დინე) კულტურაში) (Sheppard & Mayo, 2013). იდენტობები, რომლებსაც თითოეული ეს ტერმინი ეხება, ხშირად კულტურულად რთულად აღსაქმელია და შეიძლება გარკვეულ სპირიტუალურ ან რელიგიურ კონტექსტში არსებობდეს. კულტურებიდან და იდენტობებიდან გამომდინარე, ზოგიერთი შეიძლება ჩაითვალოს ეგრეთ წოდებულ „მესამე გენდერად“, რომელიც გენდერულ ბინარულობას სცილდება (მაგ. Graham, 2010; Nanda,

2014; Peletz, 2009). ზოგიერთი ტგმ იდენტობა ნაკლებად მყარად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე სხვები. მსოფლიოში ბევრგან, ტრანსგენდერი მამაკაცებისა და ტრანსმასკულინური არაბინარული იდენტობების ხილვადობა. ხილვადობა შედარებით ახალია, ტრადიციული ტერმინები ადგილობრივ ენებზე მცირე რაოდენობისაა, ან საერთოდ არ გამოიყენება (Health Policy Project et al., 2015). იმისდა მიუხედავად, თუ სად ან ვისთან მუშაობს სამედიცინო პერსონალი (მათ შორის, ვინც მუშაობს ეთნიკურ უმცირესობებთან, მიგრანტებთან და ლტოლვილებთან), მათ უნდა იცოდნენ კულტურული კონტექსტი, რომელშიც ადამიანები გაიზარდნენ და ცხოვრობენ, ისევე როგორც ჯანდაცვის თანმხლები შედეგები.

მსოფლიოში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, მომსახურება, დამაკმაყოფილებლობა და ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ქვეყნების შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობას იწვევს (OECD, 2019). ზოგიერთ ქვეყანაში, ჯანდაცვის ფორმალური სისტემები დამკვიდრებულ ტრადიციულ და ხალხურ ჯანდაცვის სისტემებთან ერთად, ჯანმრთელობის ინდიჯენისტურ (მკვიდრი, აბორიგენული, ძველი ადათ-წესები, ოდითგანვე ცნობილი) მოდელებთან ერთად არსებობს, რომლებიც ჰოლისტიკური ჯანდაცვის მნიშვნელობას ეფუძნება (WHO, 2019a).

სამედიცინო პერსონალმა უნდა იცოდეს ის ტრადიციები და რეალობები, რომლებშიც ხელმისაწვდომია ჯანდაცვა და უზრუნველყონ დახმარება, რომელიც ტგმ ადამიანების ადგილობრივი საჭიროებებისა და იდენტობისკენაა მიმართული და მათთვის კულტურულად კომპეტენტურ და უსაფრთხო სერვისებს უზრუნველყოფენ.

დეკლარაცია 2.3

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროვაიდერებს, გააცნობიერონ სოციალური დამოკიდებულებების, კანონების, ეკონომიკური გარემოებების და ჯანდაცვის სისტემების გავლენა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების გამოცდილებაზე მთელ მსოფლიოში.

ტგმ ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილებების მნიშვნელოვნად ცვალებადია, ეს დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის სოციალურ, კულტურულ, სულიერ, იურიდიულ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორებზე. როდესაც ტგმ ადამიანები ცხოვრობენ გარემოში, რომელიც მათ გენდერულ და/ან კულტურულ იდენტობას აღიარებს, შესაძლოა ეს გამოცდილება ძალიან პოზიტიური იყოს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახები (მაგ. Pariseau et al., 2019; Yadegarfar et al., 2014; Zhou et al., 2021). თუმცა, გლობალური პერსპექტივიდან განხილვისას, სიტუაციები, რომლებშიც ტგმ ადამიანები ცხოვრობენ, ხშირად რთულია. ხშირად მათ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ფართოდ აღიარებულ უფლებებზე უარს ეუბნებიან. ეს მოიცავს განათლების, ჯანმრთელობისა და სამედიცინო ძალადობისგან დაცვის უფლებებს, სამუშაოს და ცხოვრების ადეკვატურ დონეს, საცხოვრისის, გადაადგილებისა და გამობატვის თავისუფლებას, კონფიდენციალობას, უსაფრთხოებას, სიცოცხლის, ოჯახური ცხოვრების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისგან დაცვას, სამართლიან სასამართლოს. ჰუმანურად მოპყრობას პატიმრობაში ყოფნისას და წამებისგან, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელისგან დაცვას (იურისტთა საერთაშორისო კომისია, 2007). საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უფლებების უარყოფამ შეიძლება სექსუალურ და გენდერულ უმცირესობათა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე გავლენა მოახდინოს (მაგ. OHCHR et al., 2016; WHO, 2015). აქედან გამომდინარე, ჩვენ ვადასტურებთ ტგმ პირების ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების მნიშვნელობას და WPATH-ით გათვალისწინებულ უფლებებს სხვადასხვა დოკუმენტის მეშვეობით ვუწვევთ ადვოკატირებას (მაგ. WPATH, 2016, 2017, 2019). სამედიცინო პერსონალს შეუძლია უფლებების, მათ შორის, შესაბამის და ხელმისაწვდომ გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მომსახურების ადვოკატირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

მთელ მსოფლიოში, კვლევების დიდი რაოდენობა დეტალურად აღწერს გამონვევებს ტგმ ადამიანების ცხოვრებაში და მათ გავლენას ჯან-

მრთელობასა და კეთილდღეობაზე. (მაგ. Aurat Foundation, 2016; Bhattacharya & Ghosh, 2020; Chumakov et al., 2021; Coleman et al., 2018; Heylens, Elaut et al., 2014; Human Rights Watch, 2014; James et al., 2016; Lee, Operario et al., 2020; Luz et al., 2022; McNeil et al., 2012, 2013; Motmans et al., 2017; Muller et al., 2019; Scandurra et al., 2017; Strauss et al., 2019; Suen et al., 2017; Valashany & Janghorbani, 2019; Veale et al., 2019; Wu et al., 2017). კვლევამ აჩვენა, რომ ტგმ ადამიანები ხშირად განიცდიან სტიგმას და წინარწმენებს, ასევე დისკრიმინაციას და შევიწროებას, სასტიკ მოპყრობასა და ძალადობას, ან ასეთი ქმედებების მოლოდინსა და შიშში ცხოვრობენ. ხშირად ტგმ პირებისადმი მტრულად განწყობილი სოციალური ღირებულებები და დამოკიდებულებები ბავშვებს სასკოლო კურიკულუმებიდან მიენოდებათ (Olivier & Thurasukam, 2018), აგერთვე გამოხატულია ოჯახის მიერ ამ ადამიანების უარყოფაში (Yadegarfarid et al., 2014). ეს ხშირად მხარდაჭერილია კანონების, პოლიტიკისა და საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის მიერ, რომელიც ზღუდავს საკუთარი გენდერული იდენტობისა და სექსუალობის გამოხატვის თავისუფლებას და საცხოვრისზე, საჯარო სივრცეებზე, განათლებაზე, დასაქმებასა და მომსახურებაზე (მათ შორის ჯანდაცვის) ხელმისაწვდომობას. საბოლოო შედეგი არის ის, რომ ტგმ პირები ჩვეულებრივ მოკლებულნი არიან შესაძლებლობების ფართო სპექტრს, რომელიც ხელმისაწვდომია სისგენდერებისთვის და ოჯახების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ტგმ ადამიანები ხშირად საზოგადოების მხრიდან მარგინალიზაციას განიცდიან. კიდევ უფრო უარესი არის ის, რომ მსოფლიოს დიდ ნაწილში ტგმ ადამიანების წვდომა გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე შეზღუდულია ან არ არსებობს. (ILGA World, 2020a; TGEU, 2021; UNDP and APTN, 2017). ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ბარიერები დღეს „გენდერის საკითხის მთავარი კრიტიკულად განწყობილი თეორეტიკოსების“ მხარდაჭერას ეყრდნობა. (Madrigal-Borloz, 2021; Zanghellini, 2020).

გენდერული იდენტობის შეცვლის მცდელობები (გენდერის რეპარაციული ან გენდერის კონვერსიის პროგრამები, რომლებიც მიზნად პიროვნების სისგენდერად გარდაქმნას ისახავს)

ფართოდ არის გავრცელებული, რაც ტგმ პირებს ზიანს აყენებს (APTN, 2020a, 2020b, 2020c, 2021; Bishop, 2019; GIRES et al., 2020; Turban, Beckwith et al., 2020), და (როგორც სექსუალური ორიენტაციის ცვლილების მცდელობები) არაეთიკურად ითვლება (e.g., APS, 2021; Trispiotis and Purshouse, 2022; Various, 2019, 2021). ეს მცდელობები შეიძლება ძალადობის ფორმად ჩაითვალოს. გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე მსგავსი პრაქტიკის გლობალური აკრძალვა (Madrigal-Borloz, 2020) მოითხოვა. იურისდიქციების მზარდი რაოდენობა ამგვარ საქმიანობას კრძალავს (ILGA World, 2020b).

უთანასწორობა წარმოიქმნება მთელი რიგი ფაქტორებიდან, მათ შორის ეკონომიკური დამკვიდრებიდან და ღირებულებებიდან, რომლებიც ხშირად ჯანდაცვის სისტემების უზრუნველყოფის საფუძველია, განსაკუთრებით ჯანდაცვის სახელმწიფო, კერძო და თვითდაფინანსებაზე გამახვილებული აქცენტის გამო. ჯანდაცვის სათანადო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობამ შესაძლოა, არაფორმალური ცოდნის სისტემებზე დამოკიდებულების ზრდა გამოიწვიოს. ეს მოიცავს ჰორმონებით თვითდახმარებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი სამედიცინო მონიტორინგისა და ზედამხედველობის გარეშე ხორციელდება (მაგ., Do et al., 2018; Liu et al., 2020; Rashid et al., 2022; Reisner et al., 2021; Winter & Doussantousse, 2009).

მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, ტრანსგენდერი ქალების დიდი რაოდენობა სხეულის მოდიფიკაციის მიზნით სილიკონს იყენებს, რაც გულისხმობს „ჩატუმბვის“ მომსახურებებს და/ან ინექციის „პროცედურებს“, რომელსაც ისინი თავიანთ წრეში, არასამედიცინო გარემოში იტარებენ. სილიკონის ინექციას მყისიერი შედეგებთან ერთად ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი რისკები ახლავს (მაგ., Aguayo-Romero et al., 2015; Bertin et al., 2019; Regmi et al., 2021), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამრეწველო სილიკონი ან სხვა საინექციო ნივთიერებები გამოიყენება, რა დროსაც შესაძლოა ქირურგიული მოცილება რთული აღმოჩნდეს.

საბოლოოდ, სექსუალური ჯანმრთელობის შედეგები ტგმ ადამიანებისთვის უარყოფითია.

მსოფლიოს მასშტაბით, ქალაქად მცხოვრებ ტრანსგენდერ ქალებში აივ-გავრცელება დაახლოებით 19%-ს შეადგენს, რაც საერთო პოპულაციაში გავრცელების ფონურ მაჩვენებელს 49-ჯერ აღემატება (Baral et al., 2013). პრობლემურია ტრანსგენდერი მამაკაცების სექსუალური ჯანმრთელობის შედეგებიც (მაგ., Mujugira et al., 2021).

წიგნული 2.4

გავცემთ რეკომენდაციას, რომ ზრუნვის სტანდარტების თარგმანები ფოკუსირებული იყოს კულტურულ, კონცეპტუალურ და ლიტერატურულ ეკვივალენტობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ზრუნვის სტანდარტები-მ-ის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა.

ტგმ პირების შესახებ კვლევითი ლიტერატურის დიდი ნაწილი მაღალშემოსავლიან და ინგლისურენოვან ქვეყნებში ინარმოება. ამ ლიტერატურაში ტგმ პირების შესახებ გლობალური ჩრდილოეთის შეხედულებები დომინირებს (მათ შორის, ჯანდაცვის საჭიროებებთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების აღწერა). ამჟამინდელი ავტორების მიერ ჩატარებული ძიება 2021 წლის მაისის SCOPUS-ის მონაცემთა ბაზაში აჩვენებს, რომ ტრანსგენდერთა ჯანდაცვის შესახებ ლიტერატურის 99% ევროპიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ავსტრალიიდან ან ახალი ზელანდიიდანაა. მთლიანობაში, ლიტერატურის 96% ინგლისურ ენაზეა. გლობალური სამხრეთის ინგლისურენოვან ლიტერატურაში შედარებით მცირე ყურადღება ექცევა ტგმ პირებს, აგრეთვე ტგმ პირებთან მომუშავე სამედიცინო სპეციალისტების მიერ განეული სამუშაო ხშირად დოკუმენტირებული არ არის, ან არ ქვეყნდება და ინგლისურად არ ითარგმნება. გლობალურ ჩრდილოეთში წარმოებული რესურსების გამოყენება შეიცავს ადგილობრივი ცოდნის, კულტურული ჩარჩოებისა და პრაქტიკის შესაბამისობის უგულებელყოფის რისკებს და ამცირებს სხვების ნამუშევრებით საკითხის შესწავლის შესაძლებლობებს. ზრუნვის სტანდარტები-მ-ში ჩამოყალიბებული პრინციპების თარგმნისას, ჩვენ გირჩევთ მიჰყევთ ენის თარგმნის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებებს, რათა უზრუნველყოთ მაღალი ხარისხის წერილობითი რესურსების წარმოება, რომლე-

ბიც კულტურულად და ენობრივად ადგილობრივი გარემოს შესატყვისი იქნება. მნიშვნელოვანია, რომ თარგმნებს ჰქონდეთ ტგმ იდენტობებისა და კულტურების შესახებ ცოდნა, რათა შეამოწმონ, რომ პირდაპირი თარგმანი კულტურულად კომპეტენტური და ადგილობრივი ტგმ პირებისთვის უსაფრთხოა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თარგმანი, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილ პროცესებს მიჰყვებოდეს (Centers for Medicare & Medicaid Services, 2010; Sprager & Martinez, 2015).

წიგნული 2.5

რეკომენდაციას ვაძლევთ, ჯანდაცვის სპეციალისტებს და პოლიტიკის შემქმნელებს ყოველთვის გაითვალისწინონ ზრუნვის სტანდარტები-მ-ის ძირითადი პრინციპები ტრანსგენდერებთან და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან მუშაობისას, რათა უზრუნველყონ ადამიანის უფლებების პატივისცემა და შესაბამისი და კომპეტენტური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, მათ შორის:

ზოგარი პრინციპები

- იყავით გაძლიერებაზე ორიენტირებული და ინკლუზიური. იმუშავეთ სტიგმის შესამცირებლად და უზრუნველყავით სათანადო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ვინც მას ეძებს;
- პატივი ეცით მრავალფეროვნებას. პატივი ეცით ყველა კლიენტს და ყველა გენდერულ იდენტობას. არ მოახდინოთ გენდერული იდენტობისა და გამომხატულების გამომხატვის პათოლოგიზაცია;
- პატივი ეცით ადამიანის საყოველთაო უფლებებს, მათ შორის უფლებას სხეულისა და გონებრივი მთლიანობის, ავტონომიისა და თვითგამორკვევის შესახებ; დისკრიმინაციისგან თავისუფლებისა და ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის მიღების უფლებას.

შესაბამისი სერვისებისა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის განვითარებისა და დანერგვის პრინციპები

- ჩართეთ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები სერვისების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში;
- გაეცანით სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების ჯანმრთელობაზე (და ჯანდაცვის საჭიროებებზე), ისევე როგორც პიროვნების მზაობასა და სერვისების წვდომის შესაძლებლობებზე გავლენა იქონიოს;
სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები, რომლებიც რაიმე მიზეზით დეტრანზიციას გადაიან, სათანადოდ იყვნენ მხარდაჭერილი. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იშვიათი მოვლენაა და ლიტერატურა გვიჩვენებს თანმიმდევრულად დადებით შედეგებს ზრდასრულ ტგმ პირთა უმრავლესობაში, რომლებიც მათთვის კომფორტულ გენდერს ითვისებენ, მათ შორის მათში, ვინც გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და/ან ქირურგიული მკურნალობას იტარებს (Byne et al., 2012; Green & Fleming, 1990; Lawrence, 2003; Motmans et al., 2012; Van de Griff, Elaut et al., 2018).

თავი 6. მოზარდები

ისტორიული კონტექსტი და ხაზილეკაი ზრუნვის წინა სტანდარტის გამოკვლის შედეგები

ტრანსგენდერი მოზარდებისთვის სპეციალიზებული ჯანდაცვის პოლიტიკის წარმოება 1980-იან წლებში დაიწყო, როდესაც მთელს მსოფლიოში ახალგაზრდებისთვის რამდენიმე სპეციალიზებული გენდერული კლინიკა შეიქმნა, რომლებიც ბავშვებისა და მოზარდების შედარებით მცირე რაოდენობას ემსახურებოდნენ. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა მოზარდების რიცხვი, რომლებიც გენდერულ ზრუნვას საჭიროებენ (Arnoldussen et al., 2019; Kaltiala, Bergman et al., 2020). მას შემდეგ დაარსდა ახალი კლინიკები, მაგრამ ბევრგან კლინიკური სერვისები ზრუნვის მსურველ ახალგაზრდების მზარდ რაოდენობას ვერ აკმაყოფილებდა. აქედან გამომდინარე, ხშირად არის სერვისების მიღების მომლოდინეთა გრძელი რიგები და მთელს მსოფლიოში მრავალი ტრანსგენდერი ახალგაზრდა ზრუნვის მიღებასთან დაკავშირებული ბარიერების წინაშე დგას (Tollit et al., 2018).

ბოლო დრომდე ინფორმაცია მოზარდებში გენდერული მრავალფეროვნების გავრცელების შესახებ შეზღუდული იყო. საშუალო სკოლის შერჩევების კვლევები მიუთითებს ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებზე, ვიდრე ადრე იყო მოსალოდნელი, ანგარიშებში მონაწილეთა 1.2%-მდე თავს ტრანსგენდერად მიიჩნევს (Clark et al., 2014) და 2.7%-მდე ან მეტი (მაგ. 7-9%) გენდერული მრავალფეროვნების სხვადასხვა გამოვლინებებზე მიუთითებს (Eisenberg et al., 2017; Kidd et al., 2021; Wang et al., 2020). ეს კვლევები ამტკიცებს, რომ გენდერული მრავალფეროვნება ახალგაზრდებში აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც იშვიათი. გარდა ამისა, გენდერულ კლინიკებში არათანაბარი თანაფარდობა დაფიქსირდა – მოზარდები, რომლებსაც დაბადებისას ქალის სქესი აქვთ მინიჭებული (AFAB) 2.5-7.1-ჯერ უფრო ხშირად მიმართავენ კლინიკებს, ვიდრე მოზარდები, რომლებსაც დაბადებიდან მამრობითი სქესი აქვთ მინიჭებული (AMAB) (Aitken et al., 2015; Arnoldussen et al., 2019; Bauer et al., 2021; de Graaf, Carmichael et al., 2018; Kaltiala et al., 2015; Kaltiala, Bergman et al., 2020).

ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის (WPATH) ზრუნვის სტანდარტების განყოფილება, რომელიც ბავშვებისა და მოზარდების საჭიროებებს ეძღვნებოდა, პირველად 1998 წლის WPATH-ის ზრუნვის სტანდარტებში, მე-5 ვერსიაში შევიდა (Levine et al., 1998). 16 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდები სქესის დამადასტურებელი სამედიცინო დახმარების მისაღებად შესაფერის კანდიდატებად მიიჩნეეს, მაგრამ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. შემდგომში მე-6 (Meyer et al., 2005) და მე-7 (Coleman et al., 2012) ვერსიებმა მოზარდების სამედიცინო დამადასტურებელი მკურნალობა სამ კატეგორიად დაყვეს და წარმოადგინეს დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმები ასაკთან/პუბერტატის სტადიასთან დაკავშირებით – კერძოდ, სრულად შექცევადი სქესობრივი მომწიფების ბლოკატორები პუბერტატის დაწყებისთანავე; ნაწილობრივ შექცევადი ჰორმონული თერაპია (ტესტოსტერონი, ესტროგენი) მოზარდებისთვის ზრდასრულ ასაკში, რომელიც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში 16 წელი იყო; და შეუქცევადი ოპერაციები 18 წლის, ან უფროს ასაკში, გარდა გულმკერდის „მასკულინიზაციული“ მასტექტომიისა, რომლის მინიმალური ასაკიც 16 წელი იყო. გენდერთან დაკავშირებული სამედიცინო დახმარების დამატებითი კრიტერიუმები მოიცავდა გენდერული „არაკონფორმულობის“ / დისფორიის მუდმივ, ხანგრძლივ (ბავშვობაში) ისტორიას, რომელიც პუბერტატის დაწყებისას ჩნდება ან ძლიერდება; მკურნალობის ხელისშემშლელი ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან სოციალური პრობლემების არარსებობას ან მათ წარმატებით მართვას; მშობლების/მეურვის მხრიდან მხარდაჭერის უზრუნველყოფას ინტერვენციის დასაწყებად; და ინფორმირებულ თანხმობას. ზრუნვის სტანდარტების ამ მე-8 გამოცემისთვის შექმნილია ცალკე თავი – ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი (ტგმ) შესახებ, რომელიც განსხვავდება ბავშვების ნაწილისგან შემდეგით: 1) მოზარდთა მიმართვიანობის საგრძნობლად გაზრდილი მონაცემებით 2) მოზარდთა გენდერულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ზრუნვის სპეციფიკური კვლევების გაზრდილი

რაოდენობით; და 3) ამ ასაკობრივი ჯგუფის განვითარებისა და გენდერის დამადასტურებელი ზრუნვის უნიკალური საკითხებით.

გენდერთან დაკავშირებული ზრუნვის არასპეციფიკური ტერმინები თავიდან აცილებულია (მაგ. გენდერის დამადასტურებელი მოდელი, გენდერული კვლევის მოდელი), რადგან ეს წარმოადგენს არა ერთიან, არამედ ჰეტეროგენული მზრუნველობის პრაქტიკებს, რომლებიც სხვადასხვა გარემოში განსხვავებულად არის განსაზღვრული.

მოზარდობის მიმოხილვა

მოზარდობა ბავშვობიდან ზრდასრულობამდე განვითარების პერიოდია, რომელიც შედარებით სწრაფი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომნიშვნელობით ხასიათდება (Sanders, 2013). განვითარების მრავალი პროცესი, მათ შორის, პუბერტატული სიგნალის ცვლილებები, ერთდროულად მიმდინარეობს. პუბერტატულ პროგრესთან ერთად კოგნიტური, ემოციური და სოციალური სისტემები მნიშვნელოვნად ვითარდება ფიზიკური ცვლილებები. ეს პროცესები ყველა ადამიანისთვის ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ასაკში არც იწყება და არც მთავრდება. ამიტომ, მოზარდობის ქვედა და ზედა საზღვრები არაზუსტია და არ შეიძლება, მხოლოდ ასაკის მიხედვით განისაზღვროს. მაგალითად, ფიზიკური პუბერტატული ცვლილებები შეიძლება დაიწყოს გვიან ბავშვობაში და ძირითადი ნერვული სისტემები განვითარებას 20-იან წლებამდე გაგრძელებს (Ferguson et al., 2021). ქვეყნები და მთავრობები ზრდასრულობის ასაკს სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ (იგულისხმება გადანყვებილების მიღების სამართლებრივი სტატუსი; Dick et al., 2014). მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულობის ასაკად ბევრი 18 წელს მიიჩნევს, ზოგიერთ ქვეყანაში ეს 15 წელი (მაგ. ინდონეზია და მიანმარი), ხოლო ზოგ ქვეყანაში 21 წელია (მაგ. აშშ-ის შტატი მისისიპი და სინგაპური).

სიცხადისთვის, ეს თავი ეხება მოზარდებს სქესობრივი მომნიშვნელობის დაწყებიდან სრულწლოვანებამდე (უმეტეს შემთხვევაში 18 წლამ-

დე), თუმცა ამ თავში შეტანილია განვითარების სხვა ელემენტები, მათ შორის მშობლების/მეურვის ჩართულობის მნიშვნელობა, რომლებიც ტრანზიციული ასაკის ახალგაზრდებზე ზრუნვისთვის ხშირად აქტუალურია და სათანადოდ უნდა განიხილებოდეს.

მოზარდობის კოგნიტურ განვითარებას ხშირად ახასიათებს აბსტრაქტული აზროვნების, რთული მსჯელობისა და მეტაკოგნიციის განვითარება (ახალგაზრდის უნარი, იფიქროს საკუთარ გრძნობებზე და იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მათ სხვები; Sanders, 2013). ჰიპოთეტური სიტუაციების მსჯელობის უნარი საშუალებას აძლევს ახალგაზრდას, რაიმე კონკრეტული გადანყვებილება გააცნობიეროს. თუმცა, მოზარდობა ასევე ხშირად რისკის შემცველ ქცევებთან ასოცირდება. ამ შესამჩნევ ცვლილებებთან ერთად, მოზარდობის პერიოდს ხშირად მშობლებისგან ინდივიდუაცია და გაზრდილი პიროვნული ავტონომიის განვითარება ახასიათებს. ხშირად არის გაზრდილი ფოკუსირება თანატოლებთან ურთიერთობაზე, რაც შეიძლება როგორც სასარგებლო, ასევე საზიანო იყოს (Gardner & Steinberg, 2005).

მოზარდები ხშირად განიცდიან გაძლიერებულ გრძნობას, რომელიც გამონვეულია დაჯილდოებისადმი ჰიპერმგრძნობელობით და ნაჩვენებია, რომ მათი დროის შეგრძნება ხანდაზმული ადამიანებისგან განსხვავდება (Van Leijenhorst et al., 2010). სოციალურ-ემოციური განვითარება, როგორც წესი, მოზარდობის პერიოდში პროგრესირებს, თუმცა ახალგაზრდებს შორის ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური კომუნიკაციის მხრივ სიმწიფის დონის თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა (Grootens-Wiegers et al., 2017). ტემ მოზარდებისთვის, რომლებიც იღებენ გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის შესახებ გადანყვებილებს – გადანყვებილებები, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს უწყვეტი შედეგები – მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს განვითარების ყველა ამ ასპექტმა გადანყვებილების მიღებაზე მოცემული ახალგაზრდისთვის მათ სპეციფიკური კულტურული კონტექსტში.

მოზარდთა გენდერული იდენტობის განვითარება

მოზარდობის ასაკში გენდერული იდენტობის განვითარების ჩვენი გაგება განვითარებას აგრძელებს. გენდერულად მრავალფეროვანი ახალგაზრდებისა და მათი ოჯახებისთვის კლინიკური დახმარების განწევსას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის და რა არ არის ცნობილი გენდერული იდენტობის შესახებ მოცემულ მომენტში (Berenbaum, 2018). მკურნალობის განხილვისას, ოჯახებს შეიძლება ჰქონდეთ კითხვები მათი მოზარდის გენდერული იდენტობის განვითარებასთან დაკავშირებით და აინტერესებდეთ, შენარჩუნდება თუ არა მათი მოზარდის მიერ იდენტიფიცირებული გენდერი დროთა განმავლობაში. ზოგიერთი მოზარდისთვის დეკლარირებული გენდერული იდენტობა, რომელიც განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესისგან, მათი მშობლებისთვის/მეურვეებისთვის გასაკვირი არ არის, რადგან მათი გენდერული გამოხატვის ისტორია ბავშვობიდან იწყება (Leibowitz & de Vries, 2016). სხვებისთვის, ეს ნათელი პუბერტატული ცვლილებების დროს ან მოზარდობის ასაკში ხდება (McCallion et al., 2021; Sorbara et al., 2020).

ისტორიულად, სოციალური დასწავლისა და კოგნიტური განვითარების კვლევა გენდერულ განვითარებაზე ძირითადად ტარდებოდა იმ ახალგაზრდებთან, რომლებსაც გენდერულად მრავალფეროვანი იდენტობა და გამოხატვა არ ჰქონდათ და იმ ვარაუდით ტარდებოდა, რომ გენდერი კონკრეტულ სქესთან იყო კორელაციაში; ამიტომ, გენდერული იდენტობის განვითარებას მცირე ყურადღება ეთმობოდა. გარდა ბიოლოგიური ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ გენდერულ განვითარებაზე, ამ კვლევამ აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები ასევე ასრულებენ როლს (Perry & Pauletti, 2011). მიუხედავად იმისა, რომ ტემ ახალგაზრდებში გენდერული იდენტობის განვითარებაზე ნაკლები ფოკუსი იყო, არსებობს საკმარისი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ბიოლოგიური ფაქტორების გარდა, ფსიქოსოციალური ფაქტორებიც მონაწილეობს (Steensma, Kreukels et al., 2013). ზოგიერთი ახალგაზრდისთვის გენდერული იდენტობის განვითარება მყარია და ხშირად მცირე ასაკიდანაა გამომხატული,

ზოგისთვის კი ეს შეიძლება იყოს განვითარების პროცესი, რომლის დროსაც გენდერული იდენტობა დროთა განმავლობაში ყალიბდება.

ნეიროვიზუალიზაციის კვლევები, გენეტიკური კვლევები და სხვა ჰორმონების კვლევები ინტერსექს ინდივიდებში აჩვენებენ ბიოლოგიურ წვლილს გენდერული იდენტობის განვითარებაში ზოგიერთი ინდივიდისთვის, რომელთა გენდერული იდენტობა დაბადებისას მინიჭებულ სქესს არ ემთხვევა (Steensma, Kreukels et al., 2013). ვინაიდან ოჯახებს სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად კითხვები უჩნდებათ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ერთმანეთისგან განასხვავოთ ისინი, ვისთვისაც გენდერული იდენტობა დაბადებიდან ფიქსირებულია და ისინი, ვისთვისაც გენდერული იდენტობის განვითარება განვითარების პროცესია. ვინაიდან შეუძლებელია ყველა მოზარდისთვის გენდერული იდენტობის განვითარების ხელშემწყობი სხვადასხვა ფაქტორების ცალსახად დადგენა, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ყოვლისმომცველი კლინიკური მიდგომა (იხ. დებულება 3). მომავალი კვლევები, თუ ისინი დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა კოჰორტის ჯგუფებზე ჩატარდება, გენდერული იდენტობის განვითარებას მეტ ნათელს მოჰფენს. ასევე აუცილებელი იქნება გენდერული იდენტობის კონცეპტუალიზაცია მამრობითი და მდედრობითი სქესის დიქოტომიური (მაგ. ბინარული) კატეგორიზაციიდან გენდერული სპექტრის განზომილებაზე გადასვლის გზით (APA, 2013).

გენდერულად მრავალფეროვანი ახალგაზრდებისთვის მოზარდობის ასაკი შეიძლება გენდერული იდენტობის განვითარებისთვის კრიტიკული პერიოდი იყოს (Steensma, Kreukels et al., 2013). ჰოლანდიაში ჩატარებულმა ხანგრძლივმა კლინიკურმა კვლევებმა ბავშვობაში გენდერული დისფორიის მქონე მოზარდებზე, რომლებმაც სქესობრივი მომწიფების დათრგუნვა, ან გენდერის დამადასტურებელი ჰორმონები, ან ორივე ჩაიტარეს, დადგინდა, რომ ზრდასრულ ასაკში არცერთი ახალგაზრდა მოზარდობისას მიღებულ გადაწყვეტილებებს არ ნანობდა (Cohen-Kettenis & van Goozen, 1997; de Vries et al., 2014). ეს დასკვნები მიუთითებს, რომ მოზარდები, რომლებიც სრულყოფილად შეფასდნენ და განისაზღვრა,

რომ ემოციურად საკმარისად მომნიშვნელები იყვნენ, რათა გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო ზრუნვასთან დაკავშირებით მკურნალობის გადაწყვეტილებები მიეღოთ, კვლევის ჩატარების პერიოდში გენდერული იდენტობის სტაბილურობა ჰქონდათ.

ჰოლანდიური კოჰორტის ლონგიტუდური კვლევების შედეგების ექსტრაპოლაციისას დღევანდელ გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებზე, რომლებიც ზრუნვას საჭიროებენ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სოციალური ცვლილებები, რომლებიც დროთა განმავლობაში ტემპირებთან მიმართებით მოხდა. ტემპ იდენტობების ხილვადობის ზრდის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ როგორ შეიძლება ცნობიერების ამაღლებამ გავლენა იქონიოს გენდერულ განვითარებაზე (Kornienko et al., 2016). გამოვლენილი ერთ-ერთი ტენდენცია არის ის, რომ გენდერულ კლინიკებს არაბინარული იდენტობების მქონე უფრო მეტი ახალგაზრდა მიმართავს (Twist & de Graaf, 2019). კიდევ ერთი ფენომენი, რომელიც კლინიკურ პრაქტიკაში ხდება, არის იმ მოზარდების რაოდენობის ზრდა, რომლებსაც ბავშვობის წლებში გენდერული მრავალფეროვნება ერთი შეხედვით არ ჰქონიათ გამოცდილი, გამოხატული (ან გამოცდილი და გამოხატული). ერთმა მკვლევარმა სცადა გენდერული მრავალფეროვნების გამოცდილების მოგვიანებით გამოვლენის კონკრეტული ფორმა შეესწავლა და აღენერა (Littman, 2018). თუმცა, კვლევის შედეგები უნდა განიხილებოდეს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური გამოწვევების კონტექსტში, მათ შორის 1) კვლევამ გამოკითხა მშობლები და არა ახალგაზრდების პერსპექტივები; და 2) რეკრუტირება მოიცავდა მშობლებს ისეთი სათემო გარემოდან, სადაც გენდერული დისფორიის მკურნალობა სკეპტიციზმით განიხილება და აკრიტიკებენ. თუმცა, ეს მიგნებები სხვა კვლევებში არ განმეორდა. ახალგაზრდების შერჩეული ქვეჯგუფისთვის, სოციალური გავლენისადმი მიდრეკილება, რომელიც გავლენას ახდენს გენდერზე, შეიძლება მნიშვნელოვანი განმასხვავებელი იყოს (Kornienko et al., 2016). თუმცა, სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი, რათა თავიდან იქნას აცილებული იმის ვარაუდი,

რომ ეს ფენომენები ნაადრევად განვითარდება ცალკეულ მოზარდში და რომელიც ეყრდნობა მონაცემთა ბაზის ინფორმაციას, რომელიც შესაძლოაა, მიკერძოებული იყოს (Bauer et al., 2022; WPATH, 2018). მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის სარგებელი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სოციალურ კავშირს იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ურთიერთობა მხარდამჭერ ადამიანებთან აქვს (Tuzun et al., 2022) (იხ. დებულება 4).

მოზარდის გენდერული იდენტობის განვითარების შესახებ ცოდნის განვითარებადი ბუნების გათვალისწინებით, კლინიკური ზრუნვისადმი ინდივიდუალური მიდგომა ეთიკური და აუცილებელია. როგორც ეს მედიცინის ყველა სფეროშია მიღებული, თითოეულ კვლევას აქვს მეთოდოლოგიური შეზღუდვები და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები არ შეიძლება და არ უნდა იყოს საყოველთაოდ გამოყენებული ყველა მოზარდის მიმართ. ეს ასევე ეხება მშობლების საერთო კითხვებს კონკრეტული ახალგაზრდის გენდერული იდენტობის განვითარების სტაბილურობასა და არასტაბილურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მომავალი კვლევა გენდერული იდენტობის განვითარების მეცნიერულ გაგებას ხელს შეუწყობს, გარკვეული ხარვეზები ყოველთვის შეიძლება დაფიქსირდეს. გარდა ამისა, ზრუნვის დროს თვითგამორკვევის ეთიკის გათვალისწინებით, ამ ხარვეზებმა მოზარდი ტემპირი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ზრუნვის გარეშე არ უნდა დატოვოს.

ტრანსგენდერი მოზარდების გენდერული დახმარების საპროცესო მკურნალობის კვლევითი გამოცდილება

ტრანსგენდერ მოზარდთა მოვლის მთავარი გამოწვევა მტკიცებულების ხარისხია, რომელიც სამედიცინოდ აუცილებელი გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და ქირურგიული მკურნალობის (GAMST) ეფექტურობას აფასებს (იხ. აუცილებელი სამედიცინო განცხადება გლობალურ თავში, დებულება 2.1), დროთა განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას მოახდენს სამედიცინო მკურნალობა მთელი ცხოვრების განმავლობაში და მცირე ასაკში მკურნალობის დაწყებიდან გამომდინარე, მოზარდები, მათი

მშობლები და ზრუნვის მიმწოდებლები მტკიცებულების ხარისხის შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ. მიზანშეწონილია, რომ გადანყვეტილებები მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე გადასვლის შესახებ სიფრთხილით იყოს მიღებული. ადრეული სამედიცინო ჩარევის ეფექტურობის მხარდაჭერი მტკიცებულებების ნელ-ნელა მზარდი რაოდენობის მიუხედავად, კვლევების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდებზე დაკვირვებას ზრდასრულ ასაკშიც აგრძელებს, ჯერ კიდევ მცირეა. ამიტომ, მოზარდებში მკურნალობის შედეგების სისტემატური მიმოხილვა შეუძლებელია. ამის ნაცვლად მოცემულია მოკლე ნარატიული მიმოხილვა.

ამ თავის დაწერის დროს არსებობდა რამდენიმე შემდგომი ლონგიტუდური კოჰორტის კვლევა, რომელიც ადრეული (მოზარდების) სამედიცინო მკურნალობის დადებით შედეგებს აჩვენებდა; მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში, ამ კვლევებიდან ბევრი ჰოლანდიის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარდა (e.g., Cohen-Kettenis & van Goozen, 1997; de Vries, Steensma et al., 2011; de Vries et al., 2014; Smith et al., 2001, 2005). შედეგებმა ცხადყო, რომ გენდერული დისფორიის გადანყვეტა გაუმჯობესებულ ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებასა და სხეულის ხატით კმაყოფილებასთანაა დაკავშირებული. ამ კვლევების უმეტესობა მეთოდოლოგიურ დიზაინს მიჰყვა და საბაზისო ფსიქოლოგიური მდგომარეობა სამედიცინო გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის მიწოდების შედეგებს შეადარა. სხვადასხვა კვლევებმა მკურნალობის ინტერვენციების ინდივიდუალური ასპექტები ან კომბინაციები შეაფასა, რაც მოიცავდა 1) გენდერის დამადასტურებელ ჰორმონებს და ოპერაციებს (Cohen-Kettenis & van Goozen, 1997; Smith et al., 2001, 2005); 2) პუბერტატის დათრგუნვა (de Vries, Steensma et al., 2011); და 3) პუბერტატის დათრგუნვა, დამადასტურებელი ჰორმონები და ოპერაციები (de Vries et al., 2014). 2014 წლის ლონგიტუდური კვლევა არის ერთადერთი კვლევა, რომელიც ახალგაზრდებს ადრეული მოზარდობის ასაკიდან (წინასწარი მკურნალობა, საშუალო ასაკი 13.6) ადრეულ ზრდასრულობამდე (მკურნალობის შემდგომ, საშუალო ასაკი 20.7) მიჰყვა. ეს იყო პირველი კვლევა,

რომელმაც აჩვენა, რომ გენდერის დამადასტურებელი მკურნალობა საშუალებას აძლევდა ტრანსგენდერ მოზარდებს, განეხორციელებინათ ასაკის შესაბამისი განვითარების ტრანზიცია და ზრდასრულ ასაკში დადასტურებულ გენდერთან დამაკმაყოფილებელი ობიექტური და სუბიექტური შედეგებით ეცხოვრათ (de Vries et al., 2014). მიუხედავად იმისა, რომ კვლევამ გამოიყენა მცირე და სოციალურად მხარდაჭერილი შერჩევა ($n = 55$), შედეგები დამაჯერებელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მონაწილეები იყვნენ იმ ჰოლანდიური კლინიკის ნაწილი, რომელიც ცნობილია მულტიდისციპლინური მიდგომით, მათ შორის გენდერული დისფორიის ყოვლისმომცველი, მუდმივი შეფასების და მართვის უზრუნველყოფისა და ემოციური კეთილდღეობისკენ მიმართული მხარდაჭერით.

რამდენიმე ახლახან გამოქვეყნებული ხანგრძლივი კვლევა მონაწილეებს მათი გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის სხვადასხვა ეტაპზე აფასებდა. ამ კვლევებში ზოგიერთ მონაწილეს გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობა არ დაუწყია, ზოგს პუბერტატის დათრგუნვით მკურნალობდნენ, ზოგმა კი გენდერის დამადასტურებელი ჰორმონები დაიწყო ან გენდერის დამადასტურებელი ოპერაციაც გაიკეთა (GAS). (Achille et al., 2020; Allen et al., 2019; Becker-Hebly et al., 2021; Carmichael et al., 2021; Costa et al., 2015; Kuper et al., 2020; Tordoff et al., 2022). მკურნალობისა და მეთოდების ჰეტეროგენულობის გათვალისწინებით, ამ ტიპის დიზაინი შედეგების ინტერპრეტაციას უფრო რთულს ხდის. მიუხედავად იმისა, საბაზისო შეფასებებთან შედარებით, მკურნალობის შემდგომ სამი თვიდან ორ წლამდე მონაცემები მუდმივად აჩვენებენ გაუმჯობესებულ ან სტაბილურ ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებას, სხეულის ხატსა და მკურნალობით კმაყოფილებას.

კროსსექციური კვლევები გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის ეფექტების შესაფასებლად სხვა დიზაინს გვთავაზობს. ერთ-ერთმა ასეთმა კვლევამ ტრანსგენდერ მოზარდებში სანყის ეტაპზე და სქესობრივი მომნიშვნის დათრგუნვის დროს ფსიქოლოგიური მდგომარეობები მათი სისგენდერი თანატოლების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შეადარა.

საწყის ეტაპზე ტრანსგენდერმა ახალგაზრდებმა სისგენდერ თანატოლებთან შედარებით დაბალი ფსიქოლოგიური ფუნქციონირება აჩვენეს, მაშინ როცა პუბერტატის დათრგუნვისას მათ უკეთესი ფუნქციონირება ჰქონდათ, ვიდრე მათ სისგენდერ თანატოლებს (van der Miesen et al., 2020). გრანისმა და სხვ. (2021) აჩვენეს, რომ ტრანსგენდერ მამაკაცებს, რომლებმაც ტესტოსტერონის მიღება დაიწყეს, უფრო დაბალი ინტერნალიზებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სიმპტომები ჰქონდათ (დეპრესია და შფოთვა), ვიდრე მათ, ვისაც ტესტოსტერონის მიღება არ დაუწყია.

ოთხი დამატებითი კვლევა სხვადასხვა დიზაინს მიყვებოდა. რეტროსპექტული სამედიცინო ჩანაწერების კვლევაში (Kaltiala, Heino et al., 2020) ტრანსგენდერი მოზარდები, რომლებსაც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონების დაწყებამდე ფსიქიკური ჯანმრთელობის უმნიშვნელო გამოწვევები ჰქონდათ ან საერთოდ არ ჰქონდათ, ზოგადად მკურნალობას კარგად იტანდნენ. თუმცა მოზარდებთან, რომლებსაც საწყის ეტაპზე უფრო მეტი ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები ჰქონდათ, გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობის დროს მათი გამოვლენა გრძელდებოდა. ნიდერმა და კოლეგებმა (2021) შეისწავლეს ზრუნვით კმაყოფილება, როგორც შედეგის საზომი და აჩვენეს, რომ ტრანსგენდერი მოზარდები დაწყებული მკურნალობის პროგრესირებასთან ერთად უფრო და უფრო კმაყოფილები იყვნენ. ჰისლე-გორმანმა და სხვებმა (2021) 3,754 ტგმ მოზარდისგან შემდგარ დიდ პოპულაციაში ერთმანეთს შეადარა მედიკამენტების გამოყენება გენდერის დამადასტურებელი ფარმაცევტული საშუალებების დაწყებამდე და დაწყების შემდგომ – როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის ინდიკატორი. ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ ავტორების ჰიპოთეზის საპირისპიროდ, ამ კვლევაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება გაიზარდა. ტრანსგენდერი მოზარდების დიდ შერჩევაში ტურბანმა და სხვებმა (2022) აღმოაჩინეს, რომ მათ, ვისაც მოზარდობის პერიოდში გენდერის დამადასტურებელ ჰორმონებ-

ზე ხელმისაწვდომობა ჰქონდათ, გასული წლის განმავლობაში თვითმკვლელობის უფრო დაბალი შანსები ჰქონდათ იმ ტრანსგენდერ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც გენდერის დამადასტურებელ ჰორმონების მიღებას ზრდასრულ ასაკში იწყებდნენ.

ექიმებმა შეიძლება განიხილონ შესაძლებლობა, რომ მოზარდმა გენდერის დამადასტურებელი გადაწყვეტილებები მოზარდობის პერიოდში ინანონ, და გაუჩნდეთ მკურნალობის შეწყვეტისა და დაბადებისას მინიჭებული გენდერული როლით ცხოვრებაში დაბრუნების სურვილი. ორი ჰოლანდიური კვლევა აჩვენებს მოზარდების მცირე რაოდენობას (1.9% და 3.5%), რომლებიც სქესობრივი მომნიშვნის დათრგუნვის შეჩერებას ირჩევენ (Brik et al., 2019; Wiepjes et al., 2018). ეს კვლევები კვლავინდებურად ჩატარდა იმ კლინიკებში, რომლებიც მიჰყვებიან პროტოკოლს, რომელიც გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობის დაწყებამდე ყოვლისმომცველ შეფასებას მოიცავს. ამჟამად, ხელმისაწვდომი არ არის კლინიკური კოჰორტის კვლევები იმ მოზარდების პოპულაციაზე, რომლებიც დამადასტურებელი მკურნალობის შემდეგ თავდაპირველ გადაწყვეტილებას ნანობენ ან დეტრანზიციას გადიან. ბოლო კვლევები მიუთითებს, რომ არიან მოზარდები, რომლებიც დეტრანზიციას გადიან, მაგრამ არ ნანობენ მკურნალობის დაწყებას, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მკურნალობის დაწყება ეს მათი გენდერთან დაკავშირებული ზრუნვის საჭიროებების გამორკვევის ნაწილია (Turban, 2018).

თუმცა ეს პერსპექტივა შეიძლება არ ჭარბობდეს იმ ადამიანებში, რომლებიც დეტრანზიციას გადიან (Littman, 2021; Vandembussche, 2021). ზოგიერთმა მოზარდმა შეიძლება გადადგმული ნაბიჯები ინანოს (Dyer, 2020). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტრანსგენდერი მოზარდების დახმარებისას მათთვის შესაძლო შედეგების სრული დიაპაზონის გაცნობა. გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობის დაწყებამდე სპეციალისტებმა ეს თემა მოზარდთან და მათ მშობლებთან/მეურვეებთან თანამშრომლობით და ნდობის გზით (როგორც „პოტენციური სამომავლო გამოცდილება და განხილვა“) უნდა განიხილონ. ასევე, პროვაიდე-

რები მზად უნდა იყვნენ იმ მოზარდების მხარდასაჭერად, რომლებიც დეტრანზიციას გადაიან. ინტერნეტ გამოკითხვაში მონაწილე 237 დეტრანზიცია გავლილი პირიდან, რომელთა საშუალო ასაკი 25.02 წელი იყო და გამოკითხულთა 90% დაბადებისას მდედრად იყო განსაზღვრული, 18 წლამდე სამედიცინო ტრანზიცია 25%-ს, ხოლო დეტრანზიცია 14%-ს ჰქონდა გავლილი (Vandenbussche, 2021). მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტ გამოკითხვის ნიმუში რესპონდენტთა შერჩევას გულისხმობს, ეს კვლევა გვაფიქრებს, რომ ტრანსგენდერმა ახალგაზრდა მოზარდებმა შესაძლოა დეტრანზიცია გაიარონ და ჯანდაცვის პროფესიონალებმა ამის შესახებ უნდა იცოდნენ. ბევრი მათგანი აღნიშნავდა, რომ დეტრანზიციის პროცესში სირთულეებს გადაწყდა და რომ ეს იყო მაიზოლირებული პროცესი, რომლის დროსაც მათ საკმარისი და შესაბამისი მხარდაჭერა ვერ მიიღეს (Vandenbussche, 2021).

დასკვნის სახით შეიძლება დავაფიქსიროთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებული შერჩევები ახალგაზრდების შედარებით მცირე ჯგუფებს მოიცავდა (მაგ. n = 22-101) და დაკვირვების დრო კვლევების მიხედვით განსხვავდებოდა (6 თვე-7 წელი), მტკიცებულების ეს ბაზა იმ ტრანსგენდერი მოზარდების ცხოვრების ზოგად გაუმჯობესებაზე მიუთითებს, რომლებმაც ფრთხილი შეფასების შემდგომ სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელი გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობა გაიარეს. გარდა ამისა, დაფიქსირებული სინანულის მაჩვენებელი კვლევის მონიტორინგის პერი-

ოდებში დაბალია. მთლიანობაში, მონაცემები გვიჩვენებს, რომ ადრეული სამედიცინო ჩარევა – როგორც გენდერული დისფორიასა და ზოგად კეთილდღეობაზე ფოკუსირებული შეფასების და მკურნალობის უფრო ფართო მიდგომების ნაწილი – შეიძლება ეფექტური და გამოსადეგი იყოს მრავალი ტრანსგენდერი მოზარდისთვის, რომლებიც ამ მკურნალობას საჭიროებენ.

შეჯამება და კვლევის უსაფრთხოება

მოზარდთა ზრუნვის სტანდარტების განცხადების ფორმულირებისას ასევე გათვალისწინებული იყო სამედიცინო ეთიკა და ადამიანის უფლებების ასპექტები. მაგალითად, შეუქცევადი სქესობრივი მომნიშვნის დაშვება მოზარდებში, რომლებსაც აქვთ გენდერული არაკონფორმულობა/შეუთავსებლობა, არ არის ე.წ. ნეიტრალური აქტი იმის გათვალისწინებით, რომ მას შესაძლოა, ტრანსგენდერ ახალგაზრდაზე მყისიერი და მთელი სიცოცხლის მანძილზე მავნე ზემოქმედება ჰქონდეს (Giordano, 2009; Giordano & Holm., 2020; Kreukels & Cohen-Kettenis, 2011). ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან გამომდინარე, გენდერული მრავალფეროვნების, როგორც ნორმალური და მოსალოდნელი ცვალებადობის გათვალისწინებით, ადამიანის გამოცდილების ფართო მრავალფეროვნების ფარგლებში, მოზარდის უფლებაა საკუთარი ჯანმრთელობისა და ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღოს, და გენდერულ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეს (Amnesty International, 2020).

საკომენტარი დაკვლევა

- 6.1 გაცემთ რეკომენდაციას, რომ ჯანდაცვის სპეციალისტები, რომლებიც გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ:
- 6.1.a- იყვნენ ლიცენზირებული თავიანთი ნორმატიული ორგანოს მიერ და ამ როლის შესაბამის კლინიკურ სფეროში ფლობდნენ მაგისტრის ან უფრო მაღალი ხარისხის დიპლომს ან მის ეკვივალენტს, რომელიც ეროვნული ნორმატიული ორგანოს მიერ არის მინიჭებული;
- 6.1.b- გაიარონ თეორიული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მომზადება და განავითარონ ცოდნა ბავშვის, მოზარდისა და ოჯახის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ;
- 6.1.c- გაიარონ მომზადება და ჰქონდეთ გამოცდილება გენდერული იდენტობის განვითარებისა და ბავშვებისა და მოზარდების გენდერული მრავალფეროვნების საკითხებში, ჰქონდეთ უნარი, შეაფასონ თანხმობის/თანხმობის მიღების უნარი, და ჰქონდეთ ზოგადი ცოდნა მთელი სიცოცხლის მანძილზე გენდერული მრავალფეროვნების შესახებ.
- 6.1.d- გაიარონ მომზადება და გააღრმავონ ცოდნა აუტისტური სპექტრის აშლილობების და სხვა ნეიროგანვითარების შესახებ, ან გენდერულად მრავალფეროვან აუტისტ/ნეირომრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობისას შესაბამის სპეციალისტთან ითანამშრომლონ;
- 6.1.e- გააგრძელონ პროფესიული განვითარება ყველა სფეროში, რომელიც გენდერულად მრავალფეროვან ბავშვებს, მოზარდებს და მათ ოჯახებს ეხება;

- 6.2- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ, ხელი შეუწყონ გენდერის შესწავლას და გამოხატვას ღიად და პატივისცემით ისე, რომ რომელიმე კონკრეტულ იდენტობას უპირატესობა არ მიანიჭონ;
- 6.3- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ, ჩაატარონ იმ მოზარდების ყოვლისმომცველი ბიოფსიქოსოციალური შეფასება, რომლებსაც გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ჩივილები აწუხებთ და სამედიცინო/ქირურგიულ დახმარებას საჭიროებენ და ეს ერთობლივად, მეგობრული გზით განახორციელონ;
- 6.4- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს იმუშაონ ოჯახებში, სკოლებსა და სხვა შესაბამის გარემოში, რათა მოზარდის ქცევისა და იდენტობის გენდერულად მრავალფეროვანი გამოხატვის მიმართ ტოლერანტობას ხელი შეუწყონ;
- 6.5- ჩვენ რეკომენდაციას გავცემთ ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის, რომ მათ არ შესთავაზონ რეპარაციული და კონვერსიული თერაპია, რომელიც მიზნად ისახავს შეცვალოს ადამიანის გენდერი და არსებული გენდერული გამოხატვა, რათა ის დაბადებისას მინიჭებულ სქესს შეესაბამებოდეს;
- 6.6- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებს გულმკერდის შემოკვრას(ბაინდერის ტარება) და სასქესო ორგანოების კონტურების დამალვის შესახებ ინფორმაცია მიანიჭონ, სარგებლისა და რისკების მიმოხილვის ჩათვლით;
- 6.7- ჩვენ ვთავაზობთ სპეციალისტებს, განიხილონ მენსტრუაციის დამორგუნველი აგენტების დანიშვნა მოზარდებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ გენდერის შეუთავსებლობა და რომლებსაც არ სურთ ტესტოსტერონის თერაპია, ან რომლებსაც სურთ, მაგრამ ტესტოსტერონო-თერაპია ჯერ არ დაუწყიათ, ან ტესტოსტერონის თერაპიასთან ერთად დანიშნონ მენსტრუაციის დამორგუნველი აგენტები შუალედური სისხლდენისთვის;
- 6.8- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს შეინარჩუნონ მუდმივი კავშირი გენდერულად მრავალფეროვან და ტრანსგენდერ მოზარდებთან და ნებისმიერ მეურვესთან, რათა სქესობრივი მომნიშვნის დათრგუნვის მკურნალობის, ჰორმონული მკურნალობისა და გენდერთან დაკავშირებული ქირურგიის ხანგრძლივობის განმავლობაში ტრანზიციის მიღწევამდე მოზარდს გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარონ;
- 6.9- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ტრანზიციის დაწყებამდე ჩართონ შესაბამისი დისციპლინები, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სამედიცინო სპეციალისტები, რათა მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, არის თუ არა გენდერულად მრავალფეროვანი და ტრანსგენდერი მოზარდებისთვის სქესობრივი მომნიშვნის დათრგუნვა, ჰორმონების დაწყება ან გენდერთან დაკავშირებული ოპერაცია საუკეთესო არჩევანი და შენარჩუნდება თუ არა შედეგი მთელი კურსის განმავლობაში;
- 6.10- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო ან ქირურგიულ მკურნალობის მსურველ ტრანსგენდერებთან და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ, მკურნალობის დაწყებამდე, ახალგაზრდების პუბერტატული განვითარების კონტექსტში, აცნობონ მათ რეპროდუქციული ეფექტების შესახებ, ნაყოფიერების პოტენციური დაკარგვის ჩათვლით, და ნაყოფიერების შესანარჩუნებლად არსებული ვარიანტების შესახებ;
- 6.11- ჩვენ გავცემთ რეკომენდაციას, რომ როდესაც მოზარდებისთვის მითითებულია გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო ან ქირურგიული მკურნალობა, ჯანდაცვის პროფესიონალებმა, რომლებიც ტრანსგენდერებთან და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ, შეფასების და მკურნალობის პროცესში ჩართონ მშობელი(ები)/მეურვე(ები), თუ მათი ჩართულობა მოზარდისთვის საზიანო ან შეუსაბამო არ არის.
- შემდეგი რეკომენდაციები მოცემულია გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და ქირურგიული მკურნალობის მოთხოვნებთან დაკავშირებით (ყველა მათგანი უნდა დაკმაყოფილდეს):
- 6.12- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებს აფასებენ, პაციენტის მიერ მოთხოვნილ გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო ან ქირურგიულ მკურნალობას რეკომენდაცია მხოლოდ მაშინ გაუწიონ, როდესაც:
- 6.12.a- მოზარდი აკმაყოფილებს გენდერული შეუთავსებლობის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს ICD-11-ის მიხედვით იმ სიტუაციებში, როდესაც დიაგნოზი აუცილებელია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის. იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ აქვთ დანერგილი უახლესი ICD, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ტაქსონომიები, თუმცა ძალისხმევა უნდა იქნას ჩადებული უახლესი ICD-ის გამოსაყენებლად, რაც შეიძლება მალე;
- 6.12.b- გენდერული მრავალფეროვნება/შეუთავსებლობა თვალსაჩინოა და დროთა განმავლობაში შენარჩუნებულია;
- 6.12.c- მოზარდი ავლენს ემოციურ და გონებრივ სიმნიშვნეს, რომელიც მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის/თანხმობის გასაცემად საკმარისია;
- 6.12.d- მოგვარებულია მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელმაც შეიძლება, დიაგნოსტიკის სიცხადეს, თანხმობის უნარს და გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო მკურნალობას ხელი შეუშალოს;
- 6.12.e- მოზარდი ინფორმირებულია რეპროდუქციული ეფექტების, მათ შორის, ნაყოფიერების პოტენციური დაკარგვისა და ნაყოფიერების შენარჩუნების არსებული საშუალებების შესახებ, და ეს განხილულია მისი პუბერტატული განვითარების სტადიის კონტექსტში;
- 6.12.f- მოზარდმა მიაღწია პუბერტატის ტენერის(ტენერის სკალა) მე-2 სტადიას რა დროსაც პუბერტატული დათრგუნვის დაწყება დასაშვებია;
- 6.12.g- მოზარდს ჩატარდა მინიმუმ თორმეტთვიანი გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია, საჭიროების შემთხვევაში, და სასურველი ქირურგიული შედეგის მისაღწევად გენდერის დამადასტურებელი სხვა პროცედურების, მათ შორის, სარძევე ჯირკვლის გადიდება, ორქიექტომია, ვაგინოპლასტიკა, ჰისტერექტომია, ფალოპლასტიკა, მეტოიდოპლასტიკა და სახის ქირურგია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჰორმონოთერაპია არ არის სასურველი ან სამედიცინო თვალსაზრისით არსებობს უკუჩვენება.

დეკლარაციის მოკლე შეჯამება და მოზარდებისთვის სპეციფიკური საკითხები

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები შექმნილია მოზარდობის გენდერული იდენტობის განვითარების შესახებ ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ინფორმაციის, მოზარდობის პერიოდში გენდერის დადასტურების მტკიცებულებებისა და მოზარდობის განვითარების სხვა ეტაპებისგან განმასხვავებელი უნიკალური ასპექტების გათვალისწინებით.

იდენტობის ძიება: მოზარდობის განმსაზღვრელი მახასიათებელია იდენტობის, მათ შორის გენდერული იდენტობის ასპექტების გამყარება. დებულება 6.2 ეხება იდენტობის ძიებას გენდერული იდენტობის განვითარების კონტექსტში. დებულება 6.12.b ითვალისწინებს იმ დროის ხანგრძლივობას, რომელიც საჭიროა ახალგაზრდისთვის, რათა განიცადოს გენდერული მრავალფეროვნების იდენტობა, ან გამოხატოს გენდერული მრავალფეროვნების იდენტობა, ან ორივე ერთად, რათა გენდერის დამადასტურებელ ზრუნვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოს.

თანხმობა და გადაწყვეტილების მიღება: მოზარდობისას თანხმობის გაცემა და გადაწყვეტილების მიღება ინდივიდის ემოციური, გონებრივი და ფსიქოსოციალური განვითარების შეფასებას მოითხოვს. დებულება 6.12.c ემოციურ და შემეცნებით სიმწიფეს პირდაპირ ეხება და შეფასების პროცესის აუცილებელ კომპონენტებს აღწერს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების უნარის შესაფასებლად გამოიყენება.

მშობლების/მეურვეების ჩართულობა: მოზარდები, როგორც წესი, თავიანთ აღმზრდელებზე/მშობლებზე მრავალმხრივ არიან დამოკიდებულნი. ეს მოქმედებს მაშინაც, როდესაც ახალგაზრდა ადამიანი მკურნალობის ვარიანტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს. დებულება 6.11 მეურვის/მშობლის ჩართულობის მნიშვნელობას ეხება და შეფასებასა და მკურნალობაში მათ როლს განიხილავს. არცერთ სახელმძღვანელო მითითებას არ შეუძლია გლობალური მასშტაბით თითოეული ინდივიდუალური გარემოება გაითვალისწინოს.

დეკლარაცია 6.1

ჩვენ გავცემთ რეკომენდაციას, რომ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ:

ა) იყვნენ ლიცენზირებული თავიანთი ნორმატიული ორგანოს მიერ და ამ როლის შესაბამის კლინიკურ სფეროში ფლობდნენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს, რომელიც ეროვნული ნორმატიული ორგანოს მიერ არის მინიჭებული;

ბ) გაიარონ თეორიული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მომზადება და განივითარონ ცოდნა ბავშვის, მოზარდისა და ოჯახის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ;

გ) გაიარონ მომზადება და ჰქონდეთ გამოცდილება გენდერული იდენტობის განვითარებისა და ბავშვებისა და მოზარდების გენდერული მრავალფეროვნების საკითხებში, ჰქონდეთ უნარი, შეაფასონ დასტურის/თანხმობის მიცემის შესაძლებლობა და ჰქონდეთ ზოგადი ცოდნა მთელი სიცოცხლის მანძილზე გენდერული მრავალფეროვნების შესახებ;

დ) გაიარონ მომზადება და გააღრმავონ ცოდნა აუტისტური სპექტრის აშლილობების და სხვა ნეიროგანვითარების გამოვლინებების შესახებ და გენდერულად მრავალფეროვან აუტისტური სპექტრის მქონე ნეიროდივერგენტულ მოზარდებთან მუშაობისას შესაბამის სპეციალისტთან ითანამშრომლონ;

ე) გააგრძელონ პროფესიული განვითარება ყველა სფეროში, რომელიც გენდერულად მრავალფეროვან ბავშვებს, მოზარდებს და მათ ოჯახებს ეხება.

ტკმ მოზარდების და მათი ოჯახების შეფასებისას და მხარდაჭერისას, ექიმებს/ჯანდაცვის სპეციალისტებს (ჯდს) ესაჭიროებათ როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური ცოდნა და მომზადება გენდერულ საკითხებში. ექიმები, რომლებიც მომზადებულნი არიან მოზარდებთან და ოჯახებთან სამუშაოდ, ახალგაზრდებსა და ოჯახებზე ზრუნვისას მოზარდის განვითარებისა და ოჯახის დინამიკის საკითხებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (Adelson et al., 2012; American Psychological Association, 2015;

Hembree. და et al., 2017). ზრუნვის ამ სტანდარტების სხვა თავები უფრო დეტალურად აღწერს ამ კრიტერიუმებს პროფესიონალებისთვის, რომლებიც გენდერულ ზრუნვას უზრუნველყოფენ (იხ. თავი 5 – შეფასება მოზრდილებისთვის; თავი 7 – ბავშვები; ან თავი 13 – ქირურგია და პოსტოპერაციული მოვლა). მოზარდებთან მომუშავე პროფესიონალებმა უნდა გაიგონ, რა არის და რა არ არის ცნობილი მოზარდის გენდერული იდენტობის განვითარებასთან დაკავშირებით და როგორ განსხვავდება ცოდნის ეს ბაზა უფროსებისა და პუბერტატამდელი ასაკის ბავშვების შესახებ არსებული ინფორმაციისგან. ჯანდაცვის სპეციალისტებს შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტს (ფჯს) აქვს ყველაზე შესაფერისი მომზადება და გამოყოფილი კლინიკური დრო, რათა შეფასება ჩაატაროს ტრანსგენდერ ახალგაზრდებთან, მათ შორის გენდერის დამადასტურებელი მედიკამენტური/ქირურგიული ჩარევის მსურველ პირებთან მუშაობისას მკურნალობის პრიორიტეტები და მიზნები განმარტოს. ოჯახის წევრების დინამიკის გაგება და მართვა, რომლებსაც შესაძლოა, ახალგაზრდის ისტორიასა და საჭიროებებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ, მნიშვნელოვანი კომპეტენციაა, რომლის გადასაჭრელადაც ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები ხშირად მზად არიან.

როდესაც შეუძლებელია ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაში მომზადებულ პროფესიონალებთან წვდომა, სამედიცინო პერსონალმა უნდა აიღოს ვალდებულება, გაიაროს ტრენინგი ოჯახის დინამიკისა და მოზარდის განვითარების, მათ შორის გენდერული იდენტობის განვითარების სფეროებში. ანალოგიურად, იმის გათვალისწინებით, რომ აუტისტი/ნეიროდივერგენტული ტრანსგენდერი ახალგაზრდები იმ პაციენტების მნიშვნელოვან უმცირესობას წარმოადგენენ, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით გენდერულ კლინიკებში სერვისებს იღებენ, მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო პერსონალმა გაიაროს დამატებითი ტრენინგი აუტიზმის სფეროში და გააცნობიეროს აუტისტური სპექტრის მქონე გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებზე ზრუნვის უნიკალური ელემენტები (Strang, Meagher et al., 2018). თუ ამ კვალიფი-

კაციის მიღება შეუძლებელია, მაშინ რეკომენდებულია კონსულტაცია და თანამშრომლობა პროვაიდერთან, რომელიც აუტიზმსა და ნეირომრავალფეროვნებაშია სპეციალიზებული.

დაკავშირებული 6.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მუშაობენ, ხელი შეუწყონ გენდერის ძიებასა და გამოხატვას ღიად და პატივისცემით ისე, რომ რომელიმე კონკრეტულ იდენტობას უპირატესობა არ მიანიჭოს.

მოზარდობა არის განვითარების პერიოდი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, რომელიც ხასიათდება ინდივიდუალობით და მშობლებისგან დამოუკიდებლობის მოპოვებით (Berenbaum et al., 2015; Steinberg, 2009). ეს არის პერიოდი, რომლის დროსაც ახალგაზრდები შესაძლოა იდენტობის, მათ შორის გენდერული იდენტობის სხვადასხვა ასპექტებს ეძიებდნენ.

მოზარდები თავიანთი იდენტობის ასპექტების შესწავლისა და მათ მიმართ ერთგულების ხარისხის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდებიან (Meeus et al., 2012). ზოგიერთი მოზარდისთვის იდენტობის სიმყარის მიღწევის ტემპი სწრაფია, ზოგისთვის კი უფრო ნელი. ზოგიერთი მოზარდისთვის ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური განვითარება ხდება ერთსა და იმავე ზოგად ვადებში, ზოგისთვის კი განვითარების ამ ასპექტებს შორის გარკვეული ცდომილებები არსებობს. ანალოგიურად, არსებობს ცვალებადობა გენდერული იდენტობის განვითარების ვადებშიც (Arnoldussen et al., 2020; Katz-Wise et al., 2017). ზოგიერთი ახალგაზრდისთვის გენდერული იდენტობის განვითარება არის მკაფიო პროცესი, რომელიც იწყება ადრეულ ბავშვობაში, ზოგისთვის კი პუბერტატული ცვლილებები ხელს უწყობს პიროვნებისთვის გარკვეული გენდერული იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებას (Steensma, Kreukels et al., 2013), და მრავალი სხვისთვის ეს პროცესი შესაძლოა, პუბერტატული ცვლილებების დასრულების შემდეგაც დაიწყოს. ამ ვარიაციების

გათვალისწინებით, არ არსებობს ერთი კონკრეტული ტემპი, პროცესი ან შედეგი, რომლის ინდივიდუალური პროგნოზირებაც გენდერის დადასტურების მსურველი მოზარდისთვის შესაძლებელი იქნება.

ამიტომ, მოზარდებთან მომუშავე სამედიცინო პერსონალმა ისეთი გარემოს შექმნას უნდა შეუწყოს ხელი, რომელიც ერთდროულად პატივს სცემს მოზარდის დადასტურებულ გენდერულ იდენტობას და ასევე მოზარდს საშუალებას აძლევს, ღიად გაეცნოს გენდერულ საჭიროებებს, მათ შორის სოციალური, სამედიცინო და ფიზიკური გენდერის დამადასტურებელ ინტერვენციებს, ასევე დროთა განმავლობაში მათ ცვლილებასა და განვითარებას.

დასკვნა 6.3

რეკომენდაციას ვაძლევთ გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებთან მომუშავე ჯანდაცვის პროფესიონალებს, ჩაატარონ იმ მოზარდების ყოვლისმომცველი ბიოფსიქოსოციალური შეფასება, რომლებსაც გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ჩივილები აქვს და სამედიცინო/ქირურგიულ დახმარებას საჭიროებენ და ეს ერთობლივად, მეგობრული გზით განახორციელონ.

მოზარდობის პერიოდში იდენტობის მრავალგვარი განვითარების გათვალისწინებით, ჩვენ გირჩევთ გამოიყენოთ ყოვლისმომცველი ბიოფსიქოსოციალური შეფასება, რათა მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები წარმართოთ და შედეგების ოპტიმიზაცია უზრუნველყოთ. ეს შეფასება, მოვლის ინდივიდუალიზაციის საბაზით, მიზნად უნდა ისახავდეს მოზარდის ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, დიაგნოსტიკური პროფილისა და უნიკალური საჭიროებების გაგებას. როგორც 6.1-დებულებაშია აღნიშნული, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებს აქვთ ყველაზე შესაფერისი ცოდნა, გამოცდილება და გამოყოფილი დრო, რომელიც აქ განხილული ინფორმაციის მისაღებადაა საჭირო. შეფასების პროცესს უნდა მივუდგეთ მოზარდთან და მათ აღმზრდელ(ებ)თან ერთად, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად, რაც უფრო დეტალურად

აღწერილია დებულებაში – 6.11. შეფასება უნდა მოხდეს ნებისმიერი სამედიცინო ან ქირურგიული ჩარევის განხილვამდე (მაგ. სქესობრივი მომნიშვნის მახლოკირებელი მედიკამენტები, გენდერის დამადასტურებელი ჰორმონები, ოპერაციები). იხილეთ სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო დებულებები მე-2 თავში – გლობალური გამოყენება, დებულება 2.1; იხილეთ ასევე თავი 12 – ჰორმონული თერაპია და თავი 13 – ქირურგია და პოსტოპერაციული მოვლა.

ახალგაზრდებმა შეიძლება გენდერული იდენტობის განვითარების მრავალნაირი გზა გაიარონ. გენდერის სოციოკულტურული დეფინიციები და გამოცდილება დროთა განმავლობაში განვითარებას აგრძელებს და ახალგაზრდები თავიანთ იდენტობას, გამოცდილებასა და გენდერთან დაკავშირებულ საჭიროებებს სულ უფრო ხშირად ავლენენ (Twist & de Graaf, 2019). მაგალითად, ზოგიერთი ახალგაზრდა მიხვდება, რომ ისინი ტრანსგენდერები, ან უფრო ფართო და მრავალფეროვანი გენდერული იდენტობის მქონე პირები არიან და გადადგამენ ნაბიჯებს, რათა თავი შესაბამისად წარმოადგინონ. ზოგიერთი ახალგაზრდისთვის გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობის მიღება მნიშვნელოვანია, ზოგისთვის კი ეს ნაბიჯები შეიძლება საჭირო არ იყოს. მაგალითად, დროთა განმავლობაში, ძიების პროცესმა შესაძლოა ახალგაზრდას დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებული გენდერული იდენტობა არ განუვითაროს და, შესაბამისად, გენდერთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევა საჭირო არ გახდეს (Arnoldussen et al., 2019).

ყველაზე ძლიერი ხანგრძლივი მტკიცებულება, რომელიც მოზარდებში გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და ქირურგიული მკურნალობის უპირატესობებს უჭერდა მხარს, მოპოვებული იქნა ისეთ კლინიკურ გარემოში, რომლის ზრუნვის პროტოკოლიც გარკვეული დროის განმავლობაში დეტალური და ყოვლისმომცველი დიაგნოსტიკური შეფასების პროცესს ითვალისწინებდა (de Vries & Cohen-Kettenis, 2012; de Vries et al., 2014). ამ კვლევისა და საზოგადოებაში გენდერულად მრავალფეროვანი გამოცდილების მუდმივი

ცვლილების გათვალისწინებით, მოზარდობის პერიოდში ყოვლისმომცველი დიაგნოსტიკური ბიოფსიქოსოციალური შეფასება ერთი მხრივ მტკიცებულებებს ეფუძნება, ხოლო ამავდროულად გადანყვეტილების მიღების პროცესის მთლიანობას ინარჩუნებს. სრული დიაგნოსტიკური პროფილის არარსებობის შემთხვევაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა ერთეულები, რომელთა პრიორიტიზება უნდა მოხდეს და რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ, შესაძლოა, გამოვლენილი არ იყოს. არ არსებობს კვლევები გენდერთან დაკავშირებული სამედიცინო მკურნალობის გრძელვადიანი შედეგების შესახებ იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ყოვლისმომცველი შეფასება არ გაუვლიათ. ამ კონტექსტში მკურნალობას (მაგ. შეზღუდული შეფასება ან შეფასების გარეშე) ემპირიული მხარდაჭერა არ გააჩნია და, შესაბამისად, შეიცავს რისკს, რომ გადანყვეტილება გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო ჩარევების დაწყების შესახებ, დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ახალგაზრდის გრძელვადიან ინტერესებში არ შედიოდეს.

ვინაიდან ჯანდაცვის მიწოდება და სპეციალისტების ხელმისაწვდომობა გლობალურად განსხვავდება, ხშირად არსებული რესურსების ადაპტირებისთვის აუცილებელია შეფასების კონკრეტული პროცესის შემუშავება. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა უფრო გაფართოებული შეფასების პროცესი სასარგებლო იყოს, მაგალითად, ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც უფრო რთული გამოვლინებები (მაგ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ისტორიის გართულება (Leibowitz & de Vries, 2016)) და აუტიზმის სპექტრის ნიშნები (Strang, Powers et al., 2018) აქვთ და/ან რომლებსაც გენდერული შეუთავსებლობის განცდა ბავშვობაში არ ჰქონდათ (Ristori & Steensma, 2016). კონკრეტული პოპულაციისთვის არსებული უნიკალური კულტურული, ფინანსური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, პროვაიდერებმა უნდა შეიმუშაონ შეფასების მოდელები, რომლებიც მოქნილი იქნება და რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდაზე სათანადო დროულ ზრუნვას გახდის შესაძლებელს, რის შედეგადაც შეფასებისას შესაძლებელი იქნება

მოზარდის ძლიერი და სუსტი მხარეების, დიაგნოსტიკური პროფილისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად მოპოვება. ფსიქომეტრულად დადასტურებული ფსიქოსოციალური და გენდერული საზომები ასევე შესაძლოა, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იყოს გამოყენებული.

მულტიდისციპლინური შეფასება ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო/ქირურგიულ ჩარევები ესაჭიროებათ, მოიცავს შემდეგ სფეროებს, რომლებიც შესაბამის დებულებებს შეესაბამება:

- **გენდერული იდენტობის განვითარება:** დებულებები 6.12.a და 6.12.b განიხილავს გენდერული იდენტობის განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს სპეციფიკურ კულტურულ კონტექსტში ტემ მოზარდების შეფასებისას;
- **სოციალური განვითარება და მხარდაჭერა, ინტერსექციურობა:** დებულებები 6.4 და 6.11 განიხილავენ უმცირესობის სტრესის, ოჯახური დინამიკისა და სხვა ასპექტების შეფასების მნიშვნელობას, რომლებსაც სოციალურ განვითარებასა და ინტერსექციურობაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ;
- **შესაძლო თანმხლები ფსიქიკური დაავადებებისა და/ან განვითარების პრობლემების დიაგნოსტიკა:** დებულება 6.12.d ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან ან განვითარებასთან დაკავშირებულ ჩივილებს და ახალგაზრდის გენდერულ იდენტობას/გენდერული მრავალფეროვნების გამოხატვას შორის კავშირის (თუ ის არსებობს) გააზრების მნიშვნელობას განიხილავს;
- **გადაწყვეტილების მიღების უნარი:** განცხადება 6.12.c განიხილავს ახალგაზრდის ემოციური სიმწიფის შეფასებას და შესაბამისობას, როდესაც მოზარდი გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო/ქირურგიულ მკურნალობასთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს.

ფიგურა 6.4

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, იმუშაონ ოჯახებში, სკოლებსა და სხვა შესაბამის გარემოში, რათა მოზარდის ქცევისა და იდენტობის გენდერულად მრავალფეროვანი გამოხატვის მიმართ ტოლერანტობას ხელი შეუწყონ.

მრავალი კვლევა და მასთან დაკავშირებული ექსპერტთა კონსენსუსი მხარს უჭერს იმ მიდგომების განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს გენდერულად მრავალფეროვანი ახალგაზრდების მიღებას და მათ მიმართ ტოლერანტობას ყველა გარემოში, მათ შორის ოჯახებში, სკოლებში, ჯანდაცვის დაწესებულებებში და ყველა სხვა ორგანიზაციასა და საზოგადოებაში, რომლებთანაც ისინი ურთიერთობენ (მაგ., Pariseau et al., 2019; Russell et al., 2018; Simons et al., 2013; Toomey et al., 2010; Travers et al., 2012). მიღება და დადასტურება მიიღწევა მთელი რიგი მიდგომების, ქმედებებისა და პოლიტიკის მეშვეობით, რომლებიც, ჩვენი რეკომენდაციით, უნდა ამოქმედდეს სხვადასხვა ურთიერთობებსა და გარემოში, რომელშიც ახალგაზრდა ადამიანი არსებობს და ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდის ცხოვრებაში ჩართულმა ოჯახის წევრებმა და საზოგადოების წევრებმა ერთობლივად იმუშაონ და გასწიონ ძალისხმევა, თუ მათი ჩართულობა მოზარდისთვის საზიანოდ არ არის მიჩნეული. პარისოს და კოლეგების მიერ (2019) შემოთავაზებული მაგალითები გენდერული მრავალფეროვნების მიმღებლობისა და დადასტურების და იდენტობის გააზრებისა და გამოხატვის შესახებ, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ოჯახის, პერსონალისა და ორგანიზაციების მიერ, მოიცავს:

1. ქმედებებს, რომლებიც ახალგაზრდების გენდერულად გაფართოებულ (მაგ. არაკონფორმულ) აქტივობებში და ინტერესებში ჩართვას უჭერს მხარს;
2. კომუნიკაციებს, რომლებიც მხარს უჭერს ახალგაზრდებს, როდესაც ისინი საკუთარ გამოცდილებებს გამოხატავენ მათი გენდერისა და გენდერის ძიების შესახებ;
3. ახალგაზრდების მიერ მოთხოვნილი სახელის/ნაცვალსახელების გამოყენებას;

4. ახალგაზრდების მიერ იმ სამოსის/ფორმების, ვარცხნილობებისა და ნივთების (მაგ. სამკაულები, მაკიაჟი) გამოყენების მხარდაჭერას, რომლებიც მათ მიერ აღქმულ გენდერს შეესაბამება;
5. პოზიტიურ და მეგობრულ კომუნიკაციას ახალგაზრდებთან მათი გენდერისა და გენდერული ჩივილების შესახებ;
6. განათლებას გენდერული მრავალფეროვნების საკითხებზე ახალგაზრდების ცხოვრებაში (მაგ. ოჯახის წევრების, ჯანდაცვის პროვაიდერების, სოციალური მხარდაჭერის ქსელების), საჭიროებისამებრ, ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან გენდერულად მრავალფეროვანი ახალგაზრდები საზოგადოებაში, სკოლაში, სამკურნალო დაწესებულებებსა და სხვა გარემოებებში;
7. გენდერულად მრავალფეროვანი ახალგაზრდების შესაბამის საზოგადოებებთან (მაგ. ლგბტქ-ჯგუფები, ღონისძიებები, მეგობრები) დაკავშირებას;
8. საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მკურნალობის ვარიანტების განხილვისა და შესწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფას;
9. პოლიტიკას ბულინგის წინააღმდეგ;
10. არაბინარული გამოცდილების ჩართვას ყოველდღიურ ცხოვრებაში, საკითხავ მასალასა და სასწავლო პროგრამებში (მაგ. წიგნების, ჯანმრთელობისა და სექსუალური განათლების გაკვეთილები, ესეების თემები, რომლებიც ბინარულ, ლგბტქ და მსგავს ჯგუფებს სცილდება);
11. გენდერულად ინკლუზიური საშუალებები, რომლებზეც ახალგაზრდებს ადვილად შეუძლიათ წვდომა სხვადასხვა თანატოლებისგან განცალკევების გარეშე (მაგ. სველი წერტილები, გასახდელეები).

ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს იმუშაონ მშობლებთან, სკოლებთან და სხვა ორგანიზაციებთან/ჯგუფებთან, ტგმპირების იდენტობისა და გამოხატვის მიმღებლობაზე და მათ მიმართ ტოლერანტობას ხელი შეუწყონ, იმის

მიუხედავად, განხორციელდება თუ არა სოციალური ან სამედიცინო ინტერვენციები, რადგან მიმღებლობა და ტოლერანტობა დაკავშირებულია ნაკლებ ნეგატიურ ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგებთან და ქცევით სიმპტომებთან და მეტ დადებით ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ქცევით ფუნქციონირებასთან (Day et al., 2015; de Vries et al., 2016; Greytak et al., 2013; Pariseau et al., 2019; Peng et al., 2019; რასელი და სხვები., 2018; Simons et al., 2013; Taliaferro et al., 2019; Toomey et al., 2010; Travers et al., 2012). რასელმა და კოლეგებმა (2018) აღმოაჩინეს, რომ სხვადასხვა გარემოში (მაგ. სახლი, სკოლა, სამსახური და მეგობრები) ფსიქიკური ჯანმრთელობა მეტ მიმღებლობასთან და ტოლერანტობასთან ერთად უმჯობესდება. ოჯახის, თანატოლების და სკოლის პერსონალის მიერ გარიყვა (მაგ. სახელისა და ნაცვალსახელის განზრახ გამოყენება, რომელთანაც ახალგაზრდები არ აიდენტიფიცირებენ თავს, გენდერული იდენტობის არალიარება, ბულინგი, შევიწროება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ცუდი ურთიერთობები, მარგინალიზაცია) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნეგატიურ შედეგებთან, როგორცაა შფოთვა, დეპრესია, სუიციდური აზრები, სუიციდის მცდელობები და ნარკოტიკების მოხმარება (Grossman et al., 2005; Klein & Golub; 2016; Pariseau et al., 2019; Peng et al., 2019; Reisner, Greytak et al., 2015; Roberts et al., 2013). მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ უარყოფითი სიმპტომები უარყოფის დონის მატებასთან ერთად უარესდება და ზრდასრულ ასაკშიც გრძელდება (Roberts et al., 2013).

ასევე დადგენილია, რომ მოზარდთა გენდერული მრავალფეროვნებისა და გენდერის ძიებისადმი ნეიტრალურმა და გულგრილმა დამოკიდებულებამ (მაგ. ბავშვისთვის ნების დართვა, რომ სხვებს თავისი შერჩეული სახელი უთხრას, მაგრამ მასთან მიმართებით ამ სახელის არგამოყენება, ბავშვის არდაცვა, როდესაც ის თანატოლებისგან ან სკოლის პერსონალისგან დისკრიმინაციას განიცდის და საქმეში დამხმარე მექანიზმების (ფსიქოთერაპევტი, ან დამხმარე ჯგუფები) არჩართვამ შესაძლოა, უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, როგორცაა დეპრესიის სიმპტომატიკა (Pariseau et al., 2019). აქედან გა-

ამ თავში ყველა დებულება რეკომენდებულია მტკიცებულებების საფუძვლიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის შეფასების, პროვადერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და უპირატესობების, რესურსების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია და/ან სერვისები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ან სასურველი.

სარეკომენდაციო ღებულებები

- 8.1 – რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, არაბინარულ ადამიანებისთვის უზრუნველყონ ინდივიდუალური შეფასებები და მკურნალობა, რომელიც ადასტურებს მათი გენდერის არაბინარულ გამოცდილებებს;
- 8.2 – რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, განიხილონ გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო ჩარევები (ჰორმონული მკურნალობა ან ოპერაცია) არაბინარული ადამიანებისთვის „გენდერული როლის სოციალური ტრანზიციის“ არარსებობის შემთხვევაში;
- 8.3 – რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, განიხილონ გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული ჩარევები ჰორმონული მკურნალობის არარსებობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა ჰორმონული თერაპია სასურველი ქირურგიული შედეგის მისაღწევად;
- 8.4 – რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, არაბინარულ ადამიანებს ინფორმაცია მიანოდონ ჰორმონული თერაპიის/ოპერაციის გავლენის შესახებ მომავალ ნაყოფიერებაზე და განიხილონ ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები ჰორმონული მკურნალობის დაწყებამდე ან ოპერაციის ჩატარებამდე.

ღებულება 8.1

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, არაბინარული ადამიანებისთვის უზრუნველყონ ინდივიდუალური შეფასებები და მკურნალობა, რაც დაადასტურებს გენდერთან დაკავშირებულ მათ არაბინარულ გამოცდილებებს.

ინდივიდუალური შეფასება არაბინარულ ადამიანთან იწყება იმის გაგებით, თუ როგორ განიცდიან ისინი საკუთარ გენდერს და როგორ აისახება ეს იმ მკურნალობის მიზნებზე, რომლის მიღწევაც სურთ. ის, თუ როგორ გაიაზრებენ ინდივიდები თავიანთ გენდერთან დაკავშირებულ გამოცდილებას, შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფებსა და კულტურაში და შეიძლება მოიცავდეს იდენტობის სხვა ინტერსექციულ ასპექტებთან დაკავშირებულ გამოცდილებებს (მაგ. ასაკი, სექსუალობა, რასა, ეთნიკური წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი) (Kuper et al., 2014; Subramanian et al., 2016).

ჯანდაცვის პროფესიონალებმა თავი უნდა აარიდონ წინასწარი ვარაუდების გამოთქმას ნებისმიერი კლიენტის გენდერული იდენტობის, გამოხატვის ან მკურნალობის საჭიროებასთან დაკავშირებით. მათ ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ კლიენტის გენდერთან დაკავშირებული არაბინარული გამოცდილება შეიძლება იყოს ან არ იყოს რელევანტური შეფასებისა და მკურნალობის მიზნებისთვის. თუ რამდენად არის კლიენტის გენდერი რელევანტური მათი მკურნალობის მიზნებისთვის უნდა განსაზღვრავდეს იმას თუ რამდენად დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული მათი გენდერული იდენტობა. მაგალითად, როდესაც პირი საჭიროებს მკურნალობას

პირველადი სიმპტომებისთვის, რომელიც სრულიად დაუკავშირებელია გენდერთან სახელისა და ნაცვალსახელების სწორად განსაზღვრა შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს (Knutson et al., 2019). ჯანმრთელობის იმგვარი პრობლემის შემთხვევაში, რომლისთვისაც ამჟამინდელი ან წარსულში ჩატარებული ჰორმონული ან ქირურგიული მკურნალობა რელევანტურია, შეიძლება საჭირო გახდეს მეტი დეტალი, მაშინაც კი, თუ საკითხი არ არის კონკრეტულად გენდერთან დაკავშირებული.

კლინიკის გარემო უნდა იყოს კეთილგანწყობილი, ასახავდეს გენდერულ მრავალფეროვნებას და დადასტურებდეს არაბინარული ადამიანების გენდერულ გამოცდილებებს იმისთვის, რომ იყოს კულტურულად კომპეტენტური. როდესაც კლინიკისა და პროვაიდერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (მაგ. ვებსაიტები), ფორმები (მაგ. მიმღების ანკეტა) და სხვა მასალები ინკლუზიურია არაბინარული იდენტობებისთვის და გამოცდილებისთვის, ეს მნიშვნელოვანია, რომ არაბინარული ადამიანები არიან მიღებული და აღიარებული (Hagen & Galupo, 2014). გენდერული იდენტობისა და ნაცვალსახელებისთვის ცარიელი ტექსტის ველების გამოყენება უფრო ინკლუზიურია, ვიდრე პასუხების ვარიანტების გამოყენება. მიმღებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ციფრულ მონაცემთა ბაზებში სამართლებრივი სახელების ჩამონათვალის ალტერნატივების გათვალისწინება (კულტურულ კონტექსტში, სადაც ეს აუცილებელია), გენდერულად ნეიტრალური ტუალეტების მოწყობა და მოსაცდელში სამართლებრივი სახელით გამოძახების ალტერნატივების დაშვება დამატებითი მაგალითებია

ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი (ტგმ) კულტურული კომპეტენტურობისა (Burgwal et al., 2021). სამკურნალო დანებსებულეებში მნიშვნელოვანია რომ იკითხონ, თუ რა სახელების, ნაცვალსახელების და სხვა გენდერთან დაკავშირებულ ტერმინებს ამჯობინებს კონკრეტული ინდივიდი და ისინი გამოიყენონ. გამოკითხვა უნდა მოხდეს როგორც დასაწყისში, ისევე რეგულარულად, რადგან პასუხები შეიძლება შეიცვალოს დროისა და ვითარების მიხედვით.

ჯანდაცვის პროფესიონალებს მოუწოდებენ შეიმუშაონ მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია ძლიერ მხარეებზე და გამძლეობაზე.

სულ უფრო ხშირად ისმის კრიტიკა გენდერთან გამონეულ სტრესზე ჯანდაცვის პროფესიონალების გადაჭარბებული აქცენტის გამო, რადგან, ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, გაზრდილი კომფორტის, სიხარულის და თვითრეალიზებულობის გამოცდილება, რაც შეიძლება მოჰყვეს თვითდადასტურებას და მკურნალობაზე მისანდომობას (Ashley, 2019a; Benestad, 2010). გარდა დიაგნოზების გამოყენებისა, როდესაც/სადაც ეს საჭიროა მკურნალობაზე მისანდომობის ხელშესაწყობად, ჯანდაცვის პროფესიონალებს მოვუწოდებთ, კლიენტებთან ერთად გამოიკვლიონ გენდერთან დაკავშირებული პოტენციური გამოცდილების უფრო ფართო სპექტრი და როგორ შეიძლება იგი ერგებოდეს მკურნალობის ვარიანტებს (Motmans et al., 2019). ყველა ტრანსგენდერი ადამიანისთვის, მდგრადობის ფაქტორები, როგორიცაა მხარდამჭერი ურთიერთობები, მონაწილეობა თემში, რომლებიც მოიცავს სხვა მსგავს ადამიანებს და იდენტობასთან დაკავშირებული სიამაყე აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან ისინი დაკავშირებულია ჯანმრთელობის პოზიტიურ შედეგებთან (Bowling et al., 2019; Budge, 2015; Johns et al., 2018).

მნიშვნელოვანია, პროვაიდერებს გააზრებული ჰქონდეთ იმ ინსტრუმენტების შეზღუდვები, რომლებსაც ისინი ისტორიულად იყენებდნენ ტრანსგენდერი ადამიანების დისფორიის გამოცდილების შესაფასებლად, რადგან ეს შეზღუდვები შეიძლება განსაკუთრებით

გამოხატული იყოს ბევრი არაბინარული ადამიანის შეფასებისას. გენდერთან დაკავშირებული ინსტრუმენტების უმეტესობა ვარაუდობს, რომ კლიენტები თავიანთ გენდერს ბინარულად აღიქვამენ, სხვა პრობლემებთან ერთად (მაგ. „ბავშვობის გახსენებული გენდერული იდენტობის სკალა“, უტრეხტის გენდერული დისფორიის სკალა). მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია რამდენიმე ახალი საზომი არაბინარული ადამიანების გამოცდილების უკეთ ასახვის მიზნით (McGuire et al., 2018; McGuire et al., 2020), ღია დისკუსია, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის დისფორიის უნიკალური გამოცდილებების და მასთან დაკავშირებული ზრუნვის საჭიროებების უფრო ღრმა და ზუსტ გაგებას. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ დიაგნოსტიკური კატეგორიების უახლესი ვერსიები (მაგ., „გენდერული დისფორია“ DSM 5-ში და „გენდერული შეუთავსებლობა“ ICD-11-ში) გამიზნული იყო გენდერის არაბინარული გამოცდილების მქონე ადამიანების ჩართვაზე, ისინი შეიძლება ადეკვატურად არ ასახავდნენ გენდერთან დაკავშირებული სტრესის გამოცდილების მთელ მრავალფეროვნებას და ფარგლებს, განსაკუთრებით არაბინარული ადამიანებისთვის. გარდა იმ სტრესისა რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური სხეულის ასპექტებთან და პრეზენტაციასთან (მათ შორის, ნიშნები, რომლებიც შეიძლება იყოს ან არ იყოს წარმოდგენილი), სტრესი შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, თუ როგორ განიცდის ადამიანი საკუთარ გენდერს, როგორ აღიქმება მისი გენდერი სოციალურ სიტუაციებში, და უმცირესობის სტრესის გამოცდილებიდან, რომელიც დაკავშირებულია გენდერთან. (Winters & Ehrbar, 2010). არაბინარული ადამიანების გამოცდილება თითოეულ ამ სფეროში შეიძლება არ იყოს ტრანსგენდერი კაცებისა და ქალების მსგავსი.

გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის ადამიანზე ორიენტირებული მიდგომა მოიცავს კონკრეტულ დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განსხვავებულმა ინტერვენციებმა შეცვალოს ან არ შეცვალოს კლიენტის კომფორტი საკუთარი გენდერული გამოცდილების მიმართ და როგორ აღიქმება მათი გენ-

დერი სხვების მიერ. არაბინარული ადამიანები შეიძლება წააწყდნენ გამონვევებს თავიანთი პიროვნული იდენტობების არსებულ ხელმისაწვდომ სამედიცინო მკურნალობის ლიმიტებთან შეჯერებისას და ასევე შეიძლება შეეჯახონ საზოგადოების დაბნეულობას და არაშემწყნარებლობას მათი გენდერული გამოხატვის მიმართ (Taylor et al., 2019). ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ არაბინარული ადამიანების სამედიცინო საჭიროებები განსაკუთრებით მრავალფეროვანია. ზოგიერთი მიუთითებს იმგვარი მკურნალობის საჭიროებაზე, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება ისტორიულად ტრანსგენდერი კაცების და ქალებთან დაკავშირებული ტრანზიციების ტრანსფორმაციებთან, ზოგიერთი მიუთითებს ალტერნატიულ მიდგომებზე (მაგ. დაბალი დოზით ჰორმონული თერაპია, ქირურგიული ჩარევა ჰორმონული თერაპიის გარეშე), ზოგი აღნიშნავს სამედიცინო მკურნალობისადმი ინტერესის ნაკლებობას, ზოგი კი აცხადებს, რომ დარწმუნებულნი არ არიან საკუთარ საჭიროებებში (Burgwal & Motmans, 2021; James et al., 2016). შეფასების, როგორც მიმდინარე პროცესის კონცეპტუალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ გენდერთან დაკავშირებული გამოცდილების და მასთან დაკავშირებული საჭიროებების ცვლას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მკურნალობის ვარიანტების მუდმივი ევოლუციისა და მკურნალობის ეფექტების შესახებ ცოდნის გათვალისწინებით, განსაკუთრებით არაბინარული ადამიანებისთვის, კლიენტები მოგებული დარჩებიან იმ პროვაიდერებთან ურთერთობით, რომლებიც რეგულარულად ცდილობენ მიიღონ განახლებული ცოდნა და უზიარებენ ამ სიახლეებს თავიანთ კლიენტებს.

დასკვნები 8.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, განიხილონ გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო ჩარევები (ჰორმონული მკურნალობა ან ოპერაცია) არაბინარული ადამიანებისთვის „გენდერული როლის სოციალური ტრანზიციის“ არარსებობის შემთხვევაში.

ჰორმონულ მკურნალობასა და ქირურგიულ ჩარევაზე წვდომის წინაპირობები, როგორცაა „გენდერული როლით ცხოვრება, რომელიც შეესაბამება ადამიანის გენდერულ იდენტობას“, არ ასახავს მრავალი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანის რეალურ გამოცდილებას (Coleman et al., 2012). თანამედროვე დასავლურ კულტურებში გენდერული ბინარულობის ფესვგადმული ხასიათის გამო, ჩვეულებრივ, კონტექსტების უმეტესობაში ადამიანი აღიქმება კაცად ან ქალად (ბატლერი, 1993). აქედან გამომდინარე, არაბინარული განსახიერებების და გამოხატვების ხილვადობა და გაგება შეზღუდულია. ეს გამონვევულია იმიტომ, რომ გენდერზე დაფუძნებული სიგნალები თითქმის ყოველთვის აღიქმება გენდერულ ბინარულობის ჩარჩოში (Butler, 1993). ამჟამად, არაბინარული ადამიანებისთვის შეიძლება რთული იყოს მათი გენდერის სარწმუნო აღიარება გენდერულ გამოხატვასთან დაკავშირებული ვიზუალური ნიშნების საფუძველზე (მაგ., ტანსაცმელი, თმა). თუმცა, ანდროგინიის ან გენდერული არაკომფორტულობის გადმოცემა შესაძლებელია ტრადიციულად მასკულინური ან მდედრობითი მნიშვნელობების მქონე კულტურული მარკერების შერევით ან კომბინირებით. იმის გამო, რომ არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული „არაბინარული კატეგორია“ თანამედროვე დასავლური, გლობალური ჩრდილოეთის კულტურული კონტექსტების უმეტესობაში, არაბინარული ხილვადობა ხშირად მოითხოვს საკუთარი გენდერის აშკარა გამოყვანებას სხვებთან ან ისეთი ნიშნების გამოყენებას, რომლებიც შეიძლება განიმარტოს, როგორც გენდერული არაკონფორტულობა (მაგრამ არა აუცილებლად არაბინარული).

ამ მიზეზთა გამო, სამედიცინო ზრუნვაზე ხელმისაწვდომობის კონცეპტუალიზაცია იმ ადამიანის კონტექსტში, რომელიც გადის „გენდერულ სოციალურ ტრანზიციას“, როდესაც ისინი „ცხოვრობენ გენდერულ როლში, რომელიც შეესაბამება ადამიანის გენდერულ იდენტობას“, არ შეესაბამება იმას, თუ როგორ ესმის ბევრ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანს საკუთარი თავი

და პირადი ტრანზიციის პროცესი. ზოგიერთისთვის „გენდერული როლით ცხოვრება, რომელიც შეესაბამება გენდერულ იდენტობას“ არ გულისხმობს სახელის, ნაცვალსახელების ან გენდერის გამოხატვის ცვლილებას, თუნდაც სამედიცინო ჩარევა იყოს საჭირო. მაშინაც კი, თუ ადამიანს შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც შეესატყვისება მის გენდერულ იდენტობას, გარე დამკვირვებლისთვის შეიძლება რთული იყოს ამის შეფასება, სანამ უშუალოდ ამ ადამიანისგან არ შეიტყობს, თუ როგორ ესმის საკუთარი გამოცდილება ამ კუთხით. გენდერის დადასტურების მკურნალობის (როგორცაა ჰორმონული თერაპია და ოპერაცია) მიღების უფლების განხილვისას „გენდერული სოციალური ტრანზიციის“ მოლოდინი შეიძლება არასახარბიელო აღმოჩნდეს, ხოლო ხისტი მოლოდინი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს „გენდერული სოციალური ტრანზიციის“ შესაძლოა იქცეს ბარიერად არაბინარული ადამიანების მკურნალობისთვის. არ არსებობს ლოგიკა იმ მოთხოვნაში, რომ გენდერის დადასტურებელი სამედიცინო ჩარევა დასაშვებია იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირი ოფიციალურად შეიცვლის სახელს, შეცვლის გენდერის მარკერს პირადობის დადასტურებელ დოკუმენტებში ან ატარებს, ან თავს იკავებს გარკვეული ტანსაცმლის ტარებისგან. არაბინარულ ადამიანებს შეიძლება უჭირდეთ მიაღწიონ მათი გენდერის აღიარებას ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან კეთილდღეობაზე (Goetz & Arcomano, 2021). ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები შეიძლება სარგებლობდნენ კონკრეტული მხარდაჭერით, რათა მოიპოვონ (ან შეინარჩუნონ) მათ მიერ არჩეული გენდერის მარკერზე წვდომა. მოთხოვნა, რომ ვინმემ გაამჟღავნოს თავისი გენდერული იდენტობა მათი ცხოვრების ყველა სფეროში (ოჯახი, სამუშაო, სკოლა და ა.შ.), რათა მიიღონ სამედიცინო დახმარება, შეიძლება არ შეესაბამებოდეს მათ მიზნებს და საფრთხეში ჩააგდოს ისინი, როდესაც ამის გაკეთება უსაფრთხო არ არის.

დეკლარაცია 8.3

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, განიხილონ გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული ჩარევები ჰორმონული მკურნალობის არარსებობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა ჰორმონული თერაპია სასურველი ქირურგიული შედეგის მისაღწევად.

„ოპერაციამდე ჰორმონების გამოყენება“ ქირურგიული ჩარევების სპექტრში ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ზოგიერთი არაბინარული ადამიანი ეცდება ჩაიტაროს გენდერის დამადასტურებელი ქირურგიულ მკურნალობა, რათა შეამსუბუქოს გენდერული შეუთავსებლობა და გაზარდოს სხეულით კმაყოფილება (Beek et al., 2015; Burgwal & Motmans, 2021; Jones et al., 2019; Koehler et al., 2018), მაგრამ შესაძლებელია, მათ არ სურდეთ ჰორმონული მკურნალობა ან არ შეეძლოთ მისი გავლა სხვა სამედიცინო მიზეზების გამო (Nieder, Eyssel et al., 2020). ამჟამად უცნობია არაბინარული ადამიანების რა ნაწილზე ვრცელდება ეს ვარიანტები. ალბათ ოპერაცია, რომელსაც აქვს რაიმე სპეციფიკური კავშირი არაბინარულ ადამიანებთან ეს არის მასტექტომია არაბინარულ ადამიანებში, რომლებიც დაბადებისას განისაზღვრნენ მდედრობითად (AFAB) და რომლებიც არ იღბდნენ ტესტოსტერონს – თუმცაღა ტესტოსტერონი არ არის აუცილებელი ამ ტიპის ოპერაციისთვის და ზოგიერთ არაბინარულ ადამიანს, რომლებიც დაბადებისას განისაზღვრნენ მდედრობითად (AFAB) შეიძლება დასჭირდეს მკერდის დაპატარავება (McTernan et al., 2020). ოპერაციის მაგალითი, რომლისთვისაც შესაძლოა საჭირო გახდეს სულ მცირე დროებითი ჰორმონული თერაპია არის მეტოიდოპლასტიკა, რომელიც აძლიერებს ტესტოსტერონის თერაპიის შედეგად წარმოქმნილ გადიდებულ კლიტორს. უფრო დეტალურად იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ჰორმონული თერაპია სხვადასხვა ოპერაციებისთვის, იხილეთ თავი 13 – ქირურგია და პოსტოპერაციული ზრუნვა. პროცედურები, რომლებიც ეხება შიდა რეპროდუქციულ სისტემას, მოიცავს ჰისტერექტომიას, ცალმხრივ ან ორმხრივ სალპინგო-ოოფორექტომიას და ვაგინექტომიას.

ჰორმონული თერაპია აუცილებელი არ არის რომელიმე ამ პროცედურისთვის, მაგრამ ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია (ესტროგენებით, ტესტოსტერონით ან ორივე ერთად) მიზანშეწონილია იმ პირებში, რომლებსაც უტარდებათ ტოტალური გონადექტომია გულ-სისხლძარღვთა და კუნთოვან სისტემებზე არასასურველი ეფექტების თავიდან ასაცილებლად (Hembree et al., 2017; Seal, 2017). მართალია ფალოპლასტიკისთვის არ არსებობს ქირურგიული საჭიროება, რომ პირმა გაიაროს ტესტოსტერონის მკურნალობის მინიმალური პერიოდი, მაგრამ ვირილიზაციამ (ან ვირილიზაციის არარსებობამ) კლიტორისა და მცირე სასქესო ბაგეებზე ქირურგიული ჩარევის ტექნიკასა და ვარიანტების არჩევანზე შეიძლება მოახდინოს გავლენა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 13 – ქირურგია და პოსტოპერაციული მოვლა.

არაბინარულ კლიენტებს, რომლებიც დაბადებისას განისაზღვრენ მამრობითი სქესის მქონედ (AMAB), უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესტროგენით თერაპიის წინააღმდეგობის არსებობისას ოპერაციის შემდეგ ესტროგენოთერაპიის დაწყებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს (შესაძლოა უარყოფითად) ქირურგიულ შედეგზე (Kanhai, Hage, Asscheman et al., 1999; Kanhai, Hage, Karim et al., 1999 წ.). არაბინარული ადამიანები, რომლებიც დაბადებისას მამრობითი სქესის მქონედ განისაზღვრენ (AMAB), და რომლებიც ითხოვენ ორქიექტომიას, არ საჭიროებენ ესტროგენულ თერაპიას უკეთესი შედეგის მისაღწევად (Hembree et al., 2017). ამ კონტექსტში კარგი პრაქტიკაა კლიენტების ინფორმირება ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის რისკებისა და სიკეთეების შესახებ (ესტროგენები, ტესტოსტერონი ან ორივე ერთად) გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელ სისტემაზე არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ასევე ალტერნატიული მკურნალობის ვარიანტების შესახებ, როგორც კალციუმის და D-ვიტამინის დანამატი ოსტეოპოროზის თავიდან ასაცილებლად (Hembree et al., 2017; Seal, 2017; Weaver et al., 2016). მათთვის, ვინც ამჯობინებს, უარი თქვას ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიაზე იხილეთ თავი 9 – ევენუქები. ვაგინოპლასტიკის შემთხ-

ვევაში, ინდივიდებს უნდა მიეცეთ რჩევა, რომ ტესტოსტერონის დამბლოკავი თერაპიის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს პოსტოპერაციული თმის ზრდა საშოში, როდესაც გამოიყენება თმიანი კანის ანათალი და ნიმუშები (Giltay & Gooren, 2000).

დამატებითი ქირურგიული საჭიროებები არაბინარული ადამიანებისთვის, რომლებიც დაბადებისას მამრობითი სქესის მქონედ განისაზღვრენ (AMAB), მოიცავს პენისის შემანარჩუნებელ ვაგინოპლასტიკას, ვაგინოპლასტიკას სათესლე ჯირკვალ(ებ)ის შენარჩუნებით და პროცედურებს, რომლებიც ინვევს გარეგანი პირველადი სასქესო მახასიათებლების არარსებობას (მაგ. პენექტომია, სკროტექტომია, ორქიექტომია და ა.შ). ქირურგს და ინდივიდს, რომელსაც სურს მკურნალობის მიღება, ურჩევნ ჩაერთონ დისკუსიებში, რათა გაიგონ პიროვნების მიზნები და მოლოდინები, ასევე დაგეგმილი (ან მოთხოვნილი) პროცედურის სარგებელი და შეზღუდვები, მიიღონ გადაწყვეტილებები ინდივიდუალურ საფუძველზე და ითანამშრომლონ სხვა ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებთან რომლებიც საქმეში ჩართულნი არიან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

წიგნული 8.4

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, მიაწოდონ ინფორმაცია არაბინარულ ადამიანებს მომავალ ნაყოფიერებაზე ჰორმონული თერაპიის/ოპერაციის გავლენის შესახებ და განიხილონ ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები ჰორმონული მკურნალობის დაწყებამდე ან ოპერაციის ჩატარებამდე.

ყველა არაბინარულ ინდივიდს, რომელსაც სურს გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის გავლა, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია და რეკომენდაციები ნაყოფიერების ვარიანტების შესახებ (Hembree et al., 2017; De Roo et al., 2016; Defreyne, Elaut et al., 2020; Defreyne, van Schuvenbergh et al., 2020; Nahata და სხვ., 2017; Queen და სხვ., 2021). მკურნალობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია ნაყოფიერებაზე ჰორმონული თერაპიის პოტენციური

გავლენის განხილვა. ეს განხილვა უნდა მოიცავდეს ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტებს, რამდენად შეიძლება ნაყოფიერების აღდგენა ჰორმონული თერაპიის შეწყვეტის შემდეგ და იმ ფაქტს, რომ ჰორმონული თერაპია თავისთავად არ არის კონტრაცეფცია. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 16 – რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

უახლესი კვლევები იძლევიან ვარუდის საფუძველს, რომ ნაკლებ ალბათურია, არაბინარულ ინდივიდებს ჰქონდეთ წვდომა ზრუნვაზე, ან რომ პოტენციური ჩარევების შესახებ მათ საჭიროებებს მოისმენენ (Beek et al., 2015; Taylor et al., 2019). როგორც ასეთი, გონივრულია, რომ ნებისმიერ გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდს მიენოდოს ინფორმაცია ნაყოფიერების შენარჩუნების თანამედროვე ვარიანტებსა და

მეთოდებზე, იდეალურ შემთხვევაში ჰორმონული მკურნალობის დაწყებამდე, რადგან ჰორმონების ზემოქმედებამ სპერმის ან კვერცხუჯრედის ხარისხზე შეიძლება იქონიოს გავლენა (Hamada et al., 2015; Payer et al., 1979). თუმცა, ეს არანაირად არ უნდა გამორიცხავდეს გამოკითხვის ჩატარებას და შემდგომში მეტი ინფორმაციის მოძიებას, რადგან არსებობს მტკიცებულება, რომ ნაყოფიერება შეიძლება შენარჩუნდეს იმ პირებისთვის, რომლებიც იღებენ ესტროგენს და ტესტოსტერონს (Light et al., 2014). არაბინარული ან გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნაყოფიერების შენარჩუნება ან კონსულტაცია არ არის საჭირო, არ უნდა გამოიყენონ როგორც ჰორმონულ მკურნალობაზე წვდომის უარყოფის ან შეფერხების საფუძველი.

თავი 9. ევნუქები

უამრავ ადამიანს შორის, ვინც სარგებლობს გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მომსახურებით, ევნუქებად იდენტიფიცირებული ადამიანების ხილვადობა ყველაზე დაბალია. ზრუნვის სტანდარტების მე-8 ვერსია მოიცავს დისკუსიას ევნუქი ინდივიდების შესახებ მათი უნიკალური თვითგამოხატვისა და გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის სამედიცინო საჭიროების გამო (იხ. თავი 2 – გლობალური გამოყენება, დებულება 2.1).

ევნუქები არიან ინდივიდები, რომლებსაც დაბადებისას მიენიჭათ მამრობითი სქესი (AMAB) და სურთ აღმოფხვრან მასკულინური ფიზიკური თვისებები, მასკულინური სასქესო ორგანოები და მათი ფუნქციონირება. აგრეთვე, ევნუქები არიან ადამიანები, რომელთაც სათესლე ჯირკვლებიც ამოღებულია ქირურგიული გზით ან გახდა უფუნქციო ქიმიური ან ფიზიკური საშუალებებით და რომლებიც იდენტიფიცირდებიან ევნუქებად. ეს ტერმინი იდენტობაზე დაფუძნებულია მათთვის, ვინც ირჩევს ამ ტერმინს და ის არ მოიცავს სხვებს, მაგალითად, კაცებს, რომლებმაც ჩაიტარეს გვიანი სტადიის პროსტატის კიბოს მკურნალობა და არ სურთ ევნუქად იწოდებოდნენ. ჩვენ აქ ყურადღებას ვამახვილებთ მათზე, ვინც თავს აიდენტიფიცირებს ევნუქად და ხვდება გენდერული მრავალფეროვნების ქოლგის ქვეშ.

როგორც სხვა გენდერულად მრავალფეროვანი პირების შემთხვევაში, ევნუქებსაც შეიძლება სურდეთ კასტრაცია, რათა მათი სხეულები უკეთ შეესაბამებოდეს მათ გენდერულ იდენტობას. როგორც ასეთი, ევნუქები არიან გენდერულად არაკონფორმული ინდივიდები ისეთი საჭიროებებით, რომელსაც გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო ზრუნვა სჭირდება (Brett et al., 2007; Johnson et al., 2007; Roberts et al., 2008). მრავალი ევნუქი ინდივიდი საკუთარ გენდერულ იდენტობას სხვადასხვა გზით განსაზღვრავს. ბევრი ევნუქი ინდივიდი მიიჩნევს, რომ ევნუქის სტატუსი გამოარჩევს მათ გენდერულ იდენტობას სხვა გენდერული, ან ტრანსგენდერული კუთვნილების გარეშე. ამ თავში ყურადღება ვამახვილებულია იმ პირებზე, მათ მკურნალობასა

და ზრუნვაზე, ვინც ევნუქად იდენტიფიცირდება. ჯანდაცვის პროფესიონალები პრაქტიკაში ხვდებიან ევნუქებს, რომლებიც ითხოვენ ჰორმონულ ჩარევას, კასტრაციას, ან ორივეს, რათა გახდნენ ევნუქები. ამ ინდივიდებმა შესაძლოა ისარგებლონ ევნუქების თემში ყოფნით იდენტიფიკაციის საფუძველზე – ფაქტობრივი კასტრირებით ან მის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ევნუქების 4000-წლიანი ისტორია არსებობს, თანამედროვე ევნუქებად იდენტიფიცირებული ადამიანების შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია გვხვდება დიდ ონლაინ თანასწორთა მხარდაჭერის თემში, რომელიც იკრიბება ისეთ საიტებზე, როგორცაა 1998 წელს დაარსებული ევნუქების არქივი (www.eunuch.org). ამ საიტის მოდერატიორები ცდილობენ შეინარჩუნონ როგორც სამედიცინო, ასევე ისტორიული სიზუსტე სადისკუსიო ფორუმებზე, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული დეზინფორმაციაც. ვებსაიტის მიხედვით, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, საიტი აერთიანებდა 130,000-ზე მეტ რეგისტრირებულ წევრს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და ხშირად იმ პირთა 90%-ზე მეტი, ვინც კითხულობს საიტს, არიან „სტუმრები“ და არა წევრები. ვებსაიტზე ჩამოთვლილია 23000-ზე მეტი თემა და თითქმის 220,000 პოსტი. მაგალითად, ორი თემატურ ხაზიდან, სადაც მოცემულია ინსტრუქციები თვითკასტრაციისთვის სხვადასხვა ტოქსინების პირდაპირ სათესლე ჯირკვლებში ინექციის გზით, თითოეულს აქვს დაახლოებით 2500 პოსტი და თითოეული ნაკითხულია მილიონზე მეტჯერ. 2001 წლიდან მოყოლებული, მინეაპოლისში ჩატარდა ევნუქების საარქივო საზოგადოების მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო შეკრება, გარდა სხვა მრავალი რეგიონალური შეკრებისა. მიუხედავად იმისა, რომ კასტრაციის თემა აინტერესებს დისკუსიებში მონაწილე ადამიანთა დიდ უმრავლესობას, წევრთა უმცირესობას ჩატარებული აქვს ან სერიოზულად სურს, რომ ჩაიტაროს კასტრაცია. ევნუქების არქივის ბევრმა ყოფილმა წევრმა მიაღწია თავის მიზნებს და აღარ მონაწილეობს გაერთიანების აქტივობებში.

ისტორიული ევნუქების შესახებ მცდარი წარმოდგენებისა და წინარწმენების, თანამედ-

როვე ევნუქების უხილავობის და სოციალური სტიგმის გამო, რომელიც გავლენას ახდენს ყველა გენდერულ და სექსუალურ უმცირესობაზე, მცირეა იმ ევნუქთა რიცხი, რომლებიც საჯაროდ იდენტიფიცირდება ევნუქად. უმეტესობა არავის ეუბნება და მხოლოდ თანამოაზრეებს უზიარებს ონლაინ თემში ან მხოლოდ ოჯახმა და ახლო მეგობრებმა იციან მათი ევნუქობის შესახებ (Wassersug & Lieberman, 2010). ევნუქების შესახებ სტერეოტიპები ხშირად ძალიან ნეგატიურია (ლიბერმანი 2018) და ევნუქები ისევე იტანჯებიან უმცირესობის სტრესით, როგორც სხვა სტიგმატიზებული ჯგუფები (Wassersug & Lieberman, 2010). ამდენად, უმცირესობის სტრესის კვლევა, რომელიც გავლენას ახდენს გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე, უნდა მოიცავდეს ევნუქებსაც.

რეკომენდაციების ამჟამინდელი ნაკრები განკუთვნილია პროფესიონალებისთვის, რომლებიც მუშაობენ ევნუქებად იდენტიფიცირებულ ინდივიდებთან (Johnson & Wassersug, 2016; Vale et al., 2010), რომლებიც ითხოვენ სამედიცინოდ აუცილებელ გენდერის დამადასტურებელ და/ან ქირურგიულ მკურნალობას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კონკრეტული სადიაგნოსტიკო კატეგორია დაავადებათა კლასიფიკაციაში ან ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში, ევნუქი სასარგებლო ტერმინია, რადგან ის საუბრობს ევნუქების გამოცდილების სპეციფიკაზე და ასევე, აკავშირებს მას უფრო ფართო გენდერული შეუთავსებლობის გამოცდილებასთან. ევნუქი ინდივიდები კლინიკურად სხვადასხვაგვარად წარმოაჩენენ საკუთარ თავს. მათ სურთ ჰქონდეთ სხეული, რომელიც თავსებადია მათ ევნუქის იდენტობასთან – სხეული, რომელსაც არ აქვს სრულფასოვნად ფუნქციური კაცის სასქესო ორგანოები. ზოგიერთი სხვა ევნუქი განიცდის მწვავე დისკომფორტს მამრობითი სასქესო ორგანოების გამო და საჭიროა მათი ამოღება, რათა თავი კომფორტულად იგრძნონ საკუთარ სხეულში (ჯონსონი და სხვ., 2007; რობერტსი და სხვ., 2008). სხვებს არ აღლვებთ კაცის გარე სასქესო ორგანოები თუ ისინი მხოლოდ ფიზიკურად არიან წარმოდგენილი და არ აწარმოებენ ანდროგენებს და კაცის მეორად

სქესობრივ მახასიათებლებს (Brett et al., 2007). ჰორმონული საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ანდროგენების წარმოების ჩასახშობად, თუმცა ორქიექტომია მუდმივი გამოსავალია მათთვის, ვისაც არ სურს გენიტალური ფუნქციონირება (Wibowo et al., 2016). ზოგიერთ ევნუქს სურს ორქიექტომიით მიღწეული ტესტოსტერონის დაბალი დონე, მაგრამ ბევრი ირჩევს ჰორმონის ჩანაცვლებას, რათა თავიდან აიცილოს ჰიპოგონადიზმთან დაკავშირებული გვერდითი ეფექტები. უმეტესობა, ვინც არჩევს ჰორმონულ თერაპიას, ირჩევს ტესტოსტერონის სრული ან ნაწილობრივი ჩანაცვლების დოზას. უფრო მცირე რაოდენობა ირჩევს ესტროგენს.

ამ თავში ყველა დებულება რეკომენდებულია მტკიცებულებების საფუძვლიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის, პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და უპირატესობების, რესურსების გამოყენებისა და განხორციელებადობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია და/ან მომსახურებები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ან სასურველი.

დასკვნები 9.1

ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს და ზრუნვის სტანდარტების მე-8 ვერსიის გაიდლაინების სხვა მომხმარებლებს, გამოიყენონ რეკომენდაციები ისე, რომ დააკმაყოფილონ ევნუქების საჭიროებები.

ევნუქები არიან გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების პოპულაციის ნაწილი, რომლებიც განიცდიან გენდერულ შეუსაბამობას და ასევე შეიძლება სურდეთ გენდერის დამადასტურებელი ზრუნვის მიღება. ისევე როგორც სხვა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდებს, ევნუქებს ესაჭიროებათ ხელმისაწვდომობა გენდერის დამადასტურებელ მკურნალობაზე, რათა კომფორტულად იგრძნონ თავი საკუთარ გენდერულ მესთან. ზრუნვის სტანდარტის თითოეული ნაწილი ეძღვნება განსხვავებული ინდივიდების საჭიროებებს და ევნუქები შეიძლება შედიოდნენ ამ ჯგუფში. მათ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ზოგიერთ არაბინა-

სარეკომენდაციო ღონისძიებები

- 9.1- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს და ზრუნვის სტანდარტების მე-მ ვერსიის სხვა მომხმარებლებს, გამოიყენონ რეკომენდაციები ისე, რომ დააკმაყოფილონ ევნუქების საჭიროებები;
- 9.2- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, განიხილონ სამედიცინო ჩარევა, ქირურგიული ჩარევა ან ორივე მათგანი ევნუქებისთვის, როდესაც არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მკურნალობის შეწყვეტა ზიანს მიაყენებს ინდივიდებს თვითოპერაციით, არაკვალიფიციური პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული ქირურგიით ან იმ მედიკამენტების უკონტროლო გამოყენებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჰორმონებზე;
- 9.3- ჩვენ რეკომენდაციაა, რომ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც მკურნალობისთვის ევნუქების შეფასებას მიმართავენ, ავლენდნენ კომპეტენციას მათი შეფასებისთვის;
- 9.4- ჩვენ ვთავაზობთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომ მათ მიერ ევნუქების მკურნალობა მოიცავდეს სექსუალურ განათლებას და ფსიქოთერაპიას.

რულ ინდივიდთან, რადგან სოციალური ტრანზიციის შეიძლება არ იყოს სასურველი ვარიანტი და ჰორმონულმა თერაპიამ შეიძლება არ შეასრულოს იგივე როლი, რასაც ის ასრულებს ბინარულობის ფარგლებში ტრანზიციისას ან სოციალურ ტრანზიციისას (Wassersug & Lieberman, 2010).

სხვა გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდების მსგავსად, ევნუქებმა შეიძლება თავიანთი იდენტობის შესახებ ბავშვობიდან ან მოზარდობიდან იცოდნენ. კვლევის ნაკლებობის გამო, იმ ბავშვების მკურნალობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა იდენტიფიცირდნენ ევნუქებად, ჩვენ თავს ვიკავებთ კონკრეტული რჩევების გაცემისგან.

ევნუქებმა შეიძლება მიმართონ სამედიცინო ან ქირურგიულ ზრუნვას (ჰორმონის დათრგუნვა, ორქიექტომია და, ზოგიერთ შემთხვევაში, პენექტომია) ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ცვლილებების მისაღწევად (Wassersug & Johnson, 2007). მნიშვნელოვანია, რომ ყველა პაციენტმა, მათ შორის ევნუქებმა და კასტრირების მსურველებმა, ჯანდაცვის პროფესიონალთან დაამყარონ და შეინარჩუნონ ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებული იქნება ნდობასა და ურთიერთგაგებაზე. მთელ სამედიცინო საზოგადოებაში ევნუქების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო და კასტრაციის მსურველების შიშის გამო, რომ მათ არ მიიღებენ, ბევრი ვერ იღებს სათანადო პირველად სამედიცინო ზრუნვას და დიაგნოსტიკურ ანალიზებს (Jaggi et al., 2018). სამედიცინო პროვაიდერებს შორის გაზრდილი ცნობიერება და განათლება ხელს შეუწყობს გენდერული მრავალფეროვნების დისკუსიებში ევნუქების ჩართვის საჭიროების შესახებ მეტ ინფორმირე-

ბულობას (Deutsch, 2016a). ცხადია, ევნუქები მოითხოვენ და იმსახურებენ იგივე პირველად სამედიცინო ზრუნვას, რომლითაც ზოგადი პოპულაცია სარგებლობს. კიბოს დიაგნოსტიკური ანალიზების საკითხი, როგორცაა პროსტატისა და სარძევე ჯირკვალი, მნიშვნელოვანი სფეროა განხილვისთვის, რადგან ჰორმონული კიბოს რისკი, სავარაუდოდ, განსხვავებულია დაბადებისას მამრობითი სქესის მქონედ განსაზღვრული პირებისთვის, რომელთა ტესტოსტერონისა და ესტროგენის დონე არ არის კაცებისთვის დამახასიათებელ დიაპაზონში. ევნუქთა საერთო რაოდენობაში ჰორმონთან დაკავშირებული კიბოს შემთხვევებისა და გავრცელების შესახებ კვლევების ნაკლებობის გამო, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად ხშირად უნდა მოხდეს ჰორმონთან დაკავშირებული კიბოს სკრინინგის ფარგლებში პროსტატის შემოწმება, პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის გაზომვებით, მამოგრაფიით და ა.შ.

სამედიცინო ან ქირურგიული გზით კასტრირებული პროსტატის კიბოს პაციენტების შესახებ ფართო ლიტერატურა გვანვდის ინფორმაციას პუბერტატის შემდგომი კასტრაციის ზოგიერთი ეფექტის შესახებ (როგორცაა პოტენციური ოსტეოპოროზი, დეპრესია ან მეტაბოლური სინდრომი), მაგრამ ნებაყოფლობითმა ევნუქებმა სამედიცინო მიზეზების გამო კასტრირებულთაგან ძალზე განსხვავებულად შეიძლება განმარტონ შედეგები. ქიმიური ან ქირურგიული კასტრაცია შეიძლება გახდეს სტრესის წყარო პროსტატის კიბოს მქონე სისგენდერი კაცებისთვის, ხოლო იგივე მკურნალობა შეიძლება იყოს ვალიდაციის და კომფორტის წყარო ევნუქებისთვის. ანალოგიურად, ტრანსმასკულინურ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი სხე-

ულებით კმაყოფილებისთვის აქვთ მასტექტომია ჩატარებული, ამ ოპერაციას იმ ქალებისგან განსხვავებულად განიცდიან, რომლებიც მასტექტომიას იტარებენ ძუძუს კიბოს სამკურნალოდ (Koçan & Gürsoy, 2016; van de Griff et al., 2016). პროსტატის კიბოს შესახებ ინფორმაცია კარგად არის შეჯამებული უასერსაგის და სხვების მიერ (2021), რომლებიც იშველიებენ წყაროებს ამ თემაზე არსებული დიდი ლიტერატურიდან. ასეთი ინფორმაცია კასტრაციის შედეგების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, ვისაც სურს კასტრაცია.

ზრუნვის სტანდარტების მე-8 ვერსიის საფუძველზე შეფასების შემდეგ, შესაძლებელია პაციენტის მიერ გაკეთებული სამედიცინო არჩევანის განხილვა და შესაბამისი ზრუნვის დანიშვნა საჭიროების შემთხვევაში. ეს ვარიანტები შეიძლება მორგებული იყოს ინდივიდზე, რათა შეიქმნას გეგმა, რომელიც ასახავს მათ სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრეფერენციებს. გამოყენებული ინტერვენციების რაოდენობა და სახეობა და მათი ჩატარების თანმიმდევრობა შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში. ეს ვარიანტები შეესაბამება ზრუნვის სტანდარტების მე-8 ვერსიის შეფასების და ქირურგიის თავებს. ევნუქებისთვის ხელმისაწვდომი მკურნალობის ვარიანტები მოიცავს:

- ჰორმონის დათრგუნვა, რათა ნახონ, როგორ აისახება ანდროგენის დეფიციტი იმ ევნუქ ინდივიდებზე, რომელთაც სურთ გახდნენ ასექსუალები, არასექსუალური ან ანდროგინები;
- ორქიექტომია სათესლე ჯირკვლების მიერ ტესტოსტერონის გამომუშავების შესაჩერებლად;
- ორქიექტომია პენექტომიით ან მის გარეშე, რათა შეიცვალოს მათი სხეული მათი იდენტობის შესაბამისად;
- ორქიექტომია, რასაც მოჰყვება ჰორმონის ჩანაცვლება ტესტოსტერონით ან ესტროგენით.

ზრდასრულთა შეფასების შესახებ მე-5 თავის 5.6-ე დებულების თანახმად ევნუხმა ინდი-

ვიდებმა, რომლთაც სურთ გონადექტომია, უნდა განიხილონ მინიმუმ ექვსთვიან ჰორმონული თერაპიის ჩატარება, რაც შეესაბამება ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანის გენდერულ მიზნებს, სანამ ტგმ პირი შეუქცევად ქირურგიულ ჩარევას მიმართავს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჰორმონები კლინიკურად უკუნაჩვენებია ინდივიდისთვის).

დეკლარაცია 9.2.

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, განიხილონ სამედიცინო ინტერვენცია, ქირურგიული ჩარევა ან ორივე მათგანი ევნუქებისთვის, როდესაც არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მკურნალობაზე უარის თქმა ზიანს მიაყენებს ინდივიდებს თვითოპერაციის, არაკვალიფიციური პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული ოპერაციის ან ჰორმონებზე გავლენის მქონე მედიკამენტების უკონტროლო გამოყენების შედეგად.

ზრუნვის სტანდარტის მე-8 ვერსიით რეკომენდებულია შეფასების პროცესი უნდა იქნეს გამოყენებული ევნუქების მიმართ (იხ. თავი 5 – ზრდასრულთა შეფასება). ევნუქების არქივს აქვს უამრავი პოსტი იმ პირებისგან, რომლებსაც უჭირთ სამედიცინო მიმწოდებლების მოძიება, რომლებიც ჩაატარებენ კასტრაციის ოპერაციას. არსებობს ევნუქების დიდი რაოდენობა, რომლებმაც თავად ჩაიტარეს ოპერაცია ან ჩაუტარდათ ოპერაცია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც არ არიან სერტიფიცირებული სამედიცინო პროვაიდერები (Johnson & Irwig, 2014). ასევე არსებობს კლინიკური ცნობები ევნუქების შესახებ, რომლებსაც გაკეთებული აქვთ თვითკასტრაცია, და პაციენტების ანგარიშები, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანეს სამედიცინო პროვაიდერები, რათა მიეღწიათ კასტრაციისთვის (Hermann & Thorstenson, 2015; Mukhopadhyay & Chowdhury, 2009). ეჭვგარეშეა, რომ როდესაც ამ ჯგუფის წევრებს უარს ეუბნებიან ხარისხიან სამედიცინო მკურნალობაზე, ისინი იწყებენ ისეთ მოქმედებას, რამაც შეიძლება მათ დიდი ზიანი მიაყენოს, როგორცაა სისხლდენა და ინფექცია, რამაც შეიძლება აუცილებელი გახადოს ჰოსპიტალიზაცია (Hay,

2021; Jackowich et al., 2014; ჯონსონი და ირ-ვიგი, 2014). ამ სერიოზული პრობლემებისა და ზიანის გამო, რომელიც გამონვეულია საკუთარ თავზე ოპერაციის ჩატარებით, არაკვალიფიციური პრაქტიკოსების მიერ ქირურგიული ჩარევით ან მედიკამენტების უკონტროლო გამოყენებით, რომელიც გავლენას ახდენს ჰორმონებზე, მნიშვნელოვანია, ჯანდაცვის პროვაიდერებმა შექმნან კეთილგანწყობილი გარემო და განიხილონ მკურნალობის სხვადასხვა ვარიანტები, რათა თავიდან აირიდონ პრობლემები, რომელიც მკურნალობაზე წვდომის ნაკლებობას ან მკურნალობაზე უარს ახლავს თან.

სურვილის შემთხვევაში, კასტრაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს ქიმიური ან ქირურგიული გზით. ზოგიერთისთვის ქიმიური კასტრაცია შეიძლება იყოს კარგი გამოცდა ქირურგიულ კასტრაციამდე, რათა დადგინდეს, თუ როგორ გრძნობს ინდივიდი თავს ჰიპოგონადურ მდგომარეობაში (Vale et al., 2010). ქიმიური კასტრაცია ჩვეულებრივ შექცევადია, თუ მედიკამენტების მიღება შეწყდება (Wassersug et al., 2021). ტესტოსტერონის დონის შესამცირებლად გამოყენებული მედიკამენტების ყველაზე გავრცელებული ტიპები არის ანტიანდროგენები და ესტროგენები.

ორი ყველაზე ხშირად გამოყენებული ანტიანდროგენი, ციპროტერონის აცეტატი და სპირონოლაქტონი პერორალურად მიიღება. ესტროგენი ზოგჯერ ინიშნება პროსტატის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში, რათა შეამციროს შრატში ტესტოსტერონის დონე ჰიპოთალამუსსა და ჰიპოფიზის ჯირკვალზე ნეგატიური უკუკავშირის მეშვეობით ესტროგენებმა და ანტიანდროგენებმა შეიძლება სრულად ვერ დათრგუნონ ტესტოსტერონის დონე ქალებში ან კასტრირებულებში ხოლო პერორალურად მისაღები ესტროგენები ზრდის ვენური თრომბოემბოლიის რისკს. მიუხედავად იმისა, რომ ფასის გამო ხშირად არ გამოიყენება, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები ძალიან ეფექტიანი მეთოდია სქესობრივი სტეროიდების წარმოების და ნაყოფიერების ჩასახშობად (Hembree et al., 2017). მედიკამენტის შერჩევას ჩვენ გირჩევთ, გამოიყენოთ მედიკამენტები, რომლებიც შესწავლილია მრავალ ტრანსგენდუ-

რულ ჯგუფში (მაგ. ესტროგენი, ციპროტერონის აცეტატი, GnRH აგონისტები) და არა ისეთი მედიკამენტები, რომლებიც მცირედ ან საერთოდ არ არის გამოკვლეული სამეცნიერო კვლევებში (მაგ. ბიკალუტამიდი, რექტალური პროგესტერონი და სხვ.) (Angus et al., 2021; Butler et al., 2017; Efsthathiou et al., 2019; Tosun et al., 2019).

მრავალი ევნუქი იტარებს ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიას კასტრირების შემდეგ, რადგან მათ არ სურთ ჰორმონების დონის სრული დათრგუნვა და თანმდევი პრობლემები, როგორცაა ოსტეოპოროზის გაზრდილი რისკი. სქესობრივი სტეროიდების ჩანაცვლების ორი ძირითადი ვარიანტია ტესტოსტერონი და ესტროგენი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს სრული ან ნაწილობრივი ჩანაცვლების დოზებით. უმრავლესობა ირჩევს ტესტოსტერონს, რადგან ისინი წარმოდგენილი არიან როგორც მამრები და არ არიან დაინტერესებულნი ფემინიზაციით. უმცირესობა ირჩევს ესტროგენს რომლის დოზაც საკმარისად მაღალია ოსტეოპოროზის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ საკმარისად დაბალი ფემინიზაციის თავიდან ასარიდებლად. ისინი შეიძლება იდენტიფიცირდებოდნენ როგორც არაბინარული, აგენდერი ან სხვა (Johnson et al., 2007; Johnson & Wassersug, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ ევნუქებში ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის შესახებ კვლევები არ მოიპოვება, დასკვნები სისგენდერი კაცების შესახებ, რომლებიც მკურნალობენ პროსტატის კიბოზე შეიძლება ინფორმატიული აღმოჩნდეს ჰორმონული თერაპიის ეფექტების შესახებ. 1694 სისგენდერი კაცი რენდომიზებულ გაკონტროლებულ კვლევაში, რომლებიც მკურნალობდნენ პროსტატის ლოკალურად განვითარებულ ან მეტასტაზურ კიბოს, ერთმა ჯგუფმა მიიღო GnRH აგონისტი, ხოლო მეორემ მიიღო ტრანსდერმული ესტროგენი (Langley et al., 2021). სისგენდერ კაცებს, რომლებმაც მიიღეს GnRH აგონისტი, განუვითარდათ როგორც ანდროგენის, ასევე ესტროგენის დეფიციტის ნიშნები და სიმპტომები, მაშინ როცა კაცებს, რომლებიც იღებდნენ ესტროგენის დასაკრავებს, მხოლოდ ანდროგენის განლევის სიმპტომები განუვითარდათ. ორივე ჯგუფს ჰქონდა სქესობრივი გვერდითი ეფექტების მაღალი

მაჩვენებლები (91%) და ჯგუფებს შორის მსგავსი იყო წონის მომატება. სისგენდერ კაცებთან შედარებით, რომლებიც იღებდნენ GnRH აგონისტს, სისგენდერი კაცები, რომლებიც მკურნალობდნენ ესტროგენის დასაკრავებით, მიუთითებდნენ ცხოვრების უკეთეს ხარისხზე, წამოხურების დაბალ მაჩვენებელზე (35% 86%) და კაცებში მკერდის განვითარების უფრო მაღალ მაჩვენებელზე (86% vs. 38%). მეტაბოლურად, სისგენდერ კაცებს, რომლებიც იღებდნენ ესტროგენის დასაკრავებს, ჰქონდათ პოზიტიური ცვლილებები როგორცაა უზმოზე საშუალო გლუკოზის, უზმოზე მთლიანი ქოლესტერინის და სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის დაბალი მაჩვენებელი.

ამისგან განსხვავებით სისგენდერ კაცებს, რომლებიც იღებენ GnRH აგონისტს, განიცდიდნენ საპირისპირო ცვლილებებს. ამ კვლევის საფუძველზე, ევნუქებმა შეიძლება განიხილონ ტრანსდერმალური ესტროგენის თერაპიის დაბალი დოზა, რათა თავიდან აიცილონ ესტროგენის განლევის არასასურველი შედეგები, რაც მოიცავს წამოხურებას, დაღლილობას, მეტაბოლურ ეფექტებს და ძვლის მინერალური სიმკვრივის დაკარგვას (Hembree et al., 2017; Langley et al., 2021). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 12 – ჰორმონული თერაპია.

წიგნული 9.3

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ჯანდაცვის პროფესიონალები, რომლებიც აწარმოებენ ევნუქების სამკურნალო შეფასებას, ავლენდნენ კომპეტენციას მათი შეფასებისთვის.

ევნუქების არქივის სადისკუსიო გვერდებზე ხშირი თემაა იმ პრაქტიკოსების პოვნის სირთულე, რომლებსაც შეუძლიათ მათი საჭიროებების გაგება. ევნუქებისა და კასტრაციის მსურველების ხილვადობა, როგორც წესი, ნაკლებია, ვიდრე სხვა გენდერული უმცირესობების (Wassersug & Lieberman, 2010). სამედიცინო საზოგადოების მიერ სტიგმისა და უარყოფის შიშის გამო, მათ შეიძლება ნებაყოფლობით არ გაუმჟღავნონ თავიანთი ვინაობა და სურვილები სამედიცინო ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პროვაიდერებს. ზოგიერთ გარემოში, სამედი-

ცინო პროვაიდერებმა შეიძლება არ იცოდნენ ევნუქების არსებობის შესახებ და არც კი იცოდნენ, რომ ისინი მკურნალობდნენ პირებს, რომლებიც ევნუქებად იდენტიფიცირდებოდნენ.

ზრუნვის სტანდარტის ნაწილი შეფასების შესახებ ევნუქებსაც მიესადაგება. სხვა გენდერულად არაკონფორმული ინდივიდების მსგავსად, კასტრაციის მსურველები უნდა ჩაერთონ ინფორმირებული თანხმობის პროცესში, რომელშიც კვალიფიციური პროვაიდერები ატარებენ შეფასებებს, რათა დარწმუნდნენ, რომ ინდივიდებს შეუძლიათ განაცხადონ ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო ჩარევამდე და დარწმუნდნენ, რომ ამ სურვილს საფუძველად არ უდევს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. როგორც სხვა სექსუალური და გენდერული უმცირესობების შემთხვევაში, ევნუქებთან მუშაობა მოითხოვს იმის გააზრებას, რომ ისინი მრავალფეროვანი ჯგუფია და რომ თითოეული ადამიანი თავისებურად არის ევნუქი (ჯონსონი და სხვ., 2007). პირი, რომელსაც სურს მკურნალობა, სარგებლობს პროფესიონალის მიმდებლური დამოკიდებულებით, ღია გამოკითხვით, განსჯის გამოხატვისგან თავის შეკავებით და მოქნილი მოლოდინებით, რაც ერწყმის პროფესიულ კომპეტენციასა და ექსპერტიზას.

სათანადო მკურნალობის უზრუნველსაყოფად, პროვაიდერებმა უნდა დაამყარონ ნდობა და პატივისცემა ევნუქად იდენტიფიცირებული ადამიანებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნით. ევნუქად იდენტიფიცირებული პირებისთვის, იდეალურმა ანკეტამ უნდა მოიცვას კითხვები მინიჭებულ სქესის და იდენტიფიცირებული გენდერის შესახებ და შესთავაზოს გენდერის სხვადასხვა ვარიანტი, მათ შორის „ევნუქი“ და „სხვა“. ინდივიდები შეიძლება იდენტიფიცირდებოდნენ ერთზე მეტ ვარიანტთან და უნდა შეეძლოთ ერთზე მეტის არჩევა.

ჯანდაცვის პროფესიონალი შეიძლება ჩართული იყოს შეფასებაში, ფსიქოთერაპიაში (თუ სასურველია), მომზადებასა და გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო და ქირურგიული ინტერვენციების შემდგომ დაკვირვებაში. მათ ასევე შეუძლიათ მხარდაჭერა გაუწიონ პარტნიორებს და ოჯახებს. ევნუქად იდენტიფიცირებული პირებისთვის, რომლებსაც სურთ

ფსიქიკური ჯანმრთელობის კვალიფიციური პროვაიდერის მხარდაჭერა, სასარგებლო იქნება ფსიქოლოგი, რომელიც აკმაყოფილებს მე-4 თავში – განათლება – განსაზღვრულ გამოცდილებასა და კრიტერიუმებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც სურს ან ფიქრობს კასტრაციაზე, მის კონსულტაციაზე ან თერაპიაზე ემოციური მხარდაჭერის მისაღებად ან გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებისთვის, ბევრი მიდის პროვაიდერებთან შეფასებისთვის, რათა მოემზადონ კონკრეტული სამედიცინო ჩარევებისთვის (Vale et al., 2010).

დასკვნა 9.4

ჩვენ ვთავაზობთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომ მათ მიერ ევნუქების მკურნალობა მოიცავდეს სექსუალურ განათლებას და ფსიქოთერაპიას.

რამდენიმე კვლევამ თანამედროვე ევნუქად იდენტიფიცირებული ადამიანების შესახებ ჩვენი ცოდნის გამდიდრებაში შეიტანა წვლილი და გამოიკვლია მათი დემოგრაფიული მახასიათებლები და სექსუალობა (Handy et al., 2015; Vale et al., 2013; Wibowo et al., 2012, 2016). ექიმებმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებმა უნდა იმოქმედონ იმ დაშვებით, რომ ევნუქები არიან სექსუალური მოთხოვნილებების მქონე ადამიანები, რომლებსაც სექსუალური აქტივობის, სიამოვნების და ურთიერთობების უნარი გააჩნიათ, თუ ისინი სანინაალმდეგოს არ იტყვიან (Wibowo et al., 2021). კვლევამ აჩვენა, რომ ევნუქებს შორის დიდი მრავალფეროვნებაა სურვილის დონის, ფიზიკური ან სექსუალური

კონტაქტის ტიპისა და სასურველი ურთიერთობების ბუნებასთან დაკავშირებით (Brett et al., 2007; Johnson et al., 2007; Roberts et al., 2008). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს აქვს აქტიური სქესობრივი ცხოვრება რომანტიკული ურთიერთობებით ან მის გარეშე, სხვები იდენტიფიცირდებიან ასექსუალად ან არომანტიკულად და მათ შვებას ჰგვრის ლიბიდოს დაკარგვა, რასაც აღწევს ქირურგიული ან ქიმიური კასტრაციის გზით (Brett et al., 2007). თითოეული ადამიანი განსხვავებულია და გენიტალური სტატუსი არ განსაზღვრავს სექსუალურ ან რომანტიკულ მიზიდულობას (Walton et al., 2016; Yule et al., 2015).

მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ქიმიური დათრგუნვა ან ოპერაცია გაიარა ადამიანმა, მას შეიძლება ჰქონდეს სექსუალური სიამოვნებისა და სექსუალური აქტივობის უნარი. პოპულარული რწმენის სანინაალმდეგოდ, ევნუქები სულაც არ არიან ასექსუალური ან არასექსუალური (Aucoin & Wassersug, 2006). უსაფრთხო სქესობრივი განათლება აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, ვინც სქესობრივად აქტიურია და რაც შესაძლოა, მოიცავდეს სხეულის სითხეების გაცვლას. იხილეთ თავი 17 – სექსუალური ჯანმრთელობა – სხვადასხვა გენდერის და სექსუალობის მქონე ადამიანებისთვის სექსუალური განათლების და უსაფრთხო სექსის ვარიანტების შესახებ ინფორმაციისთვის. გარდა ამისა, ნაყოფიერების შენარჩუნება განხილული უნდა იქნეს სამედიცინო ჩარევაზე მსჯელობისას, როდესაც ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს სამომავლოდ ბავშვის ყოლის უნარზე. დამატებითი მოსაზრებებისთვის იხილეთ თავი 16 – რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

თავი 10. ინტერსექსი

ზრუნვის სტანდარტების მე-7 ვერსია მოიცავდა თავს სტანდარტების გამოყენების შესახებ ფიზიკურად ინტერსექს ადამიანებთან, რომლებსაც უვითარდებათ გენდერული დისფორია ან/და იცვლიან გენდერს; რადგან ისინი განსხვავდებიან ტრანსგენდერი პირებისგან, რომლებსაც არ აქვთ ინტერსექსუალობა ფენომენოლოგიური გამოვლინებით, ცხოვრებისეული ტრაექტორიით, სიხშირით, ეტიოლოგიით და სტიგმის რისკებით. წინამდებარე თავი განახლებულია და ამატებს რეკომენდაციებს სამედიცინოდ აუცილებელი კლინიკური მიდგომის შესახებ ზოგადად ინტერსექსუალობის მქონე პირების მართვასთან დაკავშირებით (იხ. დებულება სამედიცინო აუცილებლობის შესახებ თავში 2 – გლობალური გამოყენება, დებულება 2.1). რადგანაც ატიპური სქესობრივი დიფერენციაციის მქონე ახალშობილები შესაძლოა მალევე შეეჯახონ კლინიკურ გამოწვევებს, მათ შორის, ოჯახის საჭიროებას, თავიდანვე მიიღოს განათლება და მხარდაჭერა, გადანყვეტილებას გენდერის განსაზღვრაზე, გენდერის შემდგომ კლინიკურ მენეჯმენტს, რომლის კომპონენტები – განსაკუთრებით სასქესო ორგანოების ოპერაცია საკამათო შეიძლება იყოს. და, მოგვიანებით მნიშვნელოვნად გაზრდილი გენდერული დისფორიის განვითარებისა და გენდერის ცვლილების რისკი (Sandberg & Gardner, 2022).

სერმონოლოგია

„ინტერსექსი“ (ლათინურიდან, პირდაპირი თარგმანიდან „სქესთა შორისი“) არის ტერმინი, რომელიც დაფუძნებულია სქესის ბინარულ სისტემაზე, რაზეც დგას ძუძუმწოვრების (მათ შორის ადამიანის) გამრავლება. მედიცინაში ეს სასაუბრო ტერმინი აღნიშნავს ინდივიდებს გამორჩეულად ატიპური რეპროდუქციული ტრაქტის თანდაყოლილი ვარიაციებით. ზოგიერთი ვარიაცია, რომელსაც ხშირად უწოდებენ „გენიტალურ ორაზროვნებას“, გამოირიცხავს მამრობითად ან მდედრობითად სომატური სქესის მარტივ აღიარებას და რესურსებით მდი-

დარ საზოგადოებებში შეიძლება დასჭირდეს ყოვლისმომცველი ფიზიკური, ენდოკრინული და გენეტიკური გამოკვლევა, სანამ „მიენიჭება“ სქესი/გენდერი. ბოლო წლებში „ინტერსექს“ როგორც იდენტობის იარაღს ასევე იყენებს ინტერსექსუალური ნიშნების მქონე ზოგიერთი ინდივიდი და არაბინარული გენდერული იდენტობის მქონე (არაინტერსექსი) ინდივიდების ქვეჯგუფი (Tamar-Mattis et al., 2018). 2005 წელს გამართულ პროფესიონალთა თანხმობის საერთაშორისო კონფერენციაზე ინტერსექსის მართვის შესახებ, ინტერსექსუალური მდგომარეობები მოექცა ახალი სტანდარტული სამედიცინო ტერმინის – „სქესობრივი განვითარების დარღვევები“ (სგდ) – ქვეშ. ეს უკანასკნელი განისაზღვრა, როგორც „თანდაყოლილი მდგომარეობები, რომელშიც ქრომოსომული, გონადური ან ანატომიური სქესის განვითარება ატიპურია“ (Hughes et al., 2006). სგდ ფარავს ამ მდგომარეობების ბევრად უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ტრადიციულად ინტერსექსუალობაში შემავალი მდგომარეობებია და მოიცავს ისეთ მდგომარეობებს, როგორიცაა ტერნერის სინდრომი და კლაინფელტერის სინდრომი, რომლებიც ბევრად უფრო გავრცელებულია. გარდა ამისა, ამ მდგომარეობაში მყოფ ბევრ პირს არ მოსწონს ტერმინი „დარღვევა“ და თავისთავად მასტიგმატიზებლად აღიქვამს მას (Carpenter, 2018; Griffiths, 2018; Johnson et al., 2017; Lin-Su, et al., 2015; Lundberg et al., 2018; Tiryaki et al., 2018).

ჯანდაცვის პროფესიონალებიც განსხვავდებიან ამ ტერმინის მიღების მხრივ (Miller et al., 2018). სგდ-ის ფართოდ გავრცელებული ალტერნატიული ნაკითხვა – „განსხვავებები სქესობრივ განვითარებაში“ – შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებად პათოლოგიურად, მაგრამ სემანტიკურად არადაამაკმაყოფილებელია, რადგან ეს ტერმინი არ განასხვავებს კაცებსა და ქალებს შორის ტიპურ სქესობრივ განსხვავებებს ატიპური სქესობრივი დიფერენციაციისგან. სხვა ბოლოდროინდელი მცდელობები, გამოვიყენოთ ნაკლებად აშკარად მასტიგმატიზებელი ტერმინები, როგორცაა „პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ რეპროდუქციულ განვითარებაზე“ (CARD; Delimata et al., 2018) ან „ვარიაციები/

სქესობრივ მახასიათებლებში“ (VSC; Crocetti, et al., 2021) ასევე არ არის ზუსტად მორგებული ინტერსექსუალობას.

ამ განმარტებითი პრობლემების გათვალისწინებით, ამ თავში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „ინტერსექსუალობა“ (ან „ინტერსექსი“) მხოლოდ თანდაყოლილი ფიზიკური გამოვლინებების აღსანიშნად. ეს კეთდება როგორც აღწერითი სიცხადისთვის, ასევე ისტორიული უწყვეტობისთვის. ეს არჩევანი არ გულისხმობს ჩვენი მხრიდან განზრახვას, ჩავებათ მიმდინარე დისკუსიაში სქესის/გენდერის ცნების, როგორც ბიპოლარული სისტემის ან როგორც კონტინუუმის შესახებ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს კონტექსტისა და გამოყენების შესახებ მოსაზრებების შესაბამისად (Meyer-Bahlburg, 2019). 21-ე საუკუნის საზოგადოებებში სქესის და გენდერის ცნებები ევოლუციის პროცესშია.

გეგმვა

ინტერსექსუალური მდგომარეობების გავრცელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ განმარტებას გამოვიყენებთ. სქესობრივი ორგანოების აშკარა ატიპურობა („ორაზროვანი სასქესო ორგანოები“) გვხვდება სავარაუდო სიხშირით, რომელიც გავრცელებულია დაახლოებით 1:2000-1:4500 თანაფარდობით (Hughes et al., 2007). სგდ-ის ყველაზე ინკლუზიური განმარტებები აფასებს გავრცელებას 1.7%-მდე (Blackless et al., 2000). მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვები მთლიანობაში მალა-ლია, ინდივიდუალური მდგომარეობები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერსექსუალურ ვარიაციებთან, უფრო იშვიათია. მაგალითად, ანდროგენრეზისტენტობის სინდრომი (AIS) გვხვდება 100,000 46,XY ახალშობილებილიდან დაახლოებით ერთში (Mendoza & Motos, 2013) და კლასიკური თანდაყოლილი თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზია (CAH) დაახლოებით 15000 46,XX ახალშობილიდან ერთში (Therrell, 2001). ინდივიდუალური სინდრომების გავრცელების მაჩვენებლები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ქვეყნებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ჩვენება

ინტერსექსუალური თვისებების მქონე ინდივიდების სურათი ძალზე ცვალებადია. ინტერსექსუალობა შეიძლება გამოვლინდეს მუცლად ყოფნისას ულტრაბგერით გამოსახულებაში, თუმცა ადამიანების უმეტესობაში ვლინდება დაბადებისთანავე სასქესო ორგანოების გამოვლენის დროს. რესურსებით მდიდარ საზოგადოებებში, ასეთი ბავშვები გაივლიან ვრცელ სამედიცინო დიაგნოსტიკურ პროცედურებს სიცოცხლის პირველ კვირებში. კონკრეტული სამედიცინო დიაგნოზის, ფიზიკური და ჰორმონული მიგნებების და გენდერულ შედეგებზე გრძელვადიანი განგრძობითი კვლევებით მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ჯანდაცვის გუნდი და მშობლები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას რაც ჩვეულებრივ, სრულდება იმით, რომ ახალშობილს მიენიჭება მამრობითი ან მდედრობითი სქესი/გენდერი. ზოგიერთი ინტერსექსი ინდივიდი სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მხოლოდ პუბერტატის ასაკში ექცევა, მაგალითად, როდესაც ქალად აღზრდილი მოზარდები გადიან კვლევას პირველადი ამენორეის გამო.

ჯანდაცვის პროფესიონალებმა, რომლებიც ეხმარებიან როგორც ინტერსექსუალ, ისე არაგანჭვრეტადი გენდერის მქონე პირებს, უნდა იცოდნენ, რომ სამედიცინო კონტექსტი, რომელშიც ასეთი ინდივიდები გაიზარდნენ, ჩვეულებრივ ძალზე განსხვავდება არაინტერსექსი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების კონტექსტისგან. არსებობს მრავალი განსხვავებული ინტერსექსუალობის სინდრომი და თითოეული სინდრომი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი სიმწვავის ხარისხით. ამრიგად, ჰორმონული და ქირურგიული მკურნალობის მიდგომები, შესაბამისად, განსხვავდება.

ინტერსექსუალობის ზოგიერთმა ფიზიკურმა გამოვლინებამ შეიძლება მოითხოვოს ადრეული გადაუდებელი ჩარევა თირკმელზედა ჯირკვლის კრიზისის შემთხვევაში, მაგალითად, საშარდე გზების დახშობის ან თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზიის მქონე პირებში. ფიზიკური ვარიაციების უმეტესობა ინტერსექსუალურ ინდივიდებში არც ორგანოების ფუნქციონირებას აზიანებს, ყოველ შემ-

თხვევაში პირველ წლებში და არც ინდივიდის უსაფრთხოებას აყენებს რისკის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ფსიქოსოციალური სტიგმა, რომელიც დაკავშირებულია სასქესო ორგანოების ატიპურ გარეგნობასთან, ხშირად განაპირობებს სასქესო ორგანოების ოპერაციას ადრეულ ეტაპზე (რომელსაც, ჩვეულებრივ „კორექციად“ ან „ნორმალიზებად“ მოიხსენიებენ), ბევრად ადრე, სანამ ინდივიდი მიაღწევს თანხმობის გაცემის ასაკს. ეს მიდგომა ძალზე საკამათოა, რადგან ის ეწინააღმდეგება ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც მხარს უჭერენ პიროვნების ავტონომიას (Carpenter, 2021; Kon, 2015; National Commission for the Protection of Human Subjects of Biomedical and Behavioral Research). გარდა ამისა, როცა ინტერსექსუალობის გამოვლინებებს თან არ ახლავს მყისიერი უსაფრთხოების რისკები, ზოგიერთმა ადამიანმა უფრო გვიან ასაკში შეიძლება მოისურვოს სხვადასხვა სამედიცინო ჩარევა იმისთვის, რომ გააუმჯობესოს მათი ფუნქციონირება და ვიზუალური მხარე. სამედიცინო მკურნალობის დეტალების განხილვა სცილდება ამ თავის ფარგლებს და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს შესაბამის ენდოკრინულ და ქირურგიულ ლიტერატურას.

ზოგიერთი ინტერსექსუალური მდგომარეობა ასოცირდება გენდერული იდენტობის უფრო დიდ ვარიაციასთან, ვიდრე სხვები (Dessens et al., 2005). მაგალითად, არასისგენდერული იდენტობის სისხირე თანდაყოლილი თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზიის მქონე 46,XX ინდივიდებში, რომლებსაც ქალის სქესი მიენიჭათ, შეიძლება იყოს მაღალი 5-10 % (Furtado et al., 2012). გენდერული იდენტობის ძირითადი ბიოლოგიური კომპონენტი არის კრიტიკული ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე პირებისთვის ფსიქოსოციალური, სამედიცინო და ქირურგიული ჩარევების შეთავაზებისას. ასევე, არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ინტერსექსი ადამიანები და მათი ოჯახები შეიძლება განიცდიდნენ ფსიქოსოციალურ სტრესს (de Vries et al., 2019; Rosenwohl-Mack et al., 2020; Wolfe-Christensen et al., 2017), რაც, ნაწილობრივ, დაკავშირებულია ფსიქოსოციალურ სტიგმასთან (Meyer-Bahlburg, Khuri et al.,

2017; Meyer-Bahlburg, Reyes-Portillo et al., 2017; Meyer-Bahlburg et al., 2018).

ინტერსექსუალთა უსიქსურ დაავადებათა ნომენკლატურაში

1980 წლიდან ამერიკული ფსიქიკურ დაავადებათა ნომენკლატურა იცნობს ინტერსექსუალობის მქონე პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გენდერული იდენტობის ვარიანტების კრიტერიუმებს; თუმცა, მათი დიაგნოსტიკური კატეგორიზაცია შეიცვალა ფსიქიკური დაავადებათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM) შემდომ გამოცემებში. მაგალითად, DSM-III-ში (ამერიკული ფსიქიატრიული ასოციაცია, 1980წ.), პირველ ნაწილში მოცემული „ტრანსსექსუალიზმის“ კატეგორია არ შეიძლება გამოეყენებინათ ასეთი ინდივიდების მიმართ ზრდასრულ ასაკში, თუმცა ამგვარი ბავშვები ხვდებოდნენ კატეგორიაში „გენდერული იდენტობის აშლილობები ბავშვებში“, ხოლო სამედიცინო ინტერსექსუალობის მდგომარეობას აკონკრეტებდა ნაწილი 3. DSM-IV-TR-ში (ამერიკული ფსიქიატრიული ასოციაცია, 2000 წ.), ინტერსექსუალურობის მქონე პირები გამოირიცხნენ პირველი ნაწილის კატეგორიიდან – „გენდერული იდენტობის დარღვევები“ – და, ამის ნაცვლად, გადავიდნენ სხვა მდგომარეობების ჯგუფში, რომელიც გაერთანებულია კატეგორიაში „გენდერული იდენტობის დარღვევები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“. DSM-5-ში (ამერიკული ფსიქიატრიული ასოციაცია, 2013), რომელმაც უარი თქვა ნაწილებად დაყოფის სისტემაზე, „გენდერული იდენტობის დარღვევა“ ხელახლა განისაზღვრა, როგორც „გენდერული დისფორია“ და გამოიყენება ასაკისა და ინტერსექსის სტატუსის მიუხედავად, მაგრამ ინტერსექსი პირებისთვის დამატებით დაზუსტდა კატეგორია – „სქესობრივი განვითარების დარღვევებით“ (Zucker et al., 2013). ახლახან გამოქვეყნებული DSM-5-ის გამოცემა (ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია, 2022) ინარჩუნებს ტერმინს „გენდერული დისფორია“. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-11) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზა-

სარკომენდაციო ღებულებები

10.1- გავცემთ რეკომენდაციას, რომ მულტიდისციპლინურმა გუნდმა, რომელსაც ესმის გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მრავალფეროვნება, ისევე, როგორც ინტერსექსუალობა, გაუწიოს დახმარება ინტერსექს პირებს და მათ ოჯახებს;

10.2- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ზრუნავენ ტრანსგენდერ ახალგაზრდებზე და ზრდასრულებზე, გაიარონ ტრენინგი და აიმალონ განათლება ინტერსექსი ადამიანების მკურნალობის იმ ასპექტებზე, რომლებიც შეესაბამება მათ პროფესიულ დისციპლინას;

10.3- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დიაგნოზის დადგენის მომენტიდან მოყოლებული, მიანოდონ ინფორმაცია ინტერსექსი ბავშვების ოჯახებს და გაუწიონ მათ კონსულტაცია ბავშვის განსაკუთრებული, ინტერსექსუალური მდგომარეობისა და მისი ფსიქოსოციალური შედეგების შესახებ;

10.4- რეკომენდაციას ვაძლევთ როგორც პროვაიდერებს, ასევე მშობლებს, ჩართონ ინტერსექსუალობის მქონე ბავშვები/პირები განგრძობად, მათი განვითარების დონის შესაბამის კომუნიკაციაში მათი ინტერსექსი მდგომარეობისა და მისი ფსიქოსოციალური შედეგების შესახებ;

10.5- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს და მშობლებს, მხარი დაუჭირონ ინტერსექსუალობის მქონე ბავშვებს/პირებს თავიანთი გენდერული იდენტობის კვლევაში მთელი ცხოვრების მანძილზე.

10.6- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ხელი შეუწყონ კეთილდღეობას და მინიმუმამდე დაიყვანონ ინტერსექსუალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პოტენციური სტიგმა როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პირებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

10.7- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, გადაამისამართონ ინტერსექსუალობის მქონე ბავშვები და ინდივიდები და მათი ოჯახები ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებთან, ასევე, თანატოლებთან და სხვა ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ცენტრებთან საჭიროებისამებრ;

10.8- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, კონსულტაციები გაუწიონ ინტერსექს ადამიანებს და მათ ოჯახებს სქესობრივი იდენტობის, ასაკისა და უნიკალური სამედიცინო ვითარების კონტექსტში პუბერტატის დათრგუნვის და/ან ჰორმონული მკურნალობის შესაძლო ვარიანტების შესახებ;

10.9- რეკომენდაციას ვაძლევთ სპეციალისტებს, კონსულტაცია გაუწიონ მშობლებს და ინტერსექს ბავშვებს (როდესაც სახეზეა შესაბამისი კოგნიტური განვითარება) გადადონ სასქესო ორგანოს ქირურგია, სასქესო ჯირკვლის ქირურგია, ან ორივე ერთად, რათა ოპტიმიზაცია გაუწიონ ბავშვების თვითგამორკვევას და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, გადაწყვეტილება მიიღონ ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე;

10.10- გავცემთ რეკომენდაციას, რომ ინტერსექს პირებს კონსულტაცია გაუწიონ მხოლოდ ქირურგებმა, რომლებსაც აქვთ ინტერსექსუალური სასქესო ან გონდალური ქირურგიის გამოცდილება;

10.11- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც უნიშნავენ ან მიმართავენ ჰორმონულ თერაპიას/ოპერაციებს, კონსულტაცია გაუწიონ ინტერსექს ადამიანებს, რომლებსაც ნაყოფიერების (ან ფერტილობის) პოტენციალი აქვთ და მათ ოჯახებს ა) მომავალ ნაყოფიერებაზე ჰორმონული თერაპიის/ოპერაციის გავლენის შესახებ; ბ) იმ თერაპიის პოტენციურ ეფექტებზე, რომლებიც კარგად არ არის შესწავლილი და დაუდგენელია, თუ რამდენად შექცევადია; გ) ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტების შესახებ; და დ) უნაყოფობის ფსიქოსოციალურ შედეგებზე.

10.12- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ზრუნავენ ინტერსექს და თანდაყოლილი უნაყოფობის მქონე პირებზე, ადრეულად და ეტაპობრივად გააცნონ მათ და მათ ოჯახებს მშობლობის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები.

ცია, 2019a) უახლეს ვერსიაში, ნინა ვერსიის გადასინჯვის შედეგად, „გენდერული შეუთავსებლობა“ გადავიდა „ფსიქიკური, ქცევითი ან ნეიროგანვითარების დარღვევების“ თავიდან ახალ თავში – „სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობები“.

ამ თავში ყველა დებულება რეკომენდებულია მტკიცებულებების საფუძველიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის, პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და უპირატესობების, რესურსების გამოყენებისა და განხორციელებადობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია და/ან მომსახურებები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ან სასურველი.

ღებულება 10.1

გავცემთ რეკომენდაციას, რომ მულტიდისციპლინურმა გუნდმა, რომელსაც ესმის გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მრავალფეროვნება, ისევე, როგორც ინტერსექსუალობა, უზრუნველყოს ზრუნვა ინტერსექსი პირებისა და მათი ოჯახებისთვის.

ინტერსექსუალობა, სქესობრივი განვითარების დარღვევების (სგდ) ქვეკატეგორია, რთული თანდაყოლილი მდგომარეობაა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა სამედიცინო და ქცევითი დისციპლინების ექსპერტების ჩართულობას (Hughes et al., 2006). გუნდის შემადგენლობა და ფუნქცია შეიძლება განსხვავდებოდეს გუნდის ადგილმდებარეობის,

ადგილობრივი რესურსების, დიაგნოზის და ინტერსექსი ინდივიდის და მისი ოჯახის საჭიროებების მიხედვით. იდეალური გუნდი მოიცავს ენდოკრინოლოგიის, ქირურგიის და/ან უროლოგიის, ფსიქოლოგიის/ფსიქიატრიის, გინეკოლოგიის, გენეტიკის პედიატრიულ სპეციალისტებს. და, თუ ეს შესაძლებელია, სოციალურ მუშაკებს, ექთნებს და სამედიცინო ეთიკაში მომზადებულ პირებს (Lee et al., 2006). გუნდის სტრუქტურა შეიძლება შეესაბამებოდეს 1) ტრადიციულ მულტიდისციპლინურ სამედიცინო მოდელს; 2) ინტერპროფესიულ მოდელს; ან 3) ტრანსდისციპლინურ მოდელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ, ისინი სინამდვილეში ძალიან განსხვავდებიან და შეუძლიათ სხვადასხვა გავლენა მოახდინონ გუნდის ფუნქციონირებაზე (Sandberg & Mazur, 2014). 2006 წლის პროფესიონალთა თანხმობის განცხადება გადაწყვეტილებას არ იღებს იმ საკითხის შესახებ, თუ რომელი მოდელია საუკეთესო – მულტიდისციპლინური, ინტერდისციპლინური თუ ტრანსდისციპლინური – და მხოლოდ მიუთითებს, რომ მოდელები „ითვალისწინებენ თანამშრომლობისა და პროფესიული ავტონომიის სხვადასხვა დონეს“ (Lee, Nordenström et al., 2016). 2006 წელს პროფესიონალთა თანხმობის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, ასეთი გუნდები შეიქმნა როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში. გუნდების სია აშშ-ში შეგიძლიათ იხილოთ „DSD-Translational Network“ (DSD-TRN) ვებ-გვერდზე. ასეთივე გუნდები არსებობს ევროპის რიგ ქვეყანებში (Thyen et al., 2018); თუმცა როგორც სანდბერგი და მაზური (2014) აღნიშნავენ, მულტიდისციპლინური გუნდები წყვეტენ რიგ პრობლემებს, რომლებიც ძირს უთხრის ინტერსექსუალობის დიაგნოზის მქონე ინდივიდებისა და მათი ოჯახებისთვის წარმატებული სამედიცინო დახმარების მიწოდებას, ასეთი პრობლემებია: მომსახურებების გაბნეულობა, პროფესიონალებს შორის კომუნიკაციის შეზღუდულობა ან არ არსებობა და შედეგად მიღებული ფრაგმენტული ხასიათის ახსნა-განმარტებები, რასაც უფრო მეტი დაბნეულობა მოაქვს, ვიდრე სიცხადე.

ინტერსექსუალობით დაბადებული ინდივიდების უმეტესობა იდენტიფიცირებული იქნება დაბადებისას ან მალევე, ხოლო სხვები გამოვლინდებიან სიცოცხლის ციკლის შემდგომ პერიოდში, მაგალითად, პუბერტატის ასაკში (იხ. Brain et al., 2010, ცხრილი 1). როდესაც ეს მოხდება, გუნდური მიდგომა შეიცვლება დიაგნოზისა და პირის ასაკის მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში, გუნდის შემადგენლობა შეიძლება გაფართოვდეს საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტების ჩართვით.

ცნობილია, რომ ბავშვებს, რომლებსაც სინჯავს მრავალდისციპლინური გუნდი, მეტი ალბათობა აქვთ მიიღონ მომსახურებათა სრული სპექტრი და არა მხოლოდ ერთი პროვაიდერის მიერ შემოთავაზებული სერვისები (Crerand et al., 2019). მშობლები, რომლებიც იღებდნენ ასეთ ზრუნვას, დადებითად აფასებენ ფსიქოსოციალურ სერვისებს და გუნდურ მიდგომას და მიუთითებენ, რომ მიიღეს მეტი ინფორმაცია, ვიდრე მშობლებმა, რომლებიც არ ურთიერთობდნენ ასეთ გუნდთან (Crerand et al., 2019).

დასკვნები 10.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ზრუნავენ ტრანსგენდერ ახალგაზრდებსა და ზრდასრულებზე, გაიარონ ტრენინგი და აიმაღლონ განათლება ინტერსექსუალური ზრუნვის იმ ასპექტებზე, რომლებიც შეესაბამება მათ პროფესიულ დისციპლინას.

სამედიცინო ფაკულტეტის პრაქტიკანტ სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები (Liang et al., 2017; Zelin et al., 2018) პროგრამული თვითაუდიტი და გამოკითხვები (DeVita et al., 2018; Khalili et al., 2015) გვაფიქრებინებს, რომ სამედიცინო სასწავლო პროგრამები ადეკვატურად არ ამზადებს პრაქტიკოსებს გენდერული დისფორიისა და ინტერსექსუალობის მქონე პირებისთვის კომპეტენტური ზრუნვის უზრუნველსაყოფად. ინტერსექსუალობასთან დაკავშირებული ღონისძიებების მონაწილე პროფესიონალები და დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ უწყვეტი გა-

ნათლება და თანამშრომლობა წარმოადგენს პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან საჭიროებას (Bertalan et al., 2018; Mazur et al., 2007). ეს განსაკუთრებით ეხება ზრდასრულთა სამედიცინო დახმარების პროვაიდერებს, რომლებსაც შეიძლება ნაკლებ კლინიკურ სახელმძღვანელო მასალაზე ან მხარდაჭერაზე მიუწვდებოდეთ ხელი იმ ადამიანებისთვის დახმარების გასაწევად, რომლებიც გადადიან პედიატრიულიდან ზრდასრულების ჯანდაცვაში (Crouch & Creighton, 2014).

თუმცა, ამ თემების მართვასთან დაკავშირებით პრაქტიკოსის ტრენინგის ან კომპეტენციის შეფასების რამდენიმე გაიდლაინი არსებობს და ის, რაც ხელმისაწვდომია, ძირითადად ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებს (MHPs) (Hollenbach et al., 2014), პირველადი სამედიცინო ზრუნვის სახელმძღვანელოს გამოკლებით (ეროვნული LGBTQIA + ჯანმრთელობის განათლების ცენტრი, 2020).

ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის, რომელთაც სურთ გააუმჯობესონ თავიანთი კომპეტენცია, ექსპერტებთან კონსულტაციის გავლა შეიძლება იყოს გამოსავალი, როდესაც ფორმალური განათლება ან ემპირიული გაიდლაინები სხვაგვარად არაა ხელმისაწვდომი. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერსექსუალობის მართვის მულტიდისციპლინურ ექსპერტთა გუნდებს შედარებით ფართოდ იყენებენ (Pasterski et al., 2010), ამ გუნდებში მომუშავე პირებს მათი პოზიცია აძლევს საშუალებას, რომ კონსულტაცია გაუწიონ და მიაწოდონ ინფორმაცია ჯანდაცვის სფეროს ის პერსონალი, რომლებსაც შესაძლოა არ გაუვლიათ შესაბამისი ტრენინგი (Hughes et al. ალ., 2006). ამიტომ, რეკომენდებულია, რომ სხვა პროფესიონალების ტრენინგი იყოს გუნდის განვითარების ცენტრალური კომპონენტი (Auchus et al., 2010) და მულტიდისციპლინური გუნდების წევრებმა გაიარონ სპეციალური ტრენინგი გუნდურ სამუშაოსთან დაკავშირებით, მათ შორის, ინტერპროფესიულ სწავლაში ჩართვის სტრატეგიების შესახებ (Bisbey, et al., 2019; Interprofessional Education Collaborative Expert Panel, 2011).

დაკავშირებული 10.3

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დიაგნოზის დადგენის მომენტიდან მოყოლებული, მიაწოდონ ინფორმაცია და კონსულტაცია გაუწიონ ინტერსექსუალობის ოჯახებს ბავშვის განსაკუთრებული ინტერსექსუალური მდგომარეობისა და მისი ფსიქოსოციალური შედეგების შესახებ.

სამედიცინო ინფორმაციის სრული გამჟღავნება ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე ბავშვების ოჯახებისთვის განათლებითა და კონსულტაციის გზით უნდა დაიწყოს დიაგნოზის დასმის მომენტიდან და ეს უნდა გაკეთდეს პროფესიონალის თანხმობის სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად. ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი, რომელსაც ინტერსექსუალობის მქონე ახალშობილთან ვაწყდებით, განსაკუთრებით, როდესაც ეს დაკავშირებულია სასქესო ორგანოების შესამჩნევ გაურკვევლობასთან, არის სქესის მინიჭება და მშობლების პერსპექტივიდან ის, თუ რომელი გენდერით აღზარდონ ბავშვი (Fisher, Ristori et al., 2016). იმის გათვალისწინებით, რომ მშობლების უმრავლესობისთვის ეს ძალზე სტრესული სიტუაციაა, ზოგადად რეკომენდებულია გადაწყვეტილებები სქესის/გენდერის შესახებ მიღებული იყოს საფუძვლიანი დიაგნოსტიკური შეფასების შემდეგ (Houk & Lee, 2010). თუმცა, სქესის/გენდერის შესახებ გადაწყვეტილების კრიტერიუმები დროთა განმავლობაში შეიცვალა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გადაწყვეტილებები მიკერძოებული იყო მდედრობითი სქესის მინიჭების მიმართ, რადგან ფემინიზაციისთვის საჭირო სასქესო ორგანოების ოპერაცია უფრო მარტივად მიიჩნეოდა და გვერდითი ეფექტების განვითარების ალბათობაც ნაკლები იყო, ვიდრე მასკულინიზაციის ოპერაციის შემთხვევაში. თუმცა, ცალკეულ ინტერსექსუალურ მდგომარეობებში, როგორცაა მაგალითად, 46,XY 5pRD-2 დეფიციტი, აღმოჩნდა, რომ ქალის სქესის/გენდერის მინიჭება დაკავშირებული იყო მოგვიანებით გენდერული დისფორიის და გენდერის შეცვლის (Yang et al., 2010) მაღალ მაჩვენებელთან. შესაბამისად, 2005 წელს ინტერსექსის მენეჯმენტის საერთაშორისო პროფესიონალთა თანხმობის კონფერენციის

შემდეგ, ინტერსექსუალობის მრავალფეროვან მდგომარეობებში სქესის/გენდერის მინიჭება ითვალისწინებს თანდათანობით დაგროვებულ მონაცემებს გრძელვადიანი გენდერული შედეგის შესახებ.

გამყვანების პრაქტიკის მიზანია, უზრუნველყოს მკურნალობის შესახებ უფრო უკეთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. გარდა ამისა, მართალია, ინტერსექსუალობასთან დაკავშირებული სირცხვილი და სტიგმა ასოცირდება არასახარბიელო ფსიქოსოციალურ შედეგებთან, მაგრამ ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ღია და პროაქტიური კომუნიკაცია შემოთავაზებულია ამ რისკების შემცირების სტრატეგიად (de Vries et al., 2019). პიროვნების დიაგნოზისა და განვითარების სტადიის მიხედვით, ინტერსექსუალურმა მდგომარეობებმა შეიძლება განსხვავებულად იმოქმედონ ინდივიდებსა და მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე. ამიტომ, ინტერსექსუალების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კომუნიკაცია უნდა იყოს უწყვეტი და ინდივიდზე მორგებული. ინტერსექსუალების ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გადაწყვეტილების მიღების შესახებ კვლევა გვაფიქრებინებს, რომ ოჯახებზე გაელენას ახდენს კლინიკური გუნდების კომუნიკაციის სტილი (Timmermans et al., 2018). ზრუნვის სტანდარტის შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ პროვაიდერებს, გამოიჩინონ მანორმალიზებული დამოკიდებულება და გამოიყენონ შესაბამისი ტერმინოლოგია, როგორც განათლების, ისე კონსულტაციის ფუნქციების შესრულებისას. მაგალითად, გენიტალური ატიპიის აღსანიშნად „ვარიაციის“ ან „განსხვავების“ გამოყენება უფრო აფირმაციულია, ვიდრე ტერმინები „დაბადების დეფექტი“ ან „პათოლოგია“.

ჯანდაცვის ყველა პროფესიონალს, რომელიც ჩართულია ინდივიდის მკურნალობაში, შეუძლია ოჯახებს მიაწოდოს აუცილებელი განათლება და ინფორმაცია. მულტიდისციპლინურ გუნდებში, განათლების ტიპი შეიძლება ემთხვეოდეს ჯანდაცვის პროფესიონალის ექსპერტიზის სფეროს, მაგალითად, ქირურგს შეუძლია ინდივიდს ასწავლოს მისი ანატომია, ენდოკრინოლოგს – ჰორმონული განვითარების სპეციფი-

კა ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტს – გენდერული და სექსუალური იდენტობა, რომელიც გადმოსცემს გენდერისა და სექსუალური იდენტობის სპექტრებს. სხვა ჯანდაცვის პროფესიონალებს შეიძლება დასჭირდეთ ყოვლისმომცველი განათლების მინოდება. ოჯახებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება ინდივიდის კონკრეტულ ინტერსექსუალურ მდგომარეობას, როდესაც ის ცნობილია. ყველა ჯანდაცვის პროფესიონალს შეუძლია შეავსოს ეს ინფორმაცია პაციენტზე ორიენტირებული რესურსებით, რის ხელმისაწვდომობასაც უზრუნველყოფენ მხარდაჭერის ჯგუფები. ინტერსექსი ადამიანები ასევე დაქირავებულნი არიან, როგორც გუნდის წევრები, რათა უზრუნველყონ განათლება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

პროფესიონალთა თანხმობის გაიდლაინები ასევე შეიცავს რეკომენდაციას, რომ ოჯახებს შესთავაზონ განგრძობადი ფსიქოსოციალური მხარდაჭერა მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისგან და პროფესიონალებისგან (Hughes et al., 2006), რაც შეიძლება მოიცავდეს კონსულტაციას პრობლემების გადაჭრაზე და მოვლენების განვითარების განჭვრეტაზე აქცენტით (Hughes et al., 2006). მაგალითად, ოჯახებს შეიძლება სჭირდებოდეთ სხვა ადამიანების – დაძმების, გაფართოებული ოჯახისა და მომვლელების – დაკვალიანება განათლებასთან დაკავშირებით ინდივიდის კონკრეტული ინტერსექსუალური მდგომარეობის შესახებ. სხვა ოჯახებს შეიძლება დასჭირდეთ მხარდაჭერა ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ინტერსექსუალობის მკურნალობის სტრესის სამართავად. მოზარდებისთვის სასარგებლო იქნებოდა დაკვალიანება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაუმყვანონ ეს ინფორმაცია თანატოლებს, ასევე მხარდაჭერა ურთიერთობების დაწყებისა და სქესის სფეროში გზის გაკვლევისას. კონსულტაციის განევა ასევე შეიძლება მოიცავდეს ოჯახებისა და ყველა ასაკის ინდივიდების დაკვალიანებას სამედიცინო ან ქირურგიული დახმარების შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროვაიდერებს შეუძლიათ აიყვანონ გადაწყვეტილების მიღების დამხმარეები ამ პროცესის მხარდასაჭერად (Sandberg et al., 2019; Weidler et al., 2019).

ფიგურა 10.4

რეკომენდაციას ვაძლევთ როგორც პროვაიდერებს, ასევე მშობლებს, ჩართონ ინტერსექსუალობის მქონე ბავშვები/ზრდასრული პირებთან განგრძობად, მათი განვითარების დონის შესაბამის კომუნიკაციაში მათი ინტერსექსუალური მდგომარეობისა და მისი ფსიქოსოციალური შედეგების შესახებ.

ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არის მრავალმხრივი პროცესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გადაცემას პროვაიდერებიდან პაციენტებზე, მშობლებიდან პაციენტებზე, ასევე პაციენტებიდან ისევ მათ პროვაიდერებზე (Weidler & Peterson, 2019). მიუხედავად იმისა, რომ დიდი აქცენტი გაკეთდა მშობლებთან კომუნიკაციაზე დიაგნოსტიკისა და ქირურგიული გადანაცვლების მიღების საკითხების შესახებ, სგდ-ის მქონე ახალგაზრდები საუბრობენ ბარიერებზე, რომლებსაც აწყობიან ჯანდაცვის პროვაიდერებთან ურთიერთობაში და მათ შეიძლება ყოველთვის არ მიმართონ მშობლებს მხარდაჭერისთვის (Callens et al., 2021). იმისათვის, რომ ინდივიდები მზად იყვნენ თავიანთ მკურნალობაში სრულად ჩართვისა და ავტონომიურობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ პროვაიდერებსაც და მშობლებსაც უწყვეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ ბავშვებთან/ზრდასრულ პირებთან.

პროვაიდერებმა რაც შეიძლება მალე უნდა აცნობონ მხარეებს, რომ არსებობს ყველა მხარეს შორის მუდმივი, ღია კომუნიკაციის მოლოდინი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მშობლები შეიძლება სტრესში იყვნენ სგდ-თან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო და შეიძლება ცდილობდნენ სწრაფი გადანაცვლის პოვნას (Crissman et al., 2011; Roberts et al., 2020). შემუშავებულია ერთობლივი გადანაცვლების მიღების მოდელები, ასევე შესაბამისი გადანაცვლების მიღების ინსტრუმენტები, რათა ხელი შეუწყონ მუდმივ კომუნიკაციას ჯანდაცვის პროფესიონალებსა და ოჯახებს/ზრდასრულ პირებს შორის (Karkazis et al., 2010; Sandberg et al., 2019; Siminoff & Sandberg, 2015; Weidler et al., 2019). დიალოგის მოლოდინის დანერგვის გარდა, პროვაიდერებს შეუძლიათ კომუნიკაციის ტონის განსაზღვრაც. პროვაი-

დერებს შეუძლიათ დაეხმარონ მშობლებსა და ინდივიდებს დიაგნოსტიკური გაურკვევლობის გადატანაში და ამავდროულად შეუძლიათ განათლონ ისინი ანატომიური ვარიაციების შესახებ, სამაგალითოდ აქციონ გენდერისა და სექსუალური იდენტობისადმი ღიაობა და კეთილგანწყობა გამოიჩინონ ბავშვის/ინდივიდის კითხვების მიმართ. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვებს/ინდივიდებს შეიძლება ჰქონდეთ კითხვები ან დასჭირდეთ ასაკის შესაბამისი ინფორმაცია სექსის, მენსტრუაციის, ნაყოფიერების, ჰორმონებით მკურნალობის საჭიროების (თირკმელზედა ჯირკვლები/სქესი), ძვლების ჯანმრთელობისა და კიბოს რისკის შესახებ.

მშობლები ასევე თამაშობენ გადამწყვეტ როლს შვილების განათლებაში და შესაძლოა, ისინი იყვნენ პირველები, ვინც ბავშვს გაუმხელენ მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას (Callens et al., 2021). კომუნიკაციასთან დაკავშირებით მოლოდინის დანერგვის ნაწილია ისიც, რომ პროვაიდერებმა უნდა მოამზადონ მშობლები, მიაწოდონ ინფორმაცია მათ შვილს და მათი მხარდაჭერის სისტემის წევრებს ინტერსექსუალობის დიაგნოზისა და მკურნალობის ისტორიის შესახებ. ზოგიერთი მშობელი აღნიშნავს, რომ უჭირს იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ინფორმაცია უნდა გაუმჟღავნონ სხვებს, ისევე როგორც საკუთარ შვილებს (Crissman et al., 2011; Danon & Kramer, 2017). სტრესი, რომელსაც მშობლები განიცდიან ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე ბავშვების აღზრდის დროს, იზრდება, როდესაც მშობლები ირჩევენ მიდგომას, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს მათი ბავშვის დიაგნოზის გამჟღავნებას/განხილვას (Crissman et al., 2011). სტრესის დონე ასევე განსხვავდება განვითარების სტადიის მიხედვით და მოზარდების მშობლები მიუთითებენ სტრესის უფრო მაღალ მაჩვენებელზე (Hullman et al., 2011). ამიტომ, ჯანდაცვის პროფესიონალები უნდა დაეხმარონ მშობლებს ბავშვის განვითარების სტადიისთვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებაში, რომლებიც უპასუხებს მათ ფსიქოსოციალურ ან კულტურულ პრობლემებსა და ღირებულებებს (Danon & Kramer, 2017; Weidler & Peterson, 2019). და ბოლოს, სექსუალობისა და გენდერული ცვალებადობის უფრო

ფართო კვლევამ აჩვენა, რომ სირცხვილს/სტიგმასა და ჯანმრთელობის უარყოფით შედეგებს შორის კავშირის არსებობის მეორე მხარეა ის, რომ მხარდამჭერი ოჯახის ქცევები (მათ შორის, ბავშვებთან საუბარი მათ იდენტობაზე და მათი დაკავშირება თანატოლებთან) ინდივიდების უფრო მაღალი თვითშეფასების და ჯანმრთელობის მხრივ უკეთესი შედეგების პროგნოზირების საშუალებას იძლევა (რაიანი და სხვ., 2010).

დეკლარაცია 10.5

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს და მშობლებს, მხარი დაუჭირონ ინტერსექსუალობის მქონე ბავშვებს/პირებს თავიანთი გენდერული იდენტობის კვლევაში მთელი ცხოვრების მანძილზე.

ინდივიდის გენდერული იდენტობის ფორმირებისთვის ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული კონსტრუქციები – ყველა იკვეთება ბიოლოგიურ ფაქტორებთან. როგორც ჯგუფი, ინტერსექსუალ ინდივიდებში ჩანს გენდერულად შეუთავსებელი ქცევის, გენდერთან დაკავშირებული ეჭვებისა და კროს-გენდერული სურვილების გაზრდილი მაჩვენებელი ბავშვობაშივე, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ მუცლად ყოფნის პერიოდში სქესობრივ-ჰორმონული გარემო, რომელშიც ნაყოფის ტვინმა განიცადა დიფერენცირება, და დაბადებისას მინიჭებული სქესი ერთმანეთს აცდენილია (Callens et al., 2016; Hines, et al., 2015; Meyer-Bahlburg et al., 2016; Pasterski et al., 2015). გენდერული იდენტობის პრობლემების მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე ინდივიდებში (de Vries et al., 2007). ბოლო დროს, დადასტურდა შემთხვევები, როცა ზოგიერთ ინდივიდს ჩამოუყალიბდა არაბინარული იდენტობა, ყოველ შემთხვევაში, ფარულად/პრივატულად (Kreukels et al., 2018). მიუხედავად იმისა, რომ ინტერსექსუალობის მქონე ადამიანების უმრავლესობას შეიძლება არ ჰქონდეს გენდერული დისფორია ან გენდერული ტრანზიციის სურვილი, მათ მაინც შეიძლება ჰქონდეთ გაურკვეველობის გრძნობა და პასუხგაუცემელი კითხვები თავიანთ გენდერთან დაკავშირებით (Kreukels et al., 2018). გენდერული იდენტობის

შესახებ კითხვები შეიძლება წარმოიშვას ისეთი ფაქტორებისგან, როგორცაა სასქესო ორგანოების გარეგნობა, პუბერტატული განვითარება და ისეთი საკითხების ცოდნა, როგორცაა სამედიცინო მდგომარეობის დიაგნოსტიკური სახელწოდება, სასქესო ჯირკვლების მდგომარეობა, სქესობრივი ქრომოსომის მდგომარეობა და სასქესო ორგანოების ოპერაციის ისტორია. ამიტომ, ჯანდაცვის პროფესიონალები უნდა იყვნენ ხელმისაწვდომი კლიენტებისთვის, რათა განიხილონ ეს კითხვები და გრძნობები, ღიად ისაუბრონ გენდერულ მრავალფეროვნებაზე და ჰქონდეთ ნაკლებად ბინარული მიდგომა გენდერთან დაკავშირებით. ჯანდაცვის პროფესიონალებს ვურჩევთ, დააკვალიანონ მშობლებიც იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დაეხმარონ შვილებს მათი გენდერის შესწავლაში.

გარდა ამისა, ასეთი მხარდაჭერა არ უნდა შემოიფარგლებოდეს ბავშვობის წლებით. პირიქით, ინდივიდებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, იკვლიონ თავიანთი გენდერული იდენტობა მთელი ცხოვრების განმავლობაში, რადგან თითოეულმა ფაზამ შეიძლება მოიტანოს ახალი კითხვები გენდერთან დაკავშირებით (მაგალითად, პუბერტატი/მოზარდობა, მშობიარობის ასაკი). ზოგადად ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ კითხვები მათი გენდერული იდენტობის შესახებ მათი მომნიშვნელობის და ევოლუციის უმნიშვნელოვანეს მომენტებში. აწყდებიან რა დამატებით სტრეს-ფაქტორებს, როგორცაა მაგალითად, სასქესო ორგანოების გაურკვეველობა, გენიტალური გამოკვლევები და პროცედურები, ისევე როგორც კულტურული მიკერძობების და გავლენების ერთობლიობა, ინტერსექსუალობის მქონე პირებს შეიძლება დასჭირდეთ მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში, ისინი უნდა წაახალისონ განათლებული პროფესიონალის დახმარებისა და დაკვალიანების მისაღებად. ასევე, ჯანდაცვის პროფესიონალებმა რეგულარულად უნდა გამოჰკითხოთ მათი ინტერსექსუალობის მქონე კლიენტები იმის დასადგენად, ხომ არ სჭირდებათ მათ ასეთი მხარდაჭერა. როდესაც ადამიანები განიცდიან გენდერულ შეუთავსებლობას, უნდა მოხდეს გენდერის დამადასტურებელი ინტერვენციების განხილვა. ასეთი ინტერვენციების დროს გამოსაყენებელი პროცედურები აღწერილია სხვა თავებში.

დაკავშირებული ლიტერატურა 10.6

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ხელი შეუწყონ კეთილდღეობას და მინიმუმამდე დაიყვანონ ინტერსექსუალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პოტენციური სტიგმა როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პირებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ცნობილია, რომ ინტერსექსი ადამიანები განიცდიან სტიგმას, სირცხვილის, დანაშაულის გრძნობას, ბრაზს, სევდას და დეპრესიას (Carroll et al., 2020; Joseph et al., 2017; Schützmann et al., 2009). ამ პოპულაციაში შეინიშნება ფსიქოლოგიური სირთულეების უფრო მაღალი დონე, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებაში (Liao & Simmonds, 2014; de Vries et al., 2019). გარდა ამისა, კლინიკურ გუნდს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს მშობელთა შიში შვილის დიაგნოზთან შეგუების და სტიგმატიზაციის. მშობლებს შეუძლიათ ისარგებლონ მხარდაჭერი კონსულტაციით, რომელიც დაეხმარება მათ კლინიკური გადანიშნულების მიღების პროცესში (Fleming et al., 2017; Rolston et al., 2015; Timmermans et al., 2019), ასევე იმის გაგებაში, თუ რა გავლენას მოახდენს მიღებული კლინიკური გადანიშნულება მათ წარმოდგენზე საკუთარი შვილის შესახებ (Crissman et al., 2011; Fedele et al., 2010).

ტიენმა და კოლეგებმა (2005) აღმოაჩინეს, რომ განმეორებითი გენიტალური გამოკვლევები, როგორც ჩანს, დაკავშირებულია სირცხვილთან, შიშთან და ტკივილთან და შეიძლება გაზარდოს შემდგომში პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) განვითარების ალბათობა (Alexander et al., 1997; Money & Lamacz, 1987). სასქესო ორგანოების განმეორებითი გამოკვლევების გავლა, სამედიცინო ჩარევების შიში და მშობლებისა და ექიმების მხრიდან ინტერსექსუალობის გასაიდუმლება, საბოლოო ჯამში, ძირს უთხრის ინტერსექსუალობის მქონე პირის თვითგაძლიერებას და თვითშეფასებას (Meyer-Bahlburg et al., 2018; Thyen et al., 2005; Tishelman et al., 2017; van de Griff, Cohen-Kettenis et al., 2018). რეკომენდაციებისთვის, თუ როგორ

უნდა ჩატარდეს სქესობრივი ორგანოების გამოკვლევები არასასურველი ფსიქოლოგიური გვერდითი ეფექტების შესამცირებლად, იხილეთ Tishelman et al. (2017).

ინტერსექსუალურ თემში არსებობს აქტიური მოძრაობა სტიგმის შესამსუბუქებლად და ინტერსექსუალებისთვის ადამიანის უფლებებისა და ღირსების დასაბრუნებლად, ნაცვლად იმისა, რომ ისინი სამედიცინო ანომალიებად და ცნობისმოყვარეობის საგნად განიხილებოდნენ (Yogyakarta Principles, 2007, 2017). ჩეიზი (2003) აჯამებს ინტერსექსუალობის ადვოკატირების მოძრაობის ძირითად მიზეზებს და გამოყოფს სტიგმასა და ემოციურ ტრავმას, როგორც უცოდინრობისა და გასაიდუმლოების გამოგონილი საჭიროების შედეგს. საზოგადოების ინფორმირებულობა ინტერსექსუალური მდგომარეობის შესახებ ძალიან შეზღუდულია და ინტერსექსი პირების ფოტოები და ისტორიები კვლავ წარმოდგენილია როგორც „ბუნების ანომალიები“. ამიტომ, ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს აქტიურად მიანოდონ განათლება თავიანთ კოლეგებს, ინტერსექსუალობის მქონე პირებს, მათ ოჯახებს და თემებს, გაზარდონ საჯარო ცნობადობა და ცოდნა ინტერსექსუალობის შესახებ. საზოგადოების ინფორმირებულობამ და ცოდნამ ინტერსექსუალობასთან დაკავშირებით შესაძლოა ხელი შეუწყოს დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის შემცირებას. ინსტრუმენტები და საგანმანათლებლო/საინფორმაციო მასალები ასევე შეიძლება დაეხმაროს ინტერსექსუალ პირებს, სურვილის შემთხვევაში, თავიანთი მდგომარეობის გამჟღავნებაში (Ernst et al., 2016).

ჯანდაცვის პროფესიონალებს უნდა შეეძლოთ თავიანთ პაციენტებში სტიგმატიზაციის ამოცნობა და მათზე რეაგირება (Meyer-Bahlburg et al., 2018) და უნდა წაახალისონ სხვადასხვა ასაკის ინტერსექსი ადამიანების ერთმანეთთან კავშირი მხარდაჭერის ჯგუფების მეშვეობით. საჭიროა სპეციფიკური ტექნიკის/მეთოდების შემუშავება, რათა დაეხმარონ პაციენტებს ინტერსექსუალობასთან დაკავშირებული სტიგმის დაძლევაში.

დეკლარაცია 10.7

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ინტერსექსუალობის მქონე ბავშვები და ინდივიდები და მათი ოჯახები საჭიროებისამებრ გადაამისამართონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებთან, ასევე თანასწორგანამათლებლებთან და სხვა ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ცენტრებთან.

თითქმის ყველა მშობლისთვის ინტერსექსი ბავშვის დაბადება სრულიად მოულოდნელი და შოკის მომგვრელია. მათმა უუნარობამ, დაუყოვნებლივ უპასუხონ საყოველთაოდ გავრცელებულ კითხვაზე – «შენი ბავშვი ბიჭია თუ გოგო?», ბავშვის მდგომარეობის შესახებ ცოდნის სიმწირემ, ბავშვის მომავალთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ და ინტერსექსუალობასთან დაკავშირებით გავრცელებულმა სტიგმამ, შესაძლოა, გამოიწვიოს სტრესი, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის (PTSD) დონეს და შეიძლება გამოიწვიოს გახანგრძლივებული შფოთვა და დეპრესია (Pasterski et al., 2014; Roberts et al., 2020; Wisniewski & Sandberg, 2015). ამ ვითარებაში შეიძლება გავლენა მოახდინოს მშობლების მიერ ბავშვზე ზრუნვაზე და მათი ინტერსექსუალობის მქონე ბავშვის გრძელვადიან შედეგებზე (Schweizer et al., 2017). ბავშვების ზრდის კვალდაკვალ, მათ ასევე ემუქრებათ ინტერსექსუალური სტიგმა მისი სამი ძირითადი ფორმით (აქტიური, მოსალოდნელი, ინტერნალიზებული) ცხოვრების ყველა სფეროში (Meyer-Bahlburg et al., 2018), სხვა პოტენციურ სირთულეებთან ერთად, როგორცაა საკუთარი სხეულის აღქმის პრობლემები, გენდერულად ატიპური ქცევა და ეჭვები გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით.

ბევრს შეიძლება შეექმნას დამატებითი გამოწვევა, რომელიც თან სდევს მინიჭებულ გენდერსა და ბიოლოგიურ მახასიათებლებს შორის შეუთავსებლობის გაცნობიერებას, როგორცაა სქესობრივი კარიოტიპი, სასქესო ჯირკვლები, წარსული და/ან ამჟამინდელი სქესობრივ-ჰორმონული გარემო და რეპროდუქციული ტრაქტის კონფიგურაცია. ამ ვითარებამ ასევე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ინდივიდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Godfrey, 2021; Meyer-

Bahlburg, 2022). ლგბტქ ახალგაზრდების ძალიან დიდი ჯგუფის ბოლოდროინდელმა ონლაინ კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტქ ახალგაზრდებს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ ფიზიკური ინტერსექსუალობის რაიმე ვარიანტი ჰქონდათ, აღენიშნებოდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ლგბტქ ახალგაზრდებს, რომელთაც არ ჰქონდათ ინტერსექსუალობა (Trevor Project, 2021). რამდენადაც ინტერსექსუალური მდგომარეობა იშვიათია, ასეთი ბავშვების მშობლებმა და მოგვიანებით თავად ინდივიდებმა შეიძლება აღიქვან თავიანთი მდგომარეობა როგორც უნიკალური და ძალზე ძნელად გასაგები სხვებისთვის. ამრიგად, კლინიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, არსებობს კონსენსუსი ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის – რომლებსაც აქვთ ინტერსექსუალებთან მუშაობის გამოცდილება – რომ სოციალური მხარდაჭერა არის ინტერსექსუალებზე ზრუნვის გადამწყვეტი კომპონენტი, და ეს ხორციელდება არა მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალების მიერ განეული პროფესიული მხარდაჭერით (Pasterski et al., 2010), არამედ, ასევე, თავად ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე ინდივიდებისგან შემდგარი მხარდამჭერი ჯგუფების მეშვეობით (Baratz et al., 2014; Cull & Simmonds, 2010; Hughes et al., 2006; Lampalzer et al., 2021). სქესის განვითარების დარღვევებისა (DSD) და ინტერსექსუალების ურთიერთმხარდაჭერის და ადვოკატირების ჯგუფების დეტალური საერთაშორისო ჩამონათვალი და მათი ვებგვერდები მოწოდებულია ლის, ნორდენსტრომის და სხვების მიერ (Lee, Nordenström et al., 2016).

ინტერსექსუალური მდგომარეობებისა და მკურნალობის რეჟიმების არაერთგვაროვნების გამო, ინტერსექსუალობის მქონე ინდივიდისთვის შეიძლება ყველაზე მეტად გამოსადეგი აღმოჩნდეს დაკავშირება მხარდამჭერ ჯგუფთან, რომელიც აერთანებს მას მსგავს ან ზუსტად მის მდგომარეობის მქონე წევრებს. მნიშვნელოვანია, რომ ინტერსექსუალების მკურნალობის სფეროში სპეციალიზირებულმა ჯანდაცვის პროფესიონალებმა ასევე მჭიდროდ ითანამშრომლონ ასეთ მხარდამჭერ ჯგუფებთან, რათა დროდადრო აზრთა სხვადასხვაობა ზრუნვის

კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით გადაიჭრას დეტალური დისკუსიებით. მჭიდრო კონტაქტები ჯანდაცვის პროფესიონალებსა და მხარდაჭერის ჯგუფებს შორის ასევე ხელს უწყობს თემზე დაფუძნებულ თანამონაწილეობით კვლევას, რომელიც სარგებელს მოუტანს ორივე მხარეს.

ფიგურა 10.8

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, კონსულტაციები გაუწიონ ინტერსექსუალ ადამიანებს და მათ ოჯახებს პუბერტატის დათრგუნვის და/ან ჰორმონული მკურნალობის შესაძლო ვარიანტების შესახებ გენდერული იდენტობის, ასაკისა და უნიკალური სამედიცინო გარემოებების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერსექსუალობის მქონე ბევრ ადამიანს აქვს გენდერული იდენტობა მათი XX ან XY კარიოტიპის შესაბამისად, არსებობს საკმარისი არაერთგვაროვნება იმისთვის, რომ ჯანდაცვის პროფესიონალებმა უზრუნველყონ ინდივიდზე მორგებული მიდგომები. მაგალითად, XX ინდივიდებს შორის, რომლებსაც აქვთ ვირილიზაციის გამომწვევი თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზია, მოსალოდნელზე დიდ უმცირესობას აქვს მამრობითი გენდერის იდენტობა (Dessens et al., 2005). ნაწილობრივი ანდროგენრეზისტენტობის სინდრომის მქონე XY ინდივიდებს შორის გენდერული იდენტობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს (Babu & Shah, 2021). გარდა ამისა, XY ინდივიდებში, რომელთაც აქვთ 5 α -რედუქტაზა-2-ს (5 α -RD-2) დეფიციტი და 17-ბეტა-ჰიდროქსისტეროიდის დეჰიდროგენაზა-3-ს დეფიციტი, რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიენიჭათ, მათი დიდი ნაწილი (56-63% და 39-64%, შესაბამისად) ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ტიპური ქალის გენდერული როლიდან ტიპურ მამრობითი გენდერული როლისკენ (Cohen-Kettenis, 2005).

ინტერსექსუალობის მქონე ადამიანებს აქვთ მკურნალობის შესაძლებლობების ფართო სპექტრი, რაც გენდერულ იდენტობაზეა დამოკიდებული და მათ ანატომიასთან არის შესაბამისობაში. ეს ვარიანტები მოიცავს სქესობრივი

მომნიფების დამთრგუნველ მედიკამენტებს, ჰორმონულ მკურნალობას და ოპერაციებს, რომლებიც მორგებულია ინდივიდის უნიკალურ საჭიროებებზე (Weinand & Safer, 2015; Safer & Tangpricha, 2019) (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 6 – მოზარდები და თავი 12 – ჰორმონული თერაპია). კერძოდ, როდესაც წარმოდგენილია ფუნქციური სასქესო ჯირკვლები, სქესობრივი მომნიფება შეიძლება დროებით შეჩერდეს გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის (GnRH) ანალოგების გამოყენებით.

ასეთი ჩარევა ინდივიდს აძლევს საჭირო დროს საკუთარი გენდერული იდენტობის შესასწავლად და საკუთარი გენდერის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხშირია გენდერული როლის შეცვლა (მაგ. მდედრობითი სქესით აღზრდილ პირებში 5 α -RD-2 დეფიციტით; Cocchetti, Ristori, Mazzoli et al., 2020; Fisher, Castellini et al., 2016).

ჯანდაცვის პროფესიონალებს შეუძლიათ გაუწიონ პირდაპირი კონსულტაციები ინდივიდებს და მათ ოჯახებს და ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებს გააჩნიათ საკმარისი ექსპერტიზა და შეუძლიათ მისი გამოყენება ინდივიდისთვის შესაბამისი მკურნალობის კურსის განსაზღვრისთვის და ასევე, არჩეული თერაპიული გადაწყვეტის განხორციელებისთვის აუცილებელი ლოჯისტიკური საკითხების დასადგენად.

ფიგურა 10.9

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, კონსულტაცია გაუწიონ მშობლებს და ინტერსექს ბავშვებს (თუ მათი კოგნიტური განვითარება ამის საშუალებას იძლევა) გადადონ გენიტალური ქირურგია, სასქესო ჯირკვლის ქირურგია ან ორივე ერთად, რათა გააუმჯობესონ ბავშვების თვითგამორკვევის შესაძლებლობა და მიეცეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღებაში ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად გამოხატავენ შემფოთებას იმის გამო, რომ სანამ ბავშვი შეძ-

ლებს მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებაში იქამდე ჩატარებულმა ოპერაციებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის უფლებებს ავტონომიაზე, თვითგამორკვევასა და ღია მომავალზე (მაგ. Human Rights Watch, 2017). მრავალი სამედიცინო და ინტერსექსუალთა დაცვის ორგანიზაცია, ისევე როგორც რამდენიმე ქვეყანა შეუერთდა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ჯგუფებს, რათა რეკომენდაცია გაუნიონ ოპერაციული ჩარევის გადადებას, როდესაც ეს სამედიცინო თვალსაზრისით შესაძლებელია (Dalke et al., 2020; National Academy of Sciences, Engineering, and Medicine, 2020). თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ანატომიური მოცემულობები, როგორცაა შარდის დინების შეფერხება ან მენჯის ორგანოების ექსპოზიცია, ქმნიან მყისიერ რისკებს ფიზიკური ჯანმრთელობისთვის (Mouriquand et al., 2016). სხვებს, როგორცაა მენსტრუაციის შეფერხება ან ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების გრძელვადიანი რისკი განუვითარებელ სათესლე ჯირკვლებში, გააჩნიათ ეტაპობრივად განვითარებადი ფიზიკური შედეგები. ვარიაციების მესამე ჯგუფი, როგორცაა მაგალითად გარე სასქესო ორგანოების ვიზუალური ან ვაგინალური სიღრმის ნაირსახეობები, არ ქმნიან მყისიერ ან გრძელვადიან ფიზიკურ რისკს. ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ეხება მხოლოდ იმ ანატომიურ ვარიაციებს, რომლებიც, მკურნალობის გარეშე დატოვების შემთხვევაში არ გამოიწვევს მყისიერ უარყოფით ფიზიკურ შედეგებს და სადაც ქირურგიული მკურნალობის დაგვიანება არ უქმნის საფრთხეს ფიზიკურ ჯანმრთელობას.

ამ სახესხვაობების მქონე პირთა არაგადაუდებელი ქირურგიული მკურნალობა რთული და ხშირად სადავოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინდივიდი ჩვილი ან მცირეწლოვანი ბავშვია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა ჯერ არ შეუძლია. ხანდაზმული, ინტერსექსუალთა მქონე ადამიანები საუბრობენ, რომ მათ აწუხებთ ფსიქოსოციალური და სექსუალური ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის, დეპრესია, შფოთვა და სექსუალური და სოციალური სტიგმა (de Vries et al., 2019; Rosenwohl-Mack et al., 2020). ზოგიერთი

კვლევა მიანიშნებს, რომ კონკრეტული ვარიაციის მქონე პირები (მაგ. 46, XX CAH) ეთანხმებიან ოპერაციის ჩატარებას მოზარდობის ასაკამდე (Bennecke et al., 2021). ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი მოზარდი და ზრდასრული კმაყოფილია ბავშვობაში ჩატარებული ოპერაციის შედეგად სასქესო ორგანოების გარეგნობითა და ფუნქციით (Rapp et al., 2021). ბავშვის გენიტალური განსხვავება ასევე შეიძლება გახდეს სტრესის წყარო მშობლებისთვის, და არსებობს კვლევა, რომელიც იუწყება, რომ არსებობს კავშირი ქირურგიული ჩარევის გზით ბინარულ სასქესო ორგანოების შექმნასა და მშობლების სტრესის მცირედით შემცირებას შორის (Wolfe-Christensen et al., 2017), თუმცა მშობლების მცირე ნაწილმა შეიძლება გამოთქვას სინანული ამგვარი გადაწყვეტილების მიღების გამო (Cohen-Kettenis, 2005). შედეგად, ზოგიერთი ორგანიზაცია გვირჩევს, რომ ოპერაცია შესთავაზონ ძალზე მცირეწლოვან ბავშვებს (ამერიკული უროლოგიური ასოციაცია, 2019; პედიატრიული ენდოკრინული საზოგადოება, 2020).

ეს მიუთითებს სამედიცინო სფეროში სასქესო ორგანოს ადრეული ოპერაციის მართვის გაიდლაინებთან დაკავშირებით განსხვავებების არსებობაზე. ამ თავის ავტორებმაც ვერ მიაღწიეს სრულ ურთიერთთანხმობას. ინტერსექსუალთა ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ პოტენციურად საზიანოა სასქესო ორგანოების ვარიაციების შემთხვევაში სასქესო ორგანოების ადრეული ქირურგიის გადადების დაჟინება ყველა შემთხვევაში, როცა მყისიერი სამედიცინო რისკი არ დგას. ამ მოსაზრების მხარდამჭერი მიზეზები შემდეგია: 1) ინტერსექსუალური მდგომარეობა უაღრესად ჰეტეროგენულია ტიპის და სიმძიმის მიხედვით, ისევე როგორც სასქესო ჯირკვლების სტრუქტურის, ფუნქციისა და ავთვისებიანი სიმსივნეების რისკის მიხედვით; 2) საზოგადოებები და ოჯახები ძალზე განსხვავდებიან გენდერული ნორმებისა და ინტერსექსუალური სტიგმის პოტენციალის მიხედვით; 3) ადრეულ ოპერაციას შეიძლება ქონდეს გარკვეული ტექნიკური უპირატესობა; და 4) ინტერსექსუალთა მქონე პირების (რომელთა უმრავლესობას უკვე გაკეთებული ჰქონდა სასქესო

ორგანოს ოპერაცია) გამოკითხვის მიმოხილვა აჩვენებს, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს ოპერაციას თანხმობის ასაკამდე, განსაკუთრებით, კლასიკური თანდაყოლილი თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზიის (CAH) მქონე 46,XX ინდივიდებში და XY ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე პირების შემთხვევაში ნაკლებად უჭერენ მხარს ოპერაციას (Meyer-Bahlburg, 2022). ამ მოსაზრების მხარდამჭერი ექსპერტები ითხოვენ ინდივიდუალურ მიდგომას სასქესო ორგანოების ოპერაციისა და მისი ჩატარების დროის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ამ მიდგომას იზიარებს სამედიცინო საზოგადოებები, რომელთაც ინტერსექსუალობის სპეციალისტების დიდი რაოდენობა ჰყავთ (Bangalore Krishna et al., 2021; Pediatric Endocrine Society, 2020; Speiser et al., 2018; Stark et al., 2019) და გარკვეული მხარდამჭერი ორგანიზაციები (CARES Foundation; Krege et al., 2019). მიუხედავად ამისა, გრძელვადიანი შედეგების კვლევები შეზღუდულია და იმ კვლევების უმეტესობაში, რომლებიც მიუთითებენ დადებით შედეგებზე, არ მონაწილეობდა ქირურგიული ჩარევის მონინალმდეგეთა შესაძარებელი ჯგუფი (Dalke, et al., 2020; National Academies of Sciences, Engineering, and Medicine, 2020). ასევე არ არსებობს მტკიცებულება, რომ ქირურგიული ჩარევა იცავს ბავშვებს სტიგმისგან (Roen, 2019). ინტერსექსუალობის მქონე ზრდასრულები, რა თქმა უნდა, განიცდიან მათ სასქესო ორგანოებთან დაკავშირებულ სტიგმას, დებრესიას და შფოთვას, მაგრამ ზემოთხეხილი სტიგმა მათ შეიძლება განიცადონ მიუხედავად იმისა, ჩაუტარდებათ თუ არა ოპერაცია (Ediati et al., 2017; Meyer-Bahlburg, Khuri et al., 2017; Meyer-Bahlburg et al., 2018). ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ ოპერაციებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კოსმეტიკური, საშარდე გზების და სექსუალური გართულებები, რომლებიც მათ თან გაყვებათ მოზრდილობაში (Gong & Cheng, 2017; National Academies of Sciences, Engineering, and Medicine, 2020). ბოლო კვლევები იძლევიან ვარაუდის საფუძველს, რომ ინდივიდების ზოგიერთ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებით ნეგატიური გამოცდილება გონადექტომიასთან დაკავშირებით, თუმ-

ცა ეს რისკი უნდა შეფასდეს სასქესო ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკის გათვალისწინებით (Duranteau et al., 2020; Rapp et al., 2021). ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე ადამიანებში უფრო მაღალია ალბათობა იყვნენ ტრანსგენდერები, გენდერულად მრავალფეროვანი ან გენდერული დისფორიის მქონენი, ვიდრე ზოგადად დანარჩენ პოპულაციაში (Almasri et al., 2018; Pasterski et al., 2015). ამრიგად, მცირენალოვან ბავშვებში სასქესო ორგანოების ოპერაციებმა შეიძლება შეუქცევადად მიაკუთვნოს მათ ბინარული გენდერი, რომელიც არ შეესაბამება ამ ადამიანების მომავალს. ეს დასკვნები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა გადმოსახედიდან, მხარს უჭერს მონოდებას ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილების გადადების შესახებ იმ დრომდე, ვიდრე ინდივიდი თავად შეიძლება გადაწყვიტილების მიღებას.

სასწრაფოდ საჭიროა, ჩატარდეს სისტემური, გრძელვადიანი შემდგომი კვლევები, რათა შესაძლებელი გახდეს გენდერული იდენტობის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ცხოვრების ზოგადი ხარისხის მიხედვით ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე იმ პირების შედარება, რომლებმაც სხვადასხვა ასაკში ჩაიტარეს ოპერაცია, ან საერთოდ არ ჩაუტარებიათ.

დასკვნა 10.10

გაცემით რეკომენდაციას, რომ ინტერსექსუალობის მქონე პირებს მხოლოდ იმ ქირურგიებმა გაუწიონ ქირურგიული მომსახურება, რომლებსაც აქვთ ინტერსექსუალურ სასქესო ორგანოების ან გონადური ოპერაციის გამოცდილება.

ინტერსექსუალური მდგომარეობა იშვიათია და ინტერსექსუალური სასქესო ორგანოების ანატომია ჰეტეროგენულია. ოპერაციები დაკავშირებულია მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი გართულებების რისკთან (e.g., National Academies of Sciences, Engineering, and Medicine, 2020) და ქირურგიული სასწავლო პროგრამების უმეტესობა არ ამზადებს მსმენელებს ამ სპეციალიზებული მკურნალობის გასაწევად (Grimstad, Kremen et al., 2021). ქირურგიული მკურნალობის სირთულის აღიარებით, რომელიც მთელი

სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, ექსპერტებისა და საერთაშორისო პროფესიონალთა თანხმობის მიერ შემუშავებული სტანდარტები რეკომენდაციას გასცემენ, რომ ინტერსექსუალურ პირებს აღნიშნული მკურნალობა ჩაუტაროს ექსპერტთა მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა (Krege et al, 2019; Lee, Nordenström et al., 2016; Pediatric Endocrine Society, 2020). ამიტომ, ჩვენ გირჩევთ, რომ ქირურგიული მკურნალობა შეზღუდულად იყოს ხელმისაწვდომი მხოლოდ ინტერსექსუალობაზე სპეციალიზებულ, მულტიდისციპლინურ გარემოში, რომელიც მოიცავს ინტერსექსუალების მკურნალობაში გამოცდილ ქირურგებს.

დეკლარაცია 10.11

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ნიშნავენ ან მიმართავენ ჰორმონულ თერაპიას/ოპერაციებს, ესაუბრონ ინტერსექსუალ და ნაყოფიერების პოტენციალის მქონე პირებს და მათ ოჯახებს ა) მომავალ ნაყოფიერებაზე ჰორმონული თერაპიის/ოპერაციის ცნობილი გავლენის შესახებ; ბ) იმ თერაპიის პოტენციური ეფექტების შესახებ, რომლებიც კარგად არ არის შესწავლილი და მათი შექცევადობის შესახებ არაა ცნობილი; გ) ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტების შესახებ; და დ) უნაყოფობის ფსიქოსოციალური შედეგების შესახებ.

გარკვეული ინტერსექსუალური მდგომარეობის მქონე ინდივიდებს შეიძლება ჰქონდეთ რეპროდუქციულად ფუნქციონალური სასქესო ორგანოები, მაგრამ განიცდიან უნაყოფობას სასქესო ჯირკვლების ატიპური განვითარების გამო. სხვებს შეიძლება ჰქონდეთ ფუნქციონალური სასქესო ჯირკვლები სიცოცხლისუნარიანი ჩანასახოვანი უჯრედებით, მაგრამ ვერ ახერხებენ ბუნებრივი ნაყოფიერების მიღწევას შეუსაბამო შიდა ან გარე სასქესო ორგანოების გამო (van Batavia & Kolon, 2016). პუბერტატის დათრგუნვამ, ჰორმონულმა მკურნალობამ სქესობრივი სტეროიდული ჰორმონების გამოყენებით და გენდერის დამადასტურებელმა ოპერაციებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მომავალ ნაყოფიერებაზე. ამიტომ მკურნალო-

ბისა და ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტების პოტენციური შედეგები უნდა იქნეს განხილული და ანონდანონილი.

ფუნქციური სათესლე ჯირკვლების მქონე პირები უნდა გააფრთხილონ, რომ ესტროგენით გახანგრძლივებულმა მკურნალობამ და ტესტოსტერონის დათრგუნვამ, რაც შესწავლილი იქნა ინტერსექსუალური მდგომარეობის არმქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, შეიძლება გამოიწვიოს სათესლე ჯირკვლის ატროფია და სპერმის რაოდენობის შემცირება (Mattawanon et al., 2018). მიუხედავად იმისა, რომ გენდერის დამადასტურებელი ამგვარი ჰორმონული მკურნალობის შეწყვეტამ შეიძლება გააუმჯობესოს სპერმის ხარისხი, სპერმის დაზიანების სრულად გამოსწორება არ არის გარანტირებული (Sermondade et al., 2021). ნაყოფიერების შენარჩუნების ძირითადი ვარიანტი მოქმედი სათესლე ჯირკვლების მქონე პირებისთვის არის მასტურბაციის, ან ვიბრაციული სტიმულაციის გზით შეგროვებული სპერმის კრიოკონსერვაცია (de Roo et al., 2016). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რამდენად წარმატებული იქნება ეს მეთოდი ადამიანებში, არსებობს იდეა სათესლე ჯირკვლის უშუალო ამოღებისა და მოუმნიფებელი სათესლე ჯირკვლის ქსოვილის კრიოპრეზერვაციის შესახებ იმ მოზარდებისთვის, რომლებთანაც ჯერ არ დანყებულა პუბერტატი (Mattawanon et al., 2018).

ფუნქციური საკვერცხეების მქონე პირები უნდა გააფრთხილონ, რომ ტესტოსტერონული თერაპია, როგორც წესი, იწვევს მენსტრუაციის და ოვულაციის შეწყვეტას, ხშირად თერაპიის დაწყებიდან რამდენიმე თვეში. არ არსებობს საკმარისი ცოდნა ტესტოსტერონის პოტენციური ეფექტის შესახებ კვერცხუჯრედებზე და შემდგომ ნაყოფიერებაზე. ტრანსგენდერ ადამიანებში ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ტესტოსტერონით მკურნალობა შეიძლება დაკავშირებული იყოს პოლიკისტოზური საკვერცხეების მორფოლოგიის განვითარებასთან (Grynberg et al., 2010). თუმცა, სხვა მკვლევარებმა ვერ იპოვეს პოლიკისტოზური საკვერცხის სინდრომის (PCOS) მტკიცებულება ტრანსგენდერ კაცებში, რომლებიც იღებენ გენდერის დამადასტურე-

ბელ ჰორმონულ თერაპიას მეტაბოლური (Chan et al., 2018) ან ჰისტოლოგიური პარამეტრების საფუძველზე (de Roo et al., 2017). ხელუხლებელი საშვილოსნოს და ფუნქციონირებადი საკვერცხეების მქონე პირებს შეუძლიათ დაიბრუნონ ნაყოფიერების პოტენციალი, თუ შეწყვეტენ ტესტოსტერონით თერაპიას.

ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები ფუნქციური საკვერცხეების მქონე ინტერსექსუალ პოსტპუბერტატულ ადამიანებში მოიცავს ჰორმონულ სტიმულაციას მომნიშვნელო კვერცხუჯრედის კრიოკონსერვაციის ან საკვერცხის ქსოვილის კრიოკონსერვაციის მიზნით. ალტერნატიულად, კვერცხუჯრედის სტიმულირებული ექსტრაქცია დაფიქსირდა იმ ტრანსგენდერ კაცშიც კი, რომელიც აგრძელებდა ტესტოსტერონის თერაპიას (გრინვალდი, 2021). ანალოგიურად, კვერცხუჯრედის კრიოკონსერვაცია საკვერცხის სტიმულაციის შემდეგ დაფიქსირდა ტრანსგენდერ ბიჭში, რომელიც გადიოდა თერაპიას გონადოტროპინებით (GnRHa) (Rothenbergetal.,2019). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვერცხეების სტიმულაცია, გონადოტროპინებით (GnRHa) ან ტესტოსტერონით მკურნალობის ან ორივეს დროებითი შეწყვეტა, ისევე როგორც გინეკოლოგიური პროცედურები შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური სტრესის გამომწვევი ინდივიდებისათვის. ამ სტრესულ რეაქციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს მათმა ფსიქიკურმა ჯანმრთელობამ, გენდერულმა იდენტობამ და სხვა სამედიცინო გამოცდილებებმა. გარკვეული ინტერვენციების გამოყენება შეიძლება დამოკიდებული იყოს ინდივიდის მიმართ სოციალურ ქსელში სხვა ადამიანების მხარდაჭერაზე, პოტენციური პარტნიორების ჩათვლით.

დაკლავი 10.12

ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ზრუნავენ ინტერსექსუალ და თანდაყოლილი უნაყოფობის მქონე პირებზე, ადრეულად და ეტაპობრივად გააცნონ მათ და მათ ოჯახებს მშობლობის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები.

ინტერსექსუალური მახასიათებლების მქონე ადამიანების შემთხვევაში უნაყოფობის აღბათობის დადგენა შეიძლება მოხდეს ჩვილობაში, ბავშვობაში, მოზარდობაში, ან ზრდასრულ ასაკში, ბავშვის გაჩენის მცდელობამდე. ბევრი ადამიანისთვის უნაყოფობის დიაგნოზი თან ახლავს ინტერსექსუალობის დიაგნოზს (ჯონსი, 2019). ზოგიერთ ინდივიდს მშობლობის საშუალება შეიძლება მისცეს ხელოვნურმა ჰეტეროლოგიურმა განაყოფიერებამ (მაგ. კვერცხუჯრედის ან სპერმის დონაცია). აგრეთვე არსებობს შვილად აყვანის სხვადასხვა გზა. ზოგიერთმა გზამ შეიძლება მოითხოვოს თავდადება და მნიშვნელოვანი დროის ინვესტიცია. იმ პირებისთვის, რომლებსაც არ აინტერესებთ ზემოაღწერილი ნაყოფიერების მიღწევის შესაძლებლობები, ან ვისთვისაც შვილოსნობა შეუძლებელია, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს შვილად აყვანისა და ალტერნატიული მშობლობის ხელმისაწვდომი ვარიანტების გაცნობა ადრეულ ეტაპზევე. მიუხედავად იმისა, რომ საშვილოსნოს ტრანსპლანტაცია მიუღწერის აგენეზიის მქონე ადამიანებში (Richards et al., 2021) სანყის ეტაპზე წარმატებით განხორციელდა, დღემდე არ არსებობს პროტოკოლი, რომელიც ნაყოფს დაიცავს განვითარებასთან დაკავშირებული რისკებისგან, რომლებიც გამონვეულია ტრანსპლანტაციის უარყოფის თავიდან ასაცილებლად გამოყენებული ნამლების მიღებით.

თავი 11. ინსტიტუციური გარემო

ეს თავი ეხება ინსტიტუციებში მცხოვრებ ტრანსგენდერებსა და გენდერულად მრავალფეროვან (TGD) ინდივიდებზე ზრუნვას. ინსტიტუციები არსებითად გულისხმობს იმ დაწესებულებებს, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ და იღებენ ზრუნვას კოლექტივთან ან დიდ ჯგუფთან ერთად, სადაც ინდივიდებს შეიძლება ჰქონდეთ, ან არ ჰქონდეთ გადაადგილების თავისუფლება. ინსტიტუციაში ყოფნა შეიძლება არ ეფუძნებოდეს ინდივიდის თანხმობას, ან მათ შეიძლება არ ჰქონდეთ გადამწყვეტილების მიღების უნარი. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები (გამასწორებელი დაწესებულებები, საიმეგრაციო დაყოვნების ცენტრები, ციხეები, არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრები) და დაწესებულებები, რომელთა მიზანი გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა არაა (გრძელვადიანი მოვლის დაწესებულებები, სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულებები, სახლში ზრუნვა, ჰოსპისი/პალიატიური მზრუნველობა, მხარდაჭერილი საცხოვრებელი დაწესებულებები) არის საცხოვრებელი დაწესებულებები, სადაც ტრანსგენდერი პირები შეიძლება იღებდნენ ჯანდაცვას. ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირების სათანადო მოვლისთვის მტკიცებულებათა დიდი ნაწილი შეგროვებულია თავისუფლების აღკვეთის გარემოში. თუმცა, აქ წარმოდგენილი რეკომენდაციები ვრცელდება ყველა დაწესებულებაზე, სადაც განთავსებულნი არიან ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირები, როგორც თავისუფლების აღკვეთის, ისე სხვა დაწესებულებაში (Porter et al., 2016). ზრუნვის სტანდარტების ყველა რეკომენდაცია თანაბრად ვრცელდება ორივე ტიპის დაწესებულებაში მცხოვრებ ადამიანებზე. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ წვდომა სამედიცინოდ აუცილებელ მკურნალობაზე, მიუხედავად მათი ამა თუ იმ დაწესებულებაში ცხოვრებისა (ბრაუნი, 2009). ინსტიტუციონალიზებულ პირზე ზრუნვისას გასათვალისწინებელია, რომ დამოუკიდებლად სამედიცინო დახმარების მიღების მხრივ მათ არ აქვთ ისეთი წვდომა, როგორც არაინსტიტუციონალიზებულ პირებს. ამის გამო ინსტიტუ-

ციონალიზებულ პირებს უნდა ჰქონდეთ მხარდაჭერა, რათა მათთვის უზრუნველყოფილი იყოს ჯანდაცვის ის სტანდარტები, რომლებიც დადგენილია ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის (WPATH) მიერ.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ მათ არ მიუწვევიათ ხელი კონკრეტულად ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელ მკურნალობაზე (იხ. თავი 2 – გლობალური გამოყენებადობა, დებულება 2.1), რაც მათთვის უპირველესი საზრუნავია პატიმრობაში ყოფნისას (ბრაუნი, 2014; Emmer et al., 2011). თავისუფლების აღმკვეთი ბევრი დაწესებულებისთვის დამახასიათებელი სისტემური რასობრივი უთანასწორობა (Sawyer, 2020), რასის მიხედვით არათანაბარი ჯანმრთელობის სერვისები (Nowotny et al., 2017) და ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ფერადკანიანი ადამიანების არაპროპორციულად დიდი რაოდენობა ზოგიერთ დაწესებულებაში (Reisner et al., 2014) ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ტრანსზიციის პროცესში საჭირო მკურნალობის ხელმისაწვდომობის საკითხებს. კონტროლირებადი კვლევები აჩვენებს მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკურად მნიშვნელოვან უთანასწორობას იმ ტრანსგენდერი ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც არ ყოფილან ციხეში ან საპატიმროში (ბრაუნი და ჯონსი, 2015). ძალზე ხშირად უწყებებს, სტრუქტურებს და პერსონალს, რომლებიც უზრუნველყოფენ მკურნალობას, აკლიათ ცოდნა, მომზადება და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე ზრუნვის უნარი (Clark et al., 2017). პალიატიური მზრუნველობის დაწესებულებებში, ჰოსპისების ჩათვლით, ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი რეზიდენტების დისკრიმინაცია ხშირია და ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების ან მათი სუროგატების

საჭიროებები ამ გარემოში იგნორირებულია (Stein et al., 2020). ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ (ლგბტ) პაციენტებს შეიძლება ერჩივნოთ დამალონ თავიანთი სექსუალური და/ან გენდერული იდენტობა მოხუცთა თავშესაფარში შესვლისას, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში შესვლამდე ისინი ღიად ცხოვრობდნენ და იდენტიფიცირდებოდნენ ლგბტ პირებად (Carroll, 2017; Serafin et al., 2013).

ამ თავში ყველა დებულება რეკომენდებულია მტკიცებულებების საფუძვლიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის, პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და პრიორიტეტების, რესურსების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია და/ან სერვისები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ან სასურველი.

დაწესებულებებთან დაკავშირებული ხელმისაწვდომი ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მათზე, ვინც ციხეებში, სასჯელაღსრულების, ან სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობაში იმყოფება. ლიტერატურა სხვა ინსტიტუციონალური ტიპების შესახებ, შეძლებისდაგვარად, ასევე განხილული და მითითებულია. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი გამოკვლევები მოაგვარებს არასაპატიმრო ინსტიტუტების შესახებ მონაცემთა ფარდობითი სიმწირის პრობლემას. შესაძლებელია ზემოთ შეჯამებული რეკომენდაციების განზოგადება და გამოყენება სხვადასხვა ინსტიტუციური გარემოსთვის, რომლებსაც აქვთ საერთო მახასიათებლები, მათ შორის დაყოვნების გახანგრძლივებული პერიოდები, დაკარგული ან შეზღუდული გადანაცვლების მიღების უნარი და ინსტიტუციის პერსონალზე დამოკიდებულება ცხოვრების ზოგიერთი ან ყველა ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სარეკომენდაციო დასკვნები

- 11.1- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაწესებულებებში მცხოვრები პირებისთვის გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის მიწოდებაზე (ან რომლებიც ასოცირდებიან ასეთ დაწესებულებებთან ან უწყებებთან), აღიარონ, რომ ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის რეკომენდაციების მთელი სია თანაბრად ვრცელდება დაწესებულებებში მცხოვრებ ადამიანებზე;
- 11.2- რეკომენდაციას ვაძლევთ დაწესებულებებს, გენდერული მრავალფეროვნების შესახებ ტრენინგი ჩატარდეს მათი პერსონალის ყველა წევრს;
- 11.3- რეკომენდაციას ვაძლევთ მედიცინის სფეროს პროფესიონალებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჰორმონების დანიშნავასა და მონიტორინგზე ინსტიტუციებში მცხოვრები იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია, გააკეთონ ეს ზედმეტი შეფერხების გარეშე და ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის შესაბამისად;
- 11.4- რეკომენდაციას ვაძლევთ პერსონალს და პროფესიონალებს, რომელთაც ევალებათ ინსტიტუციებში მცხოვრები ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირებისთვის ჯანდაცვის უზრუნველყოფა, რეკომენდაცია გაუწიონ და მხარი დაუჭირონ გენდერის დამადასტურებელ ქირურგიულ მკურნალობას ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის შესაბამისად, როდესაც ეს ინდივიდის სურვილია, ზედმეტი შეფერხების გარეშე;
- 11.5- რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციებში მომუშავე ადმინისტრატორებს, ჯანდაცვის სპეციალისტებს და ყველა დანარჩენ პირს, ვისაც ეკისრება ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, ნება დართონ იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ შესაბამის ტანსაცმელს და თავის მოვლის საშუალებებს, მიიღონ ასეთი ნივთები მათი გენდერული გამოხატვის შესაბამისად;
- 11.6- რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციებში მომუშავე მთელ პერსონალს, ყოველთვის მიმართონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდებს მათ მიერ არჩეული სახელებითა და ნაცვალსახელებით;
- 11.7- რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციების ადმინისტრატორებს, ჯანდაცვის პროფესიონალებს და სხვა ოფიციალურ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი რეზიდენტების საცხოვრებლის შესახებ გადანაცვლების მიღებაზე, გაითვალისწინონ ინდივიდის სურვილები საცხოვრებელთან დაკავშირებით, მათი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და უსაფრთხოების საკითხები და არა მხოლოდ მათი ანატომია ან ქქესი, რომელიც დაბადებისას განესაზღვრათ;
- 11.8- რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციების პერსონალს, დაანუსონ საბინაო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მაცხოვრებლების უსაფრთხოებას ამ პირების სეგრეგაციის ან იზოლაციის გარეშე;
- 11.9- რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციების პერსონალს, დაუშვან ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული მაცხოვრებლების, მოთხოვნისამებრ, საშხაპითა და ტუალეტით ცალკე სარგებლობა.

დეკლარაცია 11.1

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაწესებულებებში მცხოვრები პირებისთვის გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის მიწოდებაზე (ან რომლებიც ასოცირდებიან დაწესებულებებთან ან უწყებებთან), აღიარონ, რომ ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის რეკომენდაციების მთელი სია თანაბრად ვრცელდება დაწესებულებებში მცხოვრებ ადამიანებზე.

დაწესებულებებში მცხოვრები ადამიანები საჭიროებენ და იმსახურებენ ფსიქიკური და სამედიცინო ჯანმრთელობის დაცვას ზოგადად და სპეციალიზებულ სფეროებში. იგივეაირად, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები არიან ამ დაწესებულებებში და, შესაბამისად, მათაც სჭირდებათ ჯანდაცვა, რომელიც სპეციალურად ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების პრობლემებზეა მორგებული. ჩვენ გირჩევთ, რომ გამოიყენოთ ზრუნვის სტანდარტები (SOC), როგორც ჯანმრთელობის დაცვისა და ეთიკის ძირითადი პრინციპები დაწესებულებებში მცხოვრები პირების მიმართ (Beauchamp & Childress, 2019; Pope & Vasquez, 2016). გარდა ამისა, მრავალი სასამართლო დიდი ხანია მხარს უჭერს ზრუნვის სტანდარტით (WPATH) გათვალსწინებული ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდების შესახებ ინფორმირებული მოვლის აუცილებლობას დაწესებულებებში მცხოვრები ადამიანებისთვისაც (მაგ. Koselik v. Massachusetts, 2002; Edmo v. Idaho Department of Corrections, 2020). სააგენტოებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალის გრძელვადიან დაქირავებას ბინაზე გასაწევი სერვისებისთვის, ასევე უნდა იცოდნენ ზრუნვის სტანდარტების მოქმედების სფეროს შესახებ.

დეკლარაცია 11.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციებს, გენდერული მრავალფეროვნების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდეს მათი პერსონალის ყველა წევრს.

იმის გამო, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდებზე ზრუნვა გავლენას ახდენს მოსახლეობის მცირე პროცენტზე, ის მოითხოვს სპეციალიზებულ ტრენინგს, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემაში. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციურ გარემოში ტრენინგის დონე განსხვავდება პერსონალის როლის მიხედვით, პერსონალიდან ყველას დასჭირდება ტრენინგი რეზიდენტების სათანადოდ მართვისთვის. ამავდროულად, კლინიკური პერსონალის ნაწილს შეიძლება დასჭირდეს უფრო ინტენსიური ტრენინგი და/ან კონსულტაცია. ტრენინგის ეს რეკომენდაცია ასევე ეხება სააგენტოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალის დაქირავებას სახლში, გრძელვადიანი მოვლისთვის. ინსტიტუციონალიზებული მაცხოვრებლების გენდერის არასწორად აღნიშვნა, გენდერულად შესაბამისი ტანსაცმლის, საშხაპების ან საცხოვრისის გამოყენების აკრძალვა და პირის მიერ არჩეული სახელების გამოუყენებლობა გამოხატავს პატივისცემის ნაკლებობას ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მაცხოვრებლების მიმართ, რომლებშიც შესაძლოა ამ განმეორებადმა შეურაცხყოფამ გამოიწვიოს ემოციური ტრავმა, დეპრესია და შფოთვა.

ამ ზიანის პრევენცია შესაძლებელია ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პირებთან დაკავშირებული ჯანდაცვის საკითხებზე ინსტიტუციების სრული პერსონალის პირველადი კომპენტენციის ამაღლებითა და ტრენინგების გზით (Hafford-Letchfield et al., 2017). გამოკითხვები ცხადყოფს, რომ პირებს, რომლებიც მუშაობენ პატიმრობაში მყოფ პირებთან, ისევე როგორც, ისეთ გარემოში მყოფ პირებთან, რომელიც არ ემსახურება თავისუფლების აღკვეთას, როგორცაა პალიატიური მზრუნველობა, ავლენენ მნიშვნელოვანი ცოდნის ნაკლებობას (Stein et al., 2020; White et al., 2016). ჰაფორდ-ლეტჩფილდმა და კოლეგებმა (Hafford-Letchfield et al. 2017) აჩვენეს გრძელვადიან მოვლაში ჩართული პერსონალის ტრენინგის სარგებელი, როდესაც ასეთი ტრენინგი დაიწყო „ლბგტ საკითხების შეცნობით“ ზრუნვის დაწესებულებებში. თუ დანიშნულ ჯანდაცვის პროვაიდერებს არ გააჩნიათ

ექსპერტიზა, რათა შეაფასონ და/ან უმკურნალონ მათ დაქვემდებარებაში მყოფ გენდერულად მრავალფეროვან პირებს, მათ უნდა გაიარონ კონსულტაცია გარე პროფესიონალებთან, რომლებსაც აქვთ ექსპერტიზა გენდერის დამადასტურებელი ჯანდაცვის უზრუნველყოფის მხრივ (Brömdal et al., 2019; Sevelius and Jenness, 2017).

ლეგენდა 11.3

რეკომენდაციას ვაძლევთ მედიცინის სფეროს პროფესიონალებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჰორმონების დანიშვნასა და მონიტორინგზე ინსტიტუციებში მცხოვრები იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია, გააკეთონ ეს ზედმეტი შეფერხების გარეშე და ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის შესაბამისად.

ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ შეფასება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობისთვის, შეიძლება მოხვდნენ დაწესებულებებში, ან შეიძლება მათ ეს საჭიროება განუვითარდეთ მას შემდეგ, რაც ისინი სხვადასხვა ხანგრძლივობით იცხოვრებენ ინსტიტუციურ გარემოში. საკმაოდ ხშირია, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს არ აძლევენ წვდომას ჰორმონულ მკურნალობაზე თვეების ან წლების განმავლობაში მას შემდეგ, რაც ისინი განაცხადებენ ამგვარი საჭიროების შესახებ, ან არასაკმარის მკურნალობას და ცუდ მონიტორინგს დაუქვემდებარებენ, რაც აჭიანურებს მედიკამენტების აუცილებელ ტიტრირებას პაციენტის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობისთვის (Keohane, 2018; Kosilek v. Massachusetts, 2002; Monroe v. Baldwin et al., 2019). ამას, შესაძლოა, მნიშვნელოვანად უარყოფითი შედეგები მოჰყვეს ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ, მათ შორის ისეთი, როგორცაა დეპრესია, შფოთვა, სუიციდურობა და ქირურგიული თვითმკურნალობის რისკები (ბრაუნი, 2010). როგორც ყველა სამედიცინოდ აუცილებელი ზრუნვის შემთხვევაში, გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ხელმისაწვდომობა დროულად

უნდა იყოს უზრუნველყოფილი, როდესაც ეს სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულია ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი რეზიდენტისთვის, როგორც თავისუფლების შეზღუდვის, ისე თავისუფლების შეზღუდვის მიზნის არმქონე ინსტიტუციონალურ გარემოში. ჯანდაცვის პროფესიონალებმა სათანადო ტიტრაციას უნდა დაუქვემდებარონ ჰორმონები ლაბორატორიული და კლინიკური შედეგების საფუძველზე, რათა უზრუნველყონ ენდოკრინოლოგიის სფეროში რეკომენდებული სტანდარტების შესაბამისი შედეგები. ლაბორატორიებში ანალიზები უნდა გაკეთდეს ისეთი სიხშირით, რომ არ დაგვიანდეს შესაბამისი ტიტრაცია.

ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ხანდაზმულებს, რომლებიც ცხოვრობენ ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში, აქვთ უნიკალური საჭიროებები (Boyd, 2019; Carroll, 2017; Porter, 2016). როდესაც ხანდაზმული პირები ითხოვენ ჰორმონულ მკურნალობას, ექიმებმა უნდა შეაფასონ უკვე არსებული წინაპირობები, მაგრამ იშვიათად ვხვდებით ამ პოპულაციაში (ამ პირების მდგომარეობაში) აბსოლუტურ უკუჩვენებას ჰორმონების დანიშვნისთვის (Ettner, 2013). გენდერული შეუთავსებლობის მქონე ადამიანებს, რომლებიც ინსტიტუციებში ცხოვრობენ, შეიძლება ასევე ჰქონდეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობები (Brown and Jones, 2015; Cole et al., 1997). მათი მდგომარეობა უნდა შეფასდეს და სათანადოდ განიხილოს, როგორც საერთო შეფასების ნაწილი. პირები, რომლებიც იღებენ ჰორმონებს, უნდა იყვნენ სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ, რათა თავიდან იქნას აცილებული ნამდვილი პოტენციური ურთიერთქმედება და პოლიფარმაცია (Hembree et al., 2017).

ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს, რომლებიც შედიან დაწესებულებაში გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის შესაბამისი რეჟიმით, ეს მკურნალობა უნდა გაუგრძელდეთ იგივე ან მსგავსი თერაპიით და მათი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის მიხედვით. მიდგომა – „გაყინვის ჩარჩო“ შეუსაბამო და საშიშია (Kosilek v. Massachusetts, 2002). „გაყინვის ჩარჩო“ არის მოძველებული

პრაქტიკა, რომლის დროსაც ჰორმონებზე უარს ეუბნებიან იმ ადამიანებს, რომლებიც ჯერ არ იღებენ მათ, ან ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს ინსტიტუციაში ყოფნის განმავლობაში აწვდიან ჰორმონების იმავ დოზას, რასაც ისინი იღებდნენ დაწესებულებაში შემოსვლისას, მაშინაც კი, თუ ეს დოზა იყო მხოლოდ საწყისი (დაბალი) დოზა. ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირები, რომლებისთვისაც de novo გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია გამართლებულად არის მიჩნეული, უნდა იღებდნენ ამ თერაპიას, იმგვარადვე, როგორც ისინი ამას დაწესებულების გარეთ მიიღებდნენ (Adams v. Federal Bureau of Prisons, No. 09-10272 (D. MO June 7, 2010); Brown 2009). ჰორმონების უეცარი მოხსნა ან ჰორმონული თერაპიის არ დაწყება მაშინ, როდესაც სამედიცინო თვალსაზრისით ის აუცილებელია, დაკავშირებულია ისეთი უარყოფითი შედეგების მნიშვნელოვან ალბათობასთან (Brown, 2010; Sundstrom and Fields v. Frank, 2011), როგორცაა ქირურგიული თვითმკურნალობა, თვითკასტრაცია, დეპრესიული განწყობა, გაზრდილი გენდერული დისფორია და/ან თვითმკვლელობა (Brown, 2010; Maruri, 2011).

თუ დაწესებულებაში მყოფი პირი იღებს გენდერის დამადასტურებელ ჰორმონებს და/ან ოპერაციებს, შესაძლოა მოხდეს სქესის მიხედვით განცალკევებულ დაწესებულებებში განაწილების გადაწყვეტილებების გადახედვა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (Ministry of Justice UK, 2016).

დაკავშირებული 11.4

რეკომენდაციას ვაძლევთ პერსონალს და პროფესიონალებს, რომელთაც ევალებათ ჯანდაცვის უზრუნველყოფა ინსტიტუციებში მცხოვრები ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირებისთვის, რეკომენდაცია გაუწიონ და მხარი დაუჭირონ გენდერის დამადასტურებელ ქირურგიულ მკურნალობას ზრუნვის სტანდარტის მე-8 გამოცემის შესაბამისად ზედმეტი შეფერხების გარეშე, როდესაც ეს ინდივიდის სურვილია.

გენდერული დისფორიის მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მკურნალობის გეგმა, რათა უზრუნველყონ სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო ქირურგიული მკურნალობა, რომელიც მსგავსი იქნება იმისა, რაც უტარდებათ დაწესებულებების გარეთ მცხოვრებ პირებს (Adams v. Federal Bureau of Prisons, No. 09-10272 (D. MO June 7, 2010); Brown 2009; Edmo v. Idaho Department of Corrections, 2020). გენდერის დამადასტურებელ ოპერაციებზე უარის თქმის ან ხელმისაწვდომობის არარსებობის შედეგები დაწესებულებების რეზიდენტებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ასეთი სამედიცინო ზრუნვის მიღება თავიანთი დაწესებულებების გარეთ, შეიძლება მიიქცეოდეს, მათ შორის შესაძლოა განვითარდეს გენდერული დისფორიის სიმპტომების არსებითი გაუარესება, დეპრესია, შფოთვა, სუიციდურობა და შესაძლო ქირურგიული თვითმკურნალობა (მაგ. ავტოკასტრაცია ან აუტოპენექტომია; Brown, 2010; Edmo v. Idaho Department of Corrections, 2020; Maruri, 2011). არც თუ ისე იშვიათად ხდება, რომ დაწესებულებების რეზიდენტებს ეკრძალებათ წვდომა შეფასებაზე გენდერის დამადასტურებელი ოპერაციისთვის, ისევე როგორც თავად მკურნალობაზე, მაშინაც კი, როდესაც ამის სამედიცინო საჭიროება დგას (Kosilek v. Massachusetts/Dennehy, 2012; Edmo v. Idaho Department of Corrections, 2020). წინამდებარე ზრუნვის სტანდარტებთან შეუსაბამო და შეუთავსებელია უარის თქმა გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული ჩარევებისთვის აუცილებელ სამედიცინო შეფასებებსა და ჩარევის შემდგომ საჭირო მკურნალობაზე.

დაკავშირებული 11.5

რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციებში მომუშავე ადმინისტრატორებს, ჯანდაცვის სპეციალისტებს და ყველა დანარჩენ პირს, ვისაც ეკისრება ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, ნება დართონ იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ შესაბამის ტანსაცმელს და თავის მოვლის საშუალებებს, მიიღონ ასეთი ნივთები მათი გენდერული გამოხატვის შესაბამისად.

გენდერული გამოხატვა ეხება ადამიანებს, რომელთა თმის ვარცხნილობა, მოვლის საშუალებები, ტანსაცმელი, სახელები და ნაცვალ-სახელები დაკავშირებულია მათ გენდერულ იდენტობასთან მათ კულტურაში და/ან საზოგადოებაში (American Psychological Association, 2015; Hembree et al., 2017). გენდერული გამოხატვა ნორმა კულტურისთვის ან საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების უმეტესობისთვის. სოციალური ტრანზიციის არის პროცესი, როდესაც ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პირები იწყებენ და აგრძელებენ თავიანთი გენდერული იდენტობის გამოხატვას ავთენტური და სოციალურად აღქმადი გზებით. ხშირად, სოციალური ტრანზიციის გულისხმობს ქცევას და საჯარო გამოხატვას, რომელიც განსხვავდება იმისგან, რაც ადამიანს დაბადებისას სამართლებრივი გენდერული მარკერით მიენიჭათ. გენდერული მარკერი არის იურიდიული ნიშანი პირის სქესისთვის, რომელიც, როგორც წესი, დაბადებისთანავე მინიჭებული ან მითითებულია ოფიციალურ დოკუმენტებში (American Psychological Association, 2015). ყველაზე ხშირად პირს მიენიჭება მამრობითი ან მდედრობითი სქესი, მაგრამ ზოგიერთ ერსა და იურისდიქციაში გამოიყენება აგრეთვე ინტერსექსის ან „X“ აღნიშვნაც. ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს სჭირდებათ გენდერული გამოხატვის იგივე უფლებები, რაც მინიჭებული აქვს სისგენდერ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ როგორც ინსტიტუციურ გარემოში, ისე მის გარეთ. პერსონალის მიერ სოციალური ტრანზიციის მიმართ მიმღებლობა ასევე აყალიბებს პატივისცემისა და აფირმაციულ ატმოსფეროს, რამაც შეიძლება გააძლიეროს პატივისცემა და მიმღებლობა დაწესებულებაში მცხოვრები სხვა პირების მხრიდანაც ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ბინადრების მიმართ, რამაც თავის მხრივ შეიძლება გაზარდოს უსაფრთხოება და შეამციროს გენდერული შეუთავსებლობის ზოგიერთი ასპექტი.

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური ტრანზიციის და თანმიმდევრული გენდერული გამოხატვა მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფე-

როვანი ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Bockting & Coleman, 2007; Boedeker, 2018; Devor, 2004; Glynn et al., 2016; Russell et al., 2018). ეს რეკომენდაციები ეხება გენდერული იდენტობის შესაბამისად გამოხატვის უფლებას, რაც მოიცავს გენდერის შესაბამისი ტანსაცმლისა და ვარცხნილობის ტარებას, გენდერის შესაბამისი ჰიგიენისა და მოვლის საშუალებების მოპოვებას და გამოყენებას, უფლებას მიმართონ მათ მათ მიერ არჩეული სახელით ან კანონიერი გვარით (მაშინაც კი, თუ მინიჭებულ სახელი ჯერ სამართლებრივად არ აქვს შეცვლილი), ასევე მიმართონ შესაბამისი ნაცვალსახელით. ინდივიდის საჭიროებისამებრ გენდერული გამოხატვისა და სოციალური ტრანზიციის ეს ელემენტები, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, ამცირებს გენდერულ დისფორიას/შეუთავსებლობას, დეპრესიას, შფოთვას, თვითდაზიანებაზე ფიქრს და ქცევას, სუიციდურ იდეაციასა და მცდელობებს. (Russell et al., 2018). გარდა ამისა, თანმიმდევრული გენდერული გამოხატვის ეს ელემენტები აძლიერებს კეთილდღეობას და ფუნქციონირებას (Glynn et al., 2016).

დასკვნა 11.6

რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციებში მომუშავე პერსონალს, ყოველთვის მიმართონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდებს მათ მიერ არჩეული სახელებითა და ნაცვალსახელებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანების მზარდი პროცენტი ღიად იდენტიფიცირდება როგორც გენდერულად მრავალფეროვანი, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს პრაქტიკა და პოლიტიკა, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ადამიანების საჭიროებებს, განურჩევლად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი (McCauley et al., 2017). მაგალითად, დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ მათი რეზიდენტების პერსონალური ინფორმაციის შენახვის სამედიცინო და ადმინისტრაციული სისტემები იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს გენდერულ მარკერის შეცვლა გენდერულ იდენტობის შესაბამისად, და არა მხოლოდ დაბადებისას მინიჭებული სქესის მიხედვით. ამ რეკომენდაციების

შემუშავებისას ვაცნობიერებდით, რომ გენდერული ცვლილებები შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს იმ დაწესებულებების წესებთან, სადაც ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები ცხოვრობენ. თუმცა, ყველა ინსტიტუციას აქვს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს იქ მცხოვრები ყველა ადამიანის უსაფრთხოება და კეთილდღეობა (ავსტრალია, 2015; Corrective Services New South Wales, 2015; Edmo v. Idaho Department of Corrections, 2020; Kosilek v. Massachusetts, 2002 წ. NCCHC, 2015). სეველიუსმა (Sevelius) და კოლეგებმა (2020) აჩვენეს, რომ ნაცვალსახელის სწორ გამოყენებას გენდერის დადასტურების ეფექტი ჰქონდა ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში და პოზიტიური გავლენა იქონია მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და აივ ვირუსისგან დაცვაზე. თუ დაწესებულების რეზიდენტმა კანონიერად შეიცვალა სახელი, ინსტიტუციაში ამ პირის შესახებ არსებული ინფორმაცია უნდა განახლდეს ამ ცვლილებების შესაბამისად.

დაკავშირებული 11.7

რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციების ადმინისტრატორებს, ჯანდაცვის პროფესიონალებს და სხვა ოფიციალურ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი რეზიდენტების საცხოვრებლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, გაითვალისწინონ ინდივიდის სურვილები საცხოვრისთან დაკავშირებით, მათი გენდერული იდენტობა, გამობნატვა და უსაფრთხოების საკითხები და არა მხოლოდ მათი ანატომია ან სქესი, რომელიც დაბადებისას განესაზღვრათ.

დაბადებისას მინიჭებული სქესის მიხედვით ადამიანების განცალკევების პოლიტიკას, რომელიც თითქმის უნივერსალურად გამოიყენება ინსტიტუციურ გარემოში (Brown and McDuffie, 2009; Routh et al., 2017), შეუძლია შექმნას არსებითად საშიში გარემო (Ledesma & Ford, 2020). გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები უკიდურესად დაუცველები არიან სტიგმატიზაციის, ვიქტიმიზაციის, უგულვებლყოფის, ზოგადად ძალადობისა და სექსუალური ძალადო-

ბის წინაშე (Banbury, 2004; Beck, 2014; Jenness and Fenstermaker, 2016; Malkin & DeJong, 2018; Oparah, 2012; Stein et al.). ეს სისტემური, სქესის მიხედვით სეგრეგაციის სიხისტე ხშირად ვერ ახერხებს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ასევე შეიძლება შეაფერხოს გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის ხელმისაწვდომობა (Stohr, 2015). შედეგად, დაწესებულებებმა უნდა დაიცვან პროცედურები, რომლებიც რეგულარულად აფასებს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების საბინაო საჭიროებებსა და არჩევანს (მაგ. ციხეების ფედერალური ბიურო, 2016 წ.). ანალოგიურად, ციხეში გაუპატიურების აღმოფხვრის აქტი კონკრეტულად მიუთითებს ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდებზე, როგორც დაუცველ მოსახლეობაზე და ავალდებულებს ციხეებს აშშ-ში გაითვალისწინონ ამ პაციენტების არჩევანი და სურვილები საცხოვრებელთან დაკავშირებით (Bureau of Justice Assistance, 2017).

დაკავშირებული 11.8

რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციების პერსონალს, დაანესონ საბინაო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მაცხოვრებლების უსაფრთხოებას ამ პირების სეგრეგაციის ან იზოლაციის გარეშე.

ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი რეზიდენტის განთავსება მხოლოდ მათი სასქესო ორგანოს ანატომიის ან დაბადებისას მინიჭებული სქესის საფუძველზე არასწორია და ადამიანებს აყენებს ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ზიანის რისკის ქვეშ (Scott, 2013; Simopoulos & Khin, 2014; Yona & Katri, 2020). ეს უკვე საკმარისადაა შესწავლილი, რომ თავისუფლების აღკვეთის გარემოში ტრანსგენდერი ინდივიდები გაცილებით ხშირად ხდებიან სექსუალური შევიწროების, თავდასხმის ან ორივეს მსხვერპლი, ვიდრე სხვა პაციენტები (James et al., 2016; Jenness & Fenstermaker, 2016; Malkin & DeJong, 2019). მიუხედავად იმისა, რომ მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებე-

ბის მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნას უსაფრთხოების საკითხები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ერთობლივი (shared) გადანყვეტილებების მიღება, რაც გულისხმობს ინდივიდის ჩართულობას ამ პროცესში (Federal Bureau of Prisons, 2016; Jenness and Smyth, 2011). ზოგიერთი ტრანსგენდერი ქალი ამჯობინებს კაცების დაწესებულებაში ცხოვრებას, ზოგი კი თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობს ქალთა დაწესებულებაში. იმის გათვალისწინებით, რომ გენდერული იდენტობების დიაპაზონი, გამობატვა და ტრანზიციის სტატუსი ასეთი ჰეტეროგენულია გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, მაცხოვრებლების უსაფრთხოების დაცვა მოითხოვს გადანყვეტილების მიღების მოქნილ პროცესს (Yona&Katri, 2020). ხანდაზმული ლბგტ ადამიანების ერთ-ერთი შიში, რომლებიც ხანგრძლივი ზრუნვის დაწესებულებაში ცხოვრობენ, არის თანამობინადრეების მხრიდან არასათანადო მოპყრობა (Jablonski et al., 2013). შესაბამისად, მოხუცებულთა თავშესაფრებში და მხარდაჭერით ცხოვრების დაწესებულებებში განთავსებისას უნდა განიხილონ მოხუცებისთვის ოთახების მინიჭება მათი თვითიდენტიფიცირებული გენდერის მიხედვით, დაბადებისას მინიჭებული სქესის ან ოპერაციის ისტორიის გათვალისწინების გარეშე და თვითონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პაციენტთან თანამშრომლობით.

სამარტოო საკანი, რომელსაც ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც ადმინისტრაციულ სეგრეგაციას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში, გულისხმობს ინდივიდების ფიზიკურ იზოლაციას, რომლის დროსაც ისინი საკანში იმყოფებიან ყოველდღიურად დაახლოებით ოცდასამი საათის განმავლობაში. იზოლაცია გამოიყენება ზოგიერთ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც დისციპლინური ღონისძიება, ასევე იმ პატიმრების დაცვის საშუალება, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის, ან რომლებიც იმყოფებიან სხვა პატიმრების მიერ სექსუალური ძალადობის საფრთხის წინაშე. თუმცა, უსაფრთხოების მიზნით პატიმრების იზოლაცია, აუცილებლობის შემთხვევაში, მოკლე უნდა იყოს, რადგან იზოლაციამ შეიძლება

გამოიწვიოს მძიმე ფსიქოლოგიური ზიანი და ფუნქციონირების უხეში დარღვევა (Ahaltetal., 2017; Scharff Smith, 2006). ციხის სტანდარტებზე ზედამხედველობის ეროვნული ორგანიზაციები, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 15 დღეზე მეტი ხნით იზოლაციას წამებად მიიჩნევს (NCCHC, 2016; United Nations, 2015).

დაკლავი 11.9

რეკომენდაციას ვაძლევთ ინსტიტუციების პერსონალს, დაუშვან ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მაცხოვრებლების, მოთხოვნისამებრ, საშხაპითა და ტუალეტით ცალკე სარგებლობა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის აუცილებლობა და მნიშვნელობა უნივერსალურია გენდერული იდენტობის მიუხედავად. ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები აცხადებენ, რომ თავს არიდევენ საჯარო საპირფარეშოებს, ზღუდავენ ჭამისა და სასმელის რაოდენობას, რათა არ მოუწიოთ საერთო ტუალეტებით სარგებლობა, რაც ხშირად იწვევს საშარდე გზების ინფექციებს და თირკმელებთან დაკავშირებულ პრობლემებს (James et al., 2016). ინსტიტუციებში ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვან პირებს ხშირად ერღვევათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აბაზანისა და შხაპის გამოყენებისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ზიანი და/ან მათზე ფიზიკური და სექსუალური ძალადობა (Bartels and Lynch, 2017; Brown, 2014; Cook-Daniels, 2016; Mann, 2006). ანალოგიურად, თავისუფლების აღკვეთის გარემოში ჩხრეკა, გაშიშვლება (ჩხრეკის მიზნით) და სხეულის ღრუს ჩხრეკა უნდა ჩატარდეს იმავე სქესის პერსონალის მიერ იმ დათქმით, რომ ეს შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს ექსტრემალურ საგანგებო სიტუაციებში. თავიდან უნდა იქნას აცილებული სხვა თანამშრომლების მიერ ჩხრეკის შემთხვევითი თვალყურის დევნება (Bureau of Justice Assistance, 2017). პატიმრობაში მყოფი ტრანსგენდერი ადამიანებისთვის შხაპის და ტუალეტის განცალკევებით გამოყენება ასევე სავალდებულოა ზოგიერთი კანონით, მათ შორის, მაგალი-

თად, აშშ-ს ფედერალური კანონით ციხეში გაუ-
პატიურების შესახებ.

იზრდება უფროსი/ხანდაზმული ტრანსგენ-
დერი და გენდერულად მრავალფეროვანი პი-
რების რაოდენობა, რომლებსაც სჭირდებათ
დანესებულებების მომსახურება (Carroll, 2017;
Witten & Eyster, 2016). ხანგრძლივი ზრუნვისა და
სხვა მრავალმა დანესებულებამ, რომელიც ემ-
სახურება ხანდაზმულებს მათი საჭიროებების
დასაკმაყოფილებლად, უნდა გაითვალისწინონ
მათი არასისგენდერი მაცხოვრებლების სა-
ჭიროებები (Ettner, 2016; Ettner & Wiley, 2016).
ჰოსპისის და პალიატიური მზრუნველობის და-
ნესებულებებში, ისევე როგორც სხვა გრძელ-
ვადიანი მოვლის დანესებულებებში მომუშავე
ჯანდაცვის პროფესიონალების გამოკითხვაში
ნათქვამია, რომ ტრანსგენდერი და გენდერუ-
ლად მრავალფეროვანი პაციენტები ხშირად ვერ

იკმაყოფილებენ თავიანთ ძირითად საჭიროე-
ბებს, ექვემდებარებიან დისკრიმინაციას სამე-
დიცინო ზრუნვის ხელმისაწვდომობის მხრივ, ან
ფიზიკურ და/ან ემოციურ შეურაცხყოფას (Stein
et al., 2020). ავსტრალიაში პენსიაზე გასვლისა
და რეზიდენციული მზრუნველობის მიმწოდებ-
ლების გამოკითხვამ აღმოაჩინა გამოცდილები-
სა და ცნობიერების სიმწირე იმ პრობლემებთან
დაკავშირებით, რომელთა წინაშეც დგას პოპუ-
ლაციის ნაწილი. მართლაც, ტრანსგენდერმა და
გენდერულად მრავალფეროვანმა ბევრმა ხან-
დაზმულმა რეზიდენტმა აღიარა, რომ მალავ-
და გენდერულ იდენტობას, ეშინოდა რა მისი
იდენტობის გამო არ გამხდარიყო არასენსიტი-
ური მოპყრობის ან დისკრიმინაციის მსხვერპლი
(Cartwright et al., 2012; Cook-Daniels, 2016; Grant
et al., 2012; Horner et al., 2012; Orel & Fruhauf,
2015).

თავი 12. ჰორმონული თერაპია

ტრანსგენდერმა და გენდერულად მრავალფეროვანმა (TGD) პირებმა შეიძლება მოითხოვონ სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელი გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია (GAHT) იმ ცვლილებების მისაღწევად, რომლებიც შეესაბამება მათ სხეულთან დაკავშირებულ მიზნებს, გენდერულ იდენტობას ან ორივეს (იხ. სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებლობის შესახებ დებულება მე-2 თავში – გლობალური გამოყენება, დებულება 2.1). ეს თავი აღწერს ჰორმონული თერაპიის რეკომენდაციებს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზრდილებისა და მოზარდებისთვის. გთხოვთ, იხილოთ თავი 5 – ზრდასრულთა შეფასება და თავი 6 – მოზარდები – იმ შეფასების კრიტერიუმებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ზრდასრულებში და მოზარდებში ჰორმონული თერაპიის დანყებასთან. რეკომენდაციებისა და შეფასების კრიტერიუმების შეჯამება შეგიძლიათ იხილოთ დანართში D.

იმ დროიდან მოყოლებული, როცა ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის (WPATH) ზრუნვის სტანდარტების (SOC) პირველი ვერსია გამოქვეყნდა 1979 წელს, ისევე როგორც ზრუნვის სტანდარტების შემდგომ განახლებებში, მათ შორის ზრუნვის სტანდარტების მე-7 გამოცემაში, გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია განიხილება, როგორც საჭიროება სამედიცინო თვალსაზრისით (Coleman et al., 2012). ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიულმა ასოციაციამ 2009 და 2017 წლებში მხარი დაუჭირა ენდოკრინული საზოგადოების გაიდლაინებს ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პირებისთვის გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის შესახებ (Hembree et al., 2009; Hembree et al., 2017). სქესობრივი მედიცინის ევროპულმა საზოგადოებამ ასევე გამოაქვეყნა პოზიცია ჰორმონების მენეჯმენტის შესახებ მოზარდებში და ზრდასრულ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში (T'Sjoen et al., 2020). თუ მკურნალობა ხორციელდება სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ, გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია ზრდასრულებში უსაფრთხოა (Tangpricha & den Heijer, 2017; Safer & Tangpricha, 2019). თუმცა, არსებობს გარკვეული პოტენციური, გრძელვადიანი რისკები და საჭიროა ფრთხილი მონიტორინგი და სკრინინგი გვერდითი მოვლენების შესამცირებლად (Hembree et al., 2017; Rosenthal, 2021).

ზოგად მიზანს წარმოადგენს, შრატში სქესობრივი სტეროიდების მიზნობრივი დონეები შეესაბამებოდეს ინდივიდის გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ დონეებს, თუმცა ოპტიმალური სამიზნე დიაპაზონი დადგენილი არ არის (Hembree et al., 2017). ჯანდაცვის პროფესიონალებს (HCPs) შეუძლიათ გამოიყენონ შრატში ტესტოსტერონის და/ან ესტრადიოლის დონეები სქესობრივი სტეროიდებით მკურნალობის უმრავლესობის მონიტორინგისთვის. თუმცა, კონიუგირებული ესტროგენების ან სინთეზური ესტროგენების გამოყენების მონიტორინგი შეუძლებელია. ვარაუდი, რომ ესტრონი/ესტრადიოლის თანაფარდობა უნდა გაკონტროლდეს მონიტორინგის გზით არ დადასტურდა ბოლო კოჰორტული კვლევით (კვლევა მოიცავდა 212 ზრდასრული ევროპელი ტრანსგენდერი ქალის კოჰორტას, ჰორმონებით მკურნალობის შემდეგ 1 წლიანი დაკვირვების დროს), რადგან არ გამოვლინდა კავშირი ესტრონის კონცენტრაციასა და სხეულის ცხიმის ან მკერდის განვითარებას შორის (Tebbens et al., 2021). ამ კვლევამ აჩვენა, რომ ესტრონის უფრო მაღალი კონცენტრაცია ან ესტროგენი/ესტრადიოლის უფრო მაღალი თანაფარდობა ფემინიზაციაზე ანტაგონისტურ ეფექტებთან (ცხიმის პროცენტულობა და მკერდის განვითარება) კავშირში არ არის (Tebbens et al., 2021). ამრიგად, ამჟამინდელი გამოქვეყნებული მტკიცებულებები ესტრონის და ესტრადიოლის თანაფარდობის მონიტორინგის საჭიროებას არ ადასტურებს. ადრე გამოყენებული კონიუგირებული ესტროგენები ჩანაცვლებული იქნა ბიოიდენტური ესტროგენებით. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კვლევამ აჩვენა თრომბოემბოლიური და გულ-სისხლძარღვთა გართულებების მნიშვნელოვნად უფრო მაღალი რისკი, რაც ორალურ ესტრადიოლთან შედარებით, თან ახლდა პერორალური კონიუგირებული ესტროგენების გამოყენებას, არ ჩატარებულა რენდომიზებული კონტროლირებული კვლევები,

არც პოსტმენოპაუზურ ქალებში და არც ტრანსგენდერ ადამიანებში, რომლებიც გადიან ესტროგენით მკურნალობას (Smith et al., 2014).

გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიისადმი მიდგომა განსხვავდება და დამოკიდებულია ინდივიდის განვითარების სტადიაზე ჰორმონული თერაპიის დაწყების მომენტში, ისევე როგორც მკურნალობის მიზნებზე. ჰორმონული თერაპია არ არის რეკომენდებული ბავშვებისთვის, რომლებსაც არ დაწყებიათ ენდოგენური პუბერტატი. დაშვებული ასაკის ახალგაზრდებში (მე-6 თვის მიხედვით – მოზარდები), რომლებმაც მიაღწიეს პუბერტატის ადრეულ სტადიებს, აქცენტი, როგორც წესი, კეთდება შემდგომი პუბერტატული პროგრესის შეფერხებაზე გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით (GnRHAs), ვიდრე არ დადგება შესაბამისი დრო გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებისთვის. ამ შემთხვევებში, პუბერტატის დათრგუნვა სამედიცინო თვალსაზრისით საჭიროდ ითვლება. ზრდასრულმა პირებმა, რომლებიც შესაბამის პირობებს აკმაყოფილებენ, შეიძლება წამოიწყონ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია, თუ ისინი აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს მე-5 თავში – „ზრდასრულთა შეფასება“. გარდა ამისა, ჯანდაცვის პროვაიდერებმა უნდა განიხილონ შვილის ყოლასთან დაკავშირებული მიზნები და ნაყოფიერების შენარჩუნების პროცედურები გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე. იხილეთ თავი 16 – „რეპროდუქციული ჯანმრთელობა“.

გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია (GAHT) ქალური განსხეულების მიზნებით, როგორც წესი, შედგება ესტროგენისგან და ანდროგენის შემამცირებელი მედიკამენტებისგან (Hembree et al., 2017). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ანეკდოტური ცნობები პროგესტერონის გამოყენების შესახებ მკერდის განვითარებისა და განწყობის მართვისთვის, ამჟამად არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ პროგესტერონის მიღების პოტენციური სარგებელი აღემატება პოტენციურ რისკებს (Iwamoto, T'Sjoen et al., 2019). გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია (GAHT) მასკულინიზაციისთვის ჩვეუ-

ლებრივ შედგება ტესტოსტერონისგან. როგორც ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაცია, ისე ენდოკრინული საზოგადოებაც გვირჩევენ სქესობრივი ჰორმონების დონის მონიტორინგს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია მორგებულია ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანის ინდივიდუალურ საჭიროებებს, როგორც წესი, ჰორმონის დონე შენარჩუნებულია იმ კონცენტრაციაზე, რაც საკმარისია ძვლის სათანადო ჯანმრთელობისთვის და არ არის სუპრაფიზიოლოგიური (Hembree et al., 2017; Rosen et al., 2019).

უმეტეს შემთხვევაში, გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია (GAHT) გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში. არ არის ცნობილი, უნდა შემცირდეს თუ არა გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დოზები ხანდაზმულ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში. ჰორმონული თერაპიის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ძვლის მასის დაკარგვა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდებში და ეს აუცილებლად მოხდება იმ პირებში, რომელთა სასქესო ჯირკვლები ამოღებულია (Wiepjes et al., 2020). პირველადი სამედიცინო ზრუნვა რეგულარულად უნდა მიენდოს ამ პირებს (იხ. თავი 15 – „პირველადი სამედიცინო ზრუნვა“). ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ვენური თრომბოემბოლიის (VTE) გაზრდილი სიხშირე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც იღებდნენ ესტროგენს, განსაკუთრებით ხანდაზმულ ადამიანებში და მათში, ვინც სხვადასხვა პრეპარატებით ემზადება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დასაწყებად (Irwig, 2018; Maraka et al., 2017). ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს, რომლებსაც მკურნალობდნენ ტესტოსტერონით, ასევე შეიძლება ჰქონდეთ გაზრდილი კარდიოვასკულარული რისკები და შემთხვევები, როგორიცაა მიოკარდიუმის ინფარქტი, არტერიული წნევა, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტერინის დაქვეითება და ჭარბი წონა (Alzahrani et al., 2019; Irwig, 2018; Kyinn et al., 2021). ჯან-

დაცვის პროფესიონალები (HCPs) უნდა ესაუბრონ ცხოვრების წესისა და ფარმაკოლოგიური თერაპიის შესახებ იმ პაციენტებს, რომლებიც იმყოფებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ (იხ. თავი 15 – „პირველადი სამედიცინო ზრუნვა“). პოლიციტემია არის კიდევ ერთი დაავადება, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც იღებენ ტესტოსტერონს (Antun et al., 2020). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მუდმივი მონიტორინგი იმ სიმპტომების განვითარებაზე, რომლებიც შეიძლება გამწვავდეს გენდერის დამადასტურებელი ისეთი ჰორმონული თერაპიით, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება (Hembree et al., 2017).

ამ თავში ყველა დებულება რეკომენდებულია მტკიცებულებების საფუძვლიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის, პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და არჩევანის, რესურსების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვალიარებთ, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია და/ან სერვისები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ან სასურველი.

გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია ახალგაზრდებში

ამ თავის მომდევნო ნაწილებში განხილულია ჰორმონული თერაპია ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებში. ახალგაზრდა ინდივიდის განვითარების სტადიიდან გამომდინარე, ეს ჰორმონული თერაპია ჩვეულებრივ მოიცავს ორ ფაზას, სახელობრ, პუბერტატის დათრგუნვას, რასაც მოჰყვება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დამატება. პირველი ფაზის განმავლობაში, პუბერტატული განვითარება შეჩერებულია, რათა ახალგაზრდებმა გამოიკვლიონ თავიანთი გენდერული იდენტობა და განსხეულების მიზნები და მოემზადონ შემდეგი ეტაპისთვის, რომელიც შეიძლება მოიცავდეს გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას. ამ ნაწილში განხილულია გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების (GnRHs) გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, ასევე, ალტერნატიული მიდგომები პუბერტატის დათრგუნვის მიმართ, რასაც მოჰყვება რეკომენდაციები გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიისთვის. ამ თავის მომდევნო ნაწილები ეხება ახალგაზრდებსა და მოზარდებს.

სარეკომენდაციო დახვეწა

12.1- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიყონ პუბერტატული ჰორმონების დათრგუნვა იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, როგორც კი გამოვლინდება პუბერტატისთვის დამახასიათებელი პირველი ფიზიკური ცვლილებები (ტენერის მე-2 სტადია);

12.2- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, გამოიყენონ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის (GnRH) აგონისტები ენდოგენური სასქესო ჰორმონების დასათრგუნად იმ (მოზარდების და ზრდასრულების მკურნალობის კრიტერიუმებისთვის, გთხოვთ, იხილოთ თავი 5 - ზრდასრულთა შეფასება; თავი 6 - მოზარდები და დანართი D) ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებსაც პუბერტატის ბლოკირება სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულია;

12.3- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს დანიშნონ პროგესტინები (პერორალურად ან საინექციო დეპოს ფორმით) პუბერტატის დასათრგუნად იმ ტრანსგენდერებსა და გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო პირობებს, როდესაც გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები ან არ არის ხელმისაწვდომი ან აკრძალულია;

12.4- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები სასქესო სტეროიდების ჩასახშობად, სასქესო სტეროიდული ჰორმონის თანმხლები ჩანაცვლების გარეშე, იმ (მოზარდების და ზრდასრულების მკურნალობის კრიტერიუმებისთვის, გთხოვთ, იხილოთ თავი 5 - ზრდასრულთა შეფასება; თავი 6 - მოზარდები და დანართი D) ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, რომლებსაც სურთ ასეთი ინტერვენცია და რომლებსაც პუბერტატული განვითარება დიდი ხნის წინ დაეწყათ ან უკვე დაუმთავრდათ (ტენერის მე-3 სტადიის შემდეგ, მაგრამ არ არიან დარწმუნებულნი ან არ სურთ სასქესო სტეროიდული ჰორმონული თერაპიის დაწყება);

12.5- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ სასქესო ჰორმონებით მკურნალობა, როგორც გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის ნაწილი იმ* ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის, რომლებიც არიან, მინიმუმ, ტენერის მე-2 სტადიაზე, მშობლების/მეურვის მონაწილეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ჩართვა საზიანო ან არასაჭიროა მოზარდისთვის;

- 12.6- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, გაზომონ ჰორმონის დონე გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის დროს, იმის უზრუნველსაყოფად რომ ენდოგენური სასქესო სტეროიდების დონე შემცირებული იყოს და დანიშნული სასქესო სტეროიდების დონე კი შენარჩუნებული იქნეს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების მკურნალობის მიზნების შესაბამისად ტენერის სტადიის მიხედვით;
- 12.7- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ პროგესტოგენები ან გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები იმ* ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო პირობებს და აქვთ საშვილოსნო, რათა შემცირდეს მათი მენსტრუალური ციკლით გამოწვეული დისფორია, როდესაც გენდერის დამადასტურებელი ტესტოსტერონის გამოყენება ჯერ კიდევ არ არის სამედიცინოდ გამართლებული;
- 12.8- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროვაიდერებს, ჩართონ პროფესიონალები სხვადასხვა დისციპლინიდან, რომლებიც არიან ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის და ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის საჭირო მკურნალობის მართვის ექსპერტები;
- 12.9- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, სასქესო სტეროიდული ჰორმონების დანიშვნისას ჩაატარონ ფიზიკური ცვლილებებისა და ჰორმონებზე პოტენციური უარყოფითი რეაქციების რეგულარული კლინიკური შეფასებები, მათ შორის სასქესო სტეროიდული ჰორმონების ლაბორატორიული მონიტორინგი ყოველ 3 თვეში, ჰორმონული თერაპიის პირველი წლის განმავლობაში ან დოზის ცვლის შემთხვევაში იქამდე, სანამ ზრდასრულისთვის სტაბილური დოზა არ იქნება მიღწეული, რასაც მოყვება კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შემანარჩუნებელი დოზის განსაზღვრის შემდეგ;
- 12.10- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ესაუბრონ და ინფორმაცია მიანოდონ ნაყოფიერების შენარჩუნების ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ ყველა იმ პირს, ვისაც სურს გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მკურნალობის ჩატარება პუბერტატის დათრგუნვის და ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე;
- 12.11- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, შეაფასონ და იზრუნონ იმ სიმპტომებზე, რომლებიც შეიძლება გამწვავდეს ენდოგენური სასქესო ჰორმონების კონცენტრაციის შემცირებით და ეგზოგენური სასქესო ჰორმონებით მკურნალობის შემთხვევაში ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, ამგვარი მკურნალობის დაწყებამდე;
- 12.12- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, აუხსნან ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს, რომლებიც გადიან გენდერის დამადასტურებელ მკურნალობას სასქესო ჰორმონული მკურნალობით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების დასაწყისისა და დროში მათი განვითარების შესახებ;
- 12.13- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, არ გამოიყენონ ეთინილ ესტრადიოლი, როგორც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობის ნაწილი ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში;
- 12.14- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ ტრანსდერმული ესტროგენები იმ ტრანსგენდერებსა და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, ვინც აკმაყოფილებს სათანადო პირობებს და რომლებსაც აქვთ ვენური თრომბოემბოლიის განვითარების ასაკობრივად მაღალი რისკი 45 წელს ზემოთ ან ვენური თრომბოემბოლიის წინარეისტორია, როდესაც რეკომენდებულია გენდერის დამადასტურებელი ესტროგენით მკურნალობა;
- 12.15- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, არ დანიშნონ კონიუგირებული ესტროგენები ტრანსგენდერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებში, როდესაც ესტრადიოლი ხელმისაწვდომია, როგორც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობის კომპონენტი;
- 12.16- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ ტესტოსტერონის დათრგუნვის მედიკამენტები (ციპროტერონის აცეტატი, სპირონოლაქტონი ან გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები) იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ სათესლე ჯირკვლები და იღებენ ესტროგენს, როგორც ჰორმონული მკურნალობის გეგმის ნაწილს, თუ ინდივიდის მიზანია სისხლში ცირკულირებადი სასქესო ჰორმონის კონცენტრაცია დაუხლოვოს სისგენდერ ქალებში არსებული კონცენტრაციის დონეს;
- 12.17- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, აკონტროლონ ჰემატოკრიტი (ან ჰემოგლობინი) ტრანსგენდერ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებში, რომლებიც მკურნალობენ ტესტოსტერონით;
- 12.18- ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ითანამშრომლონ ქირურგებთან ჰორმონების გამოყენებასთან დაკავშირებით გენდერის დადასტურების ოპერაციამდე და მას შემდეგ;
- 12.19- ჩვენ ვთავაზობთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ესაუბრონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს გენდერის დადასტურების ოპერაციის სხვადასხვა ვარიანტების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია არ არის ნაჩვენები ან არის სამედიცინო თვალსაზრისით არასახარბიელო;
- 12.20- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, წამოიწყონ და გააგრძელონ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია იმ* ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ამ მკურნალობას ფსიქოსოციალური ფუნქციონირებისა და ცხოვრების ხარისხის აშკარა გაუმჯობესების გამო;
- 12.21- რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, გააგრძელონ არსებული ჰორმონული თერაპია, თუ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდის ფსიქიკური ჯანმრთელობა გაუარესდება და შეაფასონ გაუარესების მიზეზი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უკუნაჩვენებია.

დეკლარაცია 12.1

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დაიწყონ პუბერტატული ჰორმონების დათრგუნვა იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, რომლებიც მკურნალობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, როგორც კი გამოვლინდება პუბერტატისთვის დამახასიათებელი პირველი ფიზიკური ცვლილებები (ტენერის მე-2 სტადია).

ზოგადად, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის დანიშვნის მიზანია, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში ენდოგენური, მეორადი სასქესო მახასიათებლების შემდგომი განვითარების თავიდან აცილება, რომელიც შეესაბამება დაბადებისას მინიჭებულ სქესს. ვინაიდან ეს მკურნალობა სრულად შექცევადია, ის განიხილება, როგორც მოზარდებისთვის მიცემული დამატებითი დრო, რათა მათ გამოიკვლიონ თავიანთი გენდერული იდენტობა ადრეული სოციალური ტრანზიციის გზით (Ashley, 2019e). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობას ასევე აქვს თერაპიული სარგებელი, რადგან ის ხშირად იწვევს სტრესის დონის უდიდეს შემცირებას, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ცვლილებებით, რომლებიც წარმოიშობა ენდოგენური პუბერტატის დაწყებისას (Rosenthal, 2014; Turban, King et al., 2020).

პრეპუბერტატის განვითარების ეტაპზე მყოფი იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ბავშვებისთვის, რომლებიც მყარად არიან ჩამოყალიბებული თავიანთ გენდერულ იდენტობაში, მეორადი სასქესო მახასიათებლების ნებისმიერი მუდმივი გამოვლინება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი სტრესის წყარო. შესაძლებელია გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენების განხილვა სქესობრივი მომწიფების დაწყების თავიდან ასაცილებლად იმ პირებში, რომლებიც იმყოფებიან ტენერის I სტადიაზე, თუმცა ეს არ არის რეკომენდებული (Hembree et al., 2017). როდესაც ბავშვი მიაღწევს ასაკს, რა დროსაც ჩვეულებრივ იწყება პუბერტატული განვითარება (ჩვეულებრივ, 7-8-დან 13 წლამდე საკვერცხეების მქონეთათვის და 9-დან 14 წლამდე – სათესლე ჯირკვლების მქონეთათ-

ვის), მიზანშეწონილია ბავშვის ხშირი სკრინინგი, შესაძლოა, 4-თვიანი ინტერვალით, პუბერტატული განვითარების ნიშნების შესამოწმებლად (მკერდის წარმოქმნა ან სათესლე ჯირკვლის მოცულობა > 4 CC). პუბერტატული განვითარების ტიპური ტემპის გათვალისწინებით (დასრულება 3,5-4 წელი), ნაკლებ სავარაუდოა, რომ მუდმივი პუბერტატული ცვლილებები განვითარდეს, თუ პუბერტატი 4 თვეზე ნაკლები ხნის წინ დაიწყო. ამრიგად, ხშირი დაკვირვებით, პუბერტატის დაწყება ადვილად შეიძლება გამოვლინდეს მანამ, სანამ მოხდება შეუქცევადი ფიზიკური ცვლილებები და გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება შეიძლება დაიწყოს ამ დროს მაღალი ეფექტიანობით.

აღსანიშნავია, რომ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების დაწყების შემდეგ, როგორც წესი, ადგილი აქვს ცვლილებების შექცევადობას – ტენერის წინა სტადიაზე რეგრესს. ამრიგად, თუ მკერდის განვითარება შეესაბამება ტენერის მე-2 სტადიას, ის, როგორც წესი, სრულად დაუბრუნდება ტენერის პირველ სტადიას; იგივე ეხება ტენერის მე-2 სტადიის სათესლე ჯირკვლებს (რომლებიც ხშირად არც კია შესამჩნევი პაციენტისთვის და არ არის დაკავშირებული მეორადი სასქესო მახასიათებლების განვითარებასთან).

იმის გათვალისწინებით, რომ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონების აგონისტები მუშაობენ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის რეცეპტორების დესენსიბილიზაციის გზით, თუ ჰიპოფიზის ენდოგენური გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის სტიმულაცია არ შეინიშნება (პუბერტატის პირველი ბიოქიმიური ნიშანი), არ არის საჭირო გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის რეცეპტორების დესენსიბილიზაცია. გარდა ამისა, სქესობრივი მომწიფების დაწყების დროის ფართო ცვალებადობის გამო (როგორც ზემოთ აღინიშნა), ძნელია გამართლდეს გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება, რომელსაც შეიძლება ახლდეს უცნობი რისკები, თუ ამის გაკეთებას პუბერტატის დაწყებამდე ფიზიოლოგიური სარგებელი არ მოაქვს. ტენერის პირველ სტადიაზე ბავშვთან გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება გამართლებუ-

ლი იქნება მხოლოდ ზრდისა და პუბერტატის კონსტიტუციური შეფერხების შემთხვევაში, სავარაუდოდ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებასთან ერთად.

თუმცა, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება შესაძლებელია იმ ბავშვის შემთხვევაში, რომელიც ზრდის და პუბერტატის კონსტიტუციური შეფერხების გამო იწყებს გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას ტენერის 1 სტადიაზე. გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის გამოყენების დაწყებამ შეიძლება თავიდანვე გაააქტიუროს ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზის გონადური ღერძი, მაგრამ ასევე შეიძლება შენიღბოს ამ გააქტიურების კვალი სხეულზე. იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სხეულის ცვლილებები, რამაც შეიძლება გაამწვავოს ინდივიდის გენდერული შეუთავსებლობა, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების მიღება შეიძლება დაიწყოს პირმა, ჰორმონული თერაპიის დაწყებიდან მალევე, როგორც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დამხმარე თერაპია, რათა უზრუნველყოს გამოვლენილი ფენოტიპის პუბერტატული განვითარება.

გარდა ამისა, მეორადი სქესობრივი მახასიათებლების განვითარების დათრგუნვა ყველაზე შედეგიანია, როდესაც სასქესო ჰორმონული მკურნალობა იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდის დასაწყისიდან შუა პერიოდამდე და არა სქესობრივი მომწიფების დასრულების შემდეგ (Bangalore-Krishna et al., 2019). შესაბამისად, მოზარდებისთვის, რომლებმაც უკვე დაასრულეს ენდოგენური სქესობრივი მომწიფება და განიხილავენ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებას, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონების აგონისტების შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიზიკური ფუნქციების დასათრგუნად, როგორცაა მენსტრუაცია ან ერექცია, და შეიძლება გარდამავალი (ხიდის) ფუნქცია შეასრულოს სანამ მოზარდი, მისი მეურვე (თუ მოზარდს არ შეუძლია დამოუკიდებლად თანხმობის განცხადება) და ექიმების ჯგუფი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას (Bangalore-Krishna et al., 2019; Rosenthal, 2021).

პუბერტატის დაწყება ხდება ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზის-გონადური ღერძის რეაქტივაციის

გზით. პუბერტატის სტადიების კლინიკური შეფასება ეფუძნება ფიზიკურ მახასიათებლებს, რომლებიც ასახავენ ამ რეაქტივაციას. ფუნქციური საკვერცხეების მქონე პირებში, ტენერის მე-2 სტადია ხასიათდება სარძევე ჯირკვლის დვრილის განვითარებით. სარძევე ჯირკვლის განვითარება ხდება საკვერცხეების მიერ წარმოქმნილი ესტროგენის ზემოქმედებით. ფუნქციონირებადი სათესლე ჯირკვლების მქონე პირებში, ტენერის მე-2 სტადია ხასიათდება სათესლე ჯირკვლის მოცულობის ზრდით (ჩვეულებრივ, 4 მლ-ზე მეტი). სათესლე ჯირკვლების ზრდის შეჩერება ხდება გონადოტროპინების მალუთენინიზირებელი ჰორმონის (LH) და ფოლიკულის მასტიმულირებელი ჰორმონის (FSH) მეშვეობით. მომდევნო ეტაპებზე სათესლე ჯირკვლები გამოიმუშავენ საკმარის ტესტოსტერონს, რათა გამოიწვიოს სხეულის მასკულინიზაცია.

დეკლარაცია 12.2

ჩვენ ვურჩევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს გამოიყენონ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის (GnRH) აგონისტები ენდოგენური სასქესო ჰორმონების დასათრგუნად იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებისთვისაც პუბერტატის ბლოკირება სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულია.

უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხილეთ 12.4 დებულება.

დეკლარაცია 12.3

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ პროგესტინები (პერორალურად ან საინექციო დეპოს ფორმით) პუბერტატის დასათრგუნად იმ* ტრანსგენდერებსა და გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო კრიტერიუმებს, როდესაც გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები ან არ არის ხელმისაწვდომი ან აკრძალულია.

უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. 12.4 დებულება.

დაკლავი 12.4.

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები სასქესო სტეროიდების ჩასახშობად, სასქესო სტეროიდული ჰორმონის თანხმლები ჩანაცვლების გარეშე, იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, რომლებსაც სურთ ასეთი ინტერვენცია და რომლებსაც პუბერტატული განვითარება დიდი ხნის წინ დაეწყათ ან უკვე დაუმთავრდათ (ტენერის მე-3 სტადიის შემდეგ), მაგრამ არ არიან დარწმუნებულნი ან არ სურთ სტეროიდული სასქესო ჰორმონული თერაპიის დაწყება.

გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები ამცირებს გონადოტროპინების და სქესობრივი სტეროიდების კონცენტრაციას ტრანსგენდერ გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში და ამით აჩერებს მეორადი სასქესო მახასიათებლების შემდგომ განვითარებას (Schagen et al., 2016). მათი გამოყენება ზოგადად უსაფრთხოა და ჰიპერტენზიის განვითარება ერთადერთი მოკლევადიანი გვერდითი მოვლენაა, რომელიც ნახსენებია ლიტერატურაში (Delemarre-van de Waal & Cohen-Kettenis, 2006; Klink, Bokenkamp et al., 2015). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები ხელს უშლის ჰიპოფიზის ჯირკვალს გამოყოს მალუთენინიზირებული ჰორმონი და ფოლიკულის მასტიმულირებული ჰორმონი (Gava et al., 2020). როდესაც გონადოტროპინები მცირდება, სასქესო ჯირკვალის აღარ არის სტიმულირებული სასქესო ჰორმონების (ესტროგენები ან ანდროგენები) გამომუშავებისთვის და სისხლში სასქესო ჰორმონების დონე მცირდება პუბერტატამდე დონემდე. გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობა ინვევს უკვე განვითარებული მეორადი სასქესო მახასიათებლების სანყის განვითარების ნაწილობრივ რეგრესიას (Bangalore et al., 2019). ფუნქციური საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდები განიცდიან მკერდის ქსოვილის შემცირებულ ზრდას და თუ მკურნალობა დაიწყება ტენერის მე-2 სტადიაზე, მკერდის ქსოვილი შეიძლება მთლიანად გაქრეს (Shumeret et al., 2016). მენარქე

შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ან შეწყვეტილი გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონების აგონისტების მიღების შემდეგ მოზარდებში, რომლებსაც აქვთ საშვილოსნო. ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში რომლებსაც აქვთ ფუნქციონირებადი სათესლე ჯირკვლები, სათესლე ჯირკვლის მოცულობა შემცირდება.

როდესაც გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობა იწყება მოზარდებში პუბერტატული განვითარების გვიან ეტაპებზე, პუბერტატული განვითარების ზოგიერთი ფიზიკური ცვლილება, როგორცაა პუბერტატის გვიან სტადიაზე მკერდის განვითარება ფუნქციური საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, ხოლო ბოხი ხმა და სახის თმის ზრდა ფუნქციური სათესლე ჯირკვლების მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად არაკონფორმულ მოზარდებში, სრულად არ დაუბრუნდება პუბერტატამდე არსებულ დონეს, თუმცა მისი შემდგომი პროგრესირება შეჩერებული იქნება (Delemarre-van de Waal & Cohen-Kettenis, 2006). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონების აგონისტები გამოიყენება 1981 წლიდან ცენტრალური ნაადრევი სქესობრივი მომწიფების სამკურნალოდ (Comite et al., 1981; Laron et al., 1981), და მათი სარგებელი კარგად არის დადგენილი (გთხოვთ აგრეთვე იხილეთ დებულებები მე-6 თავში – მოზარდები). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება ცენტრალური ნაადრევი სქესობრივი მომწიფების მქონე პირებში მიჩნეულია უსაფრთხოდ და ასევე შედეგიანად, ცნობილი გრძელვადიანი გვერდითი ეფექტების გარეშე (Carel et al., 2009). თუმცა, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში ითვლება, რომ არ შეესაბამება იმ დანიშნულებას, რისთვისაც ეს წამლები სერტიფიცირებულია, რადგან ისინი თავდაპირველად არ იყო შემუშავებული ამ მიზნით. მიუხედავად ამისა, მოზარდების მონაცემები, რომლებსაც დაენიშნათ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები მსგავსი დოზით და ფორმით, აჩვენებს მათ ეფექტიანობას პუბერტატის დაწყების

შეფერხების მხრივ, თუმცა გრძელვადიანი ზემოქმედება ძვლის მასაზე კარგად არ არის შესწავლილი (Klink, Caris et al., 2015). მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიანი მონაცემები უფრო შეზღუდულია ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, ვიდრე ნაადრევი სქესობრივი მომნიშვნის მქონე მოზარდებში, მონაცემთა შეგროვება კონკრეტულად ამ პოპულაციაში გრძელდება (Klaver et al., 2020; Lee, Finlayson et al., 2020; Millington et al., 2020; ოლსონ-კენედი, გაროფალო და სხვ., 2019).

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელ მკურნალობას წარმოადგენს, ისინი შეიძლება მიუწვდომელი იყოს მოზარდებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო კრიტერიუმებს, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში ჯანმრთელობის დაზღვევა არ ფარავს მათ ხარჯებს ან ისინი შეიძლება მიუწვდომელი აღმოჩნდეს მათი ფასის გამო. ამიტომ, ამ შემთხვევებში უნდა იქნას გათვალისწინებული სხვა მიდგომები, როგორცაა პერორალური ან საინექციო პროგესტინის ნარევეები. გარდა ამისა, 14 წელზე უფროსი ასაკის მოზარდებისთვის, ამჟამად არ არსებობს მონაცემები, რომელიც ინფორმაციას მიაწვდიდა ჯანდაცვის პროფესიონალს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების დანიშვნა მონოთერაპიის სახით (და რა ხანგრძლივობით), ძვლის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი რისკის შექმნის გარეშე. ეს იმიტომ ხდება, რომ ძვლებზე აღარ მოხდება სქესობრივი სტეროიდული ჰორმონების ადეკვატური დონის ზემოქმედება (Rosenthal, 2021).

გახანგრძლივებული ჰიპოგონადური მდგომარეობა მოზარდებში, ისეთი სამედიცინო მდგომარეობების გამო, როგორცაა ჰიპერგონადოტროპული ჰიპოგონადიზმი, იატროგენული მიზეზების გამო, როგორცაა გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების მონოთერაპია თუ ფიზიოლოგიური პირობების გამო, როგორცაა ზრდისა და განვითარების პირობითი შეფერხება, ხშირად ასოცირდება შემდგომში ძვლის მდგომარეობის გაუარესების გაზრდილ რისკთან (Bertelloni et al., 1998;

Finkelstein et al., 1996). თუმცა, ძვლის მასის გადიდება არის მრავალფაქტორიანი პროცესი, რომელიც მოიცავს ენდოკრინულ, გენეტიკურ და ცხოვრების სტილის ფაქტორებს შორის კომპლექსურ ურთიერთქმედებას (Anai et al., 2001). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების მონოთერაპიის ხანგრძლივობის გადამწყვეტისას, გასათვალისწინებელია ყველა ხელშემწყობი ფაქტორი, მათ შორის ისეთი ფაქტორები, როგორცაა მკურნალობამდე არსებული ძვლის მასა, ძვლის ასაკი, პუბერტატული ეტაპი ენდოკრინული პერსპექტივიდან და სიმალის მატება, ასევე ფსიქოსოციალური ფაქტორები, როგორცაა მენტალური სიმწიფე და განვითარების სტადია მოზარდის კოჰორტასთან და მოზარდის მკურნალობის ინდივიდუალურ მიზნებთან შედარებით (Rosenthal, 2021). ამ მიზეზების გამო, მულტიდისციპლინური გუნდი და მუდმივი კლინიკური ურთიერთობა მოზარდთან და ოჯახთან უნდა შენარჩუნდეს გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობის დაწყებიდან (იხ. დებულებები 6.8, 6.9 და 6.12 თავში 6 – მოზარდები). მკურნალობის კლინიკურ კურსს, მაგ. ძვლის მასის განვითარებას გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობის დროს და მოზარდის რეაქციას მკურნალობაზე, შეუძლია დაეხმაროს ექიმს გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მონოთერაპიის ხანგრძლივობის განსაზღვრაში.

დეკლარაცია 12.5

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ სასქესო ჰორმონებით მკურნალობა, როგორც გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის ნაწილი იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის, რომლებიც არიან მინიმუმ, ტენერის მე-2 სტადიაზე, მშობლების/მზრუნველის მონაწილეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი ჩართვა საზიანო ან არასაჭიროა მოზარდისთვის.

უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხილეთ 12.6 დებულება

ჯეგულება 12.6

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, გაზომონ ჰორმონის დონე გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის დროს, რათა უზრუნველყონ ენდოგენური სასქესო სტეროიდების დონის შემცირება, ხოლო დანიშნული სასქესო სტეროიდების დონე შენარჩუნებული იყოს ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების მკურნალობის მიზნების შესაბამისად, ტენერის სტადიის მიხედვით.

სასქესო სტეროიდული ჰორმონული თერაპია ძირითადად მოიცავს ორ სამკურნალო რეჟიმს, რაც დამოკიდებულია გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობის დროზე. როდესაც გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობა იწყება ენდოგენური პუბერტატული განვითარების ადრეულ ეტაპებზე, გენდერული იდენტობის ან განსხეულების (embodiment) მიზნების შესაბამისი სქესობრივი მომნიშვნელობა გამოწვეულია სასქესო სტეროიდული ჰორმონების დოზებით, რომლებიც გამოიყენება პერიპუბერტატულ ჰიპოგონადურ მოზარდებში. ამ კონტექსტში, სასქესო სტეროიდული ჰორმონების ზრდასრულთა დოზები ჩვეულებრივ დაახლოებით 2 წლის განმავლობაში აღწევს შესაბამის დონეს (Chantrapanichkul et al., 2021). როდესაც გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობა იწყება გვიან ან პოსტპუბერტატულ ტრანსგენდერ მოზარდებში, სასქესო სტეროიდული ჰორმონები შეიძლება დაინიშნოს უფრო მაღალი სანყისი დოზით და უფრო სწრაფად გაიზარდოს შემანარჩუნებელი დოზის მიღწევამდე, რაც ჰგავს ტრანსგენდერ ზრდასრულებში გამოყენებულ სამკურნალო პროტოკოლებს (Hembree et al., 2017). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობის დამატებითი უპირატესობა არის ის, რომ სასქესო სტეროიდული ჰორმონები არ უნდა იქნეს მიღებული სუპრაფიზიოლოგიურ დოზებში, რაც სხვაგვარად საჭირო იქნებოდა ენდოგენური სასქესო სტეროიდების წარმოების ჩასახშობად (Safer & Tangpricha, 2019). ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ფუნქციონირებადი სათესლე ჯირკვლების მქო-

ნე პირებისთვის, გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობა (ან სხვა ტესტოსტერონის მახლოკირებელი პრეპარატის გამოყენება) უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდი/ახალგაზრდა არ გაივლის გონადექტომიას, თუ ეს ქირურგიული პროცედურა განხორციელდება როგორც მათი გენდერის დამადასტურებელი მკურნალობის აუცილებელი ნაწილი. როგორც კი ფუნქციონირებადი საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებში ტესტოსტერონის დონე მიაღწევს ზრდასრულთა ნორმას, რომლებიც თავდაპირველად დათრგუნული იქნა გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით, მხოლოდ ტესტოსტერონის გამოყენება ფიზიოლოგიურ დოზებში, როგორც წესი, საკმარისია საკვერცხის ესტროგენის სეკრეციის შესამცირებლად, და შედეგად გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონების მიღება შეიძლება შეწყდეს, როგორც ეს განხილულია ქვემოთ (Hembree et al., 2017). ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის, რომლებსაც აქვთ ფუნქციონირებადი საკვერცხეები და ეს-ესაა იწყებენ მკურნალობას, გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ტესტოსტერონის ფიზიოლოგიური დოზებით, იმავდროულად გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტების მიღების საჭიროების გარეშე (Hembree et al., 2017). გენდერის დამადასტურებელი სტეროიდული სასქესო ჰორმონული თერაპია იწვევს გენდერული იდენტობის მეორადი სასქესო მახასიათებლების განვითარებას. ასევე, ძვლის მინერალიზაციის მაჩვენებელი, რომელიც მცირდება გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობის დროს, სწრაფად აღდგება (Klink, Caris et al., 2015). გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით მკურნალობის დროს, ადრეულ პუბერტატში ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, ძვლის ეპიფიზური ფირფიტები ჯერ კიდევ არ არის შერწყმული (Kvist et al., 2020; Schagen et al., 2020). სტეროიდული სასქესო ჰორმონებით მკურნალობის დანების შემდეგ, შეიძლება

მოხდეს ზრდის აჩქარება და ძვლის მომნიჭება გრძელდება (Vlot et al., 2017). პოსტპუბერტატულ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, სტიროიდული სასქესო ჰორმონებით მკურნალობა არ იმოქმედებს ზრდაზე/სიმაღლეზე, ვინაიდან ეპიფიზური ფირფიტები შერწყმულია და ძვლის მომნიჭებაც უკვე დასრულებულია (Vlot et al., 2017). ფუნქციური სათესლე ჯირკვლების მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებში, 17-β-ესტრადიოლის გამოყენება პუბერტატული ინდუქციისთვის უფრო სასურველია, ვიდრე სინთეზური ესტროგენების, როგორცაა უფრო თრომბოგენური ეთინილ ესტრადიოლი (იხ. დანართი D (Asscheman et al., 2015)). მაინც აუცილებელია, რომ გაგრძელდეს გონადოტროპინის გამოყოფი ჰორმონის აგონისტების გამოყენება ენდოგენური ტესტოსტერონის წარმოების ჩასახშობად, ან გადასვლა სხვა მედიკამენტზე, რომელიც ასევე თრგუნავს ენდოგენურ ტესტოსტერონის გამომუშავებას (Rosenthal et al., 2016). მეგრდის განვითარება და ქალისთვის დამახასიათებელი ცხიმის განაწილება იმ ფიზიკურ ცვლილებებს შორისაა, რომელიც ესტროგენით მკურნალობას მოჰყვება შედეგად. იხილეთ დანართი C-ცხრილი 1.

ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის, რომლებსაც სურთ მკურნალობა მასკულინიზაციის მისაღწევად, ანდროგენები ხელმისაწვდომია საინექციო პრეპარატების, ტრანსდერმული ნარეგების და კანქვეშა იმპლანტების სახით. პუბერტატული ინდუქციისთვის, ტესტოსტერონ-ესტერის ინექციის გამოყენება ზოგადად რეკომენდებულია ექსპერტების უმეტესობის მიერ, უპირველეს ყოვლისა, მისი ღირებულების, ხელმისაწვდომობისა და გამოცდილების გამო (Shumer et al., 2016). რეკომენდებულია გონადოტროპინის გამოყოფი ჰორმონის აგონისტების გაგრძელება მინიმუმ ტესტოსტერონის შესანარჩუნებელი დონის მიღწევამდე. ანდროგენებით მკურნალობის საპასუხოდ ხდება სხეულის ვირილიზაცია, მათ შორის ხმის დაბოხება, არაკუნთოვანი მასის განვითარება განსაკუთრებით სხეულის ზედა ნაწილში, თმის ზრდა სახეზე და სხეულზე და კლიტორის გადიდება (Rosenthal et al., 2016) იხილეთ დანართი C – ცხრილი 1.

თითქმის ყველა სიტუაციაში მშობლის/მზრუნველის თანხმობაა საჭირო. ამ რეკომენდაციიდან გამონაკლისები, კერძოდ კი შემთხვევები, როდესაც მზრუნველის ან მშობლის ჩართულობა მოზარდისთვის საზიანოა, უფრო დეტალურად არის აღწერილი მე-6 თავში – მოზარდები (იხ. დებულება 6.11), სადაც მშობლების/ალმზრდელების თანხმობის პროცესში ჩართვის დასაბუთებაც აღწერილია.

დეკლარაცია 12.7

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ პროგესტოგენები ან გონადოტროპინის გამოყოფი ჰორმონის აგონისტები იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო კრიტერიუმებს და აქვთ საშვილოსნო, რათა შემცირდეს მათი მენსტრუალური ციკლით გამონეული დისფორია, როდესაც გენდერის დამადასტურებელი ტესტოსტერონის გამოყენება ჯერ კიდევ არ არის სამედიცინოდ გამართლებული.

მენსტრუალური დათრგუნვა არის მკურნალობის ვარიანტი, რომელიც ჩვეულებრივ საჭიროა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი იდენტობის მქონე პირებისთვის, რომლებიც განიცდიან მენსტრუაციასთან დაკავშირებულ სტრესს ან არიან პირველი მენსტრუაციის (მენარქეს) მოლოდინში. დებულებაში 6.7 თავი 6 – მოზარდები, ეს საკითხი უფრო დეტალურადაა განხილული. ამენორეის მისაღწევად მენსტრუალური დათრგუნვა შეიძლება დაიწყოს დამოუკიდებლად, ტესტოსტერონის დაწყებამდე ან ტესტოსტერონის თერაპიის პარალელურად (Carswell & Roberts, 2017). ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელიც არ არის მზად ტესტოსტერით თერაპიისთვის ან ჯერ კიდევ არ არის პუბერტატის/განვითარების სათანადო ეტაპზე ასეთი მკურნალობის დასაწყებად, ისარგებლებს ამენორეის ინდუქციით (Olson-Kennedy, Rosenthal et al., 2018). მოზარდებმა, რომლებსაც აღენიშნებათ დისფორიის გამწვავება პუბერტატის დაწყების ფონზე, შეიძლება აირჩიონ მკურნალობა გონადოტროპინის გა-

მომყოფი ჰორმონის აგონისტებით პუბერტატული დათრგუნვის მიზნით (ასევე იხილეთ თავი „მოზარდები“).

პროგესტოგენები შეიძლება ეფექტური იყოს მოზარდებში, რომელთა მიზანი მხოლოდ მენსტრუაციის ჩახშობაა. მხოლოდ პროგესტინის შემცველი პერორალური აბების (მათ შორის ჩასახვის სანინალმდეგო და კონტრაცეფციის სანინალმდეგო ვარიანტების) უწყვეტი მიღება, მედროქსიპროგესტერონის ინექციების ან ლევონორგესტრელის საშვილოსნოსშიდა მოწყობილობის გამოყენება შეიძლება ამენორეის ხელოვნურად გამონვევისთვის (Pradhan & Gomez-Lobo, 2019). ფუნქციური საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს, რომლებიც იწყებენ ტესტოსტერონის თერაპიას, შეიძლება ჰქონდეთ 1-5 მენსტრუალური ციკლი ამენორეის მიღწევამდე (Taub et al., 2020). მას შემდეგ, რაც ამენორეა მიღწეულია, ზოგიერთ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდს, რომელსაც აქვს ფუნქციური საკვერცხეები, ასევე შეუძლია გააგრძელოს პროგესტინებით მკურნალობა ჩასახვის სანინალმდეგოდ, თუ ეს გამოდგება მათი სექსუალური პრაქტიკის თვალსაზრისით.

მენსტრუაციის დათრგუნვის დაწყებიდან პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში ფუნქციონირებადი საკვერცხეებისა და საშვილოსნოს მქონე ტრანსგენდერმა და გენდერულად მრავალფეროვანმა ინდივიდებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია მენსტრუალურ სისხლდენებს შორის პოტენციურ სისხლდენასთან დაკავშირებით. გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით თერაპიის დროს მესტრუაციებს შორის სისხლდენა შეიძლება აღმოცენდეს მედიკამენტის დაწყებიდან 2-3 კვირის შემდეგ. პირებისთვის, რომლებსაც სურთ კონტრაცეფციის გამოყენება ან მათთვის, ვისაც უნარჩუნდება მენსტრუალური სისხლდენა პროგესტინებით თერაპიის დროს, ამენორეის შესანარჩუნებლად შესაძლებელია ესტროგენის პროგესტინთან კომბინაციის დანიშვნა, თუმცა მათ უნდა მიენოდოთ ინფორმაცია მკერდის განვითარების შესაძლო გვერდითი ეფექტის შესახებ (Schwartz et al., 2019).

დაკლავი 12.8

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროვაიდერებს, ჩართონ პროფესიონალები სხვადასხვა დისციპლინიდან, რომლებიც არიან ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის და ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდებისთვის საჭირო მკურნალობის მართვის ექსპერტები.

როგორც მოზარდების მკურნალობის შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს რეკომენდაცია, რომ სადაც ეს შესაძლებელი იქნება, შეიკრიბოს სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებისგან შემდგარი მულტიდისციპლინური ექსპერტთა ჯგუფი ამგვარი მკურნალობის სამართავად. მოზარდებში, რომლებიც გადიან გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას (იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ნაწილობრივ შეუქცევადი მკურნალობა), ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ მკურნალობის დაწყებას თანდათანობით მზარდი დოზების სქემის გამოყენებით მას შემდეგ, რაც სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალების მულტიდისციპლინური ჯგუფი დაადასტურებს გენდერული დისფორიის/გენდერული შეუთავსებლობის არსებობას და დაადასტურებს, რომ ინდივიდს აქვს ინფორმირებული თანხმობის გაცემის გონებრივი უნარი (Hembree et al., 2017). მოზარდების შეფასებასთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები და მათი აღმზრდელებისა და მულტიდისციპლინურ გუნდის ჩართულობა უფრო დეტალურად არის აღწერილი მენ-თავში – მოზარდები.

თუ შესაძლებელია, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან მოზარდებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის პედაგოგიულ ექსპერტებზე სხვადასხვა დისციპლინიდან, რაც მოიცავს პირველად ჯანდაცვას, ენდოკრინოლოგიას, რეპროდუქციას, ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ხმას, სოციალურ სამუშაოს, სულიერ დახმარებასა და ქირურგიას (Chen, Hidalgo et al., 2016; Eisenberg et al., 2020; Keo-Meier & Ehrensaft, 2018). ინდივიდუალური პროვაიდერები ნახალისებულნი არიან, ჩამოაყალიბონ თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო ურთიერთობები სხვა დისციპლინების პროვაიდერებთან, რათა ხელი

შეუწყონ ინდივიდუალურად ახალგაზრდებისა და მათი ოჯახის საჭიროებისამებრ გადამისამართებას (Tishelman et al., 2015). თუმცა, ექსპერტების და რესურსების ნაკლებობა არ უნდა წარმოადგენდეს ბარიერს ზრუნვისათვის (Rider, McMorris et al., 2019). მოზარდებისთვის სასრგებლო ზრუნვა მოიცავს კულტურულად დამუშავებულ ზუსტ ინფორმაციას გენდერისა და სექსუალური იდენტობის შესახებ, ტრანზიციის ვარიანტების, ოჯახის მხარდაჭერის გავლენის და, ასევე წვდომას მოზარდების და მათი ოჯახის წევრებისთვის სხვა მსგავსი გამოცდილების მქონე, ონლაინ და პირისპირ მხარდაჭერის ჯგუფების მეშვეობით ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ზრდასრულებთან (Rider, McMorris et al., 2019).

აღმოჩნდა, რომ ბევრი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდი იმყოფება უთანასწორო მდგომარეობაში ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ და ფსიქიკური ჯანმრთელობის პირველადი სკრინინგი (მაგ., PHQ-2, GAD) შეიძლება გამოყენებულ იყოს მითითებისამებრ (Rider, McMorris et al., 2019). პროვაიდერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ იყო ტრანსგენდერი ან გაგაჩნდეს კითხვები საკუთარ გენდერთან დაკავშირებით არ წარმოადგენს პათოლოგიას ან აშლილობას. ამიტომ, ინდივიდები არ უნდა გადაამისამართონ ფსიქიკური ჯანმრთელობის სამკურნალოდ მხოლოდ ტრანსგენდერული იდენტობის საფუძველზე. ჯანდაცვის პროფესიონალებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებს, რომლებიც მკურნალობენ ამ ახალგაზრდებს და გასცემენ მიმართვებს, უნდა ესმოდეთ ტრავმის, გენდერული დისფორიის და გენდერული უმცირესობის სტრესის გამომწვევი მიზეზების გავლენა ფსიქიკური ჯანმრთელობის პოტენციურ სიმპტომებზე, როგორცაა დარღვეული კვება, სუიციდური იდეაცია, სოციალური შფოთვა. ჯანდაცვის პროვაიდერები აგრეთვე უნდა ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთ რეგიონში სტაციონარული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მზაობის დონის შესახებ, რათა უზრუნველყონ კომპეტენტური, აფირმაციული ზრუნვა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ახალგაზრდებისთვის (Barrow &

Apostle, 2018; Kuper, Wright et al., 2018; Kuper, Mathews et al., 2019; Tishelman & Neumann-Mascis, 2018). მე-6 თავში წარმოდგენილი დებულებები 6.3, 6.4 და 6.12d – ამ საკითხებს უფრო დეტალურად განიხილავენ. იმის გამო, რომ ამ ახალგაზრდების მშობლები ჩვეულებრივ განიცდიან შფოთვის მაღალ დონეს იმ მომენტიდან, როდესაც შეიტყობენ, რომ მათი შვილი არის ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი, ხოლო მათი პასუხი კი განსაზღვრავს ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გრძელვადიან შედეგებს, მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად სათანადო მიმართვების მიცემა შეიძლება ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს (Coolhart et al., 2017; Pullen Sansfaçon et al., 2015; Taliaferro et al., 2019).

დაკავშირებული 12.9

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, სტეროიდული სასქესო ჰორმონების დანიშნისას ჩაატარონ ფიზიკური ცვლილებებისა და ჰორმონებზე პოტენციური უარყოფითი რეაქციების რეგულარული კლინიკური შეფასებები, მათ შორის სტეროიდული სასქესო ჰორმონების ლაბორატორიული მონიტორინგი ყოველ 3 თვეში ჰორმონული თერაპიის პირველი წლის განმავლობაში ან დოზის ცვლის შემთხვევაში იქამდე, სანამ ზრდასრულისთვის სტაბილური დოზა არ იქნება მიღწეული, რასაც მოყვება კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ზრდასრულისთვის შემანარჩუნებელი დოზის მიღწევის შემდეგ.

სტეროიდული სასქესო ჰორმონული თერაპია დაკავშირებულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცვლილებების ფართო სპექტრთან (Irwig, 2017; Tangpricha & den Heijer, 2017) (იხ. დანართი C-ცხრილი 1). სტეროიდული სასქესო ჰორმონებით თერაპიის დაწყების შემდეგ, ჯანდაცვის პროფესიონალებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ ინდივიდის პროგრესი და რეაქცია მკურნალობაზე (ასევე იხილეთ თავი 6 – მოზარდები). ამ შეფასებამ უნდა მოიცვას ნებისმიერი ფიზიკური ცვლილების არსებობა, ისევე როგორც მკურნალობის გავლენა გენ-

დერულ დისფორიაზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე (იხ. დანართი C-ცხრილი 1). კლინიკური ვიზიტები მნიშვნელოვან შესაძლებლობებს უქმნის ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ დაელაპარაკონ პაციენტებს იმის შესახებ, თუ რა დროა ჩვეულებრივ საჭირო ფიზიკური ცვლილებების მისაღწევად და რეალისტური მოლოდინების წასახალისებლად. ჰორმონული თერაპიის პირველი წლის განმავლობაში სტეროიდული სასქესო ჰორმონის დოზები ხშირად იზრდება. მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს დოზას, არის შესაბამისი სტეროიდული სასქესო ჰორმონის დონე შრატში. ზოგადად, მიზანს წარმოადგენს, სტეროიდების მიზნობრივი დონეები შრატში შეესაბამებოდეს ინდივიდის გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ ნორმებს, თუმცა ოპტიმალური სამიზნე დიაპაზონი დადგენილი არ არის (Hembree et al., 2017).

სტეროიდული სასქესო ჰორმონებით თერაპიასთან დაკავშირებული დადებითი ცვლილებების შეფასების გარდა, ჯანდაცვის პროფესიონალებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ, გამოიწვია თუ არა მკურნალობამ რაიმე გვერდითი ეფექტები (იხ. დანართი C-ცხრილი 2). არასასურველი ნიშნებისა და სიმპტომების მაგალითებია ანდროგენული აკნე ან შემანუხებელი სქესობრივი დისფუნქცია (Braun et al., 2021; Kerckhof et al., 2019). გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას ასევე აქვს პოტენციური, უარყოფითი გავლენა მოახდინოს რამდენიმე ლაბორატორიულ ტესტზე. მაგალითად, სპირონოლაქტონმა შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერკალემია, თუმცა ეს იშვიათი და გარდამავალი ფენომენია (Millington et al., 2019). ტესტოსტერონი ზრდის სისხლის ნითელი უჯრედების რაოდენობას (ჰემატოკრიტი), რამაც შეიძლება ზოგჯერ გამოიწვიოს ერითროციტოზი (Antun et al., 2020) (იხ. დებულება 12.17) (Hembree et al., 2017). ესტროგენსაც და ტესტოსტერონსაც შეუძლია შეცვალოს ლიპიდური პარამეტრები, როგორცაა მაღალი სიმკვრივის ცილის ლიპოპროტეინის (HDL) ქოლესტერინი და ტრიგლიცერიდები (Maraka et al., 2017). იხილეთ დანართი C-ცხრილები 3 და 4.

კლინიკური შეფასებების სიხშირე უნდა იყოს ინდივიდუალიზებული და შეფასებისას გზამკვლევეს უნდა წარმოადგენდეს ინდივიდის რეაგირება მკურნალობაზე. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ კლინიკური შეფასებების ჩატარებას ჰორმონული თერაპიის პირველი წლის განმავლობაში დაახლოებით 3 თვეში ერთხელ, პაციენტებში, რომლებიც სტაბილურები არიან და არ აღენიშნებათ მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები (დანართი C-ცხრილი 5). ეს უფრო რჩევაა, ვიდრე რეკომენდაცია, რომ ტესტირება ჩატარდეს ყოველ 3 თვეში ერთხელ პირველ წელს, რათა ანალიზების ვადები გარკვეული მოქნილობის საშუალებას იძლეოდეს, რადგან არ არსებობს ძლიერი მტკიცებულება, ან მტკიცებულება გამოქვეყნებული კვლევებიდან, რომელიც მხარს დაუჭერდა ანალიზების ჩატარების კონკრეტულ შუალედებს. თუ ინდივიდი განიცდის რაიმე არასასურველ ეფექტს, ხშირად საჭიროა უფრო ხშირი ლაბორატორიული ტესტირება და/ან კლინიკური ვიზიტები. სასქესო ჰორმონების დონეებთან დაკავშირებული პოტენციური ზიანის გათვალისწინებით, თუ ის აღემატება მოსალოდნელ დიაპაზონს ადამიანებში, ჩვენ დაჟინებით ვუწევთ რეკომენდაციას, ჩატარდეს რეგულარული ტესტირება, როგორც სტანდარტული პრაქტიკა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებში გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიას დაწყებისას. მას შემდეგ, რაც ადამიანი მიაღწევს ზრდასრული ადამიანის სტეროიდული სასქესო ჰორმონის სტაბილურ დოზას მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტების გარეშე, კლინიკაში ვიზიტების სიხშირე შეიძლება შემცირდეს წელიწადში ერთ ან ორ ვიზიტამდე (Hembree et al., 2017).

დებულება 12.10

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, ესაუბრონ და ინფორმაცია მიანოდონ ნაყოფიერების შენარჩუნების ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ ყველა იმ პირს, ვისაც სურს გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო მკურნალობის ჩატარება პუბერტატის დათრგუნვის და ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე.

პუბერტატის დათრგუნვას და სტეროიდული სასქესო ჰორმონებით მკურნალობას შეიძლება ჰქონდეს პოტენციურად არასასურველი ზეგავლენა ადამიანის მომავალ ნაყოფიერებაზე (Cheng et al., 2019) (იხ. ასევე თავი 6 – მოზარდები და თავი 16 – რეპროდუქციული ჯანმრთელობა). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანი სამედიცინო თერაპიის დასაწყებად პირველადი შეფასების დროს შესაძლოა დიდად არ ფიქრობდეს საკუთარ მომავალ რეპროდუქციულ პოტენციალზე, მკურნალობისა და ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტების პოტენციური შედეგები განხილული უნდა იყოს ჰორმონების გამომწერი პირის მიერ იმ პირთან ერთად, ვინც ამ თერაპიას გადის (Ethics Committee of the American Society for Reproductive Medicine et al., 2015; DeRoo et al., 2016). სათესლე ჯირკვლების მქონე პირებს უნდა ურჩიონ, რომ ხშირად ესტროგენით ხანგრძლივი მკურნალობა იწვევს სათესლე ჯირკვლის ატროფიას და სპერმის რაოდენობის და სპერმის სხვა პარამეტრების შემცირებას (Adeleye et al., 2018). მიუხედავად ამისა, არსებული ცოდნა მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება და მიგნებები იმ ტრანსგენდერი ქალების ნაყოფიერებასთან დაკავშირებით, რომლებიც იღებენ ესტროგენებსა და ანტიანდროგენებს, ურთიერთსაინააღმდეგოა (Cheng et al., 2019). ერთ კვლევაში, სათესლე ჯირკვლის ჰისტოლოგიაში ჰეტეროგენულობა აშკარა იყო, მიუხედავად იმისა, პაციენტები შეწყვეტდნენ თუ გააგრძელებდნენ თერაპიას ორქიექტომიამდე (Schneider et al., 2015). მაგალითად, ესტროგენისა და ანტიანდროგენების შეწყვეტამ ექვსი კვირით გამოიწვია სრული სპერმატოგენეზი ინდივიდების 45%-ში, დანარჩენში აღინიშნა მეიოზური გაყოფა ან სპერმატოგონიური გაჩერება (spermatogonial arrest) (Schneider et al., 2015). თუმცა, შრატში ტესტოსტერონის დონე, რომელიც ქალებისთვის დადგენილი ნორმის ფარგლებშია, იწვევს სპერმატოგენეზის სრულ ჩახშობას ტრანსგენდერ ქალებში (Vereecke et al., 2020). ნაყოფიერების შენარჩუნების ძირითადი ვარიანტი ფუნქციონირებადი სათესლე ჯირკვლების მქონე პაციენტებისთვის არის სპერმის კრიოკონსერვაცია, რომელიც ასევე ცნობილია

როგორც სპერმის შენახვა (Mattawanon et al., 2018). პრეპუბერტატულ პაციენტებში გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონებით პუბერტატის დათრგუნვა აჩერებს სპერმის მომწიფებას (Finlayson et al., 2016).

ფუნქციური საკვერცხეების მქონე პირები უნდა გააფრთხილონ, რომ ტესტოსტერონით თერაპია, როგორც წესი, იწვევს მენსტრუაციის და ოვულაციის შეწყვეტას, ხშირად დაწყებიდან რამდენიმე თვეში (Taub et al., 2020). ასევე არსებობს დიდი ხარვეზები ცოდნაში კვერცხუჯრედებზე ტესტოსტერონის პოტენციური გავლენის შესახებ და ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების შემდგომ ნაყოფიერებაზე (Eisenberg et al., 2020; Stuyver et al., 2020). ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ტესტოსტერონით მკურნალობა შეიძლება ასოცირებული იყოს პოლიკისტოზური საკვერცხეების (PCOS) მორფოლოგიასთან, მაშინ როდესაც სხვა კვლევებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მეტაბოლური (Chan et al., 2018) ან ჰისტოლოგიური (De Roo et al., 2017; Grynberg et al., 2010) მტკიცებულება პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომის (PCOS) შესახებ, რომელიც ტესტოსტერონით მკურნალობის შემდეგ გაჩნდა. ზოგიერთმა კვლევამ კი აჩვენა ტესტოსტერონით მკურნალობამდე პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომის უფრო მაღალი გავრცელება საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერ პაციენტებში (Baba, 2007; Gezer et al., 2021). ხელუხლებელი საშვილოსნოს და საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტები ხშირად იბრუნებენ ნაყოფიერების პოტენციალს, თუ ტესტოსტერონის თერაპიას შეწყვეტენ (Light et al., 2014). მართლაც, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის გამოყენებით ჰორმონით სტიმულირებული კვერცხუჯრედის აღების შემდეგ დაფიქსირდა ცოცხლადშობა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდის მიერ, რომელსაც არ შეუწყვეტია ტესტოსტერონის თერაპია (Greenwald et al., 2021; Safer and Tangpricha, 2019). ნაყოფიერების შენარჩუნების სხვა ვარიანტები საკვერცხეების მქონე ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებისთვის არის კვერცხუჯრედის კრი-

ოკონსერვაცია და ემბრიონის კრიოპრეზერვაცია პარტნიორის ან დონორის სპერმით. ზემოაღნიშნული ვარიანტები საჭიროებს ჰორმონულ სტიმულაციას კვერცხუჯრედის აღებისთვის და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ადრეული პუბერტატის სტადიაზე მყოფი ტრანსგენდერი ახალგაზრდებისთვის გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით სქესობრივი მომნიშვნის დათრგუნვა აჩერებს ჩანასახის უჯრედების მომნიშვნას, თუმცა უახლეს კვლევით ანგარიშში აღნიშნული იყო საკვერცხის სტიმულაცია იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდის შემთხვევაში, რომელიც მკურნალობდა გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით ადრეულ პუბერტატში (მკურნალობა გაგრძელდა საკვერცხის სტიმულაციის დროს) და შედეგად განვითარდა მცირე რაოდენობით მომნიშვნული კვერცხუჯრედები, რომლის კრიოკონსერვირებაც მოხდა (Rothenberg et al., 2019). ფუნქციური სათესლე ჯირკვლების მქონე ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი მოზარდის მკურნალობა სქესობრივი მომნიშვნის ადრეულ სტადიაზე გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტებით არა მხოლოდ აჩერებს ჩანასახის უჯრედების მომნიშვნას, არამედ აგრეთვე პრეპუბერტატულ ზომაში ინარჩუნებს კაცის სასქესო ორგანოს. ეს სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ქირურგიულ მოსაზრებებზე, თუ ეს ადამიანი საბოლოოდ გაიკეთებს პენისის ინვერსიულ ვაგინოპლასტიკას, რადგან ნაკლები პენისის ქსოვილი იქნება დასამუშავებელი. ამ შემთხვევებში, არსებობს გაზრდილი ალბათობა, რომ ვაგინოპლასტიკას დასჭირდეს უფრო რთული ქირურგიული პროცედურა, მაგალითად, ნანლავის ვაგინოპლასტიკა (Dy et al., 2021; van de Griff et al., 2020). ასეთი მოსაზრებები უნდა იქნეს განხილული ნებისმიერ დისკუსიაში პაციენტებთან და მათ ოჯახებთან, რომლებიც განიხილავენ პუბერტატის ბლოკატორების გამოყენებას ადრეულ პუბერტატულ მოზარდებში, რომელთაც ფუნქციონირებადი სათესლე ჯირკვლები აქვთ.

დაკლავი 12.11

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, შეაფასონ და იზრუნონ იმ სიმპტომებზე, რომლებიც ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში შეიძლება გამწვავდეს ენდოგენური სასქესო ჰორმონების კონცენტრაციის შემცირებით და ეგზოგენური სასქესო ჰორმონებით მკურნალობის შემთხვევაში, ამგვარი მკურნალობის დაწყებამდე.

ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები, რომლებსაც სურთ მასკულინიზაცია, უნდა იყვნენ ინფორმირებული ტესტოსტერონის მკურნალობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების, შედეგების, შეზღუდვებისა და რისკების შესახებ. ტესტოსტერონის თერაპია უკუნაჩვენებია ორსულობის დროს ან დაორსულების მცდელობისას ნაყოფზე მისი პოტენციური იატროგენული ზემოქმედების გათვალისწინებით. ტესტოსტერონით თერაპიის შედარებითი უკუჩვენებები მოიცავს მძიმე ჰიპერტენზიას, ძილის აპნოეს და პოლიციტემიას რამდენადაც ეს მდგომარეობები შესაძლოა გამწვავდეს ტესტოსტერონის გამო. არტერიული წნევის და ლიპიდური პროფილების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ტესტოსტერონის თერაპიის დაწყებამდე და დაწყების შემდეგ. არტერიული წნევის მატება ჩვეულებრივ ხდება ტესტოსტერონის თერაპიის დაწყებიდან 2-4 თვემდე (Banks et al., 2021). პაციენტებს, რომლებსაც უვითარდებათ ჰიპერქოლესტერინემია და/ან ჰიპერტრიგლიცერიდემია, შეიძლება დასჭირდეთ მკურნალობა დიეტის ცვლილებებით, მედიკამენტებით ან ორივეთი ერთად.

ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები, რომლებსაც სურთ ფემინიზაცია და აქვთ თრომბოემბოლიური მოვლენების ანამნეზი, როგორცაა ღრმა ვენების თრომბოზი და ფილტვის ემბოლია, უნდა გაიარონ შეფასება და მკურნალობა ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე. ეს იმის გამო ხდება, რომ ესტროგენის თერაპია მტკიცედ არის დაკავშირებული თრომბოემბოლიის პოტენციურად სიცოცხლისთვის საშიში გართულების გაზრდილ რისკთან. გარდა ამისა,

უნდა შეიცვალოს რისკ-ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ გაზარდონ თრომბოემბოლიური მდგომარეობების განვითარების რისკი, როგორცაა მონევა, ჭარბი წონა და უმოძრაო ცხოვრების წესი. არამოდულიცირებადი რისკ-ფაქტორების მქონე პაციენტებში, როგორცაა თრომბოფილიის ცნობილი სამედიცინო ისტორია, თრომბოზის წარსული ისტორია ან თრომბოემბოლიის ძლიერი ოჯახური ისტორია, ანტიკოაგულანტებთან ერთად ტრანსდერმული ესტროგენით მკურნალობამ შეიძლება შეამციროს თრომბოემბოლიის რისკი. თუმცა, არსებობს მხოლოდ შეზღუდული მონაცემები მკურნალობის გადაწყვეტილებების მიღების სახელმძღვანელოდ. სანყის ეტაპზე ისეთი დაავადების არსებობა, როგორც არის ჰორმონზე მგრძნობიარე კიბო, კორონარული არტერიის დაავადება, ცერებროვასკულური დაავადება, ჰიპერპროლაქტინემია, ჰიპერტრიგლიცერიდემია და ქოლელითიაზი, უნდა შეფასდეს გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე, რადგან შედარებითი რისკები შეიძლება შეიცვალოს ეგზოგენურ-ჰორმონულ მკურნალობასთან ერთად (Hembree et al., 2017).

წიგნული 12.12

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, აუხსნან ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს, რომლებიც გადიან გენდერის დამადასტურებელ მკურნალობას, სასქესო ჰორმონული მკურნალობით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების დასაწყისისა და დროში მათი განვითარების შესახებ.

ტესტოსტერონით მკურნალობის ეფექტი მრავალჯერადაა და შეიძლება მოიცავდეს სხეულზე და სახეზე თმის მომატებას, კაცის სიმელოტეს, კუნთების მასისა და სიძლიერის მატებას, ცხიმოვანი მასის დაქვეითებას, ხმის დაბობხებას, მენსტრუაციის შეფერხებას (თუ ჯერ კიდევ არსებობს), აკნეს გაზრდილ გავრცელებას და სიმძიმეს, კლიტორის გადიდებას და გაზრდილ სექსუალურ ლტოლვას (Defreyne, Elaut et al., 2020; Fisher, Castellini et

al., 2016; Giltay & Gooren, 2000; T'Sjoen et al., 2019; Yeung et al., 2020). ტესტოსტერონთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები მოიცავს სხეულის მასის მატებას, კანის ცხიმოვანობას (de Blok et al., 2020; Hembree et al., 2017; Kuper, Mathews et al., 2019; Taliaferro et al., 2019; Tishelman & Neumann-Mascis, 2018) (იხ. დანართი C-ცხრილი 1).

ესტროგენით მკურნალობა იწვევს მკერდის განვითარებას. თუმცა, ინდივიდების 20%-ზე ნაკლები აღწევს ტენერის მკერდის 4-5 სტადიას 2 წლის მკურნალობის შემდეგ (de Blok et al., 2021). დამატებითი ცვლილებები მოიცავს სათესლე ჯირკვლის მოცულობის შემცირებას, სხეულის მასის, კანის ცხიმოვანობას, სექსუალურ ლტოლვას, სპონტანურ ერექციას, სახესა და სხეულზე თმებს, სხეულის კანქვეშა ცხიმის მომატებასთან ერთად (იხ. დანართი C-ცხრილი 1). ზრდასრულ პაციენტებში ესტროგენი არ ცვლის ადამიანის ხმას ან სიმაღლეს (Iwamoto, Defreyne et al., 2019; Wiepjes et al., 2019).

ფიზიკური ცვლილებების დრო და მასშტაბები განსხვავდება ინდივიდებს შორის და დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა გენეტიკა, დაწყების ასაკი და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა (Deutsch, Bhakri et al., 2015; van Dijk et al., 2019). სასქესო ჰორმონებით გამოწვეული ცვლილებების დონისა და ხანგრძლივობის ცოდნამ, თუ ეს შესაძლებელია, შეიძლება თავიდან აიცილოს მკურნალობის არასასურველი ცვლილებების, დოზის გაზრდისა და ნაადრევი ქირურგიული პროცედურების პოტენციური ზიანი და ხარჯები (Dekker et al., 2016).

წიგნული 12.13

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, არ გამოიყენონ ეთინილ ესტრადიოლი, როგორც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობის ნაწილი ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში.

ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხილეთ 12.15 დებულება.

ჯეგულება 12.14

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, დანიშნონ ტრანსდერმული ესტროგენები იმ ტრანსგენდერებსა და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო კრიტერიუმებს და რომლებსაც აქვთ ვენური თრომბოემბოლიის განვითარების ასაკობრივად მაღალი რისკი 45 წელს ზემოთ ან ვენური თრომბოემბოლიის წინარეისტორია, როდესაც რეკომენდებულია გენდერის დამადასტურებელი ესტროგენით მკურნალობა.

ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. 12.15 დებულება.

ჯეგულება 12.15

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის სპეციალისტებს, არ დანიშნონ კონიუგირებული ესტროგენები ტრანსგენდერებსა და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, როდესაც ესტრადიოლი ხელმისაწვდომია, როგორც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობის კომპონენტი.

ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური ესტროგენის ნაერთის და მიღების მეთოდის განსაზღვრა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი თემაა. ესტროგენზე დაფუძნებული რეკომენდებული სქემები წარმოდგენილია დანართში C-ცხრილი 4. ამსტერდამის სამედიცინო ცენტრმა (AMC) პირველად წარადგინა ვენების თრომბოემბოლიის (VTE) 45 შემთხვევა, რომელიც გამოვლინდა 816 ტრანსგენდერ ქალზე დაკვირვებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ვენების თრომბოემბოლიის შემთხვევების სიხშირე 20-ჯერ უფრო მაღალია ვიდრე ამ პოპულაციისთვის იყო მოსალოდნელი (van Kesteren et al., 1997). ამ ინფორმაციის შემდეგ, ამსტერდამის სამედიცინო ცენტრმა რეკომენდაცია გაუწია ტრანსდერმული ესტრადიოლის გამოყენებას 40 წელზე უფროსი ასაკის ტრანსგენდერ ქალებში, რამაც შემდგომ შეამცირა ვენების თრომბოემბოლიის სიხშირე (Nota et al., 2019; Toorians et al., 2003). სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ეთინილ ესტრადიოლი ასოცირდება სისხლის შედედების

უფრო მაღალ რისკთან გააქტიურებული ცილის C (APC) ანტიკოაგულაციური ეფექტებისადმი გაზრდილი წინააღმდეგობის გამო და შედედების ფაქტორების C პროტეინის და S პროტეინის მომატებული კონცენტრაციის გამო (Toorians et al., 2013). სხვა კლინიკებიდან ბოლო 15 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტრანსგენდერ ქალებს, რომლებიც იღებდნენ ესტროგენის სხვა ფორმებს, ჰქონდათ ვენების თრომბოემბოლიის უფრო დაბალი მაჩვენებელი, ვიდრე იმ ტრანსგენდერ ქალებს, რომლებიც იღებდნენ ეთინილ ესტრადიოლს (Asscheman et al., 2013). გარდა ამისა, 2019 წლის სისტემურმა მიმოხილვამ დაასკვნა, რომ ეთინილ ესტრადიოლის მიღება ასოცირდება ვენების თრომბოემბოლიის უმაღლეს რისკთან ტრანსგენდერ ქალებში, ხოლო პროგესტერონის გამოყენებასა და თრომბოემბოლიას შორის ასევე გამოვლინდა კავშირი (Goldstein et al., 2019).

2017 წლის ენდოკრინული საზოგადოების გაიდლაინებში არ იყო რეკომენდებული ცხენის კონიუგირებული ესტროგენები (CEEs) როგორც მკურნალობის ვარიანტი, რადგან ტრანსგენდერ ქალებში შეუძლებელია შეფასდეს კონიუგირებული ესტროგენების დონე, რაც ართულებს ესტროგენის სუპრაფიზიოლოგიური დოზირების თავიდან აცილებას და ამით ზრდის ვენების თრომბოემბოლიის პოტენციურ რისკს (Hembree et al., 2017). რეტროსპექტულმა კვლევამ დიდი ბრიტანეთიდან შეისწავლა ცხენის პერორალური კონიუგირებული ესტროგენების რისკები ორალური ესტრადიოლის ვალერატთან შედარებით და ორალურ ეთინილ ესტრადიოლთან შედარებით და აღმოაჩინა, რომ ტრანსგენდერ ქალებში ვენების თრომბოემბოლიის განვითარება 7-ჯერ უფრო მაღალი იყო იმ ჯგუფში, რომელიც ორალურ ცხენის კონიუგირებული ესტროგენებს იღებდა, იმ ტრანსგენდერ ქალებთან შედარებით, რომლებიც იყენებდნენ ესტროგენის სხვა ფორმებს (Seal et al., 2012). გაკონტროლებულ კვლევაში, 40-79 წლის 80,000-ზე მეტი სისგენდერი ქალი, რომლებსაც განუვითარდათ ვენური თრომბოემბოლია, შეადარეს დაახლოებით 390,000 სისგენდერ ქალს ვენური თრომბოემბოლიის განვითარების გარეშე; შედეგებმა

აჩვენა, რომ ორალური ესტრადიოლის გამოყენებას ჰქონდა ვენური თრომბოემბოლიის განვითარების უფრო დაბალი რისკი, ვიდრე კონიუგირებულ ესტროგენებს და ტრანსდერმული ესტროგენი არ იყო დაკავშირებული თრომბოემბოლიის გაზრდილ რისკთან (Vinogradova et al., 2019).

სისტემატურმა მიმოხილვამ შეაფასა ესტროგენის რამდენიმე ნარევი და იპოვა რეტროსპექტული და კროსსექციური კვლევა, რომელმაც ერთი ერთში შეადარა სხვადასხვა ნარევებთან დაკავშირებული რისკები (Wierckx, Mueller et al., 2012; Wierckx et al., 2013). არც ერთი იდენტიფიცირებული კვლევა, რომელიც აფასებდა ესტროგენის სხვადასხვა ნარევების რისკს, არ იყენებდა პროსპექტულ ინტერვენციულ დიზაინს. რეტროსპექტულმა კვლევამ გამოიკვლია 214 ტრანსგენდერი ქალი, რომლებიც იღებდნენ ტრანსდერმულ ესტრადიოლს (17β-ესტრადიოლის გელი 1,5 მგ/დღეში ან ესტრადიოლის დასაკრავი 50 მკგ/დღეში) ან პერორალური ესტროგენების დღიურ დოზას (ესტრადიოლი 2 მგ/დღე, ესტრიოლი 2 მგ/დღე, ეთინილ 000) 50 მკგ/დღეში, ან ეთინილ ესტრადიოლს 30-50 მკგ ორალურ კონტრაცეპტივში (Wierckx et al., 2013). 10-წლიანი დაკვირვების პერიოდში კოჰორტის 5%-ს განუვითარდა ვენური თრომბოემბოლია, 1.4%-ს (3 ადამიანს 214-დან) მიოკარდიუმის ინფარქტი (MI) და 2.3%-ს (5 ადამიანს 214-დან) გარდამავალი იშემიური შეტევა, ან ცერებროვასკულური შემთხვევა (TIA/CVA). თრომბოემბოლიის, მიოკარდიუმის ინფარქტისა და იშემიური შეტევა ან ცერებროვასკულური შემთხვევების რიცხვი გაიზარდა ესტროგენული თერაპიის დაწყების შემდეგ. თუმცა, ავტორებმა არ დააფიქსირეს განსხვავებები ესტროგენის რეჟიმებს შორის ამ საბოლოო შედეგების პერსპექტივიდან.

მკვლევართა იმავე ჯგუფმა ჩაატარა კროსსექციური კვლევა, რომელშიც გამოიკვლია 50 ტრანსგენდერი ქალი (საშუალო ასაკი 43 ± 10), რომლებიც იღებდნენ ორალურ ესტროგენს (ესტრადიოლის ვალერატი 2 მგ/დღეში, ესტრიოლი 2 მგ/დღეში ან ეთინილ ესტრადიოლი 50-120 მკგ./დღეში) ან ტრანსდერმულ ესტრადიოლს (17β-ესტრადიოლი 1.5 მგ/დღეში

ან ესტრადიოლი 50 მკგ/დღეში). კვლევა მოიცავდა წამლის მიღების შემდგომ დაკვირვებას 9.2 წლის განმავლობაში (Wierckx, Mueller et al., 2012). თორმეტ პროცენტს ($n=6$) განუვითარდა თრომბოემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი და იშემიური შეტევა, ან ცერებროვასკულური შემთხვევა. ორი მონაწილე იღებდა კონიუგირებულ ესტროგენს 0,625 მგ/დღეში (ერთი ადამიანი ციპროტერონის აცეტატთან კომბინაციაში), 2 მონაწილე იღებდა ეთინილ ესტრადიოლს 20-50 მკგ/დღეში, 1 იღებდა ციპროტერონის აცეტატს 50 მგ/დღეში, ხოლო მეექვსე მონაწილე ესტროგენის რა ვარიანტს იყენებდა არ იყო განსაზღვრული. არცერთ პირს, რომელიც იღებდა ორალურ ესტრადიოლს ან ტრანსდერმულ ესტრადიოლს, არ განუვითარდა თრომბოემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი და იშემიური შეტევა, ან ცერებროვასკულური დაავადება.

ერთმა პროსპექტულმა კვლევამ შეისწავლა ესტროგენის მიღების მეთოდი 53 ტრანსგენდერ ქალში მრავალი ცენტრის მქონე კვლევაში, რომელიც ჩატარდა მთელ ევროპაში. 45 წლამდე ტრანსგენდერი ქალები ($n=40$) იღებდნენ ესტრადიოლ ვალერატს 4 მგ/დღეში ციპროტერონის აცეტატთან (CPA) 50 მგ/დღეში კომბინაციაში და 45 წლზე უფროსი ასაკის ტრანსგენდერი ქალები ($n=13$) იღებდნენ ტრანსდერმულ 17β-ესტრადიოლს, ასევე ციპროტერონის აცეტატთან ერთად. თრომბოემბოლია, მიოკარდიუმის ინფარქტი და იშემიური შეტევა, ან ცერებროვასკულური დაავადება არ გამოვლინდა 1 წლიანი შემდგომი დაკვირვების პერიოდში, არც ორალური და არც ტრანსდერმული ესტროგენების მიმღებთა ჯგუფში. ვენაში ჩატარებულმა დამატებითმა რეტროსპექტულმა კვლევამ ვერ გამოავლინა თრომბოემბოლიის შემთხვევები 162 ტრანსგენდერ ქალში, რომლებსაც აკვირდებოდნენ საშუალოდ 5 წლის განმავლობაში და რომლებიც იყენებდნენ ტრანსდერმულ ესტრადიოლს (Ott et al., 2010)

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული ეთინილ ესტრადიოლის გამოყენების წინააღმდეგ ჩვენს რეკომენდაციაში, რომელიც ეფუძნება ამსტერდამის კლინიკის ისტორიულ მონაცემებს, რომლებიც აჩვენებენ თრომბოემბოლიის სიხშირის შემცირებას ეთინილ ესტრადიოლის

გამოყენების შეწყვეტის შემდეგ და ბოლოდროინდელ სისტემურ მიმოხილვას, რომელიც მიუთითებს თრომბოემბოლიის გაზრდილ რისკზე ტრანსგენდერ ქალებში, რომლებიც იღებდნენ ეთინილ ესტრადიოლს (Weinand & Safer, 2015). ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს რეკომენდაციაში ცხენის კონიუგირებული ესტროგენების გამოყენების წინააღმდეგ, სილის და კოლეგების მიერ 2012 წლის ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელმაც აჩვენა თრომბოემბოლიის გაზრდილი რისკი ტრანსგენდერ ქალებში, რომლებიც იღებენ ცხენის კონიუგირებული ესტროგენებს, ესტროგენის სხვა ნარევებთან შედარებით და სისგენდერი ქალების მონაცემებთან შედარებით, რომლებიც გადიოდნენ ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიას (Canonic et al., 2007; Seal et al., 2012). ტრანსგენდერ ქალებში პროსპექტულმა და რეტროსპექტულმა კვლევებმა აღწერეს თრომბოემბოლიის, მიოკარდიუმის ინფარქტის და იშემიური შეტევის, ან ცერებროვასკულური დაავადების შემთხვევები მხოლოდ იმ პირებში, ვინც ლებულობდა ცხენის კონიუგირებულ ესტროგენებს ან ეთინილ ესტრადიოლს ვინაიდან ესტრადიოლი არის იაფი, უფრო ფართოდ ხელმისაწვდომია და, შეზღუდულ კვლევებში აღწერილია, როგორც უფრო უსაფრთხო, ვიდრე ცხენის კონიუგირებული ესტროგენები. კომიტეტი გირჩევთ, არ გამოიყენოთ ცხენის კონიუგირებული ესტროგენები, როდესაც ესტრადიოლი ხელმისაწვდომი მკურნალობის ვარიანტია. კვლევების ხარისხი შეიძლება შემოიფარგლოს პროსპექტული, კოჰორტის ან კროსსექციური კვლევის დიზაინით; თუმცა, რეკომენდაციის უფრო ძლიერი მხარე ეფუძნება თანმიმდევრულ მტკიცებულებებს, რომლებიც აჩვენებს კავშირს ეთინილ ესტრადიოლისა და ცხენის კონიუგირებული ესტროგენების გამოყენებასა და თრომბოემბოლიის, მიოკარდიუმის ინფარქტის და იშემიური შეტევის, ან ცერებროვასკულური დაავადების უფრო დიდ რისკს ტრანსგენდერ ქალებში.

ჩვენ ასევე დარწმუნებული ვართ ჩვენს რეკომენდაციაში ესტროგენის ტრანსდერმალური პრეპარატების დანიშნის შესახებ უფროსი ასაკის ტრანსგენდერ ქალებში (ასაკი >45 წელზე მეტი), ან ტრანსგენდერ ქალებში თრომბოემბო-

ლიის ანამნეზით. ჩვენი რწმენა ამ რეკომენდაციის მიმართ ემყარება ამსტერდამის კლინიკის მიერ აღწერილ თრომბოემბოლიის შემთხვევების შემცირებას, როდესაც 40 წელს გადაბიჯებული ტრანსგენდერი ქალები გადადიან ტრანსდერმულ პრეპარატებზე (van Kesteren et al., 1997). გარდა ამისა, გენდერული არაკონგრუენტულობის კვლევის ევროპის ქსელის მიერ ჩატარებულმა პროსპექტულმა, მრავალი ცენტრის მქონე კოჰორტულმა კვლევამ ვერ აღმოაჩინა თრომბოემბოლიის, მიოკარდიუმის ინფარქტის და იშემიური შეტევის, ან ცერებროვასკულური დაავადების ვერც ერთი შემთხვევა ტრანსგენდერ ქალებში, რომლებიც რუტინულად იწყებენ ტრანსდერმული ესტროგენის მიღებას 45 წლის ასაკში (Dekker et al., 2016). გარდა ამისა, ოტისა და კოლეგების კვლევამ თრომბოემბოლიის ერთი შემთხვევა არ გამოავლინა 162 ტრანსგენდერ ქალში, რომლებიც მკურნალობდნენ ესტრადიოლის დასაკრავებით (patch) (Ott et al., 2010).

ციპროტერონის აცეტატის გარდა (გაითვალისწინეთ, რომ ციპროტერონის აცეტატი პოტენციური ჰეპატოტოქსიურობის გამო აშშ-ში გამოყენებისთვის დამტკიცებული არ არის), პროგესტინების გამოყენება ჰორმონული თერაპიის სქემებში დღესაც საკამათოა. დღემდე არ ჩატარებულა ხარისხიანი კვლევები, რომელიც შეაფასებდა პროგესტერონების როლს ტრანსგენდერი პაციენტების ჰორმონულ თერაპიაში.

ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ პრაქტიკოსს, რომელიც ნიშნავს პროგესტინებს, მათ შორის მიკრონიზებულ პროგესტერონს, აქვს მოლოდინი, რომ შესაძლოა გაუმჯობესდეს სარძევე ჯირკვლის და/ან არეოლარული განვითარება, განწყობა, ლიბიდო და საერთო მდგომარეობა (სხვა უპირატესობებთან ერთად, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული) მათთვის, ვისაც სურს მისი მიღება (Deutsch, 2016a; Wierckx, van Caenegem et al., 2014). თუმცა, ეს გაუმჯობესებები არსებობს ანეკდოტური მტკიცებულების სახით და არ არსებობს ხარისხიანი მონაცემები, რომლებიც დაასაბუთებს ამგვარი პროგესტინის გამოყენების უპირატესობას. ჩვენ ვცადეთ სისტემატური მიმოხილვა გაგვეკეთებინა

ზრუნვის სტანდარტების ამ ვერსიისთვის, თუმცა ამან ვერ მოგვცა საკმარისი მონაცემები რეკომენდაციის გასაცემად რომელიმე პროგნოსტინის სასარგებლოდ. ამის ნაცვლად, არსებული მონაცემები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ პროგნოსტინის გახანგრძლივებული გამოყენება ასოცირდება ზიანთან (Safer, 2021).

სისგენდერი ქალებისთვის, რომლებსაც აქვთ საშვილოსნო, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ენდომეტრიუმის კიბოს რისკი, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ესტროგენის მიღებასთან (სხვა ჰორმონის გარეშე) აუცილებელია პროგნოსტინების ესტროგენებთან კომბინაციაში მიღება. სისგენდერ ქალებში, რომლებსაც საშვილოსნო არ აქვთ, პროგნოსტინები არ გამოიყენება. საუკეთესო მონაცემები პროგნოსტინის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ მომდინარეობს ზემოთ მოცემული ორი სისგენდერი პოპულაციის შედარებიდან, რისი განზოგადებაც ტემ პოპულაციაზე, როგორც ჩვენც ვაღიარებთ, სულაც არ არის გამართლებული. რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდება პროგნოსტინების მთელ კლასზე, მაგრამ მედროქსიპროგესტერონი როცა ემატება ცხენის კომბინირებულ ესტროგენებს ის დაკავშირებულია მკერდის კიბოსა და გულის დაავადებების განვითარების უფრო დიდ რისკებთან (Chlebowski, 2020; Manson, 2013). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალთა ჯანმრთელობის ინიციატივის (WHI) მიერ ჩატარებული კვლევები შესაძლოა არ იძლეოდეს ამ მონაცემების ტრანსგენდერი პოპულაციებისთვის განზოგადების საშუალებას. კვლევებში მონაწილე სისგენდერ ქალებთან შედარებით, ტრანსგენდერი პოპულაციები, რომლებსაც სურთ ჰორმონული თერაპია, როგორც წესი, უფრო ახალგაზრდები არიან, არ იყენებენ ცხენის ესტროგენს და ჰორმონული თერაპია, ამ შემთხვევებში, მიმართულია ფსიქიკურ ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე და არა მხოლოდ რისკის პრევენციაზე (Deutsch, 2016a).

არასაკმარისია მტკიცებულებები ტრანსგენდერ ან გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში სარძევე ჯირკვლისა თუ რეპროდუქციული ორგანოების სიმსივნის გავრცელების შესახებ (Joint et al., 2018). თუმცა ზოგადად, სკრინინგი ადგილობრივი გაიდლაინების მიხედვით უნდა ჩატარდეს. ქვემოთ ჩამოთვლილია რამოდენიმე მოდიფიკაცია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ჰორმონების მიღების ხანგრძლივობის, ქირურგიული ოპერაციის ტიპის ან ორივეს მიხედვით. ტრანსგენდერი პაციენტების ზრუნვის პროცესში, პირველადი ჯანდაცვის მომწოდებლებმა უნდა აწარმოონ დეტალური ჩანაწერები იმის თაობაზე, თუ რომელი ორგანოებია სახეზე მოცემულ მომენტში, რათა რეგულარული სკრინინგი შესაბამისად იქნას დაგეგმილი და შეთავაზებული. პაციენტის ორგანოთა აღწერა რეგულარულად უნდა განახლდეს ჩატარებული ქირურგიული ოპერაციებისა და სხვა ჰორმონული თერაპიის შედეგად აღმოცენებული მოვლენების გათვალისწინებით.

პირველადი ჯანდაცვის ყველა მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს ზრუნვას მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაგრამ თუ ჯანდაცვის მიმწოდებელი რეგულარულად ზრუნავს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებზე – ბავშვებზე, მოზარდებზე და ხანდაზმულ ადამიანებზე – მათ უნდა შეეძლოს, რომ გაიღრმავონ თავიანთი კომპეტენციები და თითოეულ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელ ტემ ინდივიდებისთვისაც შეძლონ ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება. თუ მათ არ აქვთ ამის შესაძლებლობა, მაშინ მომწოდებელმა უნდა შეძლოს პაციენტების შესაბამისი ჯანდაცვის მომსახურების მომწოდებლებთან გადამისამართება.

მოცემულ თავში მოყვანილი ყოველი დებულება შედგენილია მტკიცებულებათა შესწავლის, სარგებლისა და ზიანის სრული შეფასების, პაციენტებისა და მიმწოდებლების ფასეულობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, აგრეთვე რესურსებისა და განხორციელებადობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში ვაცნობიერებთ, რომ მტკიცებულებები შეიძლება არ იყოს საკმარისი და ეს მომსახურებები არ იყოს სასურველი და ხელმისაწვდომი.

სარეკომენდაციო დასკვნები

- 15.1 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებისგან მოიპოვონ ამომწურავი სამედიცინო ისტორია, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია წარსულში მიღებული და ამჟამად გამოყენებული ჰორმონების და სასქესო ჯირკვლებზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ. აგრეთვე ინფორმაცია გულ-სისხლძარღვთა და ცერებროვასკულური რისკ-ფაქტორების არსებობის შესახებ, რათა ადგილობრივად დადგენილი გაიდლაინების მიხედვით მოხდეს რისკების რეგულარული შეფასება.
- 15.2 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, შეაფასონ და მართონ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების გულ-სისხლძარღვთა/ცერებროვასკულარული ჯანმრთელობის მდგომარეობა, გულ-სისხლძარღვთა/ცერებროვასკულარული რისკების შეფასების ინდივიდუალურად შედგენილი მეთოდების გამოყენებით.
- 15.3 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენონ ინდივიდუალურად შექმნილი სქესზე დაფუძნებული რისკების გამოთვლის მეთოდი (sex-based risk calculators), რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჰორმონების მიღების ხანგრძლივობა, დოზირება, ჰორმონების დონე სისხლის შრატში, პაციენტის ასაკი და ჰორმონული თერაპიის დანყების ასაკი.
- 15.4 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებს ურჩიონ, გენდერის დამადასტურებელ ოპერაციამდე თავი შეიკავონ თამბაქოს მოხმარებისა და ნიკოტინის მიღებისგან.
- 15.5 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებთან ისაუბრონ და იზრუნონ ასაკთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური, ჯანმრთელობის და სოციალურ პრობლემებზე.
- 15.6 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების მკურნალობის დროს, რომლებიც იღებენ ესტროგენს, იხელმძღვანელონ სისგენდერი ქალებისთვის შემუშავებული სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგის ადგილობრივი გაიდლაინებით. გაითვალისწინონ ჰორმონების მიღების ხანგრძლივობა, დოზირება, ასაკი და ჰორმონების მიღების დანყების ასაკი.
- 15.7 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, იხელმძღვანელონ სისგენდერი ქალებისთვის შემუშავებული სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგის ადგილობრივი გაიდლაინებით იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების მკურნალობის დროს, რომლებსაც აქვთ სქესობრივი მომწიფების დროს განვითარებული სარძევე ჯირკვლები და არ ჩაუტარებიათ გენდერის დამადასტურებელი მკერდის ოპერაცია.
- 15.8 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, საკვერცხისა და საშვილოსნოს კიბოს საშუალო და მაღალი რისკის მქონე სისგენდერი ქალებისთვის შექმნილი ადგილობრივი სკრინინგის გაიდლაინით იხელმძღვანელონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებთანაც, რომლებიც იგივე რისკის წინაშე დგანან.
- 15.9 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებს, რომლებიც ტესტოსტერონის თერაპიას გადაიან და ავთვისებიანი სიმსივნის საშუალო რისკი აქვთ, არ ჩაუტარდეთ გეგმიური ჰისტეროექტომია ან ოვარიექტომია საშვილოსნოს ან საკვერცხის ავთვისებიანი სიმსივნის პრევენციის მიზნით.
- 15.10 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებს, რომლებსაც აქვთ ან ადრე ჰქონდათ საშვილოსნოს ყელი, შესთავაზონ საშვილოსნოს ყელის სიმსივნის სკრინინგი, სისგენდერი ქალებისთვის შექმნილი გაიდლაინის მიხედვით.
- 15.11 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებს მიაწოდონ ინფორმაცია, რომ ანტირეტროვირუსული თერაპია არ არის უკუნაჩვენები გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ჩატარებისთვის.
- 15.12 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებისგან მოიპოვონ ამომწურავი სამედიცინო ისტორია, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია წარსულში მიღებული და ამჟამად გამოყენებული ჰორმონების და სასქესო ჯირკვლებზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ და აგრეთვე ინფორმაცია ოსტეოპოროზის რისკების შესახებ, რათა შეფასდეს ოპტიმალური ასაკი და ოსტეოპოროზის სკრინინგის საჭიროება.
- 15.13 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებთან განიხილონ მათი ძვლების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის მაღალი დატვირთვის ვარჯიშების, ჯანსაღი დიეტის, კალციუმისა და D ვიტამინის მიღების საჭიროება.
- 15.14 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, გენდერის დამადასტურებელი თერაპიის მსვლელობისას ან ოპერაციის წინა პერიოდში, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებს შესთავაზონ შესაბამის პროფესიონალთან გადამისამართება სახის, სხეულის და სასქესო ორგანოების არედან თმის მოცილების პროცედურისთვის.

დასკვნა 15.1

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებისგან მოიპოვონ ამომწურავი სამედიცინო ისტორია, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია წარსულში მიღებული და ამჟამად გამოყენებული ჰორმო-

ნების და სასქესო ჯირკვლებზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ. აგრეთვე ინფორმაცია გულ-სისხლძარღვთა და ცერებროვასკულური რისკ-ფაქტორების არსებობის შესახებ, რათა ადგილობრივად დადგენილი გაიდლაინების მიხედვით მოხდეს რისკების რეგულარული შეფასება. დეტალურად, იხილეთ დებულება 15.3

დეკლარაცია 15.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, შეაფასონ და მართონ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების გულ-სისხლძარღვთა/ცერებროვასკულარული ჯანმრთელობის მდგომარეობა, გულ-სისხლძარღვთა/ცერებროვასკულარული რისკების შეფასების ინდივიდუალურად შედგენილი მეთოდების გამოყენებით.

დეტალურად, იხილეთ დებულება 15.3

დეკლარაცია 15.3

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენონ ინდივიდუალურად შექმნილი სქესზე დაფუძნებული რისკების გამოთვლის კოეფიციენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჰორმონების მიღების ხანგრძლივობა, დოზირება, ჰორმონების დონე სისხლის შრატში, პაციენტის ასაკი და ჰორმონული თერაპიის დაწყების ასაკი.

კარდიოვასკულარული დაავადება (CVD) და ინსულტი სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი მიზეზია მსოფლიოში (World Health Organization, 2018). არაერთი მონაცემი ადასტურებს მნიშვნელოვან დისპროპორციას რასობრივ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გავრცელების რისკ-ფაქტორებსა და სამედიცინო ჩარევის შედეგების თვალსაზრისით. ამ განსხვავებას განაპირობებს ძირითადი ფაქტორები, როგორებიცაა ჯანდაცვაზე მისაწვდომობის პრობლემა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი და ალოსტატიკური (ქრონიკული სტრესის კუმულაციური გავლენა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე) დატვირთვა უმცირესობებზე (Flentje et al., 2020; Havranek et al., 2015; Streed et al., 2021). ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები ხშირად იგივე სოციალურ, ეკონომიკურ ზეწოლას და დისკრიმინაციას განიცდიან, რასაც სხვა უმცირესობები, რომლებსაც გამოვლენილი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მაღალი რისკი აღენიშნებათ (Carpenter et al., 2020; James et al., 2016; Reisner, Radix et al., 2016). რასობრივი, სექსუალური და ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენელ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში აღინიშნება ინტერსექციური სტრესის ძლიერი გავლენა. ამის გამო, გენდერის დამადასტურებელ პროცედურაზე წვდომა, მათ შორის ჰორმონულ თერაპიაზე, შესაძლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების შემამსუბუქებელი ფაქტორი გახდეს, რადგან ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად მცირდება გენდერული დისფორია და შეუთავსებლობა (Defreine 2019; Martinez 2018). პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კარდიოვასკულარული და მასთან ასოცირებული რისკების პრევენციით, მათ შორის თამბაქოს გამოყენების, შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტენზიის, დისლიპიდემიის და ქარბი წონის პრევენციით.

აშშ-ში ჩატარებული რამდენიმე კვლევა, რომელიც ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ინსულტს და მათთან დაკავშირებულ რისკებს იკვლევდა (ჰორმონული თერაპიისგან დამოუკიდებლად) ცხადყოფს, რომ სისგენდერ პოპულაციასთან შედარებით მაღალია კარდიოვასკულარული დაავადებების რისკი, არადიაგნოსტირებული და მკურნალობის გარეშე მიმდინარე კარდიოვასკულარული ფაქტორები და არასათანადო პრევენცია (Denby et al., 2021; Malhotra et al., 2022; Nokoff et al., 2018). ერთ პოპულაციაზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას, ფსიქოლოგიურ სტრესს და ბავშვობის სტრესულ გამოცდილებას, უფრო მაღალია კარდიოვასკულარული დაავადებების რისკი (Poteat et al., 2021). აშშ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, რომელიც ქცევითი რისკ-ფაქტორების მონიტორინგის მონაცემების (Behavioral Risk Factor Surveillance System) საფუძველზე ჩატარდა, ტრანსგენდერ ქალებსა და კაცებშიც უფრო მაღალია მიოკარდიუმის ინფარქტი (MI), ინსულტი ან სხვა კარდიოვასკულარული დაავადებები, ვიდრე სისგენდერ კაცებსა და ქალებში.

შედეგები განსხვავდება მონაცემებში დამატებითი ცვლადების დამატების შედეგად, როგორცაა წარმომავლობა, შემოსავლის დონე ან კარდიოვასკულარული რისკ-ფაქტორები (Alzahrani et al., 2019; Caceres et al., 2020; Nokoff et al., 2018). არაბინარული გენდერული იდენტიტეტის მქონე ადამიანებშიც მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ალბათობა (Downing & Przedworski, 2018). მოცემულ კვლევებში ჰორმონული თერაპიის შესახებ მონაცემები არ ყოფილა გათვალისწინებული. აშშ-ში, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონულ თერაპიას გეგმავენ, შესაძლოა უფრო მაღალი იყოს არადიაგნოსტირებული და მკურნალობის მიღმა მიმდინარე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, ვიდრე სისგენდერ პოპულაციაში (Denby et al., 2021), თუმცა გლობალური მასშტაბით შესაძლოა ეს სურათი არ შეესაბამებოდეს რეალობას. აშშ-ს ცენტრალურ ლოკაციებზე ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევამ, რომელიც 2018 წელს ჩატარდა სისგენდერ პოპულაციასთან შედარების 10:1 თანაფარდობით, არ აჩვენა სტატისტიკური განსხვავება მიოკარდიუმის ინფარქტის, ან ინსულტის კუთხით ტრანსგენდერ ქალებსა და სისგენდერ კაცებს შორის. ასევე არ გამოვლინდა განსხვავება ტრანსგენდერ კაცებსა და სისგენდერ კაცებსა თუ ქალებში მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, ვენური თრომბოემბოლიის (VTE) შემთხვევების რაოდენობაში.

ვენური თრომბოემბოლიის (VTE) საშიშროების არსებობის ძალიან მკვეთრი სტატისტიკური თანაფარდობა – 1.9, გამოვლინდა ტრანსგენდერი ქალების და სისგენდერი კაცების შედარებისას. ტრანსგენდერ ქალთა ქვეკოჰორტაში, რომელმაც გენდერის დადასტურების ჰორმონული თერაპია 6 წლიანი კვლევის პერიოდში დაიწყო (და არა მანამდე), გამოვლინდა ინსულტის რისკის მაღალი მაჩვენებელი. ტრანსგენდერ ქალთა მთლიან კოჰორტაში გამოვლინდა ვენური თრომბოემბოლიის (VTE) მაღალი მაჩვენებელი, ხოლო ტრანსგენდერ ქალთა იმ ქვეკოჰორტაში, რომლებმაც ჰორმონული თერაპია დაიწყეს, გამოვლინდა იმ რიცხვების დიაპაზონი 71-123, რომელიც აუცილებე-

ლია ზიანის მიყენებისთვის (რომელიც არ არის მოცემული კვლევაში) (Getahun et al., 2018).

სხვა კვლევებში არ გამოკვეთილა ზრდა კარდიოვასკულარული და ინსულტის შემთხვევების კუთხით, მათ შორის იმ ტრანსგენდერ კაცებს შორის, რომლებიც ტესტოსტერონის თერაპიას გადიან, თუმცა კვლევას აქვს შეზღუდვები, როგორცაა პატარა შერჩევა, შედარებით მოკლევადაიანი თანმდევი მონიტორინგი და სამიზნე ჯგუფის პოპულაციის შედარებით ახალგაზრდა ასაკი (Martinez et al., 2020; Nota et al., 2019). აშშ-ში და ევროპაში ჩატარებულმა კვლევებმა, იმ ტრანსგენდერ ქალებში, რომლებმაც გენდერის დამადასტურებელი ფემინიზაციის ჰორმონული თერაპია ჩაიტარეს, აჩვენა, რომ სისგენდერ ქალებთან და ზოგ კვლევაში სისგენდერ კაცებთან შედარებით, ბევრად მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ინსულტის განვითარების რისკი (Getahun et al., 2018; Nota et al., 2019; Wierckx et al., 2013). აღნიშნულ კვლევათა უმეტესობას ბევრი შეზღუდვა აქვს, მათ შორის ცვლადების მორგება კარდიოვასკულარული რისკ-ფაქტორებისთვის, მცირე ზომის შერჩევა – განსაკუთრებით ასაკოვანი ტრანსგენდერი ქალების შერჩევა – ცვლადების ხანგრძლივობა და ჰორმონული თერაპიის ტიპები (Connelly et al., 2019; Defreyne et al., 2019, Martinez et al., 2020). გარდა ამისა, ზოგადი გაზრდილი რისკი მცირე იყო. მოცემულ კვლევათა უმეტესობაში, ტრანსგენდერ ქალთა უმეტესობა, რომლებმაც კარდიოლოგიური დაავადებები ან ინსულტი გადაიტანეს, 50 წელს გადაცილებული იყვნენ, ჰქონდათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკ-ფაქტორები და იღებდნენ სხვადასხვა ჰორმონებს, მათ შორის ეთინილ ესტრადიოლს და სინთეტიკურ ესტროგენს, რომელიც წარმოშობს გართულებებს და არ არის რეკომენდებული ფემინიზაციის თერაპიის რეჟიმის დროს (Gooren et al., 2014; Martinez et al., 2020).

ამ ეტაპზე, ნაკლები მონაცემები მიუთითებს ესტროგენზე დაფუძნებული გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის მიოკარდიული ინფარქტის ან ინსულტის გაზრდის რისკთან კავშირს, მაგრამ არ არის ცნობილი რას უკავშირდება ჰორმონული თერაპიის მცირე რისკები – წინასწარ არსებული კარდიოვას-

კულარულ რისკებს, თუ ჰორმონულ თერაპიას. ასევე არ არის ცნობილი ისეთი კვლევები, რომლებიც პირდაპირ კარდიოვასკულარულ დაავადებებს იკვლევს არაბინარულ ინდივიდებში, რომლებიც იყენებენ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონების სუბფიზიოლოგიურ დოზებს; ან კვლევები, რომელიც იგივეს იკვლევს მოზრდილებში, რომლებმაც სქესობრივი მომნიშვნის დათრგუნვის თერაპია ჩაიტარეს. პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებს შეუძლიათ საუკეთესოდ მართონ კარდიოვასკულარული დაავადებების რისკები გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დროს ტგმ ადამიანთა კარდიოვასკულარული დაავადებების და კარდიოვასკულარული მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების შეფასებით, როგორებიცაა შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტენზია, ჰიპერლიპიდემია, ჭარბი წონა, თამბაქოს მოხმარება, ისევე როგორც უმცირესობის სტრესის გავლენა კარდიოვასკულარულ რისკებზე (Streed et al., 2021). გარდა ამისა, პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებს შეუძლიათ შეამცირონ კარდიოვასკულარული ჯანმრთელობის პრობლემები დროული დიაგნოსტიკებით, რისკების მართვით და ინდივიდუალურად შედგენილი მკურნალობით, რომელიც მიმდინარე გენდერის დამადასტურებელ ინტერვენციებთან თანხვედრაშია და მხარს უჭერს მას. რისკების შეფასების გაიდლაინები განსხვავდება ეროვნული და საერთაშორისო კონტექსტის მიხედვით, ამას ასევე განაპირობებს გაიდლაინების შემქმნელთა სამეცნიერო მომზადება.

კარდიოვასკულარულ დაავადებათა პრევენციის გაიდლაინებში განსხვავებულადაა განსაზღვრული რისკების შეფასების სიხშირე და მეთოდი 40 წლამდე სხვაგვარად ჯანმრთელ მოზრდილებში (Arnett et al., 2019; Piepoli et al., 2020; Prácoma et al., 2019; Streed et al., 2021; WHO, 2007). 40 წლის ზემოთ, როდესაც კარდიოვასკულარული რისკები იმატებს, გაიდლაინები მკაფიოდ გასცემს რისკების გეგმიური შეფასების რეკომენდაციას, კარდიოვასკულარული დაავადებების (CVD) ათწლიანი პროგნოზირების ფორმულის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია რისკის წინასწარმეტყველების კალკულაციაზე (განხორციელებული პოპულა-

ციის დიდ შერჩევაზე). რისკების გამოთვლის ფორმულებია SCORE (რომელიც რეკომენდებულია კარდიოვასკულარული დაავადებების პრევენციის ევროპული გაიდლაინებით) ჯგუფური კოჰორტული კვლევის ფორმულები (2013 AHA ACC გაიდლაინები კარდიოვასკულარული დაავადებების რისკების შეფასებისთვის), ფრამინგამის რისკების სკალის ქულები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რისკების პროგნოზირების დიაგრამა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) დიაგრამა შექმნილია ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ქვერეგიონებში მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. იმ ადგილებისთვის, სადაც რესურსების სიმცირის გამო არ არის ხელმისაწვდომი ქორესტეროლისა და გლუკოზის შემონემების შესაძლებლობა, გამოიყენება ალტერნატიული გრაფიკები, რომლებშიც ეს ანალიზები არ შედის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა თანედროვე კარდიოვასკულარული რისკის გამოთვლის ინდიკატორი დაფუძნებულია გენდერზე, სადაც სქესი გამოიყენება როგორც მნიშვნელოვანი რისკის ცვლადი. ამჯერად არასაკმარისი მონაცემები არსებობს სიცოცხლის მანძილზე კარდიოვასკულარული რისკების ინტერვენციების შესახებ იმ ტგმ ადამიანებში, რომლებსაც სამედიცინო ან ქირურგიული ინტერვენციების მიუმართავთ, რათა მოხდეს პროგნოზირების ფორმულის მათზე მორგება. თუმცა ცხადია, რომ კარდიოვასკულარული რისკების გამოთვლის პარამეტრებზე გავლენას ახდენს როგორც დაბადებისას მინიჭებული სქესი, ისე ტრანზიცია (Connelly et al., 2019; Defreyne et al., 2019; Maraka et al., 2017; Martinez et al., 2020). ჯანდაცვის მიმწოდებლებს ტრანსგედერ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებში კარდიოვასკულარული რისკების გამოსათვლელად შეუძლიათ სხვადასხვა მიდგომები გამოიყენონ. მათ შორის, რისკის გამოთვლა დაბადებისას მინიჭებული სქესის, დადასტურებული გენდერის, ან ამ ორის შენონილი საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, რა შემთხვევაშიც გათვალისწინებული იქნება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ზეგავლენა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მწირია მონაცემები, ზრდასრულ

ტრანსგენდერ ადამიანებში დადასტურებული გენდერის გამოყენება სავარაუდოდ ყველაზე მარტივული იქნება მათთვის, ვისაც სქესობრივი მომნიშვნის დროს ინიცირებული გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ისტორია აქვს. სუბმაქსიმალური გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ისტორიის მქონე პაციენტებისთვის, ან რომლებმაც ხანგრძლივი პერიოდი დაჰყვეს ჰორმონების ჩანაცვლების გარეშე გონადექტომიის შემდგომ და არიან დაახლოებით 50 წლამდე, შესაძლოა, საჭირო გახდეს უფრო მეტად რაფინირებული მიდგომა. ჯანდაცვის მიმწოდებლები საქმის კურსში უნდა იყვნენ ყველა იმ შეზღუდვის შესახებ, რომელიც ამ რისკების გამოთვლის ინდიკატორს ახასიათებს და ამის შესახებ პაციენტებსაც უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გაზიარებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამჯერად არ არსებობს შედარებითი კვლევები დისლიპიდემიის გამოვლენის სიხშირის შესახებ ტრანსგენდერ და სისგენდერ შერჩევებში ჰორმონების გამოყენების კონტროლის დროს. როგორც უკვე აღინიშნა, სხვა პოპულაციების მონაცემებში გამოვლინდა ბავშვობაში მიღებული ფსიქოსოციალური სტრესი, ნონაში მატება და არანორმალური ლიპიდური მეტაბოლიზმი. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემებში სრულად არ არის გათვალისწინებული ჰორმონული თერაპიის რეჟიმები და დამატებითი ცვლადები, ტესტოსტერონზე და ესტროგენზე დაფუძნებული გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიები გავლენას ახდენენ ლიპიდურ მეტაბოლიზმზე (Connelly et al., 2019; Defreyne et al., 2019; Deutsch, Glidden et al., 2015; Maraka et al., 2017; Martinez et al., 2020). ესტროგენის გამოყენების დროს იმატებს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (HDL) ქორესტეროლი და ტრიგლიცერიდები, რომლებიც ცვალებად გავლენას ახდენენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქორესტეროლზე (LDL) მაშინ, როდესაც ტესტოსტერონი ცვალებადად მოქმედებს ტრიგლიცერიდებზე, ამცირებს მაღალი სიმკვრივის ქორესტეროლს და ზრდის დაბალი სიმკვრივის ქორესტეროლს. ტენდენციის შესაძლოა გავლენა იქონიოს ასევე მიღების მეთოდმა, ეს იქნება ორალური თუ ტრანსდერმალური ესტროგენი

და მათი გავლენა ტრიგლიცერიდებზე (Maraka et al., 2017). მთლიანობაში, ამ ცვლილებათა გავლენის მასშტაბები მინიმალურია და კარდიო და ცერებროვასკულარულ შედეგებზე მათი ზოგადი გავლენა არ არის ცნობილი. არ არსებობს კვლევა, რომელიც შეისწავლის იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე ჰორმონების გავლენას, რომლებსაც დისლიპიდემია მანამდეც აღენიშნებოდათ და ჰორმონების მიღება 50 წლის შემდეგ დაიწყეს, ასევე არ არსებობს კვლევა, რომელიც იკვლევს 2-5 წელზე ხანგრძლივი ჰორმონული თერაპიის ზეგავლენას.

მწირია კვლევები, რომლებშიც შედარებულია ჰიპერტენზიის გავრცელება ტგმ და სისგენდერ შერჩევებში ჰორმონების გაკონტროლებული მიღებისას. სხვა პოპულაციებიდან მიღებულ მონაცემებში ვლინდება ქრონიკული და მწვავე ფსიქოსოციალური სტრესი, მათ შორის დისკრიმინაციის გამოცდილება, რომელმაც შეიძლება განაპირობოს ჰიპერტენზია (Din-Dzietham et al., 2004; Spruill, 2010). ამერიკაში ჩატარებულ კვლევებში, რომლებიც ეფუძნებოდა ქცევით რისკ-ფაქტორებზე დაკვირვების სისტემას (ფართომასშტაბიანი ჯანმრთელობის კვლევა აშშ-ში), არ გამოვლენილა განსხვავებები ჰიპერტენზიის მაჩვენებლებში, როდესაც ერთმანეთს შეადარეს ტრანსგენდერი ქალებისა და კაცების და სისგენდერი ადამიანების შერჩევები (Alzahrani et al., 2019; Nokoff et al., 2018). ტესტოსტერონზე და ესტროგენზე დაფუძნებული გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის თაობაზე ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა არათანმიმდევრული ზეგავლენა სისტოლურ და დიასტოლურ არტერიულ წნევაზე. ესტროგენზე და ტესტოსტერონზე დაფუძნებული ჰორმონული თერაპიის რეჟიმების არტერიულ წნევაზე ზეგავლენის რეტროსპექტიულმა კვლევამ გამოავლინა სისტოლური წნევის მცირედი შემცირება ესტროგენზე დაფუძნებული რეჟიმის დაწყების დროს; მეორე მხრივ, დაფიქსირდა სისტოლურ არტერიული წნევის მცირედი მომატება (4 mm Hg) ტესტოსტერონზე დაფუძნებულ რეჟიმზე ხანგრძლივი დაკვირვების დროს. ეს განსხვავება სტატისტიკური მნიშვნელობის ზღვარზე იყო და კლინიკურა-

დაც ნაკლებად რელიგანტურია. სისტემური მიმოხილვის დასკვნის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ კვლევათა ხარისხი ლიმიტირებულია, დასკვნის გამოსატანად არ არსებობს საკმარისი მონაცემები ჰიპერტენზიაზე გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის გავლენის შესახებ (Connelly et al., 2021). ფემინიზაციაზე მიმართული გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დროს ხშირად გამოიყენება სპირონოლაქტონი ანდროგენის დასათრგუნად, რომელიც არის კალიუმის შემცველი შარდმდენი და ანგიოტენსინ-გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორებთან ან ანგიოტენსინის რეცეპტორის ბლოკატორ მედიკამენტებთან, ისევე როგორც მარილის შემცველებთან ერთად მოხმარებისას შესაძლოა გაზარდოს კალიუმის დონე.

არ მოიპოვება კვლევები, რომლებიც შეისწავლიან ამ ჰორმონის ზეგავლენას იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებსაც ჰორმონების გამოყენებასთან ერთად აღენიშნებოდათ ჰიპერტენზია ჰორმონებით მკურნალობის 50 წელზე უფროს ასაკში დაწყების შემდეგ, ან იკვლევენ ჰორმონების ეფექტს 2-5 წლიანი თერაპიის შემდეგ. ტრანსგენდერმა ადამიანებმა, რომლებიც გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას გადიან, დამატებითი უნდა ჩაიტარონ არტერიული წნევის სკრინინგი ან მონიტორინგი, როგორც ეს მითითებულია WPATH-ის გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის (ტრანსგენდერთა ჯანდაცვის მსოფლიო პროფესიული ორგანიზაცია) გაიდლაინში.

შეზღუდულია მონაცემები, რომელიც შეაჩინი დიაბეტის გავრცელებას შეადარებს ტგმ და სისგენდერ შერჩევებში, ჰორმონების მოხმარებისგან დამოუკიდებლად. ტრანზიციის, შედეგებისა და გენდერის კოჰორტული კვლევის (STRONG/Study of Transition, Outcomes and Gender) უახლესი მონაცემების მიხედვით (Islam et al., 2021) მე-2 ტიპის დიაბეტის გავრცელების სიხშირე უფრო მეტი იყო ქალ ტრანსგენდერთა კოჰორტაში, ვიდრე სისგენდერ ქალებში, მაგრამ არა სისგენდერი კაცების საკონტროლო ჯგუფში. მთლიანობაში, ჰორმონული თერაპიის შემდგომ მე-2 ტიპის დიაბეტის შემთხვევები ან

მისი ხშირი გამოვლენის კუთხით მნიშვნელოვანი სხვაობა არ დაფიქსირებულა ტრანს მასკულინურ კოჰორტაში და ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში. თუმცა შემდგომი მონიტორინგის პერიოდი იყო 2.8 და 3.1 ორივე კოჰორტისთვის, შესაბამისად (Islam et al., 2021). სხვა პოპულაციებიდან, მათ შორის სექსუალური უმცირესობების ჯგუფებიდან მოპოვებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქრონიკული და მწვავე ფსიქოსოციალურ სტრესი შეიძლება დაკავშირებული იყოს მე-2-ე ტიპის დიაბეტის განვითარებასთან და კონტროლთან (Beach et al., 2018; Kelly & Mubarak, 2015).

აშშ-ში ჩატარებული ქცევითი რისკ-ფაქტორების მონიტორინგის შედეგად (Behavioral Risk Factor Surveillance System) არ გამოვლენილა სხვაობა ტრანსგენდერ კაც, ტრანსგენდერ ქალ, არაბინარულ ადამიანებს და სისგენდერ ადამიანებს შორის (Alzahrani et al., 2019; Caceres et al., 2020; Nokoff et al., 2018). მრავალმა მცირემასშტაბიანმა კვლევამ ტრანსგენდერ კაცებში აჩვენა პოლიკისტოზური საკვრცხეების სინდრომისა და ჰიპერანდროგენემიის მოსალოდნელზე უფრო ხშირი შემთხვევები (Feldman et al., 2016), ინსულინრეზისტენტობასთან და დიაბეტის რისკთან დაკავშირებული მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტოსტერონზე და ასევე ესტროგენზე დაფუძნებული გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიები სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს სხეულზე, წონაზე, გლუკოზის მეტაბოლიზმზე და ინსულინ რეზისტენტულობაზე (Defreyne et al., 2019), უმეტეს შემთხვევაში არ ვლინდება დიაბეტის ან პრედიამეტული მდგომარეობების შემთხვევების ზრდა (Chan 2018; Connelly 2019). არ მოიპოვება კვლევა, რომელიც იკვლევს ჰორმონების ზეგავლენას ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე, რომლებსაც დიაბეტის ანამნეზი ჰქონდათ და ჰორმონების მიღება 50 წელს გადაცილებულბმა დაიწყეს. ასევე არ არსებობს კვლევა, რომელიც თერაპიის შედეგებს თერაპიიდან 2-5 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგაც იკვლევდა. ამჟამად არ მოიპოვება კვლევა, რომელიც დიაბეტის შეისწავლიდა იმ ადამიანებში, რომლებსაც წარსულში ჩატარებული აქვთ პუბერტატის დათრგუნვის მკურნალობა.

მართალია, არტერიულ წნევასა და ლიპიდებზე გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის გავლენის შუალედური შედეგების კვლევა მნიშვნელოვანია ჰიპოთეზის გენერირებისთვის და ეტიოლოგიის შესწავლისთვის, მაგრამ სამომავლოდ კვლევები უნდა კონცენტრირდეს გულ-სისხლძარღვთა სისტემასთან დაკავშირებულ შედეგებზე, სადაც კონკრეტული ფოკუსი იქნება ინდივიდუალურ პრედიქტორებზე, როგორცაა ასაკი, მეთოდი და გამოყენებული ჰორმონების დოზა და ცხოვრების მანძილზე გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ზემოქმედება. კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, საკონტროლო ჯგუფში სისგენდერი მონაწილეები ერთი და იგივე ნატალური სქესის და იდენტიფიცირებული გენდერის არიან თუ არა.

დასკვნები 15.4

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პაციენტებს ურჩიონ, გენდერის დამადასტურებელ ქირურგიულ ოპერაციამდე თავი შეიკავონ თამბაქოს მოხმარებისა და ნიკოტინის მიღებისგან.

თამბაქოს მოხმარება არის გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის დაავადებებისა და სიმსივნის ძირითადი წინაპირობა მთელ მსოფლიოში (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2020). ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში უფრო ხშირია თამბაქოს მოხმარება, ვიდრე სისგენდერ ადამიანებში და ეს მაჩვენებელი იცვლება გენდერის სპექტრის მიხედვით (Azagba et al., 2019; Buchting et al., 2017). ეს ტენდენცია შეესაბამება იმ პოპულაციების მაჩვენებლებს, რომლებიც განიცდიან უმცირესობათა სტრესს (Gordon et al., 2021). პირველადი ჯანდაცვის მომწოდებლებს შეუძლიათ თამბაქოს მოხმარების თავიდან აცილებისთვის სხვადასხვა დამცავი ფაქტორები გააძლიერონ, მაგალითად დაიცვან ეს ადამიანები პიროვნული და სტრუქტურული დისკრიმინაციისგან, ხელი შეუწყონ გენდერის დადასტურების აღიარებაში და უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაზღვევა (Kidd et al., 2018; Shires & Jafee,

2016). თამბაქოს მოხმარების ნეგატიური ზეგავლენა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე არაპროპორციულად აისახება, პირველ რიგში იმის გამო, რომ მათ ნაკლებად აქვთ წვდომა კულტურულად კომპეტენტურ, ხელმისაწვდომ სკრინინგზე და თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებულ დაავადებათა მკურნალობაზე (Shires & Jafee, 2016). მოწვევამ შესაძლოა გაზარდოს გულ-სისხლძარღვთა და ვენური თრომბოემბოლიის (VTE) დაავადებათა რისკი ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც ფემინიზაციის გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას გადიან (Hontscharuk, Alba, Manno et al., 2021). თამბაქოს მოხმარება აგრეთვე ზრდის ქირურგიული ოპერაციების შემდგომი გართულებების რისკს, როგორცაა ჭრილობის შეხორცების, ნაიარევის დატოვება, ინფექციები (Yoong et al., 2020), ეს რისკები იზრდება, როდესაც გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული ოპერაცია ტარდება. სისგენდერ პოპულაციაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ქირურგიულ ოპერაციამდე თამბაქოს მოხმარების შეწყვეტა და ოპერაციის შემდგომ დამატებით ექვსი კვირა მოწვევისგან თავის შეკავება მნიშვნელოვნად ამცირებს გართულებებს (Yoong et al., 2020).

ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე კვლევა, რომელიც კონკრეტულად ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე მორგებული მოწვევის შეწყვეტის პროგრამებს იკვლევს (Berger & Mooney-Somers, 2017). მცირე რაოდენობის მტკიცებულება არსებობს იმის თაობაზე, რომ პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებს შეუძლიათ თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის ხელშეწყობა უმცირესობების სტრესის გადაჭრით, საკუთარ საქმიანობაში გენდერის დამადასტურებელი პროცედურების ჩართვით, როგორცაა ჰორმონული თერაპია (Myers & Safer, 2016). ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა გაითვალისწინონ ის მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებსაც ადამიანები აწყდებიან მოწვევისთვის თავის დანებების მცდელობის დროს. ნიკოტინის ჩანაცვლების თერაპია და/ან სხვა საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ინდივიდუალურად მისადაგებული. ამავე დროს, გაცნობიერ-

ბული უნდა იყოს ქცევითი ჯანმრთელობის ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ნიკოტინის მოხმარებას. გადანყვეტილების მიღების პროცესი გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის შესახებ, პირველ რიგში, უნდა ეფუძნებოდეს სამედიცინო პრაქტიკაში პრინციპს – „არ ავნო“ და თითოეული პაციენტის რეალურ შესაძლებლობებს და საჭიროებებს.

დეკლარაცია 15.5

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან ისაუბრონ და იზრუნონ ასაკთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ, ჯანმრთელობის და სოციალურ პრობლემებზე.

ასაკის მატება ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის სოციალურ, ფიზიკურ და ფსიქიკურ გამოწვევას წარმოადგენს. ამის შესახებ ლიტერატურა მნიშვნელოვანია, თუმცა ძალიან ბევრი ხანდაზმული ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე განიცდის სტიგმას, დისკრიმინაციას და შევიწროებას ინდენტიფიცირებული გენდერის გამო (Fabbre & Gaveras, 2020; Witten, 2017). ყოველივე ეს კი აისახება ჯანდაცვის დაწესებულებებში მათ მიმართ თანხმობაზე (Fredriksen-Goldsen et al., 2014; Kattari & Hasche, 2016; Walker et al., 2017). ხანდაზმული ტრანსგენდერი ადამიანები უფრო ხშირად მიმართავენ ჯანდაცვის უწყებებს, როდესაც ფიზიკურად შეუძლოდ არიან, ვიდრე მათივე ასაკის სისგენდერი ან ლგბ ადამიანები, განურჩევლად სოციოდემოგრაფიული ფაქტორებისა. (Fredriksen-Goldsen 2011; Fredriksen-Goldsen et al., 2014). კომპეტენტურ და კულტურულად მგრძობიარე ჯანდაცვის მომწოდებლებთან წვდომის ნაკლებობა, ამასთან, მწვავე უმცირესობის სტრესი შესაძლოა გახდეს სამედიცინო ზრუნვის მიღების გადავადების მიზეზი, რაც ასაკის მატებასთან ერთად ინვესტ ქრონიკული დაავადებების გამწვავებას (Bakko & Kattari, 2021; Fredriksen-Goldsen et al., 2014). მართალია ძალზე ცოტა კვლევა არსებობს ასაკოვანი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფერო-

ვანი ადამიანების გენდერის დამადასტურებელი პროცედურის შემდგომ მდგომარეობაზე, თუმცა არსებობს მტკიცებულებები, რომ ხანდაზმულ ასაკში და ტრანზიციის ფონზე მათი ცხოვრების ხარისხის დონე საკმაოდ მაღალია, მაშინაც კი, როდესაც ამ მონაცემებს უფრო ახალგაზრდა ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების შედეგებთან ვადარებთ (Cai et al., 2019). მიუხედავად იმისა, რომ ასაკი თავისთავად არ წარმოადგენს აბსოლუტურ უკუჩვენებას ან შეზღუდვას გენდერის დამადასტურებელი თერაპიის ან ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისთვის, ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ასაკოვანი ადამიანები შეიძლება არ იყვნენ სათანადოდ გათვითცნობიერებული დღეს არსებული სოციალური, სამედიცინო და ქირურგიული შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც მათ დაეხმარებოდათ თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებაში (Hardacker et al., 2019; Houlberg, 2019). ასაკოვანი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებში ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა 50 წელს ზემოთ პოპულაციაში მნიშვნელოვნად მაღალია დეპრესიული სიმპტომები და სტრესი, ვიდრე სისგენდერი, ლგბ და ჰეტეროსექსუალ ასაკოვანი ადამიანებში (Fredriksen-Goldsen 2011, Fredriksen-Goldsen et al., 2014). ასაკოვანი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის სტრეს-ფაქტორებს წარმოადგენს ასაკთან დაკავშირებული დისკრიმინაცია, ზოგადი სტრესი, იდენტობის შენიღბვა, ვიქტიმიზაცია და ინტერნალიზებული სტიგმა, მაშინ როდესაც სოციალური მხარდაჭერა და თემთან მიკუთვნებულობის გრძნობა არის ამ რისკებისგან დამცავი ფაქტორები (Fredriksen-Goldsen et al., 2014; Hoy-Ellis & Fredriksen-Goldsen, 2017; White Hughto & Reisner, 2018).

პირველადი ჯანდაცვის მომწოდებლებს შეუძლიათ დაეხმარონ პაციენტებს იმით, რომ მოუწოდონ მათ მეტი სპირიტუალურობისკენ, საკუთარი თავის მიღებისა, თვითადვოკატირების და ჯანსაღი ცხოვრებისკენ, ყოველივე ეს არის მედეგობისა და წარმატებული სიბერის საწინდარი (McFadden et al., 2013; Witten, 2014). ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფერო-

ვანი ადამიანები ხშირად განიცდიან სოციალურ იზოლაციას, სხვებისგან მხარდაჭერის დაკარგვას და უახლოესი მეგობრებისგან და ბავშვებისგან განცალკევებას (Fredriksen-Goldsen 2011; Witten, 2017). ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანთა ყველაზე დიდი საზრუნავი ასაკში არის იმის საშიშროება, რომ საკუთარი თავის მოვლას მარტო ვერ შეძლებენ და მათ მოუწევთ მოხუცთა პანსიონატში, ან ისეთ დანესებულებებში ცხოვრება, სადაც მხარდაჭერით იცხოვრებენ (Henry et al., 2020). მართალია, ხანგრძლივი ზრუნვის დანესებულებები საჭირო ზრუნვას უზრუნველყოფენ, აქ ასევე არსებობს ემოციური ზეწოლის დიდი საფრთხე, როგორცაა ფიზიკური და ემოციური ძალადობის და გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიაზე და რუტინულ ზრუნვაზე უარის თქმის პოტენციალი, გარიყვა, დადასტურებული გენდერის შესაბამისი ცხოვრებისა და ჩაცმის აკრძალვა (Auldridge et al., 2012; Pang et al., 2019; Porter et al., 2016). ასაკოვანი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათთვის ყველაზე საჭირო სერვისებია ხანდაზმულთა საცხოვრებლები, ტრანსპორტირება, სოციალური ღონისძიებები და მხარდაჭერის ჯგუფები (Auldridge et al., 2012; Witten, 2014). მიუხედავად არსებული ბარიერებისა, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანთა უმეტესობა წარმატებული სიბერით აგრძელებს ცხოვრებას იმის საფუძველზე, რომ აქვთ საკუთარი თავის მიმღებლობა, მზრუნველი ურთიერთობები და ადვოკატირება. (Fredriksen-Goldsen 2011; Witten, 2014). პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლები უნდა უზრუნველყოფდნენ ასაკოვან ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანთა წინაშე არსებული ძირითადი ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებას, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის, გენდერის დამადასტურებელ სამედიცინო ინტერვენციებს, სოციალურ მხარდაჭერას და სიცოცხლის მიწურულს/გრძელვადიან ზრუნვას.

გარდა ისეთი ფაქტორების დამოუკიდებელი ზეგავლენისა, როგორცაა უმცირესობის სტრესი და ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები გვიან ასაკში, მწირია მონაცემები იმის

შესახებ, თუ კონკრეტულად რა ჯანმრთელობის პრობლემებს აწყდებიან ტრანსგენდერი ადამიანები, რომლებმაც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია უფრო ახალგაზრდა ასაკში დაიწყეს, და ადამიანები, რომელთაც სურთ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია გააგრძელონ ან დაიწყონ მეექვსე, მეშვიდე, მერვე თუ შემდგომ დეკადებში. იმის გათვალისწინებით, რომ ტრანსგენდერი ადამიანების უფრო და უფრო მზარდი წილი ახალგაზრდა ასაკში იწყებს ჰორმონულ თერაპიას, მათ შორის ისინი, ვინც სქესობრივი მომწიფების დროს იწყებს თერაპიას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი კვლევების ჩატარება, რომელიც შეისწავლის ათწლეულების მანძილზე ამგვარი თერაპიის გრძელვადიან შედეგებს.

დასკვნა 15.6

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების მკურნალობის დროს, რომლებიც იღებენ ესტროგენს, იხელმძღვანელონ სისგენდერი ქალებისთვის შემუშავებული სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგის ადგილობრივი გაიდლაინებით. გაითვალისწინონ ჰორმონების მიღების ხანგრძლივობა, დოზირება, ასაკი და ჰორმონების მიღების დაწყების ასაკი.

გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დროს, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს უვითარდებად მკერდი, შესაბამისად, მათთვის უკვე გასათვალისწინებელია მკერდის სიმსივნის სკრინინგი. ეგზოგენური ესტროგენი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ფაქტორი, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, რომელიც ხელს უწყობს სარძევე ჯირკვლის სიმსივნის ჩამოყალიბებას სისგენდერ ადამიანებში. ტრანსგენდერ ქალებში სარძევე ჯირკვლის სიმსივნის გამოვლენის სიხშირე შესწავლილი იქნა ორი კოჰორტული კვლევის საფუძველზე ნიდერლანდებში (Gooren et al., 2013) და აშშ-ში (Brown & Jones, 2015). ორივე წარმოადგენდა კლინიკური შერჩევის რეტროსპექტულ კოჰორტას, სადაც გამოყენებული იყო მკერდის სიმსივნის დიაგნოზი, როგორც დამო-

კიდებული ცვლადი და სისგენდერი საკონტროლო ჯგუფი შედარებისთვის. არცერთ კვლევაში არ გათვალისწინებულა სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგი და ორივე კვლევა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური შეზღუდვებით წარმართა.

არაერთი გაიდლაინი გამოიცა (Deutsch, 2016a), რომელშიც მოცემული იყო რეკომენდაცია, რომ „გარკვეული ასაკის შემდეგ ესტროგენის მიღება“ უნდა იყოს სკრინინგის აუცილებლობის განმსაზღვრელი. ეს რეკომენდაციები დაფუძნებულია ექპერტთა მოსაზრებებზე და ნაკლებად ეყრდნობა მტკიცებულებებს. BRCA1 და 2 მუტაცია სარძევე ჯირკვლის სიმსივნის რისკს ზრდის, თუმცა უცნობია თუ რა გავლენას ახდენს სასქესო ჰორმონის მოხმარება, საერთოდაც თუ ახდენს, ამ რისკის გაზრდაზე (Rebbeck et al., 2005). უცნობია, რა როლს ასრულებს, საერთოდაც თუ ასრულებს როლს, გენდერის დამადასტურებელი ესტროგენის თერაპია ამ რისკის გაზრდაში. პაციენტებს, რომლებსაც აქვთ BRCA1 მუტაცია, უნდა მიენოდოთ შესაბამისი კონსულტაცია, უნდა შედგეს გაზიარებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი, პაციენტსა და მომწოდებელს შორის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე უნდა დაიგეგმოს შემდეგი ნაბიჯები, რომლის დროსაც ასევე განხილული იქნება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის მრავალი სარგებელი.

ტრანსგენდერ ქალებში სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ მამოგრაფიაზე მათი მკერდის ქსოვილი ბევრად მკვირივი იქნება. მამოგრაფიული შედეგების ინტერპრეტაცია შესაძლებელია გართულდეს მკერდის სიმკვრივის, ფილერებისა თუ სილიკონის ინექციების ან იმპლანტების გამო (Sonnenblick et al., 2018). ამისთვის, საჭიროა გამოყენებული იქნას შესაბამისი მიდგომები. გართულებები, შეიძლება აღინიშნებოდეს იმ პაციენტებში, რომლებსაც მკერდის გაზრდის მიზნით ქსოვილში შეყვანილი აქვთ ფილერი, სილიკონი, ესენია: სკრელოზური ლიპოგრანულომა, რომელიც მამოგრაფიის ან ულტრაბგერით გამოკვლევაზე ნორმალურ ქსოვილს არამკაფიოდ გამოსახავს.

დაკავშირებული 15.7

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ იხელმძღვანელონ სისგენდერი ქალებისთვის შემუშავებული სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სკრინინგის ადგილობრივი გაიდლაინებით იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტების მკურნალობის დროს, რომლებსაც აქვთ სქესობრივი მომწიფების დროს განვითარებული სარძევე ჯირკვლები და არ ჩაუტარებიათ გენდერის დამადასტურებელი მკერდის ოპერაცია.

არსებობს თეორიული ვარაუდი იმის შესახებ, რომ იმ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანებისთვის, რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიანიჭეს და აქვთ სქესობრივი მომწიფების დროს განვითარებული სარძევე ჯირკვლები, ტესტოსტერონის მიღება და ტესტოსტერონის თერაპიის შედეგად გამოყოფილი და არომატიზებული ესტროგენი შეიძლება, ჩაითვალოს სარძევე ჯირკვლის სიმსივნის რისკ-ფაქტორად. ლიმიტირებული რეტროროსპექტული კვლევის მონაცემები არ მიუთითებს ტრანსგენდერ კაცებში მკერდის სიმსივნის გაზრდის რისკზე (Gooren et al., 2013; Grynberg et al., 2010), თუმცა არ არსებობს პროსპექტული და შედარებითი მონაცემები ამასთან დაკავშირებით. ამ ჯგუფში, ადამიანთა უმეტესობას დარჩენილი აქვს მკერდის ქსოვილის ნაწილი, შესაბამისად ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლებმა მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ ამ პოპულაციაში მკერდის სიმსივნის რისკი არ უტოლდება ნულს. დადგენილი არ არის სარძევე ჯირკვლის სიმსივნისთვის სკრინინგის დრო და მიდგომები მათთვის, ვისაც ჩატარებული აქვს გულ-მკერდის ოპერაცია. ისევე, როგორც სისგენდერი კაცებისთვის, რომლებსაც აქვთ BRCA გენის მუტაციის ისტორია ოჯახში, მიზანშეწონილია მაგნიტორეზონანსული ან ულტრასონოგრაფიული კვლევა. იმის გამო, რომ ამ მიდგომების შესრულება და გამოყენება არ შესწავლილა და ვინაიდან გულ-მკერდისა და ძუძუს თვით-ან ჯანდაცვის პროფესიონალთა მიერ შემოწმება სისგენდერ ქალებში არ არის რეკომენდებული ცრუ-დადებითი შედეგების ან გადაჭარბებული დიაგნოსტიკის გამო (სიმსივნის გამოვლენა, რომელიც თავად განიც-

დის რეგრესირებას და არ საჭიროებს ჩარევას). ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანთა ჯგუფში სკრინინგთან დაკავშირებული ნებისმიერი მიდგომა უნდა აღმოცენდეს პაციენტსა და პროვადერს შორის გაზიარებული გადანივებითების მიღების პროცესში ამ მიდგომების პოტენციური ზიანის, სარგებლისა განხილვის საფუძველზე.

დაკავშირებული 15.8

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ საკვერცხისა და საშვილოსნოს სიმსივნის საშუალო და მაღალი რისკის მქონე სისგენდერი ქალებისთვის შექმნილი ადგილობრივი სკრინინგის გაიდლაინით იხელმძღვანელონ იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პაციენტებთან, რომლებსაც იგივე ტიპის რისკები აქვთ.

ამჟამად, კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული გაიდლაინები არ გასცემენ რეკომენდაციას საკვერცხის რეგულარული სკრინინგის შესახებ სისგენდერი ქალებისთვის. ტრანსგენდერ კაცებში საკვერცხის სიმსივნის შემთხვევები გამოვლენილა (Dizon et al., 2006; Hage et al., 2000). ამ ეტაპზე არ არსებობს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ტესტოსტერონის თერაპია შეიცავს საკვერცხის სიმსივნის გაზრდის რისკს. თუმცა ამის შესახებ, გრძელვადიანი პროსპექტული კვლევების რაოდენობა მწირია (Joint et al., 2018).

დაკავშირებული 15.9

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პაციენტებს, რომლებიც ტესტოსტერონის თერაპიას გადიან და ავთვისებიანი სიმსივნის საშუალო რისკი აქვთ, არ ჩაუტარდეთ გეგმიური ჰისტოპათოლოგია ან ოვარიექტომია საშვილოსნოს ან საკვერცხის ავთვისებიანი სიმსივნის პრევენციის მიზნით.

ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები, რომლებიც ტესტოსტერონზე დაფუძნებულ გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიას გადიან, ხშირად არიან ოლიგო ან ანოვულაციურ მდგომარეობა-

ში, ან განიცდიან ლუტეალური ფაზის ფუნქციის ცვლილებებს და ცვლილებებს პროგესტერონის გამომუშავების კუთხით. აღნიშნული მდგომარეობა, კომბინაციაში ეგზოგენური ტესტოსტერონის არომატიზაციის ნიადაგზე მომატებული ესტროგენის შესაძლო ზემოქმედებასთან ერთად, იძლევა შემფოთების საფუძველს, რომ მოხდება ქარბი ან შეუფერხებელი ენდომეტრიული ესტროგენის ზემოქმედება, თუმცა ამის კლინიკური მნიშვნელობის შესახებ ცნობილი არ არის. ჰისტოლოგიური კვლევის თანახმად, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში, რომლებიც იღებენ ტესტოსტერონს, გამოვლინდა ენდომეტრიუმის ატროფია და არა ჰიპერპლაზია (Grimstad et al., 2018; Grynberg et al., 2010; Perrone et al., 2009).

იმ ტრანსგენდერი კაცების დიდ კოჰორტაში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელთაც გავლილი აქვთ ჰისტოპათოლოგია და ოოფორექტომია, საკვერცხის კეთილთვისებიანი ჰისტოპათოლოგია აღინიშნა ყველა შემთხვევაში (N = 85) (Grimstad et al., 2020). მიუხედავად იმისა, რომ პროსპექტული შედეგების შესახებ მონაცემები მწირია, ამ ეტაპზე არასაკმარისი მტკიცებულებები არსებობს, რათა შემუშავდეს რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ტრანსგენდერმა კაცებმა ჩაიტარონ რუტინული ჰისტოპათოლოგია ან ოოფორექტომია მხოლოდ და მხოლოდ ენდომეტრიული და საკვერცხეების სიმსივნის პრევენციის მიზნით.

დაკავშირებული 15.10

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პაციენტებს, რომლებსაც აქვთ ან ადრე ჰქონდათ საშვილოსნოს ყელი, შესთავაზონ საშვილოსნოს ყელის სიმსივნის სკრინინგი სისგენდერი ქალებისთვის შექმნილი გაიდლაინის მიხედვით.

იმ ინდივიდებმა, რომლებსაც აქვთ საშვილოსნოს ყელი, რეგულარულად უნდა ჩაიტარონ საშვილოსნოს ყელის სკრინინგი და მიიღონ პრევენციული ზომები რეგიონული პრაქტიკისა და გაიდლაინის შესაბამისად. იგულისხმება ადგილობრივი გაიდლაინის მიხედვით ადამიანის პაპილომა ვირუსზე (HPV) შემოწმება, ვაქცინაცია,

მათ შორის ციტოლოგიური და მაღალი რისკის ადამიანის პაპილომა ვირუსის ტესტირება, თუ ეს შესაძლებელია. პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებმა ფრთხილად და ზომიერად უნდა მოახდინონ მენჯის სპეკულუმის გასინჯვა, რათა ტრანსმასკულინურ პაციენტებში თავიდან იქნას აცილებული ტკივილი და დისკომფორტი. ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საშვილოსნოს ყელი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩატარებული ჰქონოდეთ საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, პირველ რიგში იმიტომ, რომ გასინჯვამ შეიძლება გაამძაფროს დისფორია და ასევე იმიტომ, რომ ზოგადი პროფილის ექიმები და პაციენტები ხშირად არ ფლობენ სრულ ინფორმაციას სკრინინგის აუცილებლობის შესახებ (Agenor et al., 2016; Potter et al., 2015).

გარდა ამისა, ტესტოსტერონის თერაპიამ შეიძლება გამოიწვიოს სასქესო გზების ატროფია. ტესტოსტერონის მიღების ხანგრძლივობამ შესაძლოა გამოიწვიოს ციტოლოგიური კვლევისთვის შეუსაბამო საკვლევი მასალა საშვილოსნოს ყელის სიმსივნის გამოსაკვლევად (Peitzmeier et al., 2014). იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ საშვილოსნოს ყელი, შესაძლოა მნიშვნელოვნად უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს ალტერნატიული სკრინინგის მეთოდების გამოყენება, ვიდრე ციტოლოგია და სპეკულუმის გასინჯვა, მაგალითად მაღალი რისკის პაპილომა ვირუსის საკვლევად აღებული იქნას ნაცხი, თავად ან ექიმის მიერ.

ამჟამად აშშ-ში მიმდინარეობს კვლევა, რომელიც ტრანსგენდერ კაცებში გამოცდის მაღალი რისკის პაპილომა მივირუსის (HPV) თვით-ტესტირებას, საკვლევი მასალის თავად აღებით. ტრანსგენდერ კაცებში საკმაოდ მისაღები აღმოჩნდა ადამიანის პაპილომა ვირუსის ჩხირები, რომლებსაც მაღალ რისკის პაპილომა ვირუსზე ჰქონდათ 71.4% სენსიტიურობა (უარყოფით პრედიქტული ღირებულება 94.7%) და სპეციფიურობა 98.2% (Reisner et al., 2018). დამატებითი კვლევაა საჭირო, იმისთვის, რომ ტრანსგენდერ კაცებში პაპილომა ვირუსის სკრინინგის პროცედურებისგან გამონვეული ზიანი იქნას გამოკვლეული, რაც პოტენციურად შეიძლება უკავშირდებოდეს კოლპოსკოპიასთან და ინვაზიურ გასინჯვასთან დაკავშირებულ სტრესს.

დასკვნა 15.11

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს მიაწოდონ ინფორმაცია, რომ ანტირეტროვირუსული თერაპია არ წარმოადგენს უკუჩვენებას გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ჩატარებისთვის.

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (HIV) ავადობის შემთხვევების რაოდენობა არაპროპორციულად მაღალია ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში. ბოლოდროინდელი მეტაანალიზის შედეგად დადგინდა აივ-ინფექციის ალბათობის გლობალური თანაფარდობა – ნი ტრანსგენდერული ინდივიდებისთვის, ხოლო 6.8 ტრანს მასკულინური ინდივიდებისთვის (Stutterheim et al., 2021). პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააწვდიან, დანერგონ პრევენციული სტრატეგიები, განსაკუთრებით ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში აივ-ინფექციის შემთხვევების შემცირებისთვის. წარსულში არსებული დისკრიმინაცია და ტრანსფობია გავლენას ახდენს აივ-ინფექციის პრევენციაზე და აფერხებს ჯანდაცვის მიწოდებას ამ მიმართულებით (Sevelius et al., 2016).

სტიგმა, შესაბამისი ტრენინგების სიმცირე და სამედიცინო დაწესებულებებში არსებული ძალთა იერარქია ხელს უწყობს გაურკვევლობას და ამბივალენტურობას ჯანდაცვის პროფესიონალებში, როდესაც ისინი ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებზე ზრუნავენ (Poteat et al., 2013). ამავე დროს, ჯანდაცვის დაწესებულებებში ინკლუზიურობისა და გენდერის დადასტურების პრაქტიკის ნაკლებობამ შესაძლოა გააჩინოს დაუცველობის განცდა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებში მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ სენსიტიურ საკითხებს, როგორცაა აივ-ინფექციის დიაგნოზი და შიშის გამო სამედიცინო პროცედურების თავიდან აცილება (Bauer et al., 2014; Gibson et al., 2016; Seelman et al., 2017). ჯანდაცვის პროფესიონალები ინფორმირებული უნდა იყვნენ იმ ზოგადი კონტექსტის შესახებ, რომლის ფონზეც ტრანსგენდერ

და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს უნევთ ჯანდაცვის მომსახურების მიღება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დროს, ან აივ-ინფექციის პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის (PrEP) დროს, ან ორივე შემთხვევაში. შესაძლებელია, გავრცელებული იყოს არასწორი წარმოდგენები, თუ რამდენად უსაფრთხოა გენდერის დამადასტურებელი თერაპიის გავლა აივ-ინფექციისთვის ანტირეტროვირუსული თერაპიის პარალელურად.

მწირია პირდაპირი კვლევა ანტირეტროვირუსული/გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის (ART/GAHT) ურთიერთქმედების შესახებ. მულტინაციონალურ კვლევაში (iPrEx) ტრანსგენდერი ქალების და ტრანსფემინური ადამიანების სუბანალიზმა ამ ჯგუფში, განზრახული მკურნალობის ანალიზში დაბალი ეფექტურობა გამოავლინა, თუმცა იგივე ეფექტურობა იყო მიღებული სისგენდერ გეი კაცებში, იმ ტრანსგენდერ მონაწილეთა შორის, რომლებიც დანიშნულ მკურნალობას მიყვებოდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეექსპოზიციური პროფილაქტიკა (PrEP) კვლავ გამოწვევად რჩება ამ პოპულაციაში.

ორმა კვლევამ, რომელიც შეისწავლიდა გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ზეგავლენას ტენოფოვირის დიფოსფატზე (Grant et al., 2021), ტენოფოვირის დიფოსფატზე და ემეტრიციტაბინზე (Shieh et al., 2019), გამოავლინა, რომ ნაკლებ სავარაუდო იყო მნიშვნელოვნად შემცირებული ანტირეტროვირუსული თერაპიის მედიკამენტების დონე კლინიკურად მნიშვნელოვანი ყოფილიყო. მთლიანობაში, ჰორმონული კონტრაცეპტივებისა და ანტირეტროვირუსული მედიკამენტების ურთიერთქმედების შესახებ არსებული მონაცემები ადასტურებს ჰორმონების ზემოქმედებას ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე (ART). რაკი ესტრადიოლი ნაწილობრივ მეტაბოლიზდება ციტოქრომის P450 (CYP) 3A4 და 1A2 ენზიმებით, პოტენციური ინტერაქციები შეიძლება აღმოცენდეს სხვა მედიკამენტებთან, რომლებიც ინდუცირებს ან აფერხებს ამ მეტაბოლიზმის გზებს, როგორცაა უკუ ტრანსკრიპტაზას არანუკლეოზიდური ინჰიბიტორები (მაგ. ეფავირენცი და ნევარაპინი) (Badowski et al., 2021). თუმცა, ქვეყანების უმრავლესობაში, წამყვანი, პირველი რიგის ან-

ტირეტროვირუსული რეჟიმები მოიცავს ინტეგრაზას ინჰიბიტორებს, რომელსაც არ აქვს, ან მინიმალური მედიკამენტური ინტერაქცია აქვს გენდერის დამადასტურებელ ჰორმონებთან და მისი გამოყენება უსაფრთხოა (Badowski, 2021; Department of Health and Human Services. Panel on Antiretroviral Guidelines for Adults and Adolescents, 2021). თუ პოტენციური ინტერაქციის შესახებ კითხვები არსებობს, ჯანდაცვის პროფესიონალმა საჭიროებისამებრ უნდა გაუწიოს მონიტორინგი სისხლში ჰორმონების დონეს. შესაბამისად, ტგმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ აივ-ინფექცია და იღებენ ანტირეტროვირუსულ მედიკამენტებს, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმის შესახებ, რომ გენდერის დამადასტურებელ ჰორმონულ თერაპიასთან ერთად ანტირეტროვირუსული მედიკამენტების მიღება უსაფრთხოა.

დაკლავი 15.12

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი პაციენტებისგან მოიპოვონ ამომწურავი სამედიცინო ისტორია, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია წარსულში მიღებული და ამჟამად გამოყენებული ჰორმონების და სასქესო ჯირკვლებზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ოსტეოპოროზის რისკების შესახებ, რათა შეფასდეს ოპტიმალური ასაკი სკრინინგისთვის და ოსტეოპოროზის სკრინინგის საჭიროება.

უფრო ვრცლად, იხილეთ დებულება 15.13

დაკლავი 15.13

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან განიხილონ მათი ძვლების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის მაღალი დატვირთვის ვარჯიშების, ჯანსაღი დიეტის, კალციუმისა და D ვიტამინის მიღების საჭიროება.

ესტროგენი და ტესტოსტერონი ორივე ხელს უწყობს ძვლის ფორმირებას და განახლებას.

სქესობრივი ჰორმონების დონის დაქვეითება დაკავშირებულია ოსტეოპოროზის მომატებულ რისკთან ხანდაზმულ ასაკში (Almeida et al., 2017). ტრანსგენდერმა და გენდერულად მრავალფეროვანმა ადამიანებმა შეიძლება ისეთი სამკურნალო ან ქირურგიული პროცედურა ჩაიტარონ, რომელსაც გავლენა აქვს ძვლის ჯანმრთელობაზე, მაგალითად სქესობრივი ჰორმონებით მკურნალობა, ანდროგენების ბლოკირება და გონადექტომია. შესაბამისად, საჭიროა ჯანმრთელობის დეტალური ისტორია, ინფორმაცია წარსულში მიღებული და ამჟამად გამოყენებული ჰორმონების და სასქესო ჯირკვლებზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ, რათა დადგინდეს ოსტეოპოროზის სკრინინგის საჭიროება.

რამდენიმე ობზერვაციული კვლევით შედარდა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ზრდასრულ ადამიანთა ძვლის მინერალური სიმკვრივე (BMD) ჰორმონული თერაპიის წინ და შემდგომ, აგრეთვე შედარდა შესაბამისი სქესის სისგენდერ საკონტროლო ჯგუფებთან. ძვლის სიმკვრივის დაბალი დონე შესაძლოა გამოვლინდეს ჰორმონული თერაპიის დასაწყისში. ერთ-ერთმა კვლევამ დაბალი ძვლის სიმკვრივე აჩვენა ტრანსგენდერი ქალის ბარძაყის ყელზე, მენჯ-ბარძაყზე და ხერხემალზე, ვიდრე ამავე ასაკის სისგენდერ კაცზე (Van Caenegem, Taes et al., 2013). მეორე კვლევამ გამოავლინა ძვლის დაბალი მინერალური სიმკვრივის (BMD) ხშირი მაჩვენებელი ახალგაზრდა ტრანსგენდერებში მანამ, სანამ სქესობრივი მომნიფების დათრგუნვას დაიწყებდნენ (Lee, Finlayson et al., 2020). ორივე კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ დაბალი ფიზიკური აქტივობა, შესაძლოა იყოს ამ შედეგების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი. ძვლის განლევის აჩქარება შეიძლება გამოვლინდეს გონადექტომიის დროს, თუ ჰორმონების მიღება შეწყდება ან მათი დონე ოპტიმალურზე დაბალი იქნება. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ტრანსგენდერ ქალთა ოცდაათ პროცენტს, რომელსაც გონადექტომია ჰქონდა გაკეთებული, დაბალი ძვლის სიმკვრივე ჰქონდათ და ეს კორელაციაში იყო 17-მ დაბალ ესტრადიოლის დონესა და ჰორმონული თერაპიის თანმიმდევრულად გავლასთან (Motta et al., 2020). ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე გენდერის დამადას-

ტურებელი ჰორმონული თერაპიის ზეგავლენის კვლევამ გამოავლინა, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ქალებში, რომლებიც ესტროგენის თერაპიას გადიან, ჰორმონულ თერაპიას დადებითი გავლენა აქვს ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე. ტრანსგენდერი ინდივიდების ძვლის ჯანმრთელობაზე სქესობრივი ჰორმონების გავლენის სისტემატური მიმოხილვა და მეტაანალიზი, რომელიც 2008-2015 წლებში გამოქვეყნდა მოიცავდა 9 შესაბამის კვლევას ტრანსგენდერ ქალებში (n=392) და 8 შესაბამის კვლევას ტრანსგენდერ კაცებში (n=247).

მეტაანალიზის მიხედვით, ტრანსგენდერ ქალებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზრდა გამოვლინდა წელის ხერხემლის ძვლის მინერალურ სიმკვრივეში (მაგრამ არა ბარძაყის კისრის ძვლის მინერალურ სიმკვრივეში), საწყის მონაცემებთან შედარებით. ტრანსგენდერ კაცებს შორის, ტესტოსტერონის მიღების დაწყებიდან 12 და 24 თვეში არ გამოვლენილა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები ხერხემლის წელის, ბარძაყის კისრის და თეძოს ძვლის მინერალური სიმკვრივის კუთხით (BMD) საწყის მონაცემებთან შედარებით (Singh-Ospina et al., 2017). ამ კვლევის გამოქვეყნების შემდგომ, გენდერული შეუთავსებლობის კვლევის ევროპულმა ქსელმა (ENIGI) გამოაქვეყნა მულტიცენტრული პროსპექტული ობზერვაციული კვლევა ძვლის სიმკვრივეზე ზეგავლენის თაობაზე. კვლევაში მონაწილეობდა 231 ტრანსგენდერი ქალი და 199 ტრანსგენდერი კაცი, რომლებსაც გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპია ერთი წლის დაწყებული ჰქონდათ (Wiepjes et al., 2017). ტრანსგენდერ ქალებს აღენიშნებოდათ წელის ხერხემლის, მთლიანი ბარძაყისა და ბარძაყის კისრის ძვლის მინერალური სიმკვრივის მატება, ხოლო მთლიანი თეძოს ძვლის მასის მომატება დაფიქსირდა ტრანსგენდერ კაცებში. ერთ-ერთი კვლევის შედეგების მიხედვით ტრანსგენდერ ინდივიდებს შორის ჰორმონული თერაპიის დაწყებიდან 12 თვის განმავლობაში მოტეხილობები არ დაფიქსირებულა. კვლევაში მონაწილეობდა 53 ტრანსგენდერი კაცი და 53 ტრანსგენდერი ქალი (Wierckx, van Caenegem et al., 2014). არცერთი კვლევა არ მიუთითებს იმა-

ზე, რომ ჰორმონული თერაპია ოსტეოპოროზის ინტენსიური სკრინინგის ჩვენებაა. გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის პერიოდული შეწყვეტა იმ ადამიანებში, ვისაც მანამდე გონადექტომია აქვს ჩატარებული, შეიძლება აღმოჩნდეს სკრინინგის წინაპირობა.

კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინში მოცემულია რეკომენდაცია ტგმ ინდივიდებში ოსტეოპოროზის სკრინინგის თაობაზე (Deutsch, 2016a; Hembree et al., 2017; Rosen et al., 2019). კლინიკური დენსიტომეტრიის საერთაშორისო საზოგადოება და ასევე ენდოკრინული საზოგადოება ტგმ ინდივიდებისთვის რეკომენდაციას უწევს ძვლის მინერალური სიმკვრივის საწყისი სკრინინგის ჩატარებას ჰორმონების დაწყებამდე. დანარჩენი რეკომენდაციები ძვლის სიმკვრივის სკრინინგთან დაკავშირებით ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორებს, მათ შორის, დაბადებისას მინიჭებულ სქესს, ასაკს, ოსტეოპოროზის რისკ-ფაქტორებს, მაგალითად წარსულში მოტეხილობას ან დიდი რაოდენობით პრეპარატების გამოყენებას, სხვადასხვა დაავადებებს, რომლებიც ძვლის განლევას იწვევენ და სხეულის მცირე წონას (Rosen et al., 2019). თუმცა არ არსებობს მკაფიო მტკიცებულებები, რომლებიც ამ რეკომენდაციებს დაადასტურებს. ოსტეოპოროზის სკრინინგის რეკომენდებული საშუალებაა წელის ხერხემლის, მთლიანი ბარძაყისა და ბარძაყის კისრის ორმაგი ენერგეტიკული რენტგენო-აბსორბციული დენსიტომეტრია (DXA) (Kanis, 1994). თუმცა, ბევრ დაბალ და საშუალო შემოსავლის ქვეყანაში, ამგვარი შემომომების ჩატარება არ არის შესაძლებელი და მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ტარდება, მათ შორის ამერიკაში.

პრიველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებმა ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პაციენტებთან ერთად უნდა იმსჯელონ ძვლის ჯანმრთელობის ოპტიმიზაციის შესაძლებლობებზე. ამის გარდა, პრიველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებმა უნდა მიანოდონ პაციენტებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ძვლის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი კვება. ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ინდივიდები, რომლებსაც ოსტეოპოროზის რისკი

აქვთ, უნდა იყვნენ ინფორმირებული, რომ ვარჯიშები სიმძიმეების აწევით, ასევე ძალისმიერი და გამძლეობის ვარჯიშები სასარგებლოა მათთვის და აფერხებს ძვლის განლევას (Benedetti et al., 2018). სწორი დიეტა არის ძვლის ჯანმრთელობის ძირითადი ფაქტორი. კვებითი დეფიციტი, კალციუმისა და D ვიტამინის ნაკლებობა ძვლის მინერალიზაციას იწვევს. ბარძაყის ძვლისა და შემთხვევით მოტეხილობას ამცირებს კალციუმისა და D ვიტამინის დანამატების მიღება (Weaver et al., 2016). მართალია, ეს ყველა პოპულაციას ეხება, თუმცა აღნიშნული დისკუსია ტგმ პოპულაციისთვის მეტად რელევანტურია, რადგან ამ ჯგუფში ფართოდაა გავრცელებული D ვიტამინის ჰიპოვიტამინოზი (Motta et al., 2020; Van Caenegem, Taes et al., 2013).

დასკვნა 15.14

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომ გენდერის დამადასტურებელი თერაპიის მსვლელობისას ან ოპერაციის წინა პერიოდში, ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს შესთავაზონ შესაბამის პროფესიონალთან გადამისამართება სახის, სხეულის და სასქესო ორგანოების არედან თმის მოცილების პროცედურისთვის.

თმის მოცილება საჭირო პროცედურაა პირველ რიგში იმისთვის, რომ სახეზე თმა აღარ ამოვიდეს (Marks et al., 2019) და ისეთი გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული ოპერაციებისთვის მოსამზადებლად, როგორცაა ვაგინოპლასტიკის, მეტოიდოპლასტიკის, ფალოპლასტიკის (Zhang et al., 2016). ოპერაციის წინასამზადისში საჭიროა თმის მოშორება კანის ყველა ზედაპირისგან, სადაც შარდი შეიძლება მოხვდეს (ნეოვაგინის კონსტრუირება) ან თმა შეიძლება გადატანილი იქნას სხეულის რომელიმე სხვა ნაწილში (მაგ. ნეოვაგინის გასწვრივ გადანერგვა) (Zhang et al., 2016). თმის მოსაცილებლად გამოიყენება ელექტროლიზური თმის მოცილება (EHR) და ლაზერული ეპილაცია (LHR) (Fernandez et al., 2013). ელექტროლიზური თმის მოცილება ამ ეტაპზე არის ერთადერთი აშშ-ს

სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის მიერ ნებადართული მეთოდი აშშ-ში თმის სამუდამოდ მოცილებისთვის მაშინ, როდესაც ლაზერული ეპილატორია (LHR) გამოიყენება თმის სამუდამოდ შესამცირებლად (Thoreson et al., 2020). ელექტროლიზური თმის მოცილებისას (EHR), თითოეულ თმის ფოლიკულში უწვრილესი საცეცით მანუალურად შეყავთ დენი (Martin et al., 2018). ვინაიდან ამ მეთოდით მექანიკურად ხდება თმის სისხლმომარაგების ჩაკეტვა, ის გამოიყენება ნებისმიერი ფერის თმაზე და ტიპის კანზე (Martin et al., 2018). ელექტროლიზი ბევრ დროს მოითხოვს და ძვირადღირებულია, ვინაიდან თითოეული თმის ძირი ინდივიდუალურად უნდა დამუშავდეს, რათა სამუდამოდ იქნას მოშორებული. რაც შეეხება სასქესო ორგანოების არეში თმის მოშორებას გენდერის დამადასტურებელი ოპერაციის წინ, ეს პროცედურა უნდა ჩაატაროს კომპეტენტურმა პრაქტიკოსმა, რადგან ამ არედან თმის მოსაცილებლად განსხვავებული მეთოდი გამოიყენება. ელექტროლიზური თმის მოცილება (EHR) ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე ლაზერული ეპილატორია (LHR), შესაძლოა მოყვეს ერითემა, ფუფხი და შეშუპება (Harris et al., 2014). მუქკანიან ინდივიდებში შესაძლო რისკია ანთების შემდგომი ჰიპერპიგმენტაცია (Richards & Meharg, 1995). ტკივილის კონტროლი შესაძლებელია ადგილობრივი ანესთეზიით, გაგრილების ტექნიკით. ელექტროლიზური თმის მოცილების დროს ზოგჯერ ვითარდება გარკვეული ტიპის ამტანობა, ასეთ ინდივიდებს უფრო ხანგრძლივად შეუძლიათ ამ პროცედურის ჩატარება (Richards & Meharg, 1995). თმის ლაზერით მოცილების დროს გამოიყენება ლაზერის ენერჯია, რომელიც მიმართულია თმის ზედაპირზე. მისი გამოყენება შესაძლებელია უფრო დიდ არეებზე. პროცედურის დროს ხორციელდება ფოტოთერმოლიზი, რომლის დროსაც ლაზერის სხივიუმინებს მელანინს თითოეულ თმის ლეროში (GAO et al., 2018). ეს ენერჯია გარდაიქმნება სიცხედ, რომელიც აზიანებს თმის ფოლიკულს კანში, რომელიც თმას წამოშობს და ამით ფერხდება თმის ზრდა. ეფექტური შედეგის მისაღწევად საჭიროა დამატებითი პროცედურები, და ტარდება ნ კვირის შუალედით, რომ თმის ამოსვლის ციკლი შესრულდეს (Zhang et al., 2016).

ვინაიდან ლაზერული ოპერაციის დროს სწორება ხდება მელანინზე, შედეგები შეიძლება არ იქნას მიღებული ჭალარა, ქერა ან ყვალაი ფერის თმაზე. ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა ფაქტორი პროცედურის მუქი ფერის კანზე ჩატარებისას (Fitzpatrick skin types IV to VI) (Fayne et al., 2018). ეპიდერმისის მელანინის მაღალი შემცველობა კონკურენციას უწევს სხივის ან ლაზერის ქრომოფორს, რომელიც არის თმის ლეროში არსებული მელანინი. იმისათვის, რომ მოხდეს შერჩევითი თერმოლიზი, სითბო ვრცელდება თმის ლერიდან ფოლიკულურ ლეროვან უჯრედებამდე და იწვევს დაზიანებას. მუქი ტიპის კანში, სხივი შეიწოვება ეპიდერმისში, ვიდრე ის მიაღწევს სამიზნეს, სადაც იგი გარდაიქმნება სითბოდ. ეს შეიძლება არასასურველი შედეგით დასრულდეს, მაგალითად განვითარდეს ჰიპო ან ჰიპერპიგმენტაცია, გაჩნდეს წყლულები, წარმოიქმნას ფუფხი (Fayne et al., 2018). ლაზერული ტალღის სწორი სიგრძის შერჩევა ამცირებს რისკებს. უფრო გრძელი ტალღის სიგრძით რეკომენდებულია ეპიდერმული მელანინის სინათლის შთანთქმის მინიმუმამდე შემცირება და ამით მაქსიმალური ეფექტურობისა და გვერდითი ეფექტების მინიმუმამდე დაყვანა მუქი კანის მქონე პაციენტებში (Zhang et al., 2016). ლაზერული ეპილატორიის გვერდითი მოვლენებია მზისგან დამწვრობის შეგრძნება, ანთება, სინითლე, ჰიპერპიგმენტაცია და გასიება.

ცნობილია, რომ მოციმციმე განათება იწვევს კრუნჩხვებს ამ რისკის მქონე პაციენტებში, ამიტომ ისინი წინასწარ უნდა შემოწმდნენ ამგვარ რისკებზე. ტკივილი და დისკომფორტი პროცედურის ჩასატარებლად მნიშვნელოვანი ბარიერი შეიძლება აღმოჩნდეს. პრაქტიკოსს, რომელიც პროცედურას ატარებს უნდა შეეძლოს ადგილობრივი ან სისტემური ტკივილგამაყუჩებლის დანიშნვა, როგორცაა ადგილობრივი გამაყუჩებელი ევტექტიკური ნარევი (EMLA) ან სისტემური ოპიოიდი დაბალი დოზით. სასქესო ორგანოების გენდერის დამადასტურებელი ქირურგიული ოპერაციის დროს, რეკომენდებულია სამთვნიანი შუალედი თმის მოსაცილებელი პროცედურიდან ოპერაციამდე, რათა დადასტურდეს, რომ შემდგომში თმა აღარ ამოვა (Zhang et al., 2016).

თაქი 16. რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ყველა ადამიანს, ტრანსგენდერი ინდივიდების ჩათვლით, აქვს რეპროდუქციული უფლება, თავად გადაწყვიტოს იყოლიოს თუ არა შვილები (გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი, 2014). სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელმა გენდერის დამადასტურებელმა ჰორმონულმა მკურნალობამ (GAHTs) და ქირურგიულმა ჩარევებმა (გთხოვთ, იხილოთ დებულება სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებლობის შესახებ თავი 2 – გლობალური გამოყენება, დებულება 2.1), რომლებიც რეპროდუქციულ ანატომიურ ფუნქციას ცვლიან, შეიძლება სხვადასხვა დონეზე შეზღუდონ მომავალი რეპროდუქციული შესაძლებლობები (Hembree et al., 2017; Nahata et al., 2019). ამგვარად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტრანსგენდერ ადამიანებთან და მათ ოჯახებთან განვიხილოთ უნაყოფობის რისკი და ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები მანამ, სანამ დავიწყებდეთ ნებისმიერ ამგვარ მკურნალობას, და ამგვარ საუბრებს შემდგომში უნდა ჰქონდეს განგრძობითი ხასიათი (Hembree et al., 2017). ნაყოფიერების შენარჩუნების აღიარებული ვარიანტები როგორებიცაა ემბრიონის, ოოციტის/ოვოციტის და სპერმის კრიოკონსერვაცია შესაძლოა, ხელმისაწვდომი იყოს პოსტპუბერტატულ ტრანსგენდერ ინდივიდებთან (Nahata et al., 2019). კვერცხუჯრედის და სათესლე ჯირკვლის ქსოვილის კრიოკონსერვაციის კვლევის პროტოკოლები ასევე ჩამოყალიბებული და შესწავლილია (Borgström et al., 2020; Nahata et al., 2019; Rodriguez-Wallberg, et al., 2019). მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ მეთოდის – ემბრიონების, მომწიფებული ოოციტების და სპერმის გამოყენებამ გამოავლინა ეფექტურობა, როდესაც ისინი კლინიკური მკურნალობისას გამოიყენეს, კრიოკონსერვირებული სასქესო ჯირკვლის ქსოვილი საჭიროებს შემდგომ რეტრანსპლანტაციას, რომლის მიზანი იქნება სრულად ფუნქციონირებადი სასქესო უჯრედების მიღება, ან გამოყვანის ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებას, რომელიც ჯერ კიდევ კვლევის განვითარების საწყის სტადიაზეა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეპროდუქციული მედიცინის ამერიკული საზოგადოება

კვერცხუჯრედის ქსოვილის კრიოკონსერვაციას აღარ განიხილავს როგორც ექსპერიმენტულ მეთოდს, თუმცა პრეპუბერტატულ ბავშვებში ამ მეთოდის ეფექტურობის შესახებ მონაცემები შეზღუდული რჩება (Practice Committee of the American Society for Reproductive Medicine, 2019).

ინდივიდუალური მზრუნველობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი თითოეული პიროვნებისთვის მათი რეპროდუქციული მიზნების შესაბამისად. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს შესაძლოა ნაკლებად სურდეთ ბიოლოგიური შვილების, ან ზოგადად შვილების ყოლა, თუ მათ შევადარებთ ჰეტეროსექსუალ თანატოლებს (Defreyne, van Schuylenbergh et al., 2020; Russell et al., 2016; von Doussa et al., 2015). თუმცა, სხვა რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ბევრ ტგმ ინდივიდს 1) სურს ბიოლოგიური შვილების ყოლა; 2) ნანობს ნაყოფიერების შენარჩუნების დაკარგულ შესაძლებლობებს; 3) სურს გადადოს ან შეწყვიტოს ჰორმონული თერაპია, რათა შეინარჩუნოს ნაყოფიერება და/ან დაორსულდეს (Armuan, Dhejne et al., 2017; Auer et al., 2018; De Sutter et al., 2002; Defreyne, van Schuylenbergh et al., 2020; Tornello & Bos, 2017). აღრიცხულია ნაყოფიერების შენარჩუნების მრავალი ბარიერი, როგორიცაა ფასი (რომელიც გაზრდილია, როცა დაზღვევა ასეთ მომსახურებას არ ფარავს), მკურნალობის დაწყების უკიდურესი აუცილებლობა, მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების შეუძლებლობა, ცოდნის შეუსაბამო მიმწოდებელი/ტენდენციური მიმწოდებელი, რაც ზეგავლენას ახდენს ნაყოფიერების შენარჩუნების შეთავაზებაზე და ართულებს ნაყოფიერების შენარჩუნების ხელმისაწვდომობას (Baram et al., 2019; Defreyne, van Schuylenbergh et al., 2020). დამატებით, ტრანსგენდერ ინდივიდებს შეიძლება გაუუარესდეთ დისფორია ნაყოფიერების შენარჩუნების პროცესის სხვადასხვა საფეხურის გამო, რაც განუყოფელად არის დაკავშირებული დაბადებისას მინიჭებულ სქესთან (Armuan, Dhejne, et al., 2017; Baram et al., 2019). როდესაც ხელმისაწვდომია მულტიდისციპლინური ჯგუფური მიდგომა, როდესაც სამედიცინო და

სარეკომენდაციო ღებულებები

16.1 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც მკურნალობენ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს და უნიშნავენ, ან აგზავნიან პაციენტებს ჰორმონულ თერაპიაზე/ქირურგიულ ოპერაციაზე, თავიანთ პაციენტებს შეატყობინონ შემდეგი:

16.1.a ჰორმონული თერაპიის/ქირურგიული ჩარევის გავლენა მომავალ ნაყოფიერებაზე;

16.1.b თერაპიების პოტენციური ეფექტები, რომლებიც არ არის კარგად შესწავლილი და უცნობია მათი უკუჩვენებები;

16.1.c ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები (როგორც საყოველთაოდ აღიარებული, ისე ექსპერიმენტალური);

16.1.d უნაყოფობის ფსიქოსოციალური შედეგები.

16.2 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ნაყოფიერების შენარჩუნებით, შემდგომი განხილვებისთვის მიმართონ ნაყოფიერების შენარჩუნების ექსპერტებს.

16.3 რეკომენდაციას ვაძლევთ ტრანსგენდერ ინდივიდებზე მზრუნველ ჯგუფებს, ითანამშრომლონ ადგილობრივ რეპროდუქტოლოგიის სპეციალისტებთან და კლინიკებთან, რათა სპეციფიური და დროული ინფორმაცია მიიწოდონ და უზრუნველყონ ნაყოფიერების შენარჩუნების მომსახურება, სანამ შესაფერისებენ სამედიცინო და ქირურგიულ ჩარევას, რომელსაც შეგავლენა აქვს ნაყოფიერებაზე.

16.4 რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, განუმარტონ პრეპუბერტატულ და ადრეულ პუბერტატულ ასაკში მყოფ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებს და მათ ოჯახებს, რომლებსაც სურთ გენდერის დამადასტურებელი თერაპიის გავლა, რომ თანამედროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული/აღიარებული ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები შეზღუდულია.

16.5 რეკომენდაციას ვაძლევთ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საშვილოსნო და სურთ დაორსულება, მიიღონ ჩასახვისწინა ზრუნვა და პრენატალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია გენდერის დამადასტურებელი ჰორმონების გამოყენების და შეწყვეტის შესახებ, ორსულობის სამედიცინო მეთვალყურეობაზე, მშობიარობის პროცესისა და მშობიარობის შესახებ, ძუძუთი კვების დამხმარე სერვისების შესახებ და პოსტნატალური მხარდაჭერის შესახებ ადგილობრივი ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად, გენდერის დადასტურების საფუძველზე.

16.6 რეკომენდაციას ვაძლევთ მიმწოდებლებს, განიხილონ კონტრაცეფციის მეთოდები ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან, რომლებიც ჩართული არიან ისეთ სქესობრივ აქტივობებში, რომელიც შეიძლება დასრულდეს ორსულობით.

16.7 რეკომენდაციას ვაძლევთ ორსულობის შეწყვეტის მომსახურების მიმწოდებლებს, რომ უზრუნველყონ გენდერის დამადასტურებელი პროცედურების ვარიანტები და მოემსახურონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმწოდებლები თანამშრომლობენ გენდერის დამადასტურებელი ნაყოფიერების სპეციალისტებთან, ამან შესაძლოა, შესაბამისი როლი შეასრულოს ამ ბარიერებიდან ზოგიერთის გადალახვაში (Tishelman et al., 2019). ტგმ ინდივიდებს უნდა ასწავლონ განსახვავება ნაყოფიერებას (საკუთარი სასქესო უჯრედების/რეპროდუქციული ქსოვილების გამოყენება) და ორსულობას შორის. ნაყოფიერების ვარიანტების განხილვასთან ერთად, მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული უნდა იქნას მაღალი ხარისხის მიუკერძოებელი ზრუნვა ოჯახის დაგეგმვისა და შექმნის ყველა ფორმის უზრუნველყოფისთვის. ეს მოიცავს პროკრეაციულ ვარიანტებს, როგორცაა პერინატალური ზრუნვა, ორსულობა, მშობიარობა და პოსტნატალური ზრუნვა, ასევე ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეპტივების ვარიანტები დაუგეგმავი ორსულობის თავიდან ასაცილებლად და ორსულობის შესაწყვეტად,

თუ არსებობს შესაბამისი ჩვენება (Bonnington et al., 2020; Cipres et al., 2017; Krempasky et al., 2020; Light et al., 2018; Moseson, Fix et al., 2020). ტგმ ადამიანებმა, რომლებსაც სურთ დაორსულება, უნდა მიიღონ ჩასახვისწინა ზრუნვა და პრენატალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია ძუძუთი კვების შესახებ იმ გარემოში, სადაც მხარს უჭერენ ადამიანებს, რომლებსაც სხვადასხვა გენდერული იდენტობა და გამოცდილება აქვთ (MacDonald et al., 2016; Obedin-Maliver & Makadon, 2016).

ამ თავში ყველა დებულება რეკომენდებულია მტკიცებულებების საფუძველიანი განხილვის, სარგებლისა და ზიანის შეფასების, პროვაიდერებისა და პაციენტების ღირებულებებისა და არჩევანის, რესურსების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია და/ან სერვისები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ან სასურველი.

ფიგურა 16.1

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, რომლებიც მკურნალობენ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს და უნიშნავენ, ან აგზავნიან ჰორმონულ თერაპიაზე/ქირურგიულ ჩარევაზე, ინფორმაცია მიაწოდონ პაციენტებს შემდეგ საკითხებზე:

- a. ჰორმონული თერაპიის/ქირურგიული ჩარევის ცნობილი ზეგავლენა მომავალ ნაყოფიერებაზე;
- b. თერაპიის პოტენციური ზეგავლენა, რომელიც არ არის კარგად შესწავლილი და არ არის ცნობილი მისი უკუჩვენებები;
- c. ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები (ორივე: როგორც აღიარებული, ასევე ექსპერიმენტალური);
- d. უნაყოფობის ფსიქოლოგიური შედეგები.

ტგმ ინდივიდებზე, რომლებსაც დაბადებისას მიენიჭათ მდედრობითი სქესი გენდერის დამადასტურებელმა ჰორმონულმა თერაპიამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მომავალ რეპროდუქციულ შესაძლებლობაზე (Hembree et al., 2017). თანამედროვე მონაცემებით ტრანსგენდერი კაცებისა და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების შემთხვევაში, რომლებსაც დაბადებისას მიანიჭეს მდედრობითი სქესი, სამედიცინო მკურნალობას შესაძლოა შემდეგი შედეგები ახლდეს: გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები (GnRHs) შეიძლება გამოყენებულ იქნას პუბერტატის დათრგუნვისთვის, რათა თავიდან იყოს აცილებული შემდგომი პუბერტატული განვითარება, სანამ მოზარდები მზად იქნებიან მასკულინიზაციაზე მიმართული მკურნალობისთვის. GnRH-ები შეიძლება ასევე გამოყენებული იყოს მენსტრუაციის დასაბრუნებლად. GnRH-ები ზეგავლენას ახდენს სასქესო უჯრედების მომნიფებაზე, მაგრამ სასქესო უჯრედების ფუნქციას მუდმივ ზიანს არ აყენებს. ამგვარად, თუ GnRH-ები შეწყდება, მოსალოდნელია რომ ოოციტების/ოვოციტების მომნიფება განახლდეს. არსებობს მცირე რაოდენობით კვლევები, რომლებიც დეტალურად აღწერს ტესტოსტერონის თერაპიის

ზეგავლენას ტრანსგენდერი კაცების რეპროდუქციულ ფუნქციაზე (Moravek et al., 2020). ტესტოსტერონის მიღების შეწყვეტის შემდეგ საკვერცხეების ნორმალური ფუნქციონირების აღდგენა ოოციტების მომნიფებით გამოვლინდა ტრანსგენდერ კაცებში, რომლებმაც მიაღწიეს კვერცხუჯრედის ბუნებრივ განაყოფიერებას. ოოციტების კრიოკონსერვაციის რეტროსპექტულმა კვლევამ აჩვენა, რომ არ არსებობს განსხვავება ტრანსგენდერ კაცებს და შესაბამისი ასაკის და სხეულის მასის ინდექსის მქონე ჰეტეროსექსუალი ქალის აღდგენილი ოოციტების საერთო რაოდენობას ან მომნიფებული ოოციტების რაოდენობას შორის (Adeleye et al., 2018, 2019). ახლახან გამოქვეყნდა პირველი შედეგები კვლევისა, რომელმაც შეადარა საკვერცხის კონტროლირებული სტიმულაციის შედეგად ცოცხლად შობადობის მაჩვენებელი ტრანსგენდერ კაცებსა და ჰეტეროსექსუალ ქალებს შორის (Leung et al., 2019). ტესტოსტერონი შეწყვეტილი იქნა საკვერცხის სტიმულირებამდე. მთლიანობაში, ტესტოსტერონის ზეგავლენის შედეგები რეპროდუქციულ ორგანოებზე და მათ ფუნქციონირებაზე დამაიმედებელია. თუმცა, დღემდე არ არსებობს შემდგომი კვლევები, რომლებიც შეაფასებს გრძელვადიანი ჰორმონული თერაპიის გავლენას ნაყოფიერებაზე (ე.ი. ჰორმონული თერაპია, რომელიც დაიწყო მოზარდობის ასაკში) ან მათზე, ვინც მიიღო GnRH-ები ადრეულ პუბერტატულ პერიოდში, ხოლო ამის შემდგომ ტესტოსტერონის თერაპია. მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას, რომ ოოციტების კრიოკონსერვაციისთვის საჭირო მკურნალობამ და პროცედურებმა (მენჯის შემონქმამ, ვაგინალური ულტრაბგერითმა მონიტორინგმა და ოოციტების ამოღებამ) შეიძლება გაზარდოს გენდერული დისფორია ტრანსგენდერ კაცებში (Armund, Dhejne et al., 2017).

ქირურგიულ ჩარევებს ტრანსგენდერ კაცებში აშკარა გავლენა ექნება მათ რეპროდუქციულ უნარზე. თუ პაციენტებს სურთ საშვილოსნოს ექსტრიპაცია, მათ უნდა შესთავაზონ საკვერცხეების შენახვის ვარიანტი იმისთვის, რომ შენარჩუნებული იყოს ბავშვის ყოლის ბიოლოგიური შესაძლებლობა. ალტერნატიულად, თუ საკვერცხეები მოშორდება ცალკე, ან საშვი-

ლოსნოს ესტიმაციასთან ერთად, კვერცხუჯრედის გაყინვა უნდა იქნას შეთავაზებული ქირურგიულ ჩარევამდე და/ან საკვერცხის ქსოვილის კრიოკონსერვაცია შეიძლება გაკეთდეს საკვერცხის ამოკვეთისას. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურა უკვე აღარ ითვლება ექსპერიმენტულ პროცედურად, ბევრ ტრანსგენდერ კაცს შეიძლება სურდეს თავდაპირველი ფოლიკულების ინვიტრო მომნიჭება, რაც ჯერ კიდევ გადის კლინიკურ შემონმებას. ოოციტის ფუნქციის შეფასების კვლევებმა აჩვენა, რომ ოოციტები, რომლებიც ამოღებულია ტრანსგენდერი კაცებისგან, რომლებიც ტესტოსტერონის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ საკვერცხეების ამოკვეთისას, შეიძლება მომნიჭდნენ ინვიტრო, რათა განავითარონ ნორმალური მეტაფაზა II მეიოზური ლერძის სტრუქტურაში (DeRoo et al., 2017; Lierman et al., 2017).

ტგმ ინდივიდები, რომლებსაც დაბადებისას მამრობითი სქესი მიანიჭეს თანამედროვე მონაცემების მიხედვით ტრანსგენდერ ქალებში და გენდერულად მრავალფეროვან ინდივიდებში, რომლებსაც დაბადებისას მამრობითი სქესი მიანიჭეს (AMAB), სამედიცინო მკურნელობის გავლენა შემდეგია: გონადოტროპინის გამომყოფი ჰორმონის აგონისტები (GnRHAs) აჩერებს სპერმატოგენეზს. მონაცემები აჩვენებს, რომ მკურნელობის შეწყვეტას მოჰყვება სპერმატოგენეზის ხელახალი სტიმულაცია, თუმცა ამას დასჭირდება სულ მცირე 3 თვე და მეტად მოსალოდნელია, რომ უფრო ხანგრძლივი დრო დასჭირდეს (Bertelloni et al., 2000). ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს ტესტოსტერონის ხელახალი ზემოქმედების ფსიქოლოგიური სიმძიმე. ანტიანდროგენების და ესტროგენების გამოყენების შედეგად სპერმის გამომუშავება ირღვევა (de Nie et al., 2020; Jindarak et al., 2018; Kent et al., 2018). სპერმატოგენეზი შესაძლოა აღდგეს ანტიანდროგენებით და ესტროგენებით ხანგრძლივი მკურნელობის შეწყვეტის შემდეგ, თუმცა ამის შესახებ მონაცემები შეზღუდულია (Adeleye et al., 2019; Alford et al., 2020; Schneider et al. 2017). სათესლე ჯირკვლების მოცულობა მცირდება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის ზეგავლენით (Matoso et al., 2018). ტრანსგენდერ ქალებში სპერმის ხარის-

ხზე აგრეთვე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ცხოვრების სპეციფიურმა ფაქტორებმა, მაგალითად მასტურბაციის დაბალმა სიხშირემ, სასქესო ორგანოების სხეულთან მჭიდროდ ქონამ (ე.ი. მჭიდრო საცვლების გამოყენება გენიტალიების კონტურების დასაფარად) (Jung & Schuppe, 2007; Mieuses et al., 1985, 1987; Rodriguez -Wallberg, Häljestig et al., 2021).

დაკავშირებული 16.2

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, გადაამისამართონ ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან ნაყოფიერების შენარჩუნებით, ნაყოფიერების შენარჩუნების სპეციალისტებთან საკითხის შემდეგომი განხილვისთვის.

კვლევა აჩვენებს, რომ ბევრ ტრანსგენდერ მოზარდს სურს ბიოლოგიური შვილების ყოლა (DeSutter et al., 2002; Defreyne, van Schuylenbergh et al., 2020; Wierckx, Van Caenegem et al., 2012), მიუხედავად ამისა, ნაყოფიერების შენარჩუნების დონე კვლავინდებურად ძალზე ცვალებადია, კერძოდ ახალგაზრდებში (< 5%-40%) (Brik et al., 2019; Chen et al., 2017; Chiniara et al., 2019; Nahata et al., 2017; Segev-Becker et al., 2020). უახლეს კვლევაში ბევრი ახალგაზრდა ადასტურებდა, რომ მათი გრძნობები ბიოლოგიური შვილის ყოლასთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს მომავალში (Strang, Jarin et al., 2018). არა-არჩევითი სტერილიზაცია ადამიანების უფლებების დარღვევაა (Ethics Committee of the American Society for Reproductive Medicine, 2015; Equality and Human Rights Commission, 2021; Meyer III et al., 2001) და სოციალური დამოკიდებულების გაუმჯობესების გამო, რეპროდუქციული მედიცინით და გენდერის დამადასტურებელი ჯანდაცვით, ტრანსიციის პერიოდში ტრანსგენდერი ადამიანების ბიოლოგიური მშობლობის შესაძლებლობები მხარდაჭერილი უნდა იყოს. ტრანსგენდერი ან არაბინარული ადამიანების ნაყოფიერების შენარჩუნებასა და მშობლობის გადწყვეტილებაზე კლინიკური მოსაზრების ზეგავლენის გამო, ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები გამოკვლეული უნდა იყოს ჯან-

დაცვის მიმწოდებლების მიერ ისეთ ვარიანტებთან ერთად, როგორცაა მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა, თანამშობლობა და მშობლობის სხვა ალტერნატივები (Bartholomaeus & Riggs, 2019). ტრანსგენდერმა პაციენტებმა, რომლებსაც შესთავაზეს ასეთი ტიპის დისკუსია და მიეცათ არჩევანი, გაეგლოთ ნაყოფიერების შენარჩუნების პროცედურები, აღნიშნეს, რომ ეს მთლიანობაში დადებითი გამოცდილება იყო (Armuaud, Dhejne et al., 2017; De Sutter et al., 2002; James-Abra et al., 2015).

პაციენტთა სხვა პოპულაციებში ნაყოფიერებასთან დაკავშირებულმა რეფერალებმა და სხვა ოფიციალურმა ნაყოფიერების პროგრამებმა აჩვენა ნაყოფიერების შენარჩუნების სიხშირის მომატება და პაციენტების კმაყოფილების ზრდა (Kelvin et al., 2016; Klosky, Anderson et al., 2017; Klosky, Wanget 2017; Shnorhavorian et al., 2012). მკურნალი ექიმების დამოკიდებულების გამოკითხვები და თანამედროვე კვლევები მიუთითებს მათ ცნობიერებაზე, ისევე როგორც სურვილზე, რომ მიაწოდონ ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ბავშვებსა და მათ ოჯახებს (Armuaud et al., 2020). თუმცა, ასევე იდენტიფიცირებული იქნა ბარიერები – ცოდნის ნაკლებობის, კომფორტის და რესურსების ნაკლებობის ჩათვლით (Armuaud, Nilsson et al., 2017; Frederick et al., 2018). ამგვარად, ხაზგასმული იქნა ჯანდაცვის მიმწოდებლების შესაბამისი ტრენინგი, სადაც აქცენტი გაკეთებულია ნაყოფიერების შესახებ ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და ნაყოფიერების შენახვის ვარიანტების მიუკერძოებლად შეთავაზებზე ყველა რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდისთვის (Armuaud, Nilsson et al., 2017). მშობლების რჩევებიც ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ნაყოფიერების შენარჩუნებაზე მოზარდებსა და ახალგაზრდა სრულწლოვან მამრობითი სქესის წარმომადგენლებში, რომლებსაც აქვთ კიბო (Klosky, Flynn et al., 2017). მაშინ, როდესაც მკაფიო კლინიკური განსხვავებებია ამ პოპულაციებს შორის, ამ მიგნებებს შეუძლია, ხელი შეუწყოს ფერტილობასთან დაკავშირებული კონსულტირების საუკეთესო პრაქტიკის ინფორმირებას და ნაყოფიერების შენარჩუნებასთან დაკავშირებულ მიმართვიანობას ტრანსგენდერი ინდივიდებისთვის.

დაკავშირებული 16.3

რეკომენდაციას ვაძლევთ ტრანსგენდერ ადამიანებზე ზრუნვის ჯგუფებს, ითანამშრომლონ ადგილობრივ რეპროდუქტოლოგიის სპეციალისტებთან და კლინიკებთან, რათა სპეციფიური და დროული ინფორმაცია მიიწოდონ და უზრუნველყონ ნაყოფიერების შენარჩუნების მომსახურება მანამ, სანამ პაციენტებს შესთავაზებენ სამედიცინო და ქირურგიულ ჩარევას, რომელსაც გავლენა აქვს ნაყოფიერებაზე.

სპერმის და ოოციტების კრიოკონსერვაცია არის ნაყოფიერების შენარჩუნების დამტკიცებული ტექნიკა და ის შეიძლება შეთავაზებული იქნას პუბერტატული, გვიანი პუბერტატული ინდივიდებისა და ზრდასრულებისთვის, რომლებსაც დაბადებისას მიანიჭეს მამრობითი და მდედრობითი სქესი შესაბამისად და, სასურველია, ეს მოხდეს გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე (Hembree et al., 2017; Practice Committee of the American Society for Reproductive Medicine, 2019). ემბრიონების კრიოკონსერვაციის შეთავაზება შესაძლებელია ზრდასრული (პოსტპუბერტატულ) ტემ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ ბავშვის ყოლა და ჰყავთ ხელმისაწვდომი პარტნიორი. კრიოკონსერვირებული სასქესო უჯრედების მომავალი გამოყენება აგრეთვე დამოკიდებულია მომავალი პარტნიორის სასქესო უჯრედებსა და რეპროდუქციულ ორგანოებზე (Fischer, 2021; Maxwell et al., 2017). მიუხედავად იმისა, რომ როგორც აღმოჩნდა, სპერმის პარამეტრები რისკის ქვეშ დგება, როდესაც ნაყოფიერების შენარჩუნება ხდება გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობის დაწყების შემდეგ (Adeleye et al., 2019), ერთმა მცირემასშტაბიანმა კვლევამ ცხადყო, რომ როდესაც მკურნალობა შეწყდა, სპერმის პარამეტრები შესატყვისი იყო იმ ტემ პაციენტების პარამეტრებთან, რომლებსაც არასოდეს ჩაუტარებიათ გენდერის დამადასტურებელი ჰორმონული მკურნალობა. რაც შეეხება კვერცხუჯრედის სტიმულაციას, ოოციტის ვიტრიფიკაციის ნაყოფის და ოოციტების შემდგომ გამოყენებას ინვიტრო განაყოფიერებისთვის (IVF), არ არსებობს მიზეზი, რომ ტემ პაციენტებში დამხმარე

რეპროდუქციული ტექნოლოგიის (ART) გამოყენების შემდეგ დაველოდოთ იმ ჰეტეროსექსუალ პაციენტებისგან განსხვავებულ შედეგებს, რომლებიც გადიან დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიით (ART) მკურნალობას, თუკი არ არსებობს ინდივიდუალური შერეული ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ნაყოფიერებას/უნაყოფობას, როდესაც სასქესო უჯრედები შენახულია ნებისმიერი სამედიცინო მკურნალობის ჩატარების წინ (Adeleye et al., 2019). დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიით (ART) მკურნალობისას ოციტების გამოყენებას ტგმ ადამიანებში ისეთივე წარმატებული შედეგები მოჰყვება, როგორც კონტროლირებულ, შესაბამის ჰეტეროსექსუალ პაციენტებთან (Adeleye et al., 2019; Leung et al., 2019; Maxwell et al., 2017).

მიუხედავად იმისა, რომ ეს აღიარებული ვარიანტებია, მცირე რაოდენობით პუბერტატული, გვიანი პუბერტატული ან ზრდასრული ტგმ ადამიანი მიმართავს ნაყოფიერების შენარჩუნებას (Nahata et al., 2017), და მრავალი მათგანი დგება გამონვევების წინაშე, როდესაც მიმართავს ნაყოფიერების შენარჩუნების ინტერვენციებს. არა მარტო ამ მეთოდების ხელმისაწვდომობა და ღირებულებაა ბარიერი (განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც დაზღვევა არ ფარავს ამ მომსახურებას), არამედ ეს პროცედურები ხშირად არის ფიზიკურად და ემოციურად არაკომფორტული და ბევრი გამოხატავს ნუხილს ტრანზიციის პროცესის გადადების გამო (Chen et al., 2017; De Sutter et al., 2002; Nahata et al., 2017; Wierckx, Stuyver et al., 2012). განსაკუთრებით კვერცხუჯრედის სტიმულაციის შემდგომი ენდოვაგინალური ექოსკოპია და ოციტების ამოღების პროცედურა (და თანმხლები ფსიქოლოგიური უარყოფითი სტრესი) მითითებული იყო ბარიერად იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიანიჭეს (Armuan, Dhejne et al., 2017; Chen et al., 2017). ასევე იმ ახალგაზრდა ზრდასრულებს, რომლებიც გადიან ტრანზიციას, შეიძლება არ ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა მშობლობაზე და ამიტომ შესაძლოა, უარი თქვან ნაყოფიერების შენარჩუნების შესაძლებლობის გამოყენებაზე მაშინ, როდესაც მოგვიანებით მათ შეიძლება სხვა აზრი ჩამოუყალიბდეთ მშობლობაზე

(Cauffman & Steinberg, 2000). ტრანზიციისას გენდერული დისფორიის შემცირებამ შეიძლება ასევე ზეგავლენა იქონიოს ნაყოფიერების შენარჩუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (Nahata et al., 2017). კვლევაზე დაყრდნობით ტგმ ახალგაზრდების ნაყოფიერების პერსპექტივები შეიძლება შეიცვალოს რალაც დროის შემდეგ (Nahata et al., 2019; Strang, Jarin et al., 2018), ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები მუდმივად უნდა განიხილებოდეს.

დასკვნა 16.4

რეკომენდაციას ვაძლევთ ჯანდაცვის პროფესიონალებს, აუხსნან პრეპუბერტატულ და ადრეულ პუბერტატულ ასაკში მყოფ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ახალგაზრდებს და მათ ოჯახებს, რომლებსაც სურთ გენდერის დამადასტურებელი თერაპიის გავლა, რომ თანამედროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული/აღიარებული ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები შეზღუდულია.

პრეპუბერტატული და ადრეპუბერტატული ბავშვებისთვის, ნაყოფიერების შენარჩუნების ვარიანტები შეზღუდულია და მათთვის მხოლოდ სასქესო ჯირკვლის ქსოვილის შენახვის ვარიანტი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვარიანტი ხელმისაწვდომია ტგმ ბავშვებისთვის, ისევე როგორც ხელმისაწვდომია სისგენდერი პრეპუბერტატული და ადრეულ-პუბერტატული ონკოლოგიური პაციენტებისთვის, არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც აღწერს ამ მიდგომის გამოყენებას ტრანსგენდერ ადამიანებში. კვერცხუჯრედის ქსოვილის ავტოტრანსპლანტაციის შედეგად სისგენდერ ქალებში 130-ზე მეტი ცოცხლადშობილი ახალშობილი დაფიქსირდა. ამ პაციენტების უმრავლესობა ბუნებრივად დაორსულდა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე (Donnez & Dolmans, 2015; Jadoul et al., 2017) და უმეტესობამ თავიანთი კვერცხუჯრედის ქსოვილი შეინახა მოზრდილობის ან პუბერტატულ ასაკში. მიუხედავად იმისა, რომ რეპროდუქციული მედიცინის ამერიკული საზოგადოება

საკვერცხეების ქსოვილის შენახვას აღარ განიხილავს როგორც ექსპერიმენტულ მეთოდს (Practice Committee of the American Society for Reproductive Medicine, 2019), ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვება ანგარიშები, რომლებიც აღწერს წარმატებულ ორსულობას ქალებში, რომლებმაც გადაინერგეს კვერცხუჯრედის ქსოვილი, რომლის კრიოკონსერვაცია მოხდა სქესობრივ სიმნიფემდე. დიმისტერემ და კოლეგებმა (2015) და როდრიგეს-უოლბერგმა, მილენკოვიჩმა და კოლეგებმა (2021) აღწერეს წარმატებული ორსულობის შემთხვევები ქსოვილის ტრანსპლანტაციის შედეგად, რომელიც აღებული იქნა 14 წლის ასაკში და ახლახან მეთიუსმა (2018) აღწერა გოგონას შემთხვევა, რომელსაც თალასემიის დიაგნოზი დაუსვეს და რომელმაც საკვერცხის ქსოვილი შეინახა 9 წლის ასაკში და ტრანსპლანტაცია მოხდა 14 წლის შემდეგ. ის შემდგომ დაორსულდა ინვიტრო განაყოფიერების გამოყენებით და ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა.

ამჟამად, საკვერცხის შენახული ქსოვილის ერთადერთი მომავალი კლინიკური გამოყენება არის ავტოტრანსპლანტაცია, რაც შეიძლება არ იყოს სასურველი ტრანსგენდერ კაცებში (ესტროგენის პოტენციურად არასასურველი ეფექტის გამო). ლაბორატორიული პროცედურა, რომელიც შესაძლებელს გახდის საკვერცხეების ქსოვილიდან ოოციტების ინვიტრო მომნიფებას, იდეალური იქნება ტრანსგენდერი ადამიანების შენახული საკვერცხეების ქსოვილის მომავალი გამოყენებისთვის, მაგრამ ეს მეთოდი ამჟამად მხოლოდ კვლევის პროცესშია და მისი ოპტიმიზაცია ხდება ადრეული სამეცნიერო კვლევის პირობებში (Ladanyi et al., 2017; Oktay et al., 2010).

სათესლე ჯირკვლის ქსოვილის პრეპუბერტატული ამოღება დოკუმენტირებულია როგორც დაბალრისკიანი პროცედურა (Borgström et al., 2020; Ming et al., 2018). ზოგიერთმა ავტორმა აგრეთვე აღწერა ეს მიდგომა როგორც თეორიული ვარიანტი ტრანსგენდერი ადამიანებისთვის (DeRoo et al., 2016; Martinez et al., 2017; Nahata, Curci et al., 2018). თუმცა, ლიტერატურაში არ არსებობს ანგარიში, რომელიც აღწერდა ნაყოფიერების შენარჩუნების ამ ვარი-

ანტის კლინიკურ ან კვლევით გამოყენებას ტემპაციენტებში. უფრო მეტიც, სათესლე ჯირკვლის ქსოვილის ავტოტრანსპლანტაციის კლინიკური გამოყენების შესაძლებლობა ადამიანებში უცნობი რჩება და ინვიტრო მომნიფების მეთოდი ჯერ კიდევ საბაზისო სამეცნიერო კვლევის არეალშია. ამგვარად, სპეციალისტები ამ მეთოდს ახლა ექსპერიმენტულ მეთოდად მიიჩნევენ (Picton et al., 2015). სასქესო ჯირკვლების ქსოვილის შენახვის შესაძლებლობა განხილული უნდა იყოს ნებისმიერ გენიტალურ ქირურგიულ ოპერაციამდე, რომლის შედეგად იქნება სტერილიზაცია, თუმცა ამ ქსოვილის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ კომუნიკაცია უნდა იყოს მკაფიო.

დასკვნები 16.5

რეკომენდაციას ვაძლევთ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საშვილოსნო და სურთ დაორსულება, მიიღონ სტანდარტული ჩასახვისწინა ზრუნვა და პრენატალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია გენდერის დამადასტურებელი ჰორმონების გამოყენების და შეწყვეტის შესახებ, ორსულობის სამედიცინო მეთვალყურეობის, მშობიარობის პროცესისა და მშობიარობის შესახებ, ძუძუთი კვების დამხმარე სერვისების შესახებ და პოსტნატალური მხარდაჭერის შესახებ ადგილობრივი ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად, გენდერის დადასტურების საფუძველზე.

ტრანსგენდერი კაცების და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანების (რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიენიჭათ) უმეტესობა ინარჩუნებს საშვილოსნოს და საკვერცხეებს და ამგვარად შეუძლიათ, დაორსულდნენ და ატარონ ნაყოფი ტესტოსტერონის ხანგრძლივი გამოყენების შემდეგაც კი (Light et al., 2014). ბევრ ტრანსგენდერ კაცს სურს შვილების ყოლა (Light et al., 2018; Wierckx, van Caenegem et al., 2012) და სურს ორსულობა (Moseson, Fix, Hastings et al., 2021; Moseson, Fix, Ragosta et al., 2021). დამხმარე რეპროდუქციულმა ტექნოლოგიებმა გააფართოვა ბევრი ტრანსგენდერი კაცის შესაძლებლობა, რომ დაორსულდეს

და შეძლოს საკუთარი ოჯახის დაგეგმვა (De Roo et al., 2017; Ellis et al., 2015; Maxwell et al., 2017). ზოგიერთი ტრანსგენდერი კაცი აღწერს ფსიქოლოგიურ იზოლაციას, დისფორიას, რაც უკავშირდება ორსულობით დამძიმებულ საშვილოსნოს, მკერდის ცვლილებას და დეპრესიას (Charter, 2018; Ellis et al., 2015; Hoffkling et al., 2017; Obedin-Maliver & Makadon, 2016). ამ მონაცემებისგან განსხვავებით, სხვა კვლევები აგრეთვე იტყობინებიან ორსულობისას ზოგიერთი პოზიტიური გამოცდილების შესახებ (Fischer 2021; Light et al., 2014). ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმნოდებლები უნდა იყვნენ ჩართული, რათა უზრუნველყონ დახმარება და ფსიქოლოგიური კონსულტაცია იმის შესახებ, თუ როდის უნდა შეწყდეს და როდის განახლდეს გენდერის დამადასტურებელი ჰორმონების მიღება, რა ვარიანტებია ხელმისაწვდომი მშობიარობის მეთოდის და ძუძუთი კვებისთვის (Hoffkling et al., 2017).

საბოლოოდ, ჩარევა უნდა განხორციელდეს სისტემურ დონეზე და ინტერპერსონალურ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანზე ორიენტირებული რეპროდუქციული ჯანდაცვა ყველა ადამიანისთვის (Hahn et al., 2019; Hoffkling et al., 2017; Moseson, Zazanis et al., 2020; Snowden et al., 2018). ემბრიონის განვითარებაზე ტესტოსტერონის პოტენციური მავნე ზეგავლენის გათვალისწინებით რეკომენდებულია ტესტოსტერონის ან მასკულინიზაციისთვის განკუთვნილი ჰორმონული თერაპიის შეწყვეტა კვერცხუჯრედის განაყოფიერებამდე და მთელი ორსულობის განმავლობაში. თუმცა უცნობია რა არის ის ოპტიმალური დრო ორსულობამდე ტესტოსტერონის შეწყვეტისთვის, ან მისი განახლებისთვის ორსულობის შემდეგ. რაკი გენდერის დამადასტურებელი ჰორმონის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს დისტრესი და გაამწვავოს დისფორია ტრანსგენდერ კაცებში, როდის და როგორ შეწყდეს ეს თერაპია განხილული უნდა იქნას პრენატალური ფსიქოლოგიური კონსულტაციისას (Hahn et al., 2019). რადგან არ არსებობს ინფორმაცია ტესტოსტერონის ექსპოზიციის და ტერატოგენური მოქმედების შესახებ, ტესტოსტერონის გამოყენება უნდა შეწყდეს და ორსულების მცდელობის წინ

და ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებების გამოყენების შეწყვეტამდე. უფრო მეტიც, შეზღუდულია ინფორმაცია ტრანსგენდერი კაცების მიერ შობილი ჩვილების ჯანმრთელობის შედეგების შესახებ. მცირე შემთხვევების კვლევებმა, რომლებიც ცდილობდნენ შეეფასებინათ ეს საკითხი ცხადყო, რომ არავითარი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური განსხვავება არ არის ტრანსგენდერი კაცის მიერ გაჩენილ ჩვილსა და დანარჩენ პოპულაციაში დაბადებულ ჩვილებს შორის (Chiland et al., 2013).

შეჯამება

შეზღუდული რაოდენობის კვლევებში, რომლებიც აფასებენ ლაქტაციას და ძუძუთი კვებას, ტრანსგენდერი კაცების და ტგმ ინდივიდების უმეტესობამ, რომლებსაც დაბადებისას მამრობითი სქესი მიანიჭეს და რომლებმაც აირჩიეს პოსტნატალური ძუძუთი კვება, წარმატებით გაართვეს თავი მას. კვლევა მიუთითებს, რომ ლაქტაციის შემოტანა ნაწილობრივ დამოკიდებული იყო კვერცხუჯრედის განაყოფიერებამდე ფსიქოლოგიურ კონსულტაციაზე და ლაქტაციისას ბავშვის ძუძუთი კვების მხარდაჭერაზე (MacDonald et al., 2016; Wolfe-Roubatis & Spatz, 2015). კერძოდ, ტრანსგენდერი კაცები და ტგმ ადამიანები, რომლებიც იყენებენ ტესტოსტერონს, ინფორმირებული უნდა იყვნენ შემდეგზე: 1) მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობა მცირეა, ტესტოსტერონი გადადის ძუძუს რძეში; და 2) მისი ზეგავლენა ახალშობილზე/ბავშვზე უცნობია და ამიტომ გენდერის დამადასტურებელი ტესტოსტერონის გამოყენება არ არის რეკომენდებული ლაქტაციისას, მაგრამ შეიძლება განახლდეს ძუძუთი კვების შეწყვეტის შემდეგ (Glaser et al., 2009). ტრანსგენდერი კაცებისთვის და სხვა ტგმ ინდივიდებისთვის, რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიანიჭეს, ცნობილი უნდა იყოს, რომ ზოგიერთმა პაციენტმა, რომელიც ორსულად არის შეიძლება გამოსცადოს მკერდის არასასურველი ზრდა და/ან ლაქტაცია მკერდის რეკონსტრუქციის შემდეგაც კი და ამიტომ მათ სჭირდებათ დახმარება თუ მათ ლაქტაციის შეჩერება სურთ (MacDonald et al., 2016). შეზღუდული ინფორმაცია არსებობს ლაქტაცი-

ის შესახებ ტრანსგენდერ ქალებში, ისევე როგორც, სხვა ტგმ ადამიანებში, რომლებსაც დაბადებისას მამრობითი სქესი მიანიჭეს, მაგრამ ბევრი აგრეთვე გამოხატავს სურვილს განახორციელოს ძუძუთი კვება. არსებობს ინფორმაცია შემთხვევის შესახებ, როცა ტრანსგენდერმა ქალმა წარმატებით განახორციელა ლაქტაცია და ძუძუთი გამოკვება თავისი ჩვილი მას შემდეგ, რაც მიიღო ჰორმონული მხარდაჭერა ესტროგენის, პროგესტერონის და დომპერიდონის კომბინაციის გამოყენებით და ძუძუს გამონვლით (Reisman & Goldstein, 2018). ამ პირობებში ძუძუს რძის ნუტრიციონალური და იმუნოლოგიური პროფილი არ არის შესწავლილი. ამიტომ პაციენტებს უნდა ეცნობოთ ამ მიდგომის რისკების და სარგებლის შესახებ ბავშვის კვებისას (Reisman & Goldstein, 2018).

დასკვნა 16.6

რეკომენდაციას ვაძლევთ სამედიცინო მიმწოდებლებს, განიხილონ კონტრაცეფციის მეთოდები იმ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან ადამიანებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ისეთ სექსუალურ აქტივობებში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ორსულობა.

მრავალ ტგმ ინდივიდს შეუძლია შეინარჩუნოს რეპროდუქციული შესაძლებლობა და (თუ ისინი ინარჩუნებენ საშვილოსნოს, საკვერცხეებსა და საშვილოსნოს მილებს) მათ სექსუალურ პარტნიორებს (სპერმის გამომყოფ ინდივიდებს) შეიძლება დაუდგეთ დაუგეგმავი ორსულობა (James et al., 2016; Light et al., 2014; Moseson, Fix et al., 2020). ამიტომ, საჭიროა კონსულტაცია ოჯახის მიზანმიმართული დაგეგმვისთვის, რომელიც მოიცავს კონტრაცეფციასა და აბორტის გენდერ-ექსპანსიური გზით ჩატარებასაც (Klein, Berry-Bibee et al., 2018; Obedin-Maliver, 2015; Stroumsa & Wu, 2018). ტგმ ადამიანები, რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიენიჭათ, შეიძლება არ იყენებდნენ კონტრაცეფციას იმ მცდარი ვარაუდის გამო, რომ ტესტოსტერონი კონტრაცეფციის საიმედო ფორმაა (Abern & Maguire, 2018; Ingraham et al., 2018; Jones, Wood et al., 2017; Potter et al., 2015). თუმცა თანამედ-

როვე გაგებით, ტესტოსტერონი არ უნდა იქნას მიჩნეული კონტრაცეფციის საიმედო ფორმად მისი არასრული სუპრესიის გამო ჰიპოთალამური-ჰიპოფიზარული-თირკმელზედა აქსისის მიერ (Krempasky et al., 2020). უფრო მეტიც, ორსულობა დადგა მაშინ, როდესაც ინდივიდებს ჰქონდათ ამენორეა ტესტოსტერონის გამოყენების ნიადაგზე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს უფრო მეტ ხანს აქტიური ადმინისტრირების პერიოდებში (Light et al., 2014). ორსულობა შეიძლება აგრეთვე დადგეს ტგმ ადამიანებში ტესტოსტერონის ხანგრძლივი გამოყენების შემდეგაც (სულ მცირე 10 წლამდე), თუმცა ზეგავლენა ოციტებზე და ნაყოფიერების საბაზისო მონაცემებზე ჯერ კიდევ უცნობია (Light et al., 2014). ტგმ ადამიანებმა, რომლებსაც დაბადებისას მიენიჭათ მდედრობითი სქესი, შეიძლება გამოიყენონ კონტრაცეფციის სხვადასხვა მეთოდი (Abern & Maguire, 2018; Bentsianov et al., 2018; Bonnington et al., 2020; Chrisler et al., 2016; Cipres et al., 2017; Jones, Wood et al., 2017; Krempasky et al., 2020; Light et al., 2018). ეს მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ორსულობის პრვენციის, მენსტრუაციის შეკავების, ანომალური სისხლდენის ან სხვა გინეკოლოგიური საჭიროებებისთვის (Bonnington et al., 2020; Chrisler et al., 2016; Krempasky et al., 2020; Schwartz et al., 2019). აღნიშნულ პოპულაციაში კონტრაცეპტივების კვლევის დიდი დანაკლისია. არც ერთ კვლევას არ შეუმონებია, როგორ შეიძლება გარე ანდროგენებმა (მაგ. ტესტოსტერონმა) შეცვალოს ჰორმონული კონტრაცეპტიული მეთოდების (მაგ. ესტროგენის და პროგესტინის კომბინირებული ჰორმონული კონტრაცეპტივი, მხოლოდ პროგესტინზე დაფუძნებული კონტრაცეპტივები) ეფექტურობის ან უსაფრთხოების პროფილი ან არაჰორმონული და ბარიერული კონტრაცეპტივების მეთოდები (მაგ. შიდა და გარე პრეზერვატივები, არაჰორმონული საშვილოსნოს შიდა მონყობილობები, დიაფრაგმები, ღრუბლები და ა.შ.). გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანები, რომლებსაც ამჟამად აქვთ პენისი და სათესლე ჯირკვლები, შეიძლება ჩართული იყვნენ სექსუალურ ურთიერთობაში ნებისმიერი გენდერის ინდივიდებთან, რომლებსაც აქვთ საშვილოსნო, საკვერცხეები და საშვილოსნოს მილები. გენ-

დერულად მრავალფეროვან ადამიანებს, რომლებსაც აქვთ პენისი და სათესლე ჯირკვლები, შუძლიათ გამოყონ სპერმა მაშინაც კი, თუ ისინი არიან გენდერის დამადასტურებელ ჰორმონებზე (ე.ი. ესტროგენზე) და მიუხედავად იმისა, რომ სპერმის მახასიათებლები გაუარესებულია მათში, ვინც ახლა იყენებს ან ადრე იყენებდა გენდერის დამადასტურებელ ჰორმონს, აზოოსპერმია არ არის სრული და სპერმის აქტივობა არ არის სრულად შეჩერებული (Adeleye et al., 2019; Jindarak et al., 2018; Kent et al., 2018). ამიტომ კონტრაცეფცია უნდა იყოს გათვალისწინებული ორსულობის თავიდან ასაცილებლად ისეთი სქესობრივი აქტივობის შემთხვევაში, როგორცაა პენისის ვაგინაში შეყვანა, როდესაც პარტნიორებიდან ერთს აქვს საშვილოსნო, საკვერცხეები და მილები, ხოლო მეორეს პენისი და სათესლე ჯირკვლები, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელიმე პარტნიორი იღებს გენდერის დამადასტურებელ ჰორმონებს. ამჟამად კონტრაცეფციული მეთოდები, რომლებიც სპერმის გამომყოფი პარტნიორებისთვის არსებობს არის ძირითადად მექანიკური ბარიერები (ე.ი. გარე და შიდა პრეზერვატივები), მუდმივი სტერილიზაცია (ე.ი. ვაზექტომია) და გენდერის დამადასტურებელი ქირურგია (მაგ. ორქიექტომია, რომელსაც შედეგად მოჰყვება სტერილიზაცია). რეკომენდებულია კონტრაცეფციული კონსულტაცია, რომელიც განიხილავს სპერმის გამოყოფას, კვერცხუჯრედის ჩამოყალიბებას და გესტაციურ პარტნიორებს (როდესაც ეს რელევანტურია).

დაკავშირებული 16.7

რეკომენდაციას ვაძლევთ ორსულობის შეწყვეტის მომსახურების მიმწოდებლებს, რომ უზრუნველყონ გენდერის დამადასტურებელი პროცედურული ვარიანტები და მოემსახურონ ტრანსგენდერ და გენდერულად მრავალფეროვან პირებს.

დაუგეგმავი ორსულობები და აბორტები დაფიქსირებულია ტგმ ინდივიდებს შორის, რომლებსაც აქვთ საშვილოსნო (Abern & Maguire, 2018; Light et al., 2014; Light et al., 2018; Moseson, Fix et al., 2020) და დოკუმენტირებულია აბორტის მომსახურების მიმწოდებელი კლინიკების მიმოხილვებში (Jones et al., 2020). თუმცა აბორტის ჩატარების მოსახლეობაზე დაფუძნებული ეპიდემიოლოგია და იმ ტგმ ინდივიდების გამოცდილება და პრეფერენციები, რომლებსაც დაბადებისას მდედრობითი სქესი მიენიჭათ და რომლებმაც ჩაიტარეს აბორტი, კვლავინდებურად წარმოადგენს კვლევის კრიტიკულ ხარვეზს (Fix et al., 2020; Moseson, Fix et al., 2020; Moseson, Lunn et al., 2020). მიუხედავად ამისა, რაკი ბევრი ტგმ ადამიანისთვის არსებობს დაორსულების შესაძლებლობა და რაკი ორსულობები შესაძლოა ყოველთვის არ აღმოჩნდეს დაგეგმილი ან სასურველი, უსაფრთხო და სამართლიანი, აუცილებელია, ორსულობის შეწყვეტისთვის არსებობდეს გენდერის დამადასტურებელი უსაფრთხო და ლეგალური სამედიცინო და ქირურგიული სერვისები.

თავი 17. სექსუალური ჯანმრთელობა

სექსობრივ ჯანმრთელობას ღრმა ზეგავლენა აქვს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე სქესის, გენდერის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად. თუმცა სქესთან, გენდერთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სტიგმა ზეგავლენას ახდენს ინდივიდის შესაძლებლობებზე, იცხოვროს თავისი სექსუალობით და მიიღოს შესაბამისი სექსუალური ჯანდაცვის მომსახურება. კონკრეტულად, უმეტეს საზოგადოებებში სისნორმატიულობას და ჰეტერონორმატიულობას მიუყავართ ვარაუდამდე, რომ ყველა ადამიანი არის სისგენდერი და ჰეტეროსექსუალი (Bauer et al., 2009) და რომ ეს კომბინაცია უპირატესია ყველა სხვა გენდერსა და სექსუალურ ორიენტაციაზე (Nieder, Güldenring et al., 2020; Rider, Vencill et al., 2019). ჰეტერო სისნორმატიულობა უარყოფს გენდერის, სექსუალური ორიენტაციის და სექსუალობის კომპლექსურობას და არ ითვალისწინებს მრავალფეროვნებას და ცვალებადობას. ეს ყველაფერი მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ტრანსგენდერი და ტგმ ადამიანების გენდერული იდენტობა, ორიენტაცია და პრაქტიკა ხასიათდება უდიდესი მრავალფეროვნებით (Galupo et al., 2016; Jessen et al., 2021; Thurston & Allan, 2018; T'Sjoen et al., 2020). ასევე, ძლიერი კულტურათაშორისი ტენდენცია ალონორმატიულობისკენ იხრება – ვარაუდისკენ, რომ ყველა ადამიანი განიცდის სექსუალურ მიზიდულობას ან სექსუალური ურთიერთობის ინტერესს – რაც უარყოფს ტგმ ადამიანების მრავალფეროვან გამოცდილებებს, განსაკუთრებით მათი, ვინც თავს მიაკუთვნებს ასექსუალურ სპექტრს (McInroy et al., 2021; Mollet, 2021; Rothblum et al., 2020). მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია (WHO, 2010) ხაზს უსვამს, რომ სექსუალური ჯანმრთელობა დამოკიდებულია ყველა ადამიანის სექსუალური უფლებების პატივისცემაზე, იმ უფლების ჩათვლით, გამოხატონ სხვადასხვა სექსუალობა, და რომ მოეპყრან მათ პატივისცემით, უსაფრთხოდ და დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე. სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ მსჯელობა ფოკუსირებულია სქესობრივი ორგანოს და სხეულის ავტონომიაზე,

რომელიც მოიცავს თანხმობას, სექსუალურ სიამოვნებას, სექსუალურ დაკმაყოფილებას, პარტნიორობებს და ოჯახურ ცხოვრებას (Cornwall & Jolly, 2006; Lindley et al., 2021). ამ მხრივ, WHO სექსუალურ ჯანმრთელობას განსაზღვრავს როგორც „ფიზიკურ, ემოციურ, მენტალურ და სოციალურ კეთილდღეობას სექსუალობასთან მიმართებაში და არა უბრალოდ დაავადების, დისფუნქციის და უძღურების არარსებობას. სექსუალური ჯანმრთელობა მოითხოვს პოზიტიურ და პატივისცემით გამსჭვალულ მიდგომას სექსუალობასთან და სექსუალურ ურთიერთობასთან დაკავშირებით, ასევე შესაძლებლობას, ინდივიდებს ჰქონდეთ სასიამოვნო და უსაფრთხო სექსუალური გამოცდილება, რომელიც თავისუფალი იქნება იძულებისგან, დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან. სექსუალური ჯანმრთელობა რომ იყოს მიღწეული და შენარჩუნებული, აუცილებელია ადამიანის სექსუალური უფლებების პატივისცემა, აგრეთვე, ადამიანის სექსუალური უფლებები უნდა იყოს დაცული და განხორციელებული“ (WHO, 2006). ეს მოიცავს ინდივიდებს ასექსუალური სპექტრით, რომლებიც არ განიცდიან სექსუალურ მიზიდულობას სხვების მიმართ, მაგრამ შესაძლოა ხანდახან არჩევდნენ სქესობრივ აქტიურობას (მაგ. თვით-სტიმულაციის საშუალებით) და/ან განიცდიდნენ ინტერესს, შექმნან ან ააგონ რომანტიული ურთიერთობები (de Oliveira et al., 2021). ტგმ ადამიანების სექსუალური გამოცდილების და ქცევებისადმი მეცნიერული ყურადღება ბოლო წლებში გაიზარდა (Gieles et al., 2022; Holmberg et al., 2019; Klein & Gorzalka, 2009; Kloer et al., 2021; Mattawanon et al., 2021; Stephenson et al., 2017; Tirapegui et al., 2020; Thurston & Allan, 2018). ამ საკითხზე ლიტერატურის გაფართოება ასახავს სექსპოზიტიურ ჩარჩოს (Harden, 2014), რომელიც ცნობს როგორც დადებით ასპექტს, როგორცაა სექსუალური სიამოვნება (Laanetal., 2021), ისე პოტენციურ რისკებს, რომლებიც ასოცირებულია სექსუალობასთან (Goldhammer et al., 2022; Mujugira et al., 2021). თუმცა ტგმ ადამიანების სექსუალობის კვლევები ხშირად განიცდის ვალიდური გაზომვის – შესაბამის საკონტროლო ჯგუფის ან პროსპექტული დიზაინის დანაკლისს (Holmberg et al.,

სარეკომენდაციო ღებულებები

